

სიბოჟან ხუნჯაძე

პრეტული მართლმადიდებელი
და სწორების
პირითაღი საფუძვლები

გამოცემა გრ. შანიძისა

ქუთაისი
კომუნალური მეურნეობის სტამბა
1927



ქვემოთ მოხსენიებული ნ. კვიციანიძის
განმარტების


1979/1978

ს რ კ თ უ ლ ი

გართლწერისა : სწორების

ძირითადი საფუძველები

33710



წებადართულია მთავსამლიტგამის მიერ, № 623.

ტირაჟი 5.000.

ჩემი „სალიტერატურო კართული“-ს წინასიტყვიდან.

... არცერთს ლიტერატურულ ენაში არ არის ფორმების იმისთანა მრავალგვარობა, როგორც დღეს ქართულში არსებობს. ძველათ ჩვენი მწერლების ენა თითქმის არ ყოფილა ერთმანეთისგან განსხვავებული, და დღეს კი რამდენი მწერალიც არის, იმდენი განსხვავებული ფორმა და სიტყვების თუ წინადადებათა სხვადასხვაგვარი წყობა.

ამ მრავალგვარობის მიზეზი ის არის, რომ ხალხს ენის ფორმები თანდათან შეუცვლია, მწერალნი კი ამ თანდათანობას არ მიყოლიან: ზოგი უძველეს ფორმებზე შეჩერებულია, რადგან იმათთვის შეუჩვევია თვალ-ყური, ზოგს კი უახლესი ფორმები შეუთვისებია და იმათ აძლევს უპირატესობას.

ზემოხსენებულ მწერალთა შორის დიდად შემცთარი არიან ისინი, რომელნიც ფიქრობენ, რომ ახლანდელი სამწერლო ენის ფორმები ძველებზე წიგნებში უნდა გვქვოდნოთ, თუგინდ ის წიგნი „ვეფხისტყაოსანი“-ც იყოს. ძველ სახელოვან მწერალთა ენით, რასაკვირველია, უნდა ვიხუღმძღვანელოთ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ისინი ენის განვითარებას, მის პროგრესიულ წინსვლას არ ეწინააღმდეგებიან.

როგორც ხალხის ცხოვრება, მისი სოციალური წყობილობა, დროთა ბრუნვის მიხედვით იცვლება,—ისე იცვლება ხალხის ენაც.

მეთერთმეტეა და მეოთხრამეტე საუკუნეში, ერის კეთილდღეობისა და სახელოვან მწერალთა მეოხებით, ქართული ენა თვალსაჩინოთ განვითარდა და გამშვენიერდა. შემდეგ საუკუნეებში, როცა ქართველთა კეთილდღეობამ იკლო, მათი ენაც დაღარიბდა. მეთვრამეტე საუკუნეში ქართული მწერლობის სარბიელზე ხელახლა გამოჩნდნენ სახელოვანი პირები—და ენამაც იწყო ხელახალი აღორძინება.—„რა ენა წახდეს, ერაც დაეცესო“, ამბობს ბრ. მრბელიანი თავის ლექსებში. უკუღმა უნდა ეთქვა: „ერი დაეცეს—ენაცა წახდეს“-ო, რადგან, როგორც ახლა ვსთქვი, ენის სიკეთე თუ სიკუდილს ერის ავკარგიანობაზეა დამოკიდებული.

საუბრა დღესდღეობით ჩვენი ენა ბევრს ცუდ პირობაშია ჩაყენებული, თუმცა მის წინსვლას ბევრი გარემოება აფერხებს, მაგრამ ის მაინც ცოტ-ცოტათი ვითარდება, ღონიერდება, წინ მიდის. ღღევანდელი მისი უმთავრესი ნაკლებოვანება ზევით დავასახელებ: ეს არის მისი ფორმების მრავალგვარობა—და ჩემი შრომის მიზანიც ის არის, რომ შეძლებისამებრ გამოვიკვლიო, თუ ჩვენს მწერლობაში უპირატესობა რადარა ფორმას უნდა მიეცეს.

ამ ფორმათა მრავალგვარობის მიზეზს, ზემოხსენებულს გარდა, კიდევ ის გარემოებაც შეადგენს, რომ საქართველოს ხალხი სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირათ ლაპარაკობს, განსხვავებულ ფორმებს ხმარობს. ჩვენი ქვეყანა თავიდანვე ბუნებით რამდენმე კუთხეთ იყო დანაწილებული, და თითოეულ მათგანში, ბუნებისავე სხვადასხვაობის გამო, თავისებური სიცოცხლე დულდა, თავისებური ჩარხი ტრიალობდა, რომელიც ადგილობრივ მკვიდრთა და მათ ენას განსხვავებულ სახეს აძლევდა. ეს ბუნებრივი კანონი დღესაც თავის ძალაშია: კახელი ამბობს **მაიტა**, ქართლელი—**მოიტა**, იმერი—**მეიტა**-ო, და სხვ.

ჩვენი მწერალნიც თავის თხზულებებში ხშირათ იმ ფორმებს ხმარობენ, რომლისთვისაც პატარაობიდან სმენა შეუჩვევიათ, ე. ი. თავისი კუთხის ენას. ამ მხრით განსაკუთრებით საქართველოს აღმოსავლეთის ნაწილის მწერალნი იქცევიან თავისუფლათ, და რა სიტყვასაც ან ფორმას თავის სოფელში ყურს მოკრავენ, ყველაფერი ლიტერატურულ ენაში შეაქვთ. ეს მათი საქციელი იმ ცრუ აზრზეა დამყარებული, რომ ლიტერ-

რატურული ენა თავიდანვე ჩვენი კუთხის ენა ყოფილაო და დღესაც ის უნდა იქნესო.

ისტორია მოგვითხრობს, რომ ქართველების ცხოვრება მცხეთაში დაწყებული და იქიდან შემდეგ, საუკუნეების განმავლობაში, ქართველი ტომი ნელნელა ყოველი მხრით გავრცელებულა და დაუქერია კავკასია ორს დიდ ზღვას შუა აღმოსავლეთ-დასავლეთით და ორს დიდ ქედს შორის ჩრდილოეთ-სამხრეთით.

ჩა თქმა უნდა, სადაც ხალხის ცხოვრება უპირველესათ განვითარდა, პირველი ჩვენი მოღვაწეებიც იქ გაჩნდნენ და სამწერლო ენის საფუძვლათაც, იქაური კილო დადგინდა.

ამის მიუხედავად, „ვისრამიანში“, „ვეფხისტყაოსანში“, „სიბრძნე-სიცრუეში“ და სხვ. ბევრი ადგილი მოიპოება, რომელიც ამტკიცებს, რომ ჩვენი ძველი მწერალნი პროვინციებს უყურადღებოთ არ სტოვებდნენ, და თუ რამე იქაურ ენაში მოეწონებოდათ, ლიტერატურულ ენაში შექონდათ.

ჩემი აზრიც ლიტერატურული ენის შესახებ ეს არის: 1) ქართველი ლიტერატორი რომლისამე ერთი კუთხის ენით არ უნდა ხელმძღვანელობდეს, არამედ ყურადღებას საქართველოს ყოველი კუთხის ენას უნდა აქცევდეს და იმათგან უსაჭიროესი სიტყვები უნდა გამოკრიფოს და უკეთილხმოვანესი ფორმები იხმაროს; 2) ჩვენი მწერალნი აუცილებლათ უნდა შეთანხმდნენ—სიტყვების ცვალებასა და წინადადებათა წყობაში ერთგვარი ფორმები იხმარონ, ერთგვარი კანონებით იხელმძღვანელონ.

ეს საქმე მეტათ საყურადღებოთ მიმაჩნია, და თუ ამ ჩემი შრომით ხემორგადნიშნულ მიზანს სრულათ ვერ მივაწევ, იმაში მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჩემი გულმოდგინე კვლევა და წრფელი აზრი სულ უსარგებლოთ არ ჩაივლის.

ამ ჩემი შრომის დასასაბუთებლათ შემდეგი წიგნები გადავიკითხე: „ვისრამიანი“, „ვეფხისტყაოსანი“, „ქილილა და დამანა“, „სიბრძნე-სიცრუის წიგნი“, „ღავითიანი“, ბატონიშვილის ვახუშტის „ლეოლრაფიული აღწერა საქართველოსა“, „ქართლის ცხოვრება“, „ფსალმუნი ღავითისი“—და ჩვენი დროის მწერალთა თხზულებანი (ბრ. მრბელიანის, ნ. ზარათაშვილის, ილ. ზავჭავაძის, ბკაკის, რ. მრისთავის, მ. წერეთლის და მრ. სხვ.), აგრეთვე ხალხური ზეპირსიტყვაობის მასალები. ძველი დროის მწერალთა შორის ჩემს კვლევაში განსაკუთრებით სამ ავტორს ვემყარებ: „ვისრამიანის“ მთარგმნელს და „ვეფხისტყაოსანისა“ და „სიბრძნე-სიცრუის წიგნის“ დამწერტ, რადგან ისინი ჩვენი წარსული ცხოვრების საუკეთესო ხანათა წარმომადგენელნი და მასთან ქართული ენის ზედმიწევნით მცოდნე პირები იყვნენ.

ქუთაისი, 1901 წ.

მ კ ი თ ხ ვ ე ლ ი ს ს ა უ უ რ ა დ ლ ე ბ ო თ .

ეს ჩემი წიგნი—**ქართული მარალწერისა და სწორების ძირითადი საფუძვლები**—საგრძნობლათ შევსებული და შესწორებული შინაარსია ჩემივე ნაშრომის „სალიტერატურო ქართული“-სა, რომელიც 1901 წელს გამოიცა. „სალიტერატურო ქართულმა“ თავის დროზე თავისი დანიშნულება და როლი საკმაოთ შეასრულა და, მიუხედავად სასტიკი იერიშებისა, რომელსაც იმ დროის მოქართულენი ჩემ-მიერ წამოყენებულ დებულებათა წინააღმდეგ აწარმოებდნენ, იმ დებულებათაგან ბევრი რამ დღეს უკვე უდავოთ მიღებული და გავრცელებულია: დღეს უკვე საეჭვოთა და სადავოთ აღარავის მიაჩნია (ქართული ენის კანონების მკვლევართაგანს), რომ დაბოლოება დენ ზმნებში, წინააღმდეგ დნენ-ისა (მაგალ. მოვიდნენ, დასხდნენ), შეკვეცილი ბრუნება ზედსართავ-არსებითისა (მაგალ. კეთილი კაცის, კეთილ კაცს) და ბევრი სხვა—კანონიერი ფორმებიც არის და მასთან სრულიად შესაფერია გამარტივებულის თანამედროვე ცოცხალი ენისა.

მაგრამ ბევრი რამ რჩება კიდევ სადავო სალიტერატურო ენის ფორმა-გამო-
თქმებს შორის—და, „სალიტერატურო ქართული“-ს გამოსვლის შემდგომი წლების
ჩემი დაკვირვება და გამოცთილება მწადია მოინტერესე პირთ გავუზიარო.

ჩემს დებულებებსა და შეხედულებას მე, შეძლებისამებრ, ყოველთვის ვასაბუთებ,
ხოლო ჩემი მოწინააღმდეგენი ხშირათ უსაბუთოდ მეწინააღმდეგებიან—და კანდიდო-
ბა ზოგიერთის მათგანისა იქამდე მიდის, რომ ჩემი, თვალსაჩინოთ დასაბუთებული,
თეთრი—შავათ მიაჩნიათ, და თავისი აშკარა შავი—თეთრათ (იხ. „ღამატება I“).

თუ სიყალბე არა (ზოგიერთისა), დიდი გაუგებრობა მაინც ჩემი მოკამათებოსა
ის არის, რომა მკითხველებს არწმუნებენ, თითქო მე ყველაფერს იმისთანა მერყევე სა-
ფუძველზე ვამყარებდე, როგორც არის კეთილხმოვანობა. მართალია, ჩემ „სალი-
ტერატურო ქართული“-ში ეგ სიტყვა—„კეთილხმოვანება“—ხშირათა მაქვს ნახმარი,
და იმისთანა მკითხველს, რომელიც ყველაფერს მხოლოდ თვალით ზომავს, შესაძლოა
ეგ სიტყვა თვალში უსიამოვნოთ მოხვდა; ხოლო დაკვირვებული მკითხველი იმ ჩემს
წიგნში ამ კეთილხმოვანობის განმარტებასა და საფუძვლებს საკმაოთ იპოვნოდა (გვ.
102—113) და, მაშასადამე, სინიღისიერსა და დინჯ მოკამათეს არ შეეძლო ეთქვა,
თითქო მე, ქართული ენის სხვადასხვა ფორმის არჩევის დროს, მხოლოდ პირადი გე-
მოვნებით ხელემძღვანელობდე. მაგრამ იმის უარყოფაც შეუძლებელია, რომ ყოველის
კულტურული ერის სალიტერატურო ენაში კეთილხმოვანობას, როგორც მუსიკაში
ჰარმონიას, მცირე ადგილი არ უჭირავს, და თუ რომი განვითარებულ მსვენელს კი აქვს
ნება რომელიმე მუსიკალური თუ სასიმღერო ჰანგი ჰარმონიულათ ან დისჰარმონიულათ
აღიაროს, ენის მკვლევარსაც ვერავინ დაუშლის, მეცნიერულ დასაბუთებასთან ერთად,
კეთილხმოვანობაც იმოწმიოს.

მართი საგულისხმო საკითხი ისიც კი არის, თუ ვინ უნდა ვიმოწმიოთ: ვისი გე-
მოვნება და სტილი ენისა—მწერალთა შორის, ან ვისი მეცნიერული დასკვნები—მკვლე-
ვართა შორის? შეველესი ეპოქიდან, ქართული ენის საღაროში, „ვისრამიანი“ და
„მეფხის-ტყაოსანი“ დიდებული განძია; მაგრამ იქაც ხომ მრავალგვარობაა ენის ფორ-
მებისა—და დღევანდელ დღეს იმგვარი ენითა და სტილით ლაპარაკი და წერა განა
შესაძლებელია?! მე-18 საუკუნის მწერალ-მგოსნებზედაც ხომ ოგივე ითქმის!.. ან, ეგებ,
მე-19 საუკუნის მე-60 წლების ორ სახელოვან სტილისტზე იყოს შესაძლებელი დავე-
მყაროთ: ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელზე?—მაგრამ ამ ჩემს ნაშრომშიც მათი
ნაწერებიდან საკმაო მასალაა ნაჩვენები იმისა, რომ ქართული ენის სისწორეში მათზე
დამყარება ყოვლად შეუძლებელია. და მეცნიერულ ნაკვლევებში?—მათი ნიმუში თვალ-
წინ გვდევს: „სალიტერატურო ქართულისათვის“, ეს ნაშრომი იმ კოძისიისა, როდელ-
შიც მთავრობას თითქო თავი შოუყრია ყველასათვის, ვისაც იგი ქართული ენის შე-
გნებულ მკოდნებათ სახავდა... მაგრამ დაკვირვებული მკითხველი ჩემი რეცენზიითაც
(„ღამატება I“) საკმაოთ დაინახავს, რამდენათ სარწმუნო და საფუძვლიანი არიან ამ
ნაშრომში გამოსახული დებულებანი!..

მაშ ვიზედ ან რაზე დავემყაროთო, იკითხავს გაცეცხული მკითხველი. ჩემი პასუ-
ხია: არავიზე—და ყველაზე. არავიზე, რადგან თითოეული პიროვნება, მწერალ-მგო-
სანია იგი თუ მკვლევარი, შეუძლებელია შეუცთომელი იყოს, და ყველაზე, ვინაიდან
თითოეულ მათგანს ენის რომელმე დარგში შესაძლოა თვალსაჩინო წვლილი ჰქონ-
დეს შეტანილი. საქმე—და სერიოზული საქმე—ის არის, რომ ეგ თვალსაჩინო წვლი-
ლები სრული შეგნებითა და წმინდა სინიღისით შევაცასოთ და ავარჩიოთ, სხვადა-
სხვა წალკოტში გაფანტულ ია-ვარდებს თავი მოუყაროთ—და ამ სახით შევადგინოთ
და შევკონოთ ის მშვენიერი სურნელოვანი თაიგული, რომელსაც სალიტერატურო,
სამწერლო ენა ეწოდება.

დასასრულ, იმედს გამოვსთქვამ, რომ ჩემი ნაშრომი საკმაო სამსახურს გაუწევს იმას, ვინც ქართული სალიტერატურო ენის ფორმების შესამუშავებლათ მოწვეულს. მომავალ კონფერენციაზე იმ მიზნით კი არ მივა, რათა სხვადასხვა საკითხის გადასაწყვეტათ უბრალო თითის აწევით მისცეს ხმა, არამედ—შეგნებით, საგნის ყოველმხრივი შესწავლითა და გათვალწინებით.

ჩემი წიგნი საკმაო სამსახურს გაუწევს იმასაც, ვისაც სურვილი აქვს ქართული ენა იმდენათ შეისწავლოს, რომ—სადავო საკდოხებს თუნდაც თავი დავანებოთ—უდავო ფორმებსა და გამოთქმებში შეცტომები არ ჩაიდინოს.

ხილოვ. სუნდაძე.

ქუთაისი, 1927 წლის 24 მარტს.

უ მ ი მ ლ კ ლ ე ბ ა :

„ვისრ.“ — „ვისრამიანი“.

„სიბ.-სიც.“ — „სიბრძნე-სიცრუის წიგნი“.

„მეფხ.“ — „მეფხის-ტყაოსანი“.

„ძილ.“ — „ძილილა და დამანა“.

ლექსიკონში ზოგიერთ სიტყვას გვერდით ციფირები უზის; ეს ციფირები მპჩვენებელია იმ გვერდისა, სადაც განმარტებულია აღნიშნული ფორმები.—ზოგიერთი სიტყვისა ორგვარი ფორმაა შეტანილი: პირადათ მე უპირატესობას იმ ფორმას ვაძლევ, რომელიც ფრჩხილებს გარეთაა.

მ ტ რ ი მ ო ლ ო გ ი ა

ა რ ს ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი .

1. ღვთის, ღვთით, ღვთაება, ღვთიანი.

სიტყვა ღმერთი ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვაში განსხვავებულათ იბრუნვის: ღვთის(ა), ღვთით(ა). ამას ამტკიცებენ ძველი და ახალი საეკლესიო თხზულებანი და აგრეთვე ხალხის ზეპირსიტყვა. „ვისრ.“-სა და „მეფხ“-ში ხშირათაა ნახმარი ფორმები: ღვთისა, ღვთითა. აქიდან წარმოობს სიტყვები: ღვთაება, ღვთაებრივი, ღვთიური, ღვთიანი, საღვთო. — წარმართობის აღმნიშვნელი ღმერთი კი ასე იბრუნვის: ღმერთი, ღმერთის; ღმერთს, ღმერთმა, ღმერთით, ღმერთად, ღმერთები, ღმერთების და სხვ.

2. ხმოვანთა გამოკლება ბრუნვებში.

აღმოსავლეთის საქართველოს ზოგიერთი მწერალი (მაგალ. ნ. ბარათაშვილი, ილ. შავჭავჭავი და სხ.) სიტყვას ქართველი-ს ასე აბრუნებს: ნათეს. ქართველის, მოქმ. ქართველით და სხ.

მართლაც, არის კანონი, რომელიც გვაცნობებს, რომ მხოლოობითი რიცხვის სამ ბრუნვაში — ნათესაობითსა, მოქმედებითსა და ვნებითში — და პირველი დაბოლოების (ები) მრავლობითი რიცხვის ყველა ბრუნვაში იკარგება ძირის ხმოვანები ა და ე იმ არსებით სახელებში, რომელიც ორმარცვლოვანზე მეტია და რომელსაც აქვს ერთერთი ამ დაბოლოებათაგანი: ალი, ამი, ანი, არი, ელი, ემი, ენი, ერი; მაგალ.: მამალი — მამლის, მამლით, მამლათ, მამლები, მამლების და სხვ.; გიდელი — გიდლის, გიდლით, გიდლათ, გიდლები... მაგრამ არის იმისთანა სახელებიც, რომელიც ამ კანონს არ ემორჩილება: მათ შორის ურევია სიტყვა ქართველი-ც. ეს სიტყვა რომ მხოლოობით რიცხვში კარგავდეს ე-ს, მაშინ მრავლობითშიც უნდა ეკარგებოდეს ე და, მაშასადამე, უნდა გვეთქვა: ქართველები, ქართველებო და სხვ. (როგორც იმერელი — იმერლის, იმერლები, იმერლებო); მაგრამ მრავლობითში ყოველთვის იხმარება ქართველები, ქართველების, ქართველებო და სხვ., მაშასადამე ხმოვანი ე მხოლოობითშიც არ დაიკარგება — და უნდა ვაბრუნოთ: ქართველის, ქართველით, ქართველათ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი .

ა. ზოგიერთი ორმარცვლოვანი სახელიც კარგავს ხმოვანებს იმავე ბრუნვებში: თვალი (როცა უსუსლო საგნის თვალს ნიშნავს, მაგალ. ბეჭდის თვალი, ურმის თვალი), ძვალი, რძალი, კვალი (მიწის ზომა), ბალი, სხალი, წყალი, ხმალი, ხანი, ჯვარი, ცვარი, მტკვარი, ზვარი, ჩვარი, ძმარი, ქმარი, მგელი, ღვდელი, შველი, წელი (წელიწადი), ძღვენი, წვენი, მტერი, მტვერი.

ბ. სამმარცვლოვან სახელებს შორის არ კარგავს ხმოვანებს: ანბანი, ზარალი, მოთალი, მტარვალი, მწვერვალი, ტრფიალი, სალამი, წამწამი, თარგმანი, თაყვანი, იასამანი, ზიანი, მერანი, ნეკტარი, თაველი, კანკელი, მრეწველი, მართველი, სახელი, ქართველი, აქლემი; საზოგადოთ საკუთარი სახელები: ბურიელი, მარელი, თამარი, ბაქარი, მყინვარი და სხვ.; აგრეთვე კითხვაზე: სადაურნი? (ელი-ზე დაბოლოებული სახელები): ქართლელი, კახელი, სოფლელი, ქალაქელი და სხვ., გარდა

სიტყვისა იმერელი (იმერლის, იმერლები); ნარი-ზე დაბოლოებული კრებითი სახელები: მუხნარი, ფიქვნარი, ბაღნარი.

ბ. შემდეგი სახელები იმავე ბრუნვებში კარგავს ხმოვანებს: ობოლი, ფოთოლი, დილომი, საპონი, გოდორი, კოტორი, პოჯორი, ბეგარა, პუქელა, ფანჯარა, ქვეყანა, სომეხი, ყახაბი, კაკაბი, ნიჩაბი, ხვადაგი, ბეჭელი, ნაბადი, კარავი, მოყვარე.

დ. შემდეგი სახელები მ-ს მ-ათა სცვლის: მიდორი, მაწონი, დიაკონი, მონაწონი, ნიგოზი (მიდვრის, მიდვრით, მიდვრათ, მიდვრები, მონაზენის, მონაზენები, ნიგეზის, ნიგეზები).

ე. ზოგიერთ სახელში იმავე ბრუნვებში მთელი მარცვალი იკარგება: ამბავი, ხუცევი (ამბის, ამბით, ამბათ, ამბები, ხუცის, ხუცით, ხუცები).

ვ. სიტყვა დედოფალა ასე იბრუნვის: დედოფალასი, დედოფალათი, დედოფალათ, დედოფალები და სხვ. (დედოფალი კი — დედოფლის, დედოფლით, დედოფლები).

ზ. სიტყვები წამწამი და ვეშაპი უმჯობესია სრული ფორმით ვაბრუნოთ: წამწამის, წამწამით, წამწამები, ვეშაპის, ვეშაპები და სხვ. (და არა წამწამის, ვეშაპის და სხვ.).

აგრეთვე სრული ფორმით უმჯობესია: მშვენიერის, მშვენიერათ, მაგიერათ, ნებიერათ, მშიერის, მშიერები, ნიორის, ნიორით (ნიორიანი), იორის, ხეობა, რიონის ხეობა (და არა მშვენიერის, მშვენიერათ, მაგიერათ, მშიერის, ღონივრათ, გონივრათ, ნებივრათ, ნივრის, ნივრით, ნივრიანი, რივნის, ივრის და სხვ.): — ნებიერი-დან ნაწარმოები ზმნა კი მ-ინით იხმარება: ნებივრობა, ვანებივრებთ, გავანებივრეთ და სხვ.

„ვისრ“-ში ნახმარია ნათესაობითი ნიორისა (გვ. 363), „ძილ“-ში შაგიერად (გვ. 99)—და იმერეთშიც ყოველგან ზემოხსენებულ სიტყვებს ხმოვანებით ხმარობენ: ნიორის, გონიერის და სხ.

წ. ნათეს. ბრუნვის დაბოლოება სი.

მხოლოდობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვას ორნაირი დაბოლოება აქვს: ის და სი. ბევრს ჩვენს მწერალს დღემდე ვერ განუსაზღვრავს, თუ როდის იხმაროს დაბოლოება სი: ბაბუის, ბებიის, შავკავაძესი-ო და სხ.—უკანონოთ ხმარობენ ზოგიერთები. მხოლ. რიცხვის ნათესაობითში სი-ზე შემდეგი სახელები ბოლოვდება: 1) სახელობითში მ-სა და შ-ზე დაბოლოებული სახელები (რკო, ბუ—რკოსი, ბუსი), გარდა სიტყვებისა ღვინო და დრო (ღვინის, ღვინით, დროის, დროით); 2) ა-სა და ბ-ზე დაბოლოებული ადამიანთა სახელები (მამია, მლენე — მამიასი, მლენესი); 3) ა-ზე დაბოლოებული გვარები (ბუგუნავა, მლიავა — ბუგუნავასი, მლიავასი); 4) ა-ზე დაბოლოებული იმისთანა რთული სახელები, როცა დაბოლოების ა-ნის ალაგას მარტივ სიტყვაში ი ზის შავთვალ-წარბა, ძირტკბილა (წარბი, ტკბილი) — შავთვალ-წარბასი, ძირტკბილასი; 5) ა-ზე დაბოლოებული კნინობითი სახელები (ჩიტუნია, გოგონა — ჩიტუნიასი, გოგონასი); 6) დაცინვითი სახელები ა-ზე (ტირიკ, წუნია, ცხვირა, ხუმარა, კბენია, მაწანწალა და სხვ.); 7) ნათესავთა რთული სახელები ა-ზე: ბაბუა, ბებია, ბიძა, ძია (ბიძა-კი — ბიძის), დეიდა, მამიდა, ბაბუდა, ბებიდა, აგრეთვე გაღია; 8) შემდეგი სახელები: ძერა, ტროლა, ჩიორა, კოდალა, სკვინჩა, ბელურა, თელა, წვერა, კერია (კერა), წითელა...

ზემოთხსენილი კანონისამებრ, არ შეიძლება ითქვას ძრისტის (სიტყვის ძრისტე-სგან), როგორც ხმარობენ ხშირათ აღმოსავლეთ საქართველოში, არამედ ძრისტესი (შემოკლ. ძრისტეს), საიდანაც კანონიერათ წარმოიხსნა სიტყვა ქრისტეშობისთვე (ძრისტესშობისთვე), და არა ქრისტისშობისთვე ან ქრისტეშობისთვე.

ჩემი აზრით, უკანონოა ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში ნაცვალსახელების ამგვარი ბრუნვება: იმისი, იმიფი, ამისი, ამითი; ხალხში და ახალ მწერლო-

ბაში ხშირათ იხმარება ეს ფორმები, მაგრამ საზოგადო კანონით სრული ფორმა იქნება ამისა, იმისა, ამითა, იმითა (ან მოკლეთ: ამის, ამით და სხ.), და ძველათაც ასე უხმარიათ.

ნათესაობითში სი-ზე დაბოლოებულ საბელებს მოქმედებითში დაბოლოება თი აქვს: გოგონათი, კერიათი.

4. ვნებით ბრუნვაში დაბოლოება თ.

ვნებითი ბრუნვისა და მისგან ნაწარმოები ზმნისართების დაბოლოებათ ზოგიერთი მწერალი ღ-ს ხმარობს, ზოგი კი თ-ს.

ვნებით ბრუნვაში თ-ის ხმარების წინააღმდეგი პირები თავისი აზრის საბუთად ამას ამბობენ: ვნებითში დაბოლოებათ რომ თ ვიხმაროთ, მაშინ ზოგიერთ შემთხვევაში აზრი აირევა, რადგან მხოლოობითის ვნებითი მრავლობითის მიცემითსა და სხვა ბრუნვებს დაემზგავსებაო. მაგრამ ეს საბუთი საფუძვლიანი არ არის: ყოველ ენას აქვს რამდენიმე ბრუნვა ერთნაირი, მაგრამ აზრი არ არევიან; ქართულშიც მრავლობითში ნი-ზე დაბოლოებულ სიტყვებს სამი ბრუნვა (ნათესაობითი, მიცემითი და მოთხრობითი) ერთნაირი დაბოლოების აქვს, მაგრამ აზრები არაგვრევიან, რადგან წინადადებაში ბრუნვები ადვილი გასარჩევია.

ჩემი რწმენით, ყოველი გარემოება იმას ამტკიცებს, რომ ზმნისართებსა და ვნებით ბრუნვაში დაბოლოების ღ-ის ადვილი თ-მა უნდა დაიჭიროს, და ეს ასეც უნდა მომხმარაიყო, რადგან ქართული ენა, როგორც ყოველი სხვა ენა, გამოთქმით თანდათან მარტივდება, და თ დაბოლოებაში უფრო ადვილი გამოსათქმელია, ვიდრე ღ.

შემდეგი სიტყვები ამ კანონიდან უნდა გამოირიცხოს და ღ-ით უნდა ვიხმაროთ: მარად, კვალად, ფრიად, მხოლოდ, სრულიად, ყოვლად.—დაწერილებით, საბუთები მე-11 „დამატება“-ში ნახეთ.

5. წოდებით ბრუნვაში მ, თუ ვ?

წოდებითი ბრუნვა უმეტეს ნაწილათ მ-ზე ბოლოვდება: ძმაო! მზეო! ხბოო! ბუო!

ზოგიერთ სახელს წოდებითი ისე აქვს, როგორც სახელობითი:

ა. ნათესავთა და მოყვარეთა სახელებს ა-ზე: დედა, მამა, ძამა, დაია (ძმა და კი—ძმაო, დაო), ძია, ბიძია, ბებია, ბაბუა, მამიდა, დეიდა, ბებიდა, ბაბუდა, ბიცოლა, გადია; ნათლია და სხვ.;

ბ. მ-ზე დაბოლოებულ სახელებს, ერთმარცვლოვანს გარდა,—მაგალითად: ჩემო! სატრფო! ჩემო სამშობლო! გოგო! წერო! პალო!—მრთმარცვლოვანს კი მ ემატება: რკო! ხბოო!

გ. საკუთარ სახელებს საზოგადოთ ყველა ხმოვანზე, გარდა ი-სა: ბურია! წყალ-წითელა! ჭვირიკე (სოფელია)! საგურამო! დვაბზუ (სოფელია)! ანდრია! ელენე! სანდრო! ხუტუ! ბუგუნვა! შავჭავჭავ!

დ. მოხელეთა სახელებს ა-ზე: მეველე! მეწუდე! მებაღე! (შესაძლოა ესენი ვ-ზედაც დაბოლოვდნ: მებაღე! მენიჩხვე!).

ე. კნინობით სახელებს ა-ზე: ჩიტუნია! გოგონა! ტირია! წუნია! ვირიკა!

ვ. რთულ სახელებს ა-ზე (როცა ეს ა გადაკეთებულია ი-ნისაგან): შავთვალ-წარბა! ყელწითელა (წარბ-ი, წითელ-ი);

ჟ. ზოგიერთ საზოგადო სახელს ა-ზე: მელია! კერია! ძერა! წვერა! ტოროლა! ჩიორა! სკვინჩა! ბელურა! თელა! და სხვ.

შ. ი-ზე დაბოლოებულის ადამიანთა სახელების შესახებ შემდეგი კანონი არსებობს: თუ დაბოლოების ი უცვალეზელია, წოდებითი ისე აქვს, როგორც სახელობითი: ბიორგი! აკაკი! ღიმიტრი!—და თუ ეს ი საცვალეზელია, მაშინ წოდებითში იხმარება ი-ნის გამოკლებით: ღავით! ანტონ! ვახტანგ!

თ. წოდებით ბრუნვაში დაბოლოების ო-ნის მაგიერ ვ-ნი უმეტესათ იმ შემთხვევაში იხმარება, როცა განყენებითი საგნის არსებით სახელს ვაბრუნებთ და როცა იგი სახელობით ბრუნვაში ა-სა და მ-ზე ბოლოვდება, მაგალ.: ჩემო ბედნიერებავ! ჩემო სიკეთევ! პოეზიავ! სიბნელევ! ..

6. მოწმები — მოწმები.

მრავლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვას ზოგჯერ უკანონოთ აბოლოებენ,—სწერენ: მოწმები, მოძმები, მოყმები, მდინარები, ციხები და სხ. მართალია, ხალხში ხშირათ ისმის სიტყვები ამგვარი დაბოლოებით, მაგრამ კანონიერი დაბოლოებითაც ამბობენ, და მწერალნი კი ამ ფორმას იშვიათად ხმარობენ. საზოგადო კანონით მ-ზე დაბოლოებული სახელები მრავლობითში მ-ს არ კარგავს, და, მაშასადამე, პირველ დაბოლოებაში ორი მ მოიყრის თავს: კლდე—კლდეები, ხე—ხეები და სხვ. ზემოხსენებული სახელებიც კანონისამებრ ამგვარათვე უნდა ვაბრუნოთ: მოწმეები (სიტყვის მოწმე-საგან მხოლ. რიცხ. ვნებით ბრუნვაში ზოგან ხალხი და ზოგიერთი მწერალიც ხმარობს მოწმათ, კანონით კი უნდა ვიხმაროთ მოწმეთ, როგორც კლდე—კლდეთ, ხე—ხეთ), მოძმეები, მოყმეები, მდინარეები, ციხეები და სხ.

7. ღირსებაები — ღირსებები.

მბა-სა და ობა ზე დაბოლოებულ სახელებს მრავლობით რიცხვში ზოგიერთი ჩვენი მწერალი უკანონოთ აბრუნებს: გრძნებაები, ღირსებაები, გართობაები-ო და სხ. ღიდი შეცთომავ: ა-ზე დაბოლოებული სახელები მრავლობითში, როცა პირველი დაბოლოებით იბრუნვის, ა-ს კარგავს (მთა—მთები, ჭიქა—ჭიქები, მთებს, ჭიქებს და სხ.). მაშასადამე, უნდა ითქვას: გრძნებები, გართობები, ღირსებები,—თუმცა მბა-სა და ობა-ზე დაბოლოებული სახელები მრავლობითში უმჯობესია მეორე დაბოლოებით ვაბრუნოთ: გრძნებანი, გართობანი, გრძნებათა, გართობათა და სხ. აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ენის უტოლინარი ზოგიერთი მწერალი ხმარობს: ჩიორაები, ბელურაები-ო და სხ.: რა თქმა უნდა, ა-ს აქ ადგილი არ აქვს.

კეთილხმოვანობა მოითხოვს, რომ მრავლობითში მეორე დაბოლოებით ვაბრუნოთ ის სახელები, რომელსაც მხოლოობითის სახელობითში დაბოლოებათ ლეზელი აქვს: მასწავლებელი — მასწავლებლნი, მასწავლებელთა, მწვალებელი — მწვალებლნი, მწვალებელთა და სხ.; ამგვარათვე სჯობია ვაბრუნოთ ნაცვალსახელი რომელი: რომელნი, რომელთა და სხ.

8. ყმანებო, ძმებთა და სხ.

ძველსა და ახალ მწერლობაში ხშირათ შეგხვდებათ მრავლობითში ორივე დაბოლოებით (ები და ნი) ნაბრუნები სახელები: ყმანებო, ძმებთა, კაცებთა და სხ. მრავლობითში მიუცილებლათ უნდა დარჩეს ორივე დაბოლოება (ები და ნი), მაგრამ იმ პირობით, რომ ისინი ერთმანეთში არ აფურაოთ: ან უნდა ვიხმაროთ: ძმები, ძმებს; ძმებმა, ყმებო და სხ, ან ძმანი, ძმათა, ყმანო და სხ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღმოსავლეთის საქართველოს მწერლებისაგან უკანონოთ იხმარება მრავლობითში ორკეცი დაბოლოებით სიტყვა კარი: კარებები-ო, ხმარობენ ისინი (კარები-ს მაგიერ), დაბნები (დაბები-ს მაგიერ). უკანონოა აგრეთვე ხბორები, სახლები — ხბოები-სა და სახელოები-ს მაგიერ.

9. ღვეთ, თამარ — ღვეთი, თამარი.

აღამიანის ზოგიერთ საკუთარ სახელს ძველი და ახალი მწერალნი სახელობით ბრუნვაში თანხმობენ აბოლოებენ, მაგალითად: **თარიელ**, **პეტანდილ**, **ფრიდონ**, **თამარ** და სხ. შოთა რუსთველი ზოგჯერ ხმოვანზე აბოლოებს, ზოგჯერ კი — თანხმობენ, — მაგალითად, ის ხშირათ ხმარობს: **ასმათი**, **თარიელი**, **პეტანდილი**. ახალ მწერლობაში უფრო ხშირათ ხმოვანზე აბოლოებენ. საზოგადოთ, ჩემი აზრით, შემდეგი კანონით უნდა ვიხელმძღვანელოთ: თუ მარტო სახელი იხმარება ცალკე, მაშინ ხმოვანზე დავებოლოთ, და თუ სხვა სახელთან არის ნახმარი, მაშინ თანხმობენით ვიხმაროთ, — მაგ. **თამარი მე-12 საუკუნეში** მეფობდა, — **თარიელი**, **პეტანდილი** და **ფრიდონი** „ვეფხისტყაოსნის“ გმირები არიან, — **ანტონი** კარგათ სწავლობს და სხ.; ან: **თამარ მეფე მე-12 საუკუნეში** ცხოვრობდა, **ანტონ** **ღუმბაძე** კარგი მგალობელი იყო.

ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ი ს ა ნ ე ლ მ ბ ი.

1. შედარებითი ხარისხი (უტკბესი, უგძესი და სხ.).

ბევრი ახალ მწერლობაში შედარებით ხარისხში ხმარობს ფორმებს: **უტკბილესი**, **უგძელესი** — და სხ. შემდეგი ზედსართავები: **ტკბილი**, **სხვილი**, **თფილი**, **გძელი**, **ბრტყელი**, **თხელი** შედარებ. ხარისხში მარცვლებს **მლ-სა** და **ილ-ს** კარგავს: **უტკბესი**, **უსხვესი**, **უგძესი** და სხ.

2. ძუთათური, ოზურგელი და სხვ

ძუთაისელი, **ოზურგეთელი**, **ქობულეთელი**, **სვანეთელი**, **კანეთელი** და სხ უკანონო ფორმებია. როგორც აღამიანზე, ისე უსულო საგნებზედაც ითქმის **ქუთათური**: **ქუთათური** ვაჭარი, **ქუთათური** ღვინო. ძართლ-ქახეთში ხშირათ ძუთაისის მცხოვრებს **ქუთათელს** და ბურიისას — **გურიელს** უწოდებენ; მართალია, კანონიერი ფორმებია, მაგრამ, რადგან **ქუთათელი** ძუთაისის მიტროპოლიტს ეწოდებოდა და **გურიელი** — ბურიის მფლობელს, ამიტომ ამ მხარეების მცხოვრებთა აღსანიშნავათ იგივე ზედსართავები იხმარება, რაც უსულო საგნებისათვის, ე. ი. **ქუთათური** და **გურული**. — როცა გეოგრაფიული სახელწოდება **მთი-**ზე ბოლოვდება, ზედსართავის ფორმაში **მთ-**ს კარგავს ხოლმე (ქახეთი — **კახელი**, იმერეთი — **იმერელი**, იმერი და სხ.), — მაშასადამე უნდა ვიხმაროთ **ოზურგელი**, **ქობულელი**, **სვანელი**, **კანელი** (ან, როცა ცალკე იხმარება, როგორც არსებითი სახელი — **სვანი**, **კანი**).

3. სწორი, მრული, ფუჭი, უქმი.

შემდეგს ზედსართავ სახელებს ზოგი **მ-**ზე აბოლოებს და ზოგი **ი-**ზე: **სწორე**, **მრულე**, **ფუჭე**, **უქმე** — **სწორი**, **მრული**, **ფუჭი**, **უქმი**. „ვეფხ“ — ში სიტყვა **მრული** **ი-**ნით არის ნახმარი, აგრეთვე ფორმა **სწორი**: „ლეკვი ლომისა **სწორი-ა**“; იქვე ნახმარია **სწორად** (მაშასადამე სახელობითი იქნება **სწორი**). — „ვისრ.“ — შიც ნახმარია ფორმები **მრული** და **სწორი** (გვ. 23, 91, 358 და სხვ). — უმჯობესია ეს სახელები საერთოდ **ი-**ნით ვიხმაროთ, და, მაშასადამე, ვნებითი ბრუნვა მათგან იქნება: **სწორათ**, **მრულათ**, **ფუჭათ**, **უქმათ**.

სწორე ზნეობრივი მნიშვნელობით იხმარება, ან სინამდვილის აღსანიშნავათ: **სწორეთ** მოგახსენებ, — **სწორეთ** კვირას ვიახლებით. — **უქმე** უმუშავერ დღეს, დღესა-სწაულს აღნიშნავს.

ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი .

1. ნაცვალსახელთა შორის დღეს ჭანსაკუთრებით არეულათ ბრუნვებში განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა ფორმებს ხმარობენ: ვინმეის, ვინმეს, რამის, რასმეს, ვისმეს-ო და სხ.

ძველ მწერლობაში ეს ნაცვალსახელები ისე იბრუნვის, რომ ყოველთვის პირველი ნაწილი (საკუთრივ ნაცვალსახელი) იცვლება და ნაწილაკები მშ და ლაც ბოლოში უცვლელათ ემატება: ვისიმე, ვისილაც, ვისმე და სხ.—შე მგონია ახალ ფორმებს ძველი სჯობია: ვინმე—ვისიმე, ვისმე, ვინმე, ვისიმე, რათმე; რამე—რისმე, რასმე, რამემ (ამ ბრუნვაში უპირატესობა ახალ ფორმას ეძლევა, რადგან ძველი ფორმა—რამმე, რამანმე—ძნელი გამოსათქმელია), რითმე, რათმე; რომელიმე—რომლისამე, რომელსამე, რომელმამე, რომლითმე, რომლათმე.

2. რაც შეეხება ნაცვალსახელებს ვილაც, რალაც და რომელილაც-ს, ისინი შერეულათ იბრუნვიან—ზოგ ბრუნვაში ძველი ფორმით, ზოგში ახლით: ვისილაც, ვილაცას, ვილაცამ, ვისითლაც, რალაცათ; რისლაც, რალაცას, რალაცამ, რითლაც, რალაცათ; რომლისლაც, რომელლაცას, რომელლაცამ, რომლითლაც, რომლათლაც.

3. მრავლობით რიცხვში განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებისგან იხმარება: ვინმეები, რამეები, რომელიმეები, ვილაცები, რალაცები, ვინმეების, რამეების, ვინმეებს, რამეებს, ვინმეებმა, რამეებმა, ვილაცების, რალაცების, ვილაცებს, ვილაცებმა და სხ.

4. ახალ მწერლობაში ხშირათ მრავლობითი რიცხვის ქვემდებარესთან ნაცვალსახელი თავიანთი იხმარება: ისინი თავიანთ საქმეს აკეთებენო და სხვ. ამის მაგიერ უმჯობესია მხოლოდ, რიცხვის ფორმა თავისი ვინხაროთ: ისინი თავის საქმეს აკეთებენ, თავის შვილებს ზდიან და სხ. ზოგიერთი მწერალი ამ ნაცვალსახელს სრული დაბოლოებით აბრუნებს (თავისს საქმესო და სხ), ვითომ არავინ იფიქროს, რომ აქ თავზეა საუბარიო. უსაფუძვლო შიშია, რადგან წინადადებაში ყოველთვის ადვილი გასაგებია, რაზედაც არის ლაპარაკი. შოთა სწერს: „თავსა გვირგვინი დაადგა თავის ხელითა“—ო—და, რა თქმა უნდა, ყველასთვის ცხადია, რის თქმაცა სწადია პოეტს.

რ ი ც ხ ვ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი .

1. არეულათ ხმარობენ რიცხვით სახელებს ორივე, სამივე და სხ.,—ზოგი ხმარობს ორივენი, სამივენი, ზოგი—ორნივე, სამნივე, ხუთნივე, ბევრი კი—ორივე, სამივე, ხუთივე. საზოგადოთ ძველათ ასე იყო მიღებული, რომ ნაწილაც ვშ-ზე დაბოლოებული რიცხვითი სახელები და ნაცვალსახელები ისე იბრუნვოდა, როგორც ვინმე, რამე და სხ., ე. ი. იბრუნვოდა საკუთრივ რიცხვითი სახელი, და ვშ კი ბოლოში უცვლელათ ემატებოდა: ორნივე, ორთავე, სამნივე, სამთავე.—როგორც ისვე, მისვე, მასვე, მითვე და სხ. ჩემი აზრით კი არც ორნივე (სამნივე, ოთხნივე და სხ.) არის კანონიერი ფორმა და არც ორივენი, რადგან რიცხვითი სახელის მრავლობით რიცხვს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს (თუ კი საგნების რიცხვი, მაგალითად, ორია, მრავლობ. რიცხვის დაბოლოებით მათი რაოდენობა ზომ არ შეიცვლება?! ორნი, სამნი და სხ. მაშინ ითქმის, როცა უნდათ რამდენიმე წყვილი, რამდენიმე სამი და სხ. აღნიშნონ). ამ სახით, უნდა დარჩეს ფორმა ორივე, სამივე, ოთხივე, ხუთივე და სხ., როგორც აზრითაც კანონიერი და გამოსათქმელათაც მარტივი ფორმები, რომელსაც ამასთანავე დღეს ხალხსაც და მწერალთაც უშეტესი ნაწილი ხმარობს.

2. რაც შეეხება ამ სახელთა ბრუნვას, დღეს იმათ უმეტესათ ასე აბრუნებენ: ორივე, ორივენი, ორივემ, ორივეთი, სამივე, სამივესი, სამივემ და სხ; მიცემით ბრუნვაში კი ძველი ფორმები სჯობია: ორსავე, სამსავე (და არა ორთავე, სამთავე).

3. რიგითს რიცხვით სახელს ხშირათ უკანონოთ აწარმოებენ: მეოცდაათე, მეორ-
მოცდაათე-ო და სხ. რთულს რიცხვით სახელებში რიგითი ფორმისთვის ნაწილაკი მშ
ბოლონდელ ნაწილს ემატება: ოცდამეათე, ორმოცდამეათე, ორმოცდამეხუთე, ას-
ორმოცდამეთუთხმეტე და სხ.

როგორ უნდა ვაბრუნოთ ზედსართავი სახელი არსებითთან?

1. როცა ზედსართავი სახელი ა, ე, ი და უ-ზეა დაბოლოებული, არსებით სა-
ხელთან ბრუნებაში უცვლელათ რჩება: ღრმა წყალი, ღრმა წყლები, ყრუ კაცი, ყრუ
კაცმა, ყრუ კაცებს და სხ. და სხ.

სადეო საგანს მხოლოდ ი-ზე დაბოლოებული ზედსართავი სახელი წარმოადგენს.
ზოგი ხმარობს: კეთილის კაცის, კეთილს კაცს და სხ, ზოგი—კეთილი კაცის, კე-
თილ კაცს, კეთილი კაცით, ზოგი კი—კეთილ კაცის, კეთილ კაცით...

ძველ ენაში ხმარებული სრული ფორმები: კეთილის კაცის, კეთილს კაცს და
სხვ. დღეს ხალხში აღარ იხმარება;—შევეცილი ფორმები: კეთილ კაცის, კეთილ კა-
ცით (ე. ი. ორ ბრუნებაში—ნათესაობითსა და მოქმედებითში) ხალხში აგრეთვე არ
იხმარება. ხალხიცა და მწერალთა უმეტესობაც დღეს ქვემოთ აღნიშნულ ფორმებს
ხმარობს—და საყოველთაოთ ასე უნდა ვიხმაროთ:

ნათ. კეთილი კაცის.	მქმ. კეთილი კაცით.
მიც. კეთილ კაცს.	მნ. კეთილ კაცათ.
მთხრ. კეთილმა კაცმა.	წოდ. კეთილო კაცო!

2. ზედსართავი სახელი პირველი დაბოლოებით მრავლობითშიც ისე იბრუნვის,
როგორც მხოლოდობითში: კეთილი კაცების, კეთილ კაცებს და სხ.; მეორე დაბოლოე-
ბაში კი ბოლომოვეცილათ იბრუნვის, ე. ი. ყოველგან უდაბოლოებოთ, სახელობითს
გარდა: კეთილი კაცნი, კეთილ კაცთა და სხ.

ბრუნებებში არ შეიძლება მოისპოს მხოლოდ ა-ნის მრმატება ბოლოში,—თანა-
სწორათ იხმარება კაცის და კაცისა, კაცს და კაცსა.

3. სრული დაბოლოება ბრუნებებში განსაკუთრებით შემდეგ შემთხვევებში იხმარება:

ა) როცა სიტყვებს შორის კავშირი „და“ ზის: ვაჟისა და ქალის საქმე, კარგისა
და ავისათვის, ცხასა და მიწას, დიდსა და პატარას, მთასა და ბარში. ხესა და მიწაზე,
სიტყვითა და საქმით, გონიერისა და ნიჭიერი კაცის, გონიერსა და ნიჭიერ კაცს და სხ;

ბ) შედარებით ნაწილაკ ვით-თან: ძმასავით, მზესავით, ბავშვსავით;

გ) მოთხრობით ბრუნებაში სრული დაბოლოება მხოლოდ ი-ზე დაბოლოებულ სა-
ხელებში უნდა ვიხმაროთ: კაცი—კაცმა, ღმერთი—ღმერთმა; დანარჩენ სიტყვებში
კი—შემოკლებული დაბოლოება მ: ძმა—ძმამ, მზე—მზემ, ხბო—ხბომ, ბუ—ბუმ;

დ) თანასწორათ შეიძლება ვიხმაროთ სრული და მოკლე დაბოლოებანი თანდუ-
ბულებს გან, კენ, თვის-ს შემდეგ: ღვთისგან—ღვთისაგან, სახლისკენ—სახლისაკენ,
კაცისთვის—კაცისათვის. ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, პროზაში მოკლე დაბოლოე-
ბას უნდა მიეცეს უპირატესობა, და ლექსებში კი, მარცვალთა საქიროების მიხედვით,
ორივე დაბოლოება შეიძლება ვიხმაროთ;

ე) თანდებული დში სრულ დაბოლოებას თხოულობს: ღვთისადმი, კაცისადმი;

ვ) კუთნილებითი ნაცვალსახელები შენი, ჩვენი, თქვენი მხოლოდობითი რიცხვის
მიცემითში არსებითსახელთან სრული დაბოლოებით სჯობია იბრუნოს (ორაზროვნობის
ასაშორებლათ): შენს ძმას, ჩვენს დროს, თქვენს ქვეყანაში;

ზ) სრული დაბოლოება ბრუნებებში იხმარება ყოველთვის, როცა მსაზღვრელი
სიტყვა სასაზღვრ სიტყვას შემდეგ არის მოქცეული: ღმერთი ღმერთისა, საქმე კაცისა

და სხვ. აქვე უნდა ვსთქვათ, რომ სიტყვების ამისთანა წყობა უმეტესათ ლექსებშია შესაწყენარებელი, პროზაში კი მსაზღვრელი სიტყვა სასაზღვრბს წინ სჯობია დაისყვას: ლომის ლეკვი, კაცის საკმე;

3) როცა ერთსა და იმავე ბრუნვაში რამდენიმე ზედსართავი სახელია ერთად თავმოყრილი, უკანასკნელი ზედსართავი მოკლე ფორმით იხმარება, და თანამომდევარი ზედსართავები კი—ყველა სრული ფორმით: ამ გონიერის ნიჭიერის მდიდარი კაცის, ამ გონიერს ნიჭიერს მდიდარ კაცს და სხ

4. როცა საკუთარ სახელს მიმატება (приложение) წინ ახლავს, ზოგიერთი მწერალი მიმატებას არ აბრუნებს: მეფე ღიმიტრის, მეფე ღიმიტრიმ-ო და სხვ. ჩემი აზრით კი უმჯობესია ისე ვაბრუნოთ, როგორც ძველ მწერლობაში ყოველთვის ხმარობდნენ და ახალშიც ხშირათ იხმარება: მეფის ღიმიტრის, მეფეს ღიმიტრის, მეფემ ღიმიტრიმ და სხვ. როცა ამ შემთხვევაში სახელი წინ არის დასმული და მიმატება უკან, მაშინ სახელი არ იბრუნვის: ღიმიტრი მეფის, ღიმიტრი მეფეს, ღიმიტრი მეფემ და სხვ.—აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოთქმაში, მაგალითად, ანტონ ივანეს ძე ძებაძე, ზოგიერთი მწერალი სიტყვას ძმ-ს არ აბრუნებს: ანტონ ივანეს ძე ძებაძის, ანტონ ივანეს ძე ძებაძეს, ანტონ ივანეს ძე ძებაძემო; მაგრამ უფრო ხშირათ აბრუნებენ ხოლმე, და მეც უმჯობესათ მიმაჩნია—ასე ვაბრუნოთ: ანტონ ივანეს ძის ძებაძის, ანტონ ივანეს ძეს ძებაძეს და სხვ.

5. ერთი და იგივე. როცა მხოლოდ ეს ორი სიტყვაა ერთად, მაშინ ორივე სრული დაბოლოებით იბრუნვის: ერთისა და იმისვე, ერთსა და იმასვე, ერთმა და იმანვე, ერთითა და იმითვე, ერთადა და იმაღვე (იმათვე);—ხოლო, თუ რაიმე სასაზღვრი სახელიც თან ახლავს (მაგალ. ერთი და იგივე კაცი), მაშინ მხოლოდ სიტყვა ერთი იბრუნვის სრული ფორმებით, სიტყვის იგივე-სგან კი ყველა ბრუნვაში ფორმა იმავე იხმარება: ერთისა და იმავე კაცის, ერთსა და იმავე კაცს, ერთმა და იმავე კაცმა და სხვ. (და არა: ერთისა და იგივე კაცის, ერთსა და იგივე კაცს...).

თ ა ნ დ ე ბ უ ლ ე ბ ი.

1. ახალმა ენამ, როგორც სხვა სიტყვები და ფორმები, ისე თანდებულებიც შეამოკლა; მაგრამ ზოგიერთები მაინც ძველ გზას ადგანან და სრულბთ ხმარობენ: ზედა, შიგან, შიგ (ზოგი ხმარობს შიდ), შინა და სხვ. ხალხშიც და მწერლობაშიც უმეტესათ იხმარება ზე, ში—და ასე სჯობია: მთაზე, სახლში.

2. თანდებული ბან, როცა მოქმედებით ბრუნვას თხოულობს, ჩვენს მწერლობაში ოთხნაირი ფორმით იხმარება,—მაგალითად: სოფლითგან, სოფლიდგან, სოფლიდამ, სოფლიდან. ამ ფორმებში პირველი (სოფლითგან) უძველესი ფორმაა, მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოებით; მეორე ფორმა (სოფლიდგან) აქედანვე წარმომდგარა ფონეტიკური კანონის ძალით: მაგარი ხმა ბ და რბილი თ ერთად ვერ მოთავსდება და ამიტომ რბილი თი მაგარ ღ-თ გადატყუულა; შემდეგ ბ სულ გამოვარდნილა და დარჩენილა უკანასკნელი ფორმა სოფლიდან, და, ჩემი აზრით, საერთოდ ეს ფორმა უნდა ვიხმაროთ, როგორც ყველაზედ უფრო მარტივი და გავრცელებული.

3. თანდებულის თვის-ის ნაცვლათ ზოგი თვინ-ს ხმარობს. ეს თანდებული ნაცვალსახელის თვისი-სგან არის წარმომდგარი,—მაშასადამე ხ-ნს აქ მეტი საფუძველი აქვს, ვიდრე ნ-ს.

აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ზოგჯერ რასთვის-ო, ხმარობენ,—უკანონოა, რადგან თანდებული თვის ყოველთვის ნათესაობით ბრუნვას თხოულობს, და, მაშასადამე, აქაც რისთვის უნდა ვიხმაროთ.

4. მდე, მდის, თუ მდი? (სოფლამდე, სოფლამდის, სოფლამდი).— ჩემი აზრით, მდი-ს მეტი საფუძველი აქვს (საბუთები მე-11 „ღამატება“ ში ნახეთ).

5. ზმნისართი-თანდებულები ქვეშ, შემდეგ, შორის, შუა, უკან, გაღმა, გამოღმა, გადაღმა, იქით, აქით, გარდა და სხ. მიცემით ბრუნვას თხოულობს: ამას შემდეგ, წყალს გაღმა და სხ. მართალია, ბევრი მწერალი დღეს ამ ზმნისართებს შემდეგ ნათესაობით ბრუნვას სვამს ხოლმე, მაგრამ ბევრს მიცემითს ხარობს— და ძველ მწერლობაშიც მიცემითი იხმარებოდა.

გარდა და შემდეგ, როცა უკან ზის, მიცემითს თხოულობს, და თუ წინ ზის— ნათესაობითს: ამას გარდა, ამას შემდეგ, ან გარდა ამისა, შემდეგ ამისა. ამავე კანონით იხმარებოდა ძველათ აგრეთვე ქვეშე, მაგ. ქვეშე ქვეყანისა (ახლა ვიტყვით ქვეყანას ქვეშე).— (უფრო ვრცლათ— მე-11 „ღამატება“— ში).

6. თანდებული ში ხშირათ სრული ფორმით შიბ-თი (შიგან— შინა— შია) იხმარება, მაგალ. ძართლშია, ძილშია და სხ.: „ძართლის ძილშია კენესა ისმოდა“ (ილ. ჭ— ძის „ქლეგია“), „ტფილისშია მინახეხარ შენ“ („მეუა“— მისივე). ა-ნი ბოლოში ამ შემთხვევაში მეტათ უკეთილხმოვანოთ მრისმის; გარდა ამისა ა-ნს ბოლოში განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს (შემწეობითი ზმნის), მაგ ეს კაცი თფილისშია, ე. ი. თფილისში არის, ეს ბავში ტკბილ ძილშია, ე. ი. ტკბილ ძილში არის. ზევით მოყვანილი ადგილები ასე უნდა ითქვას: ქართველის ძილში კენესა ისმოდა, თფილისში მინახავხარ შენ.

7. ზმნისართი-თანდებული ში შოგიერთების აზრით ნათესაობით ბრუნვას თხოულობს: კაციხავით, ბავშვიხავით— ხმარობენ განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში. შიბ-თს შემდეგ ან მიცემითი დაისმის, ან სახელობითი: კაცივით ან კაცხავით, ბავშვივით ან ბავშვხავით. აზრითაც ასე უნდა იყოს, რადგან შიბ-თ როგორც ნიშნავს, ასე რომ კაცივით და კაცხავით იგივეა, რაც როგორც კაცი და როგორც კაცხ. ხშირათ ბრუნვებს— მიცემითისა და სახელობითის— ამ შემთხვევაში ერთმანეთში ურევენ, ერთს მეორის ადგილას ხმარობენ; ორივე ბრუნვა უნდა დარჩეს, ე. ი. სახელობითი და მიცემითი, მაგრამ სად რომელი უნდა დაისვას, ეს ზმნაზე (შემასმენელზე) არის დამოკიდებული. მოვიყვანოთ მაგალითები: ამ ქალს ბავშვხავით სძინავს, და არა ბავშვივით, რადგან ზმნა სძინავს მიცემითს თხოულობს; ეს კაცი ბავშვივით დიდის, და არა ბავშვხავით, რადგან ზმნა დიდის სახელობითს თხოულობს. შიბ-თის მაგიერ რომ მისი თანაბარი სიტყვა როგორც ვიგულისხმოთ, ბრუნვა არარდეს არ შეგვეშლება: ნადირივით დახარეშობს, ე. ი. დათარეშობს როგორც ნადირი; ყურდგელხავით სძინავს, ე. ი. სძინავს როგორც ყურდგელს.

ამ წესით შიბ-თ ი-ზე დაბოლოებულ სახელებთან იხმარება; დანარჩენ შემთხვევაში კი ყოველთვის მიცემითს თხოულობს: კატა, ხე, რკო, ყრუ— კატახავით, ხეხავით, რკოხავით, ყრუხავით.

8. როცა ერთი და იგივე თანდებული რამდენმე სიტყვასთან უნდა დაისვას, თანდებული მხოლოდ უკანასკნელ სახელთან უნდა დავსვათ, წინა სიტყვები კი უთანდებულოთ დაისმის იმ ბრუნვაში, რომელსაც თანდებული თხოულობს,— მაგალითად: ხისა და ქვისაგან, დიდსა და პატარაზე, ძმებისა, დებისა და ბიძებისათვის, ძვალსა და რბილში და სხ.

ზ მ ნ ე ბ ი.

1. მინახავს, და არა მინახამს და მინახია.

ზმნების პიროვან დაბოლოებაში, აწმყოსა და მყოფადში და მათგან ნაწარმოებ დროებში, ის თანხმოვანი იხმარება ხოლმე, რომელზედაც სახელზმნის საფუძველია დაბოლოებული:

პობა—ვაპობ. ვაპობდი, დავაპობ;

კრეფა—ვკრეფ, ვკრეფდი, მოვეკრეფ;

კარგვა—ვკარგავ, ვკარგავდი, დავკარგავ;

კითხვა—ვიკითხავ, ვიკითხავდი, წამიკითხავს; ნუ წამიკითხავ!

ხვნა (უნდა იყოს ხნვა)—ვხნავ, ვხნავდი, მიხნავს, დავხნავდი და სხვ.

მაშასადამე, არ შეიძლება ვიხმაროთ: ვიკითხამ, ვნახამ, დავსწერამ, მინახამს, წამიკითხამს, დაუკრამ, და სხვ.; აგრეთვე უკანონოა ფორმები: სვავს, ურტყავს, იზავს, ეუბნევა და სხვ. (უნდა: სვამს, ურტყამს, იზამს, ეუბნება).

2. კერავენ, თუ კერვენ?

როცა პირველი მიმოხრის ზმნა მხოლოებითი რიცხვის მესამე პირში ავს-ზე ბოლოვდება, მრავლობითი რიცხვის მესამე პირში ორნაირი დაბოლოებით იხმარება,— მაგალითად: ქალი კერავს—ქალები კერავენ ან კერვენ.

„ვისრამიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ სეორე ფორმაა ნახმარი,—მაგალითად „ვისრამიანში“: გასწირვენ, ჰკერვენ, უზრახვენ, ნახვენ და სხ; „ვეფხისტყაოსანში“: ბაძვენ, სიძვენ, მოჰკლვენ და სხ.

ხალხში და უახლეს მწერლობაში ორივე ფორმა ერთნაირათ იხმარება. ჩემი აზრით, სახელმძღვანელოთ შექმდევი კანონი უნდა დავადგინოთ: როცა მარტივი (უთავ-სართო) ზმნა ერთმარცვლოვანია, შეუმოკლებლათ მიმოვხაროთ, მაგალ. ის კლავს, კრავს, სწვავს, ფქვავს, ხნავს, ზრავს,—ისინი კლავენ, კრავენ, სწვავენ, ხნავენ და სხ, და თუ ერთმარცვლოვანზე მეტია, მაშინ შემოკლებით მიმოვხაროთ, მაგ. ის ბერავს, კერავს, ცურავს, ხურავს—ისინი ბერვენ, კერვენ, ცურვენ და სხ. აქიდან უნდა გამოირიცხოს ზმნები: ჩაგრავს, ჩანგლავს, სცარცევას, სწამლავს, ნათლავს, ცეკვავს, რომელთა მიმოხრაც სრული ფორმით სჯობია: ჩაგრავენ, სწამლავენ, ნათლავენ და სხ.

მრავლობითი რიცხვის მესამე პირში შემოკლებულათ მიმოხრის ის ზმნებიც, რომელიც მხოლოობითში აშს-ზე ბოლოვდება: ის იზამს, სდგამს—ისინი იზმენ, სდგმენ,—გარდა ზმნისა სკამს (ისინი სკამენ).

ზოგიერთი ზმნა მრავლ. რიცხ. მესამე პირში მთელ მარცვალს კარგავს: ის კეტავს, კეცავს, კვეხავს, კვეცავს, სთესავს, იცვამს, სვამს—ისინი კეტენ, კეცენ, კვეხენ, კვეცენ, სთესენ, იცმენ, სმენ.

3. ვცხოვრობ, და არა ვცხოვრებ.

აწმყო დროში (და აგრეთვე აწმყოვან ნაწარმოებ დროებში) საშვალლო გვარის ზმნის დამახასიათებელი ნიშანია **მ**: ვსეირნობ, ვთამაშობ, ვთარეშობ, ვჯავრობ, ვწვალობ;—მაშასადამე, უნდა ვიხმაროთ ფორმები: ვცხოვრობ, ვმორჩილობ, ვტრიალობ, ვწრიალობ, ვმრიალობ, ვცხოვრობდი, ვმორჩილობდი და სხვ. (და არა ვცხოვრებ, ვმორჩილებ, ვტრიალებ).—

ბოლოში მ (და თავში ა) მოქმედებითი გვარის ზმნის ნიშანია: ვაშენებ, ვა-
ხსენებ, ვატენებ.

„ვისრ.“-სა, „მეტხ.“-სა და „სიბ.-სიც.“-ში ყოველგან ნახმარია ვმორჩილობ და
სხვ., ე. ი. მ.

4. მე. უწერ, თუ მე ვუწერ?

პირველი მიმოხრის ზმნების პირველ პირში ზოგიერთი მწერალი პიროვან ნი-
შანს ვ-ს. როცა ამ ვ-ს შემდეგ უ ზის, არ ხმარობს: მე უზამ, ჩვენ უზამთ, მე უწერ,
ჩვენ უწერთ. მე უკერავ, ჩვენ უკერავთ, მე უმზერ, ჩვენ უმზერთ-ო და სხ. „ვისრ.“-ში
ეს ფორმები სანახევროთ ვ-ნით არის ნახმარი და სანახევროთ უ-ვ-ინოთ; აგრეთვე
„მეტხ.“-შიც; ახალ მწერლობაშიც ამ ფორმას უმეტეს ნაწილათ ვ-ნით ხმარობენ. რაც
შეეხება ხალხის გამორქმას, თუ დაეუკვირდებით, ვ ისმის იქ, თუმცა ყრუთ.

ჩემი აზრით, პირველ პირში ვ ყველა შემთხვევაში უნდა დარჩეს: ვსწერ, ვუწერ,
ვაშენებ, ვუშენებ, ვუშენებდი, ავუშენე, ავუშენეთ, მე ვვარდები, მე ჩავვარდი და
სხვ.—მით უფრო, რომ ამით ორაზროვნობასაც თავიდან ავიშორებთ (უმზერ, უუუ-
რებ, უშენებ, უმზერთ, ვარდები, ჩავარდი—მეორე პირის ფორმებია).

5. ხედვიდა, თუ ხედავდა?

მოთხრობითი კილოს ნამყო I-სა და პირობით კილოს ძველი და ახალი მწე-
რალნი ორნაირათ აბოლოებენ: ხმიდა, იზამიდა, ხედვიდა, გაბედვიდა, ლეწვიდა,
ხვნიდა და სხ., ან სვამდა, იზამდა, ხედავდა, გაბედავდა, ლეწავდა, ხნავდა: გაგბედ-
ვიდე—გავგბედავდე და სხ.—ზოგიერთი ძველი მწერალი (განსაკუთრებით ღვით
ბურამიშვილი) მესამე ფორმასაც ხმარობს (ა-ნისმაგიერ მ-ნს): ხედვედენ, ლეწვედენ,
ხვემდეს, სცევდეს და სხვ.

ამ ფორმებში უპირატესობა დაბოლოებას ავდა-სა და ვამდა-ს (პირობით კი-
ლოში ავდე, ვამდე, ავდი, ვამდი) უნდა მიეცეს, რადგან მწერლობაშიცა და ხალხშიც
უმეტესათ ეს ფორმა იხმარება და გამოსათქმელათაც სხვების უადვილესია (ზოგიერთ
კუთხეში, განსაკუთრებით ბურიაში, უფრო ხშირათ პირველ ფორმას ხმარობენ: ხედვი-
და, ბედვიდა, ხმიდა და სხვ.). საზოგადო კანონიც ეს არის, რომ მოთხრობითი
კილოს ნამყო I მოთხრ. კილ. აწმყოსაგან წარმოობს, პირდაპირ დი-ს მიმატებით:
ესვამ—ესვამდი, ეხედაე—ეხედავდი; აგრეთვე პირობითი კილოც პირდაპირ მოთხრო-
ბითის მყოფადისგან კეთდება: გაებედაე—გავგბედავდი, ვიზამ—ვიზამდი, წავიკითხე—
წავიკითხავდი.—ამავე კანონის ძალით უნდა ვიხმაროთ ფორმები: მყავდა, გყავდა.
ყავდა, გყავდა, მგავდა, გგავდა, გავდა და სხვ., და არა მყვანდა, მგვანდა და სხ.:
აწმყოს ფორმაა მყავს, აქიდან უნდა ვაწარმოოთ ამ სახით: მყავ-და, გყავ-და, ყავ-და
(ჰყავდა), გყავ-და, გყავ-დათ, ყავ-დათ (ჰყავდათ), მყავდეს, გყავდეს, ყავდეს (ჰყავ-
დეს), და სხ.; მგავს: მგავ-და, გგავდა, გავდა, მგავდეს, გგავდეს და სხვ., როგორც
მიყვარს—მიყვარდა, მწამს—მწამდა და სხ.

აქიდან უნდა გამოირიცხოს მაქვნდა, გაქვნდა, აქვნდა და სხ., რომელიც არც
მთლათ კანონიერათ არის ნაწარმოები აწმყოსგან (ჩარაუღლია ნ), და ძნელი გამოსა-
თქმელიცაა. ამ ფორმის მაგიერ უმჯობესია მეორე ფორმა დარჩეს: მქონდა, გქონდა,
ჰქონდა, მქონდეს, გქონდეს და სხ., რადგან ეს უკანასკნელი დღეს ხალხშიც და მწერ-
ლობაშიც უფრო ხშირათ იხმარება.

„ვისრ.“-სა და „მეტხ.“-ში ყოველგან „ჰქონდა“-ა ნახმარი.

6. მოვიდენ, და არა მოვიდენენ.

მოთხრ. კილოს ნამყო I-სა და ნამყო II-ში და პირობით კილოში ორგვარი დაბოლოება იხმარება: ღწმ და წმ — ან ღმ და მ: მოდიოდენ, მოვიდენ, მოვიდოდენ, იყვენ — ან მოდიოდენ, მოვიდენ, მოვიდოდენ, იყვენ.

რომელს ამათგანს უნდა მიეცეს უპირატესობა?

თუმცა დაბოლოებამ ღმ და მ-მა მწერლობაში გარკვეულათ და თვალსაჩინოთ თავი მხოლოდ ამ ბოლოს დროს იჩინა, მაგრამ ეს დაბოლოება ძველ მწერლობაშიც არ არის იშვიათი. „ვისრამიანში“ დაბოლოება ღწმ არ იხმარება, რამდენჯერმე ნახმარია წმ (ედგენ, იყვენ, გაიყარენ და სხ.), უმეტესათ კი ამ დაბოლოებათა მაგიერ იხმარება ეს (მოვიდეს, სხდეს, იყენეს, შეყრილიყენეს და სხ.), ზოგან ნახმარია ფორმა ღმ (მოწმობდენ, გამოვიდენ, შევიდენ და სხ.). შოთა რუსთველიც ღწმ, წმ და ღმ-ის ალაგას უმეტესათ დაბოლოებას ღმ-ს ხმარობს (მოვიდეს, მისდგეს, მივიდეს, დასხდეს, მიეწიენეს, იყენეს და სხ.), მაგრამ ძალიან ხშირათ დაბოლოებას ღმ-საც ხმარობს: შესხდენ, გამოჩილობდენ, მოლოდენ, მოშორდენ, გაგვისწორდენ, გაჭორდენ, მივიდენ, გარდახდენ, მიაართმევდენ და სხ. დაბოლოებას ღწმ-ს რუსთველი სრულიად არ ხმარობს, ხოლო ორ-სამ ალაგას შეხვედებით დაბოლოებას წმ ს: შეებნენ, შეიყვარენ, გაემართნენ.

მე-18 საუკუნის მწერალნი — საბა ორბელიანი და ღვთისმეტყველი — იმდენჯერ ხმარობენ ღმ-ს, რამდენჯერაც ღწმ-ს. მართნაირათვე იხმარება ღწმ და ღმ აგრეთვე „შართლის-ცხოვრებაში“; „ძილ.“-ში თითქმის სულ ღმ არის ნახმარი. — რაც შეეხება ახალ მწერლობას, შეიძლება ვსთქვათ, რომ ღმ და ღწმ თანასწორათ იხმარება — პირველი დასავლეთის საქართველოს მწერალთაგან, და მეორე — აღმოსავლეთ საქართველოში. უპირატესობა დაბოლოებას ღმ და მ-ს უნდა მივანიჭოთ, რადგან ღწმ და წმ, როგორც ბევრთანხმოვანიანი მარცვლები, უფრო ძნელი გამოსათქმელია, ვიდრე ღმ და მ, და დღეს ევ უკანასკნელი ფორმები (მოვიდენ, იყვენ), როგორც მარტივი ფორმები, უფრო ხშირათ იხმარება.

7. ბგერა ჰ ზმნებში.

ჰ-ს ზმნებში ჩვენს დღევანდელ მწერლობაში იმისთანა შემთხვევაშიც კი ხმარობენ, სადაც მისი გამოთქმა ყოვლად მოუხერხებელია: ჰხნავს, ჰხმარობს, ჰცურავს, ჰსწერს, ჰგრძნობს, ჰცხოვრობენ და სხ. და სხ. ზოგჯერ კი ჰ-ს იმისთანა ადგილასაც არ ხმარობენ, სადაც მისი გამოთქმა არ არის საძნელო. მართი სიტყვით, ჰ-ს ხმარების კანონი სრულიად თითოეული მწერლის ნებასა და გემოვნებაზეა დამოკიდებული.

ძველ მწერლობაში ზმნებში თუმცა უმეტეს ნაწილათ ჰ-ა ნახმარი, მაგრამ ხშირათ უ ჰ-ითაც იხმარებოდა. აი, მაგალითად, „ვისრამიან“-ში რა ფორმებში არ არის ეს ბგერა ნახმარი: ქენ, ქნეს, შექნა, გავს, დაბადებს, გონია, ყუავის, ყუაოდა, ქრის; ქროდეს, ყოს და სხ. და სხ.; „სიბ.-სივ.“-ში: შეკრეს, დაკლეს, დაკორტნა, ჩაყო, ამოყო, დაკარგა და სხ.; „ღვთის“-ში: ყავს, ყავთ, ქონდეს, ქნეს, ქნა, ქენით, შექნა, ქრის, შეფიცა, წაწვა, შეყვირა, გაყიდეს, მოკლა, მოკლეს, ჩაყრიდენ, შეკაღრა, ყვავის და სხ.

ჩემი აზრით, ჩვენი ენა იქითკენ მიილტვის, რომ ბგერა ჰ ზმნებში სრულიად განდევნოს. შესაძლოთ მიმაჩნია ზოგიერთ შემთხვევაში, ჯერჯერობით, დავსტოვოთ ზმნებში ეს ბგერა; მაგრამ შეუძლებელია იმ დებულებათა გაზიარება, რომელნიც აკ. შანიძემ თავის წიგნში („სუბ. პრ. მე-11 პირ. და ობ. პრ. მე-111 პირ. ქართულ ზმნებში“) ჰ-სა და ხ-ანის ხმარების შესახებ წამოაყენა. (ნახეთ „ღამატება“-ში ჩემი რეცენზია ამ წიგნისა). —

აი, მოკლეთ, ჩემი აზრი ზმნებში ჰ-ს ხმარების შესახებ;

1. ჰ ზმნებში განსაკუთრებით ხორხისმიერი ბგერების კ, ქ და ყ-ის წინ მოისმის: დაჰკარ! ჰქონდა, ჰყვავის და სხვ.

2. ჰ ზმნებში მხოლოდ მეორესა და მესამე პირში იხმარება: შენ გაჰკვეთე, მან გაჰკვეთა.

3. ჰ იხმარება: ა) ბძანებით კილოში: დაჰკარ! დაჰკრას! ნუ დაჰკრავს! არ დაჰკრა!

ბ) მოთხრ. ძილოს აწმყოსა და მყოფადში, ნამყო ! და ნამყო II-ში: შენ ჰკრავ, თქვენ ჰკრავთ, ის ჰკრავს, ისინი ჰკრავენ; შენ შეჰკრავ, ის შეჰკრავს, თქვენ შეჰკრავთ, ისინი შეჰკრავენ; შენ ჰკრავდი, ის ჰკრავდა, თქვენ ჰკრავდით, ისინი ჰკრავდენ; შენ შეჰკარი, მან შეჰკრა, თქვენ შეჰკართ, მათ შეჰკრეს.

შენიშვნა. მოთხ. ძილოს ნამყო მესამეში ჰ მხოლოდ ორ ზმნას აქვს (მესამე პირ-ში): მას ჰქონია, მათ ჰქონიათ; მას ჰყოლია, მათ ჰყოლიათ.

გ) ნატვრ. ძილოს აწმყოსა და მყოფადში: შენ ჰკრავდე (შეჰკრავდე), ის ჰკრავდეს (შეჰკრავდეს), თქვენ ჰკრავდეთ (შეჰკრავდეთ), ისინი ჰკრავდენ (შეჰკრავდენ);— შენ რომ შეჰკრა, მან რომ შეჰკრას, თქვენ რომ შეჰკრათ, მათ რომ შეჰკრან.

დ) პირობით კილოში: შენ შეჰკრავდი, ის შეჰკრავდა, თქვენ შეჰკრავდით, ისინი შეჰკრავდენ.

ჰ არ იხმარება:

1. მიჩემებით ზმნებში, მაგ. მე ის მიკივის (გაარჩიეთ ამისგან: იგი მას მიჰკივის), მე ის მიკრავს, ისინი მიკრავენ (გაარჩიეთ ამათგან: იგი მას მიჰკრავს, ისინი მათ მიჰკრავენ).

2. ხმოვანებს შემდეგ (გარდა თავსართებისა ა, გა, და, წა, ჩა, მი, მო, შე): ეკი-ლა, ეყარა, იკიდებს, იყრის, იკლავს, იკრავს.

საერთო მაგალითები: „დაჰკრეს ნალარა“;— „სამჯერ ხომ მინც გადაჰკრავს ღვი-ნოს“;— „გაჰკრეს—გამოჰკრეს ბრჭყალები“;— „ვეზირთა ჰკადრეს“; მას ჰქონდა, ჰქონ-ნია, ჰქონოდა, ჰქონოდეს; მას ჰყავს, ჰყავდა, ჰყოლია, ჰყოლოდა, ჰყოლოდეს; მას მიჰყავდა, მათ მიჰყავდათ;—ის გაჰკივის, მიჰკივის, ისინი გაჰკივიან, მიჰკივიან;— მან გაჰყიდა, მიჰყიდა, მათ გაჰყიდეს, მიჰყიდეს (მიჩემებითად კი: მან მე მიყიდა, მათ მიყიდეს).

8. ბგერა ს ზმნებში.

ზმნებში თუ ჰ-ს უარყოფ, სამაგიეროთ ხმა ს აუცილებელ საქიროთ მიმაჩნია. ჩემი აზრით, ს ზმნებში გამოთქმას აძლევს სინაზეს, თანაც სიღარბაისლეს. აბა შეა-ღარეთ ერთმანეთს გამოთქმანი მიცა და მისცა, გაცა და ვაცა, დადვა და დასდვა, დუმს და სდუმს და სხვ.—ცხადია, მეორე ფორმა სმენისათვის უფრო სასიამოვნოა, უფრო კეთილხმოვანია, ვიდრე პირველი. ზმნებში ს-ნის ხმარებას თვით ხალხის ენა-შიც აქვს საფუძველი: საქართველოში იმისთანა კუთხე არ არის, რომ ცოტათ თუ ბევრათ არ ხმარობდნ ს-ნს ზმნების სხვადასხვა დროში. დასავლეთის საქართვე-ლოს კუთხეებს შორის ს-ნიანი ფორმები განსაკუთრებით ხშირათ ზურიაში იხმარება: „შეაზე გასტკველიცა, ძირს დასცა, ხეი მოსჭარი (==მოსჭერი), გასცინა, დასწყევლა, გასტირაო“ და სხ., ამბობენ ისინი.

აი, ჩემი აზრით, ს-ნის ხმარების შესახებ რა კანონებით უნდა ვიხელმძღვანელოთ:

1) ს მიმობრაში იმისთანა ზმნებს დაერთვის, რომელსაც ძირის თავში რომელი-მე შემდეგი თანხმოვანთაგანი უზის: ლ, მ, ტ, ც, ძ, წ, ზ, მაგალ. დგმა, თიბვა, ტირილი, ცარცვა, ძვრა, წერა, ჭამა, ჯობნა—სდგამს, სთიბავს, სტირის, სცარცვავს, სძრავს, სწერს, სჭამს, სჯობნის.

შენიშვნა. ს ამ შემთხვევაში მოქმედებითი გვარის ზმნებს თითქმის ყველას დაერთვის, საშვალო გვარისას კი—მხოლოდ რამდენსაზე. მაგალ.: სტყუის, სწუხს, სჯობია (სჯობს), სჭირია (სჭირდება), სჯერა, სტკივა, სწყურია, სდუმს და სხვ.

2) პირველი მიმოხრის ზმნებს ს ყველა პირში დაერთვის: მე ვსჯამ, შენ სჯამ, ისა სჯამს, ვსჯამდი, სჯამდი, სჯამდა, ვსჯამე, სჯამე, სჯამა, ვსჯამეთ, სჯამეს და სხვ.

როცა წმინდა ძირს მიმოხრაში წინ ხმოვანები უზის. მაშინ ს აღარ დაერთვის: მიჯამია, გიჯამია, უჯამია, მუჯამა, გუჯამა, იტირა, ატირა, ვაქმევ, ვაქმევ და სხ.— ამ შემთხვევაში თავსართების ხმოვანები ანგარიშში არ მიიღება: შე-სთვალა, შე-სცვალა, მი-სცა, მოსთქვამს, დასდევს და სხ.

ამ კანონის ძალით პირველი მიმოხრის მიჩემებით ზმნებს ს არ ახლავს (მიწერს, გიწერს, უწერს და სხ.), მეორე მიმოხრისას კი მხოლოდ მესამე პირში ახლავს: სწამხარ, სწამხართ, სწამებიხარ, სწამებიხართ.

3) მეორე მიმოხრის ზმნას მხოლოდ მესამე პირში ერთვის ს ყველა კილოსა და ყველა დროში: მას სწყურია, სწყუროდა, მოსწყურდა, სწყურებია, მოსწყურდება, სწყუროდეს, სწყურებოდა, სწყურებოდეს, მოსწყურებოდეს, მოსწყურდეს, მოსწყურდებოდა.—

დანარჩენ პირებსა და მიმღობაში ს არ ახლავს: მწყურია, გწყურია, მოწყურებულა.

ამავე კანონს ემორჩილება პიროვნებითი მოქმედებითი ზმნები: (მცარცვავს, მტანჯავს, მწყევლის, მღვენის, გწყევლის, გღვენის და სხ. და სხ.), ე. ი. ბგერა ს აქაც მხოლოდ მესამე პირში იხმარება: იგი სცარცვავს, მან ვასცარცვა, ისა სღვენიდა და სხვ.

ზმნებს ცივა და ცხელა-ს, როცა პირნაკლი ზმნების მნიშვნელობა აქვს, ს არ ახლავს, და როცა პიროვანის—ს-ით იხმარება: დღეს ცივა, გუშინ ცხელოდა, ბავშვსა სცივა, კაცსა სცხელა.

4) როცა ერთი ძირის ზმნა საშვალო გვარისაც არის და მოქმედებითისაც, მოქმედ. გვარის ს-ით იხმარება, ხოლო საშვალოსი—უსანოთ: ვსთხოვ, სთხოვ, სთხოვს; მაგრამ ვთხოულობ, თხოულობ, თხოულობს; ვსდგამ—დასდგა, ვდგები კი—დადგა, გამოვსდგამ—გამოსდგა, გამოვდგები კი—გამოდგა.—ბაარჩიეთ აგრეთვე: დაწვა (წოლა) და დასწვა (წვა), შედგა (საშვ. გვ., მაგალ.: კრება შედგა, ბავში უცებ შედგა= შეჩერდა) და შესდგა (მოქმ. გვ., მაგ.: ბავშვა ქოთანის ცეცხლში შესდგა), მიდის (ბავში შკოლაში მიდის) და მისდის (მოწაფეს წერილი ხშირათ მისდის=მიუღის).

ძველსა და ახალ მწერლობაში ხშირათ ს-ნს კეთილხმოვანობისათვის ჩ-ნით დაწყებულ ზმნებსაც უსმენ, —მაგ. სჩანს, სჩაგრავს-ო და სხვ.; ჩემი აზრით, ჩ-თან ს-ნის გამოთქმა სმენისათვის საჩოთიროა, —ჩ-თან ს არც „ვეფხ.“-ში იხმარება, —იქ ყოველგან მართლწერა ჩანს არის ნახმარი;—ეს ზმნა „მისრ.“-შიც უსანოთ იწერება: ჩნდეს ჩანს და სხ.

ზოგჯერ ხმარობენ ფორმებს სდომებია, სდომებოდა და სხ.; ს-ს აქ აღვილი არ აქვს, რადგან ზმნა ნ-რით იწყება (ნდომა: ნდომია, ნდომოდა).

მ. სრული და მოკლე თავსართები.

სრული თავსართები ალ, გან, წარ, შთა, აღმო, წარმო, შთამო დღევანდელ მწერლობაში ძლიერ იშვიათად იხმარება.

ახალი ქართული ძველისგან თავისე ფორმების სიმარტივით გაირჩევა.

სხვათა შორის ჩვენმა ენამ შეამოკლა აგრეთვე ძველებური სრული თავსართები ალ, გან, წარ, შთა, აღმო, წარმო, შთამო, გარდა (გარდ)—და ამათ მაგიერ დღეს ა, გა, წა, ჩა, ამო, წამო, ვადა (ვად) იხმარება.

ზოგიერთი მწერალი სრულ თავსართებს დღესაც ვერ ეშვება და სრულიად უადგილოთ ხმარობს მათ: აღასრულა, აღშფოთდა, განვიდა, წარვიდა-ო და სხ.

ჩემი აზრით, სრული თავსართები იმისთანა სიტყვებში უნდა დარჩეს, რომელსაც განსხვავებული მნიშვნელობა ან რამე განსხვავებულათ საყურადღებო აზრი აქვს,— სახელდობ შემდეგ სიტყვებში: აღდგომა, ძრისტე აღსდგა, აღთქმა, აღსარება (აღვია-რება და სხ.), აღჭურვა (აღჭურვილი და სხ.), აღრიცხვა, აღნიშვნა, აღმატება, აღმატებულება, აღმოსავლეთი, აღტაცება, აღშაშენებელი, აღტყინება, აღფრთოვანება, განზრახვა, განმავლობა, განმავლობა, განმარტება, განკარგულება, განახლება, განსაცთელი, განყოფილება, განცვიფრება, განცხრომა, განძინება, განწყობილება, განკურნება, განუცნებელი, განსაკუთრებით, განმანათლებელი (წმ. ნინო და სხ.), განხორციელება, განთიადი, განჩინება, განდიდება, განკერძოება, განკერძობული, განწესება, სული განუტევა, განსვენება, განსვენებელი, განხეთქილება, განცთა, განუყრელი, განსაზღვრული, განუსაზღვრელი, განცხადება (გაარჩიეთ გაცხადება), და სხ. — ღაჰახინჯებულათ იხმარება ფორმა გაანთავისუფლა; ძველი ფორმა განთავისუფლა, ახალი კი — გაათავისუფლა. — წარმოება, წარჩინება, წარდგენა, წარმოდგენა, წარდგომა, წარმოდგომა (გაარჩიეთ ამისგან წამოდგომა), წარმატება, წარმართი, წარწერა, წარსული (გაარჩიეთ ამისგან წასული), წარმავალი (გაარჩიეთ ამისგან წამავალი), შთაგონება, შთამომავლობა, შთაბეჭდილება, გარდამოხსნა, გარდიგარდმო, გარდმოცემა, გარდაცვალება (გარდაიცვალა), გარდამავალი, გარდასული (გაარჩიეთ გადასული), გარდაქცევა გარდაქცეული, (გულის შეწყულების გამო), გარდაქმნა, გარდაწყვეტილი (მაგ. საქმე და სხვ.), გარდაწყვეტილება, გარდუვალი.

ბი რამდენიმე მაგალითი განსხვავებული მნიშვნელობისა (ჩვეულებრივთან შედარებით):

- 1) ისტორიული გარდმოცემა მოგვიტბრობს... (ბიორგის წიგნის გადმოცემა სურდა);
2. ძველათ ხატზე გარდაცემა იცოდენ (ფულის გადაცემა მინდოდა); — 3. ივანემ დიდი ავთმყოფობა გარდაიტანა (ივანემ სახლი სხვა ადგილას გადაიტანა); — 4. საქმე გარდასწყვიტეს (ძაფი გადასწყვიტეს); — 5. ივანე უმემკვიდროთ გარდავიდა, — გარდასულია (ივანე საზღვარზე გადავიდა, — გადასულია); — 6. ივანე გარდაიცვალა (ქადი პუოზე გადაიცვალა, გადასცვალეს); — 7. ივანე სასოწარკვეთილია (— თითოწკვეთილია); — 8. განკითხვის დღე; საწყალი და გაქვიერებული უნდა განკითხოთ (ეს ამბავი კარგათ უნდა გაიკითხოთ = ე. ი. გამოიკითხოთ)....

სრული თავსართები იხმარება აგრეთვე ზევით მოყვანილი სიტყვების ნაწარმოებ ფორმებში, მაგ. აღსარებელი, აღმსარებელი, განცვიფრებული, წარმოსდგა, წარჩინებული და სხ. და სხ.

10. თავსართები შე, მო, შემო.

თუმცა დღესდღეობით იშვიათად ხმარობენ, მაგრამ დღესაც აქა-იქ ჩვენს მწერლობაში თავსართებს შა და მა-ს და განსაკუთრებით თავსართ შამო ს მაინც შეხედებით.

ძველ მწერლობაშიც არეულათ იხმარება ეს თავსართები: ხან შა, მა, შამო, და ხან კი შა, მო, შამო. „მისრამიანში“ თანასწორათ არის ნახმარი როგორც პირველი, ისე მეორე ფორმები; „ვეფხისტყაოსან“-ში თითქმის ყოველგან ნახმარია ფორმები შა, მო და შამო, თუმცა ზოგიერთ ვარიანტში თავსართი მა-ც იხმარება (მამკალ და სხვ.). „ღავეითიან“-ში ორივე ფორმა ნახმარი.

ახალ მწერლობაში შა და მა იშვიათად იხმარება. — რაც შეეხება ხალხს, შა და მა ძახეთს გარდა თითქმის არცერთ კუთხეში არ მოისმის.

თუმცა თავსართი შამო ხშირათ ისმის ხალხში, განსაკუთრებით იმერეთში, და მწერლობაშიც ხშირათ ხმარობენ, მაგრამ თანასწორათვე ხშირათ იხმარება შამო-ც, და რადგან ეს რთული თავსართი ზემოხსენებული ორი თავსართისაგან (შე+მო) არის შემდგარი, ამიტომ უპირატესობა იმას უნდა მიეცეს.

11. შევიტყე, თუ შევიტყვე?

ზოგიერთი ზმნის ფორმებს ახალ მწერლობაში ორგვარათ ხმარობენ, ვ-ით და უ-ვ-ინოთ: შევიტყვე, გავაწყვე, დავახჩვე, ან შევიტყე, გავაწყე, დავახჩე და სხ.

ჩემი აზრით, ვ-ნის ხმარებას აქ საფუძველი აქვს—და აი რატომ: 1) სრული ფორმა იყო შევიტყევ, გავაწყევ და სხ.; ვ-მა გამოთქმაში ადგილი იცვალა, ე. ი. მოხთა ასეწოდებული მეტათეზისი—და გაკეთდა ფორმა შევიტყვე, გავაწყვე და სხ.; 2) ძველ მწერლობაშიც ნახმარია ამ შემთხვევაში ვ,—მაგალითად „მეტეხისტყაოსან“-ში: შემიტყვია, შეგვატყვეს და სხ.; 3) ხალხში ორივე ფორმა ერთნაირათ იხმარება: ვი-ნიანი დასავლეთ საქართველოში და უფინო—აღმოსავლეთში.

ამავე კანონის ძალით იხმარება: ვამიცვნია, დამიდვნია, შემიმცვია, დავთვრე, დამითვრია.—ვ ამ შემთხვევაში კეთილზმონათისთვისაც საჭიროა ისე, როგორც, მაგალითად, ზმნებში: სმა—ვსვი, თქმა—ვსტვი, ცმა—ვიცვი, მითქვამს, მიცვამს და სხ.

პირიქით, ვ არაფერი საჭიროა ფორმებში დავანახვე, დამანახვა, დამმართვია, ვამისწვრია...

12. მეშინია, და არა მეშინიან.

ზმნებში მრცხვენიან, მეშინიან, მქვიან, მშიან, მწყურიან, შემძლიან, მწაღიან—ბოლოში ნ უნდა, თუ არა?

„ვისრამიან“-ში ორივე ფორმა ნახმარი; შიოთა რუსთველი უნაროთ ხმარობს: მრცხვენია; ხალხში და ახალ მწერლობაში ორივე ფორმა თანასწორათ იხმარება—აღმოსავლეთ საქართველოში ნარით, დასავლეთში კი—უნაროთ.—ზოგიერთი მკვლევარი მხოლოდ მქვიან-ს ხმარობს ნ-არით, რადგან ძველათ მრქვიან იხმარებოდაო; მე კი ვფიქრობ, რომ არც ამ სიტყვაშია ნ საჭირო (ნახ. მე-11 „დამატება“-ში).

13. მაწყენინა, თუ მაწყენია?

ნ საჭირო არ არის არც სხმითგადასვლით ფორმებში: მაწყენინა, მათქმევიან, დამაწერიან, გარბენინა და სხ.—„მეტხ.“-შიც შეხვდებით უნარო ფორმას: მოვასმენიე, მოვალხენიე და სხ.; ხალხში და ახალ მწერლობაში თანასწორათ იხმარება ეს ფორმა ზემორე თქმულისამებრ (ე. ი. აღმოსავლეთში ნარით, და დასავლეთში უნაროთ).

ნ დარჩება მხოლოდ კვლავსხმითგადასვლითი ზმნების პირველ ნახევარში: დავაწერიინებ, გავაკეთებინებ.—ჩვენ აქ სხმითგადასვლითსა და კვლავსხმითგადასვლით ზმნებზე ვამბობთ (ვაწერიინებ, ვაწერიინებინებ); რაც შეეხება იმისთანა ფორმებს, როგორიც არიან: მეკითხნა, გამეკეთებინა, გამეკეთებინოს, მემზირნა, მეთამაშნა, მომელოცნა, მეცხოვრნა და სხ. (ე. ი. ნატერ. კილ. ნამყოებს),—აქ ნ—არის ხმარება ყოველად შეუწყნარებელია.

14. გამიბედნია, თუ გამიბედავს?

ნამყო III-ში ხშირათ ხმარობენ ნარიან ფორმას და იბ-ზე აბოლოებენ იმ ზმნებსაც, რომელსაც კანონით დაბოლოება ავს ეკუთნის,—მაგალ. მომილოცნია, მიკითხნია, გამიბედნია, შემიბედნია-ო და სხ. ნამყო III მოთხრ. კილ. მყოფადისგან წარმოიბს,

და როცა ზმნა მყოფადში აშ. ან ვამ-ზე ბოლოვდება, ნამყო მესამისათვის მყოფადს პირდაპირ ს მიემატება: შევსვამ—შემისვამს, დავრგავ—დამირგავს. ნამყო III-ში ია-ზე ზმნა მხოლოდ მაშინ დაბოლოვდება, როცა მყოფადში აშ ან ვამ-ზე არ ბოლოვდება: დავსწერ—დამიწერია, გავაკეთებ—გამიკეთებია და სხ.—ზემოხსენებული ზმნებისგან მყოფადი იქნება: მოგილოცავ, ვიკითხავ, გავბედავ, შევხელავ,—მაშასადამე ამათგან ნამყო III უნდა იქნეს: მომილოცავს, მიკითხავს, გამიბედავს, შემიხელავს.—მართალია, ეს ფორმები ორბოლოვანია,—მაგალითად გამიბედავს იმასაც ნიშნავს, რიმ ვითომ ის ჩემთან გაბედულათ მოიქცევაო,—მაგრამ ორბოლოვანი ფორმები და ომონიმები წინადადებაში აზრს არაოდეს არ აგვირევენ—და, მაშასადამე, იმათი მიზეზით მახინჯი ფორმების შემოღება სრულიად უსაფუძვლოა. ორბოლოვანი ფორმები და ომონიმები (რასაკვირველია—ზომიერთ ნახმარი) არა თუ ამახინჯებს, პირიქით—კიდევაც აღამაზებს ენას, ავოგმანებს აზრის გამოხატულებას, რასაც ხშირათ გვიმტკიცებს შოთა რუსთველი „ვეფხ.“-ში,—მაგალითად:

„სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასული,
სოფლისა წნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული;
მან მისთა მჭვრეტთა წაუღის გული, გონება და სული;
ბრძენი ჰხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული.
„ახალმა ფიფქმან დასთოვა, ვარდი დასთრთვილა, დაჰნასა.

მოუნდის გულსა დაცემა, ზოგჯერ მიჰმართის დანასა“; და მრ. სხ..

ამასვე გვიმტკიცებს აკაკი თავისი მშვენიერი ლექსით—„აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა“-თი.

ნამყო III-ში ია-ზე ბოლოვდება აგრეთვე ის ზმნები, რომელიც მყოფადის დაბოლოებას აშ-ს ხშირათ ამოკლებს ხოლმე,—მაგალითად ზმნებისგან დაკეტვა, დათესვა, დაბეჭდვა, დაღებვა, გაღეწვა და სხ. მყოფადი ორგვარათ იხმარება: სრული ფორმით—დავკეტავ, დავთესავ, დავბეჭდავ, დავღებავ, გავღეწავ, და შემოკლებით—დავკეტ, დავთეს და სხ. ამისთანა ზმნები ნამყო III-ს ია-ზე აბოლოებს: დამიკეტია, დამითესია, დამიბეჭდია და სხ. (იხ. „ვეფხ.“: დაუხოცია, შეუტყორცია, დაგვიხოცია),—ია-ზე აბოლოებენ აგრეთვე ზმნას წასმა-ს, თუმცა მყოფადი ვამ-ზე ბოლოვდება: წამისვია, წაგისვია, წაუსვია და სხ.

არსებითსახელთაგან ნაწარმოებ ზმნებშიც, ზემოთქმულისამებრ, უკანონოთ ხმარობენ ნამყოებში ნ-ს: მიყურდგლავნია, მითევზავნია, მეყურდგლავნა, მეყურდგლავნოსო და სხ. ამ ზმნებისგან ნამყოები უნაროთ სჯობია ვინმაროთ, სუფიქს ებ-ის ჩამატებით, როგორც განსაკუთრებით იმერეთში იხმარება ხოლმე: მითევზებია, მიყურდგლებია, მეთევზებია, მეყურდგლებია, მეთევზებოს და სხ.—და მაშინ ამათგან სახელზმნები იქნება: ყურდგლობა, თევზობა (როგორც იხმარება კიდევ ბევრგან ხალხში—ყურდგლობა-ს, თევზობა-ს მაგიერ), მზგავსათ ფორმებისა: ნადირობა, მწყერობა.—ამგვარათვე შესაძლოა ვინმაროთ ბურთობა (ბურთაობა-ს ნაცვლათ), როგორც ძველათაც ხმარობდენ (იხ. „ვეფხ.“ და სხვ.) და როგორც ბევრგან ხალხში ახლაც იხმარება. აქიდან ნამყო დროები (რა მიქნია? რა მექნას?): მიბურთებია, მებურთებია;—აგრეთვე მოშიება ზმნიდან: მომშიებია, მომშიებოდეს (და არა მომშიენია, მომშიენოდეს).

15. გავსტეხ, და არა გავსტეხავ.

მყოფად დროში ზოგჯერ გარდამეტი მარცვალი აშ იხმარება: გავსტეხავ, გავჩხრიკავ, დავწილავ, მოვკბიჩავ, დაკბინავს, და სხ. და სხ.

ამგვარი ზმნებისაგან უფრო ხშირათ იხმარება შემოკლებული ფორმები: **გავსტებ** (გავსტებ, გავსტებს), **გავჩხრეკ**, **მოვკბეჩ**, **დავრეკ**, **დავკებ** და სხ.; „ვეფხ.“-შიც ასეთა ნახმარი,—მაგალ. „გავსტებს ქეასაცა მაგარსა“ და სხ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სახელზმნაში **ვა-**ზე უსაფუძვლოთ აბოლოგებენ იმის-თანა ზმნებს, რომელიც მყოფადში **აჰ-**ზე არ ბოლოვდება: **გატეხვა**, **დაწერვა**, **აწონვა**-ო და სხე; ამ ზმნებისგან მყოფადი იქნება **გავსტებ**, **დავსწერ**, **ავსწონი**, და სახელ-ზმნა—**გატეხა**, **დაწერა**; **აწონა**.

16. ველოდდი, თუ ველოდი?

ველოდდი, **მოველოდდი**, **მოელოდდა**-ო და სხ., ხმარობენ ზოგჯერ ჩვენი მწერალნი. ორი ღ ამ შემთხვევაში სრულიად უსაფუძვლოა. მართალია, ამ ზმნას ძირში ღ ახლავს (მოლოდნა, მოლოდინი)—და შესაძლოა ზემოხსენებული მწერალნი თავის მართლწერას ამ გარემოებაზე ამყარებდენ (ვითომ ძირისა და დაბოლოების ღ ერთად იყრის თავსო); მაგრამ ეს მოსაზრება უსაფუძვლოა, რადგან მოთხრ. კილოს ნამყო I (მოველოდი) მოთხრ. კილ. ამწყოსაგან წარმოიბს, სადაც ღ არ ურევია: **ველი**—**ველოდი**, **მოველი**—**მოველოდი** (როგორც **ვრბი**—**ვრბოდი**, **ვთრთი**—**ვთრთოდი**).

ძველ თხზულებათა შორის ნე მარტო „ვისრამიან“-ში ვხახე ეს ორდრინანი მართლწერა, თუმცა იქვე უფრო ხშირათ ეს ფორმები ერთი ღ-ნით იხმარება; „ვეფხ.“-ში კი ყოველგან ერთდრინანი მართლწერაა ნახმარი. ხალხის გამოსქმაშიც ერთი ღ მოისმის ზ ახლანდელ მწერლობაშიც ხსენებულ ფორმებში უმრავლესობა ერთ ღ-სა ხმარობს.

17. შემეშინა, და არა შემეშინდა.

ღ არაფერი მოხელეა აგრეთვე ფორმებში **შემეშინდა**, **შეგეშინდა** და სხ. ხალხში, მართალია, ხშირათ ისმის ეს ფორმა, მაგრამ მეორე ფორმასაც ხმარობენ (**შემეშინა**), და ძველ მწერლობაშიც ასე იხმარებოდა (მაგალითად „ვისრ.“-ში, „ვეფხ.-ში). მიმოხრის კანონითაც ღ აქ უადგილოა, რადგან ზმნა **შეშინა** ისევე უნდა მიმოხზაროთ, როგორც მისი მზგავსი ზმნები **მრცხვენია**, **მწყენია** და სხ., რომელთაც იმავე დროში ღ არ ახლავს: **შემრცხვა**, **მეწყენა**.

18. ვყოფილვარ, თუ ყოფილვარ?

ნამყო III ვნებისთისა და ზოგიერთი საშვალო გვარის ზმნებისგან ძველ მწერლობაში ორგვარათ იხმარება: **ვყოფილვარ**, **ვწოლილვარ**—ან **ყოფილვარ**, **წოლილვარ**. თუმცა „ვისრ.“-ში ორივე ფორმაა ნახმარი, მაგრამ მეორეს უფრო ხშირათ შეხედებით: **ყოფილვარ**, **ქნილვარ**, **წოლილვარ**, **ჯდომილვარ**, **გამიჯნურებულვარ**, **გასულვარ**, **მოსულვარ** და სხ. და სხ. „ვეფხ.“-ში აგრეთვე ორივე მართლწერაა ნახმარი, თუმცა, „ვისრ.“-ის წინააღმდეგ, აქ ორიგინალი ფორმა (**ვყოფილვარ** და სხ.) უფრო ხშირია, ვიდრე ერთგინიანი. „ძილ.“-შიც ერთგინიანი ფორმებია ნახმარი.

ჩემი აზრით, პირველ **ვ-**ს **ვყოფილვარ** ფორმაში ადგილი ისევე არ უნდა ქონდეს, როგორც თავსართიან ზმნებში არ აქვს იმას ადგილი თავსართის წინ, ე. ი. როგორც არ ითქმის, მაგალითად, **ვალვარებ**, ისე არ უნდა ითქმოდეს **ვყოფილვარ**: პირველი პირის მაჩვენებელი **ვ** შემწეობით ზმნას ახლავს (**ვარ**)—და **ვ-**ნის გამეორება თავში არაფერი მოხელეა. მართალია, ხალხი ორიგინიან ფორმას ხმარობს (**ვყოფილვარ**, **წავესულვარო** და სხ.), ხანდახან მარტო თავში სტოვებს **ვ-**ს, შუაში კი კარგავს (**ყოფილიყავ**, **წავესულიყავო** და სხ.), მაგრამ მწერლობა ვალდებულია -ხალხისგან დამახინჯებულ ფორმებს ეწინააღმდეგოს და ენის სიწმინდე დაიცვას.

ამ სახით, ჩემი აზრით, მწერლობაში უმჯობესია ერთენიანი ფორმა დავსტოვოთ და საერთოდ ასე ვიხმაროთ: ყოფილვარ, წასულვარ, ყოფილვიყავ, წასულვიყავ, ყოფილვიყო, წასულვიყო და სხ. და სხ.

აქიდან უნდა გამოირიცხოს ზმნები: ვღავარ, ვზივარ, ვწევარ, ვჩანვარ, ვყავარ, ვგავარ, მივდივარ—და საზოგადოთ იმისთანა ფორმები, სადაც ზმნის პირველი ნაწილი მიმღეობა არ არის:—ამისთანა ზმნებში ყოველთვის ორენიანი ფორმა იხმარება (ნახ. აგრეთვე მე-II „ღამატება“-ში).

19. თქვენ გყავსთ, თუ გყავთ?

როცა ზმნა მიმოხრაში მ-ნით იწყება და ს-ზე ბოლოვდება, მრავლობითი რიცხვის მეორესა და მესამე პირში ორნაირი დაბოლოებით იხმარება, ხან ს-ნით და ხან უ-ს-ანოთ: მე მყავს, მიყვარს—თქვენ გყავსთ, გიყვარსთ, ან გყავთ, გიყვართ; მათ უავსთ, უყვარსთ—ან უავთ, უყვართ; მე მიხაროდეს—თქვენ გიხაროდესთ, ან გიხაროდეთ; მე მეწეროს—თქვენ გეწეროსთ, მათ ეწეროსთ; მე მითქვამს—თქვენ გითქვამსთ, მათ უთქვამსთ, ან გითქვამთ, უთქვამთ; მე წამიკითხავს—თქვენ წაგიკითხავსთ, მათ წაუკითხავსთ, ან წაგიკითხავთ, წაუკითხავთ და სხ.

„ვისრ.“-ში ორ ალაგას შემხვდა ეს ფორმა—ღა ს-ნით არის ნახმარი: გჯობსთ, აქუსთ; „მეფხ.“-ში ორივე მართლწერა იხმარება, უფრო ხშირათ უსანოთ: აქვთ, ჰყავთ, გიმძიბთ, გიჯობდეთ, უყვართ, მოგხვდებობთ და სხ. საბა ორბელიანიც ორივე ფორმას ხმარობს.—ახალ მწერლობაშიც აგრეთვე არეულათ იხმარება ეს ფორმები, ერთნაირათ ორივე; ხალხში კი უფრო ხშირათ ს არ ისმის.

ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში ანაირი კანონით უნდა ვიხელმძღვანელოთ: თუ ს-ნის წინ ზმნას ხმოვანი ახლავს, მაშინ სჯობია ს დარჩეს, რადგან ხმოვანს შემდეგ ადვილი გამოსათქმელია (გიყვარდესთ, უყვარდესთ, გიკითხოსთ, ეკითხოსთ), და თუ ს-ნის წინ თანხმოვანია, მაშინ ს-ნის გამოთქმა ძნელია და ამიტომ სჯობია უსანოთ ვიხმაროთ: გაქვს—გაქვთ, აქვს—აქვთ, გიყვარს—გიყვართ, უყვარს—უყვართ.

თუმცა ამ შემთხვევაში ხშირათ ზმნის ერთ ფორმას ორი აზრი აქვს (მაგალითად თქვენ გიკითხავთ იმასაც ნიშნავს, რომ თქვენ ნაკითხი გქონიათო, და იმასაც, რომ თქვენთვის ვკითხულობთო), მაგრამ ზევითაც ნათქვამი მაქვს, რომ წინადადებაში ამით აზრი არ აირევა, და ამიტომაც ეს დაბრკოლება იმდენათ საყურადღებო არ არის, რომ იმის ასაცილებლათ კეთილხმოვანობა უარყვით.

20. დავიწყებიყო, თუ დავიწყებოდა?

ნატვრითი კილოს ნამყოფებში (რა მექნა? რა მექნას?) ზოგიერთი მწერალი მარტივი ფორმის ნაცვლათ რთულს ხმარობს, ე. ი. იმის მაგიერ რომ ოღდა-სა და ოღდას-ზე დააბოლოოს, შემწერობითი ზმნის საშვალტებით მიმოხრის ხოლმე: დავიწყებიყო, დავგომიყო, დავწოლიყო, ვარგიყო, ქონიყო, დავიწყებდიყო, ქონიყოსო და სხ.

ასე განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში აზდილი მწერალნი ხმარობენ, რადგან აქა-იქ იქაურ ხალხში ისმის ეს ფორმა. ძველ მწერლობაში „მეფხ.“-ში შევხვდი ამ ფორმას ერთ ადგილას: ვარგიყოს, და „სიბ.-სიც.“-შიც ერთ ალაგას არის ნახმარი: დავიწყებიყო; სხვაგან კი როგორც რუსთველი, ისე საბა ორბელიანიც ყოველგან ამ ზმნებს მარტივათ მიმოხრიან—და დღესაც საერთოდ ასე სჯობია ვიხმაროთ (ქონოდა, დავიწყებოდა, დავიწყებოდეს, და სხვ.).—რთული ფორმით (მიმღეობითა და შემწეობ. ზმნით) აღნიშნულ დროებს მხოლოდ შემწე ზმნა, ვნებ. გვ. ზმნები და უკანონო საშვ. გვ. ზმნები (ვზივარ, ვწევარ, ვღავარ, მივდივარ) აწარმოებენ: ყოფილიყო, ყოფილიყოს, გაკეთებულყო, წასულიყო, დამდგარიყო და სხვ.

21. ვიყო, და არა ვიყვე.

ვიყვე, იყვე, იყვეს, ვიყვეთ, იყვეთ, იყვენ, —თუ ვიყო, იყო, იყოს, ვიყოთ, იყოთ, იყონ?

ჩვენს კლასიკურ თხზულებებში, მაგალ. „ვისრ.“-სა და „მეტხ.“-ში—ყოველგან მეორე ფორმაა ნახმარი (ვიყო, იყოს და სხ.); იქ მხოლოდ შეხვედებით ფორმას ვიყვენთ, იყვენთ, და უნაროთ კი (ვიყვეთ, იყვეთ და სხ.) არ იხმარება. საბა ორბელიანიც ყოველთვის მეორე ფორმას ხმარობს (ვიყო, იყო, იყოს). რაც შეეხება ახალი მწერლობისა და ხალხის ენას, იქ ორივე ფორმა იხმარება, უმეტესათ კი ვიყო, იყო და სხ.—და უმჯობესია საერთოდ ასე ვიხმაროთ: ვიყო, იყო, იყოს, ვიყოთ, იყოთ, იყონ.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ამავე შემწეობითი ზმნიდან ნატვრითი კილოს მყოფად II-ში ორგვარი ფორმა იხმარება: ვიქნა, იქნა, იქნას, ვიქნათ, იქნათ, იქნან და ვიქნე, იქნე, იქნეს, ვიქნეთ, იქნეთ, იქნენ. უმჯობესია ეს უკანასკნელი ფორმა (ვიქნე, იქნე და სხ.) დავსტოვოთ მწერლობაში, ვინაიდან საშუალო გვარის ზმნებს ხსენებულ დროში მხოლოდ ორგვარი დაბოლოება აქვს, ე და ი: დავჯდე, დავწვე, წავიდე, ვიცხოვრო, ვითამაშო.

შენიშვნა. ბევრი ვერ არჩევს ფორმებს: ვიქმნები, იქმნები, იქმნება, შეიქმნა, და სხვ.—და ვიქნები, იქნები, იქნება, შეიქნა... ორივე ფორმა უნდა დარჩეს, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნელობით (იხ. „დამატება“ მე-11).

22. გავიზარდნეთ — გავიზარდოთ.

როგორც ვიყვენთ ან ვიყვეთ-ის მაგიერ, ზემორეთქმულისამებრ, ვიყოთ იხმარება, ისე გავიზარდნეთ, გავიზარდნეთ, შევიყარნეთ, დავიხოცნეთ და ამათი მგზავსი ფორმების ნაცვლათ უმჯობესია ვიხმაროთ გავიზაროთ, გავიზარდოთ, შევიყაროთ, დავიხოცოთ და სხ. ეს დროებია ნატვრ. კილოს მყოფადი II (რა ვქნა?), რომელიც მოთხრ. კილოს ნამყო II-ისაგან წარმოიპოვს და დაბოლოებათ ზოგ ზმნაში ა, ა, ასათ, ათ, ან აქვს, ზოგში ე, ე, ეს, ეთ, ეთ, ენ, ზოგში კი ი, ი, ის, ით, ით, იონ. უკანასკნელი დაბოლოებანი მაშინ ემატებიან, როცა ნამყო II-ში ზმნა ე-ზე დაბოლოებული: დავსწერე, დავიწყე—დავსწერო, დავიწყო და სხ. ამავე კანონის ძალით უნდა ვიხმაროთ გავიზარდოთ, გავიზაროთ და სხ, რადგან ნამყო II-ში ამ ზმნებს დაბოლოება ე აქვს: გავიზარდე, გავიზარე და სხ და სხ.—საერთოდ აღნიშნული ზმნები, როგორც საშუალო გვარისა, ისე მიმოიხრის, როგორც მათი მგზავსი საშვ. გვ. ზმნები ამავე დროში (მყოფ. მე-11) მიმოიხრის ხოლმე,—მაგალ.: მივეკარო, მოვიცადო, მოვიცადოთ, ვიცხოვრო, ვიცხოვროთ და სხვ.

23. ვნახეთ, და არა ვნახეთ.

მოთხრ. კილოს ნამყო II-ში ხშირათ უმატებენ გარდამეტ მარცვლებს ვი-სა და ნი-ს: წავიღვეი, ვნახევი, წაიღვეი, ნახევი, წავიღვეით, ვნახევით, გაიხარენით, შევიყარენით, შეიყარენით-ო და სხ.

ძველათ, მართალია, იხმარებოდა ეს ფორმები, მაგრამ ახალ მწერლობაში იშვიათად შეხვედებით მათ;—საზოგადო. კანონითაც მოთხრ. კილოს ნამყო II-ეს პირველ მიმოხრაში აქვს დაბოლოებანი: ე, ე, ა, ეთ, ეთ, ეს (ან), ან ი, ი, ა, ით, ით, ეს (ან),—მაგალ. ვსწერე, სწერე, სწერა, ვსწერეთ, სწერეთ, სწერეს; დავსდგი, დასდგი, დასდგი, დავსდგი, დასდგი, დასდგი, დასდგეს; გავიზარდე, გაიზარდე, გაიზარდა, გავიზარდეთ, გაიზარდეთ, გაიზარდენ; ჩავემტერეთ, ჩავეწერეთ, ჩავეხუტეთ და სხვ.—

30-სა და 60-ზე ზმნა მხოლოდ მაშინ ბოლოვდება, როცა ძირში 3 ან 6 ახლავს: და-წვა—დავსწვი, გახსნა—გავხსენი (პირველ ორ პირში მხოლოდ რიცხვში მარტო 6-ზეც შეიძლება დავაბოლოოთ: მე გავხსენ, შენ გახსენ, მე ვიცან, შენ იცან და სხ.); ან უკანონო ზმნებში: დაწოლა—დავწევი, გაყოლა—გავყავი, გაყოფა—გავყავი.—30-ზე ბოლოვდება აგრეთვე ზმნა დადება: დავსდევ, დასდევ და სხ.

24. დაწყება და დაწყობა.

ბევრი ვერ არჩევს მიმოხრაში ზმნებს დაწყება და დაწყობა-ს განსაკუთრებით აღმოსავლეთ-საქართველოს ხალხი და მწერალნი ერთგვარათ მიმოხრიან, რა მნიშვნელობაც უნდა ქონდეს: დაწყობა, დაწყობილი, დამიწყია, დავიწყე, დავიწყებ-ო და სხ., ხმარობენ ისინი მაშინც, როცა ეს ზმნა ხელის მიყოფას ნიშნავს, და მაშინც, როცა დალაგებას აღნიშნავს. „ვისრამ.“-ში ნახმარია შემდეგი ფორმები: დაიწყებენ, დავიწყებ, დაწყება, დამიწყებს; „მეფხ.“-ში: „აწლა დავიწყებ ამბავსა“; საბა ორბელიანიც ამგვარათვე მიმოხრის ამ ზმნას, როცა ის ხელის მიყოფას ნიშნავს: „ხარჯვას დავუწყებო“; აგრეთვე „ძილ.“-ში.

დასავლეთ საქართველოში, როცა ეს ზმნა ხელის მიყოფას ნიშნავს, ამგვარათ მიმოხრიან: წება (დაწყება), ვიწყებ, ვიწყებდე, ვიწყებდი, ვიწყებ (დავიწყებ), დავიწყებდე, დავიწყებდი, დავიწყე, დამიწყია, და თუ დალაგებას ნიშნავს, მაშინ ასე მიმოხრიან: დაწყობა. ვაწყობ, ვაწყობდე, ვაწყობდი, დავაწყობ, დავაწყობდე, დავაწყობდი, დავაწყვე, დამიწყვია, ან ვიწყობ (ჩემთვის ვაწყობ), ვიწყობდე, ვიწყობდი, დავიწყვე და სხ.

ზოგიერთ დროში ამ ორ ზმნას (დაწყობა და დაწყება) საერთო ფორმები აქვს, მაგალ. დამეწყო, დავეწყო, დამეწყოს და სხ, მან დაიწყო; დაიწყოს! დავიწყოთ! დაიწყონ!

ჩემი აზრით, მწერლობაში დასავლეთის საქართველოს ფორმები უნდა დავსტოვოთ, მით უფრო რომ ამ ფორმებს, როგორც ზევითაც ვსთქვი, ძველი მწერლობაც ხმარობს და დღევანდელ მწერლობაშიც უფრო ხშირათ ხმარობენ. ამასთან მხედველობაში ისიც უნდა მივიღოთ, რომ მნიშვნელობით დაწყება სხვა არის და დაწყობა სხვა.

მსვე უნდა ვსთქვა ვასწრებ ზმნაზე: ამერეთში ო-ნით ხმარობენ ამ ზმნას (ვა-სწრობ, ჩავუსწრობ, დავესწრობი, მივუსწრობ-ო და სხ.), მაგრამ იმერული ფორმები (ვასწრებ და სხ.) უფრო ხშირათ იხმარება.

25. ვიჯდები, თუ ვიჯდომები.

ზმნებისაგან ვწევარ, ვზივარ, ვდგავარ მყოფადი დრო ორგვარათ იხმარება: ვიწვები, ვიჯდები; ვიდგები—და ვიწოლები ვიჯდომები, ვიდგომები.

ჩემი აზრით, უბირატესობა მეორე ფორმას უნდა მიეცეს, რადგან ამათი მზგავსი ზმნები მყოფადს სახელზმნისაგან აწარმოებს: ვგავარ (სახელზმნა მგვანება)—ვემგვანები. ვყავარ (სახელზმნა ყოლა)—ვეყოლები.—ზემოხსენებული ზმნების სახელზმნებია წოლა, ჯდომა, დგომა—და, მაშასადამე, აქიდან მყოფადი იქნება ვიწოლები, ვიჯდომები, ვიდგომები.

26. წვანან, თუ წევან?

თუმცა მწერლობაში ფორმა წვანან იხმარება, მაგრამ ამ ფორმას საზოგადოთ ძალიან იშვიათად შეხვდებით, თითქო ყოველი მწერალი მის ხმარებას ერიდებოდეს; ძველ მწერლობაში ამ ფორმას ერთხელაც არ შევხვედრივარ.

იმერეთში იხმარება ფორმა წევან, რომელიც, სხვა ზმნების მზგავსათ, მხოლოდ რიცხვის მესამე პირიდან არის ნაწარმოები (ის წევს—ისინი წევან, როგორც ჩანს—ჩანან, რბის—რბიან), და, ჩემი აზრით, კარგი იქნება, რომ წევანან-ის მაგიერ წევან ვიხმაროთ, როგორც უფრო კეთილზმოვანი და მასთან კანონიერათაუც ნაწარმოები ფორმა.

მსვე უნდა ვსთქვა გვანან: ფორმაზე—ამის მაგიერ უმჯობესია ვიხმაროთ ფორმა გავან, რომელიც, როგორც წევან, კანონიერათ არის ნაწარმოები (ის გავს—ისინი გავან).

27. ვიჯექით, თუ ვისხედით?

ზმნას ვზივარ-ს მრავლობ. რიცხვში ორგვარათ მიმოხრიან: ვზივართ, ზიხართ, ზიან—და ვსხედვართ, სხედხართ, სხედან; ვიჯექით, იჯექით, იჯდენ—და ვისხედით, ისხედით, ისხდენ და სხ. და სხ.

ჩემი აზრით, აწმყოში ასე სჯობია მიმოვხაროთ: ჩვენ ვზივართ, თქვენ ზიხართ, ისინი სხედან; დანარჩენ დროებში კი—ყოველგან სხდ ძირისგან: ვისხედით, ისხედით, ისხდენ, ვისხდეთ, ისხდეთ, მსხდარვიყავით და სხ. და სხ.

28. ვდგავარ, და არა ვდგევარ.

მყევარ, ვდგევარ, ვგევარ—თუ ვყავარ, ვდგავარ, ვგავარ?

უსათუოთ მეორე ფორმა უნდა დარჩეს, რადგან კანონიერათაუც არის ნაწარმოები (სხვაგან ყოველგან ა-ნით მიმოიხრის: მყავს, დგას, მგავს, მყავდა, მგავდა და სხ.) და მასთან მწერლობაშიც უმეტესათ ა-ნით ხმარობენ.—„ვისრ.“-სა და „ვეფხ.“-ში ხსენებული ზმნები მარტივი ფორმებითაა ნახმარი: მე ვგავ, შენ გავ, ე. ი. შემწეობითი ზმნა ვარ, ხარ და სხ. არ ახლავს; ყოველ შემთხვევაში, აქიდან მაინცა ჩანს, რომ ა უხმარიათ, და არა მ; „ვეფხ.“-ში ერთხელ ნახმარია ვდგავართ, „ვისრ.“-შიც სდგახარ.—ღლევიანდელ მწერლობაშიც უმეტესათ ა-ნით მიმოხრიან—და სჯობია საერთოდ ასე მიმოვხაროთ: ვდგავარ, ვგავარ, ვყავარ, ვდგავართ, ვგავართ, გავხართ, მგავხარ, მგავხართ, მყავხართ და სხ. და სხ.—მესამე პირში უკანონოთ ზოგჯერ ფორმა დგა იხმარება, უნდა დგას.

29. დასდვა, და არა დასდო.

მოთხრ. კილოს ნამყო II-ის მხოლოდ რიცხვის მესამე პირში ორნაირ დაბოლოებას ხმარობენ, M-სა და Z-ს: მიართო, წამართო, დასდო, ან მიართვა, წამართვა, დასდვა და სხ.

ძველ მწერლობაში პირველი ფორმა იშვიათად შეგვხვდებათ; „ვისრ.“-ში ნახმარია ფორმები: დაედვა, იდვა, დადვა, მაშიდვა, ედვა, და მხოლოდ ერთ ადგილას შეგვხვდა Z-ს მაგიერ M: ჩავიცო. „სიბრ.-სიც.“-ში კი ორივე ფორმა თანასწორათ იხმარება: ხან მიართო, დადო, დაიდო, ხან დადვა, დაიდვა. „ძილ.“-ში ყოველგან Z იხმარება.

მართალია, ქართულ ენაში მარცვლები M და Z ხშირათ სცვლის ერთმანეთს: ხომალდი—ხვამალდი, ცხორი—ცხოვარი—ცხვარი, თვალი—თოლი და სხ. და. სხ.; მაგრამ ორ ფორმაში ერთი უნდა ავირჩიოთ, და რადგან მარცვალს Z-ს მეტი მომხრე ყავს და მწერლობასა და ხალხში ეს ფორმა უფრო ხშირათ იხმარება,—ამიტომ მწერლობაში საერთოდ ასე უნდა ვიხმაროთ: შესვა, დასვა, დასდვა, დაიდვა, დაიწვა. სთქვა, დაიხწვა, ჩაიცვა, მიართვა და სხ.

სახელზმნის დათრობა-საგან ნამყო II-ში ხმარობენ ფორმებს დავითვერ, დაითვერ, დაითრო; მაგრამ M-ს აქ საუფუძველი არ აქვს, როგორც ამის მზგავს ზმნებშიც:

დავფერ, დაშვრა, გაძვერ, გაძვრა და სხ.; მაშასადამე, ზემოხსენებული ზმნაც ასე უნდა მიმოვხაროთ: დავთვერ, დათვერ, დათვრა და სხ.

§10. მინახავხარ, და არა მინახავიხარ; მინდებხარ.

ხშირათ ხმარობენ ფორმებს: მინახვიხარ, გინახვივარ; უნახვივარ, მინახვიხართ, მიკითხვიხარ, გიკითხვივარ და სხ.

მიჩემებითი ზმნები, რომელსაც ეს ზმნებიც ეკუთნის, ნამყო III-ში თავის ფორმებს წმინდა მოქმედებითი გვარის ზმნების მოთხრ. კილოს ნამყო III-სგან აწარმოებს, —მაგალ მე მყვარებია—მყვარებიხარ, მე მყოლია—მყოლიხარ, გიპოვნია—გიპოვნვივარ და სხ.; მაშასადამე, ზემოხსენებული ზმნებიდან ნამყო III მიჩემებითად იქნება: მინახავხართ, გინახავარ, მინახავხართ, მიკითხავხარ, გიკითხავართ და სხ., რადგან წმინდა მოქმედებითის ნამყო III აქვთ: მინახავს, მიკითხავს, გიკითხავს, და არა მინახვია, მიკითხვია და სხ.—ს.-ს. ორბელიანი „სიბ-სიც.“ წიგნში ფორმას მინახავხარ-ს ხმარობს.

აქვე უნდა ვსთქვა, რომ უკანონოთ და უკეთილხმოვანოთაც მიმაჩნია ფორმები მინდიხარ, გინდივარ, უნდივარ და სხ.; ამასთან იხმარება (იმერეთში) მეორე ფორმაც: მინდებხარ, გინდებვარ, უნდებვარ, რომელიც კანონიერათ არის ნაწარმოები: მე მინდება (მინდები)—მინდებხარ, როგორც მიყვარს—მიყვარხარ. მინდიხარ ფორმაში ი-ს არ აქვს ვასამართლებელი საბუთი, რადგან არცერთი ამის მზგავსი ზმნა ი-ნით არ კეთდება.

§11. გამიხარდა, გაუხარდა.

როცა მეორე მიმოხრის ზმნას აწმყოში თავში მი უზის (მიყვარს, მიჩანს), მოთხრ. კილოს ნამყო II-შიც მი რჩება და ასე მიმოხრის: მიყვარს—შემიყვარდა, შეგიყვარდა, შეუყვარდა; მიჩანს—გამომიჩნდა, გამოგიჩნდა, გამოუჩნდა და სხ.—ამათვე მზგავსათ უნდა მიმოვხაროთ ზმნა მიხარია-ც: გამიხარდა, გაგიხარდა, გაუხარდა, გაგიხარდა, გაგიხარდათ, გაუხარდათ.—ძველ მწერლობაშიც ეს ფორმები იხმარება, და თუმცა დღევანდელ მწერლობაში და ზოგან ხალხშიც ი-ნიან ფორმას ხმარობენ (გამეხარდა, გაეხარდათ და სხ.), მაგრამ ხმარებითაც და კანონიერობითაც მეტი საფუძველი ი-ნიან ფორმას აქვს—და სჯობია ასე ვიხმაროთ: გამიხარდა, გაგიხარდა, გაუხარდა, გამიხარდეს, გაუხარდეს, გამიხარდება, გაუხარდება და სხ. და სხ.

§12. მიველი, თუ მიველი?

ორნიართ ხმარობენ მწერლობაში: 1) მიველი, მიხველი (ან მიველ, მიხველ)-და 2) მივედი, მიხვედი ან მიდი, წავედი, წახვედი ან წადი, მოვედი, მოხვედი ან მოდი, მოვედით, მოხვედით ან მოდით და სხ.

ახალ მწერლობაში აღმოსავლეთის საქართველოს მწერალნი და ხალხი ორივე ფორმას ხმარობენ, დასავლეთისანი კი—მარტო მეორე ფორმას.

პირველი ფორმა (მიხველი, მოხველი, მიველი, მოველი და სხ.) უკეთილხმოვანოცაა და ორაზროვანიც (უკეთილხმოვანო—რადგან მეორე პირის ფორმები კაცს ხველას მოავონებს, და ორაზროვანი—რადგან ზოგი ფორმა ლოდინსაც ნიშნავს და ხველებსაც). მეორე ფორმას ყველაფრით უპირატესობა აქვს, და ამიტომ მწერლობაში ეს ფორმები უნდა დარჩეს: მოვედი, მოხვედი, მოვიდა, მოვედით, მოხვედით, მოვიდენ, მივედი, წავედი, წახვედით და სხ.—მესამე პირის ფორმები— მოვიდა, მოვიდენ, წავიდა, წავიდენ—მაჩვენებელია დ-ონიანი ფორმების უპირატესობისა.

33 ვიწვე და ვიწექ

მე-18. საუკუნიდან მწერლობაშიცა და ხალხშიც გახშირდა ფორმები: ვიწექ(ი), დავწექ(ი), ვიჯექ(ი), დავჯექ(ი), ვიდექ(ი), დავდექ(ი).—ძველათ მხოლოდ ვიწვე(ი), ვიჯედ(ი), ვიდეგ(ი), ვიწვეით, ვიჯედით და მზგ. ფორმები იხმარებოდა; დღეს კი, ამ ფორმებთან ერთად, ზევით მოხსენებული ფორმებიც იხმარება.—რაკი ეს ზმნები საზოგადოთ უკანონო ზმნებია, შესაძლოა (ჯერჯერობით) ძველ ფორმებთან ახალიც დავსტოვოთ.

34. სწუხხარ, სწუხხართ.

შენ სწუხარ, თქვენ სწუხართ-ო, იხმარება ხშირათ მწერლობაში; მაგრამ უმეტესი ნაწილი კანონიერ ფორმას ხმარობას: სწუხხარ, სწუხხართ. უკანასკნელი ფორმა უნდა დარჩეს, რადგან გამოთქმაშიც მოისმის ორი ხ და მასთან კანონითაც ორი ხ უნდა ერთი ძირისაა (წუხილი) და მეორე შემწეობითი ზმნის (ხარ, ხართ).

35. მან დაარსა, თუ დააარსა?

სამი ანით უნდა ვიხმაროთ, რადგან პირველი ა თავსართს ეკუთნის (და), მესამე ა — ზმნის ძირს (არსი, არსება), და შუა ა ნამყო II-ის დამახასიათებელი ხმოვანია, როგორც, მაგალ., ზმნებში: აკეთა, აშენა, ათენა და სხ. (გააკეთა, გააშენა, გაათენა).

ნამყო II-ის მესამე პირში სამი ა-ნით იწერება ყველა იმ ზმნის ფორმა, რომლის ძირიც ა-ნით იწყება: მან გააადვილა, მათ გააადვილეს, მან დააახლოვა, მათ დააახლოვეს და სხვ.—თუ ზმნა ა-ნით იწყება, ნატერ. კილოს ნამყოებში სამი ა აქვს: შეერთება—მას შეეერთებია, შეეერთებოხს,—მათ შეეერთებიათ, შეეერთებოხსთ.

36. მეუბნევი—მეუბნები.

სრულიად უკანონოთ ხმარობენ აღმოსავლ. საქართველოში: მეუბნევი, მეუბნე-ვით, გეუბნევი, გეუბნევით, მეუბნევოდა, გეუბნევოდათ და სხ. კანონიერი ფორმებია: მეუბნები, გეუბნები, მეუბნებით, გეუბნებით, მეუბნებოდით და სხ., როგორც მაგალ. მელაპარაკები, მეხაუბრები, მეთამაშები და სხ.

ზოგჯერ ხმარობენ ფორმას ამოხს—ამოხდა; რასაკვირველია, უნდა ამოხოს, ამოხდა.—მოხსენებული ზმნების სახელზმნებია: უბნობა, მბობა—და, მაშასადამე, მიმოხრაში ბგერა ბ უნდა დარჩეს.

37. ვიძახდი, და არა ვიძახდი.

პრეულათ ხმარობენ ფორმებს: ვიძახდი და ვიძახოდი, იძახდი—იძახოდი და სხ.

საშუალო გეარის ზმნებს მოთხრ. კილოს ნამყო I-ში დაბოლოება ოღნი აქვს ყოველთვის, როცა აწყოში ი-ზეა დაბოლოებული: ვიცინი, ვართი, ვრბი—ვიცინოდი, ვართოდი, ვრბოდი. მაშასადამე, ზმნას ვიძახი-საც ამ დროში დაბოლოება ოღნი უნდა: ვიძახოდი, იძახოდი, იძახოდა და სხ.

38. ისინი მოიტანენ, თუ მოიტანებენ?

თუმცა იშვიათად, მაგრამ იხმარება ჩვენს მწერლობაში მყოფადში ფორმები: ისინი მოიტანებენ, ისინი მოიყვანებენ-ო. (ასეა ნახმარი „ძილ“-შიც ყოველგან). ამ ფორმებს იმერეთში ამბობს ხალხი (უთუოთ იმიტომ, რომ ფორმებს მოიტანენ და მოიყვანენ-ს იგი ხმარობს, როგორც ნამყო დროის ფორმებს, მოიტანეს და მოიყვანეს).

მაგიერ, და მარცხლის ებ-ის ჩართვით, განუსხვავებია მყოფადი დრო-ნამყოსაგან). მრავლ. რიცხვის მესამე პირი ყოველთვის მხოლ. რიცხვის მესამე პირისაგან კეთდება, და, მაშასადამე, კანონიერი ფორმებია: ის მოიტან-ს — ისინი მოიტან-ენ, ის მოიყვან-ს — ისინი მოიყვან-ენ, ის მოიხმარ-ს — ისინი მოიხმარ-ენ.

39. მე ვარგვარ, ისინი ვარგან.

ჩვენს ახალ მწერლობაში ხშირათ შეხვდებით ფორმებს: მე ვარგვივარ, შენ ვარგვიხარ, ის ვარგია, ისინი ვარგანან. ამასთან იხმარება მეორე ფორმაც: მე ვარგვარ, შენ ვარგხარ, ის ვარგა, ისინი ვარგან—და ასე სჯობია მიმოვხაროთ, მით უფრო რომ ვარგვივარ-ს სხვა აზრიც აქვს (მე მას ვარგვივარ, შენ მას არგვიხარ, ის არგია და სხ.).— „ვეფხ.“-ში ნახმარია ფორმა ვარგხარ, ვარგვარ.

40. ჩამოცვივდა და ჩამოცვინდა.

იხმარება ფორმები ჩამოცვივნა, ჩამოცვივდება, ჩამოცვივდა, ჩამოცვივნული—და ჩამოცვენა, ჩამოცვინდება, ჩამოცვინდა, ჩამოცვენილი.—

ძართულ ენაში ორგვარი სახელზმნაა: ცვივნა და ცვენა—და შესაძლებელია ორივეგვარი ფორმები დავსტოვოთ.

41. მე დავრგვი, თუ დავრგავი?

მე დავრგავი, ჩვენ დავრგავით, შენ დარგავი, თქვენ დარგავით არ არის კანონიერათ ნაწარმოები ფორმა. დარგვა-ს მზგავსი სახელზმნები რომ ავიღოთ (მაგალ. დართვა, მორწყვა), ნამყო II ექნებათ მე დავრთე, შენ დართე, მან დართო, მე მოვრწყე, შენ მორწყე, ჩვენ მოვრწყეთ და სხ. ასე უნდა მიმოვხაროთ ზმნა დარგვა-ც: მე დავრგე, შენ დარგე, მან დარგო, ჩვენ დავრგეთ, თქვენ დარგეთ, მათ დარგეს,— როგორც მიმოიხრის ხოლმე კიდევაც ეს ზმნა იმერეთში. „ვისრამიან“-ში ნახმარია: „დარგე“ (შენ).

42. ვაწებ, და არა ვაწობ.

მე ვაწობ, შენ აწობ, ის აწობს, ჩვენ ვაწობთ და სხ.—იხმარება აღმოს. საქართველოში. ეს ზმნა ო-ნით კი არა, ე-ნით უნდა იწერებოდეს: ვაწებ, ვაწებთ და სხ. რუსთველს ნახმარი აქვს: „კალამი ნაღველთა ამონაწები“, და მთელ იმერეთშიც ე-ნით ხმარობენ.

ამისვე მზგავსათ ამერულ ფორმებს ვაძლობ, გავაძლობ და სხ. სჯობია იმერთა ფორმები ვაძლებ, გავაძლებ, გამოვაძლებ და სხ.—„ძილ.“-ში ნახმარია ვააძლებს (გვ: 111).

43. მეხსომება, თუ მეხსოვნება?

ზმნას მახსოვს-ს ბევრგვარი ფორმა აქვს სხვადასხვა დროში: მეხსომება, მემახსოვრება, მეხსოვნება, დავიხსომებ, დავიხსოვნებ, დამამახსოვრდა, დამამახსოვნდა, დამამახსოვრდებოდა, დამამახსოვნდებოდა და სხ.

მახსოვს არის მეორე მიმოხრის ზმნა—იმ ხასიათისა, როგორც, მაგალ., ზმნები მაქვს, მყავს. უკანასკნელ ზმნებს ზემოხსენებულ დროებში ის თანხმოვანები ახლავს, რომელზედაც მათი სახელზმნის საფუძვლები ბოლოვდება, ე. ი. ნ და ლ (ქონა—ყოლა): მექნება, მექნებოდა, მეყოლება, მეყოლებოდა, მეყოლა და სხ.

ამ კანონს უნდა დაემორჩილოს აგრეთვე ზმნა მახსოვს (სახელზმნაა ხსოვნა)— და მაშინ მისი ფორმები იქნება: მეხსოვნება, მეხსოვნებოდა, დავიხსოვნებ, დამა-
მახსოვნდა და სხ.

44. მე მოვიმკი, ის მოიმკის, მან მოიმკა.

ფორმები: მე მოვიმკობ, შენ მოიმკობ, მან მოიმკო და სხ.,—არ არის კანონიე-
რათ ნაწარმოები, როცა ამათი სახელზმნაა მომკა. მყოფადში ობ-ზე და ნამყო II-ში
მესამე პირში ობ-ზე ზმნა მაშინ ბოლოვდება, როცა სახელზმნა ება-სა და ობა-ზეა
დაბოლოებული: ქება, შემკობა—ვაქებ, შევამკობ, მან აქო, შეამკო. მომკა კი ისე
მიმოიხრის, როგორც, მაგალ., მოშლა (მოვიშლი, მოიშალა), მოთხრა (მოვსთხარი, მო-
სთხარა) და სხ.; მაშასადამე, ზემოხსენებული ფორმები იქნება: მე მოვიმკი, შენ მო-
იმკი, ის მოიმკის, მან მოიმკა.

45. ჟიდვა—გასაყიდი, და არა სყიდვა—გასასყიდი.

გასყიდვა, გასასყიდი და სხ. უკეთილზმოვანო ფორმებიცაა და უკანონოთაც ნა-
წარმოები. არის ზმნა ყიდვა (ყვიდულობ, ვიყიდე და სხ.), და რადგან ზმნებში კე-
თილზმოვანობისთვის შ-თან ს არ დაისმის (იხ. „კეთილზმოვანობა“) და მწერლობა-
შიც ეს ზმნა ს-ნით მეტათ იშვიათად იხმარება, ამიტომ უნდა დარჩეს ფორმები: ყიდ-
ვა, ვყიდი, ვყვიდულობ, გასაყიდი, საყიდელი და სხ. (სასყიდელი—არსებ. სახელია).
ს დარჩება მხოლოდ მოსყიდვა-ს ფორმებში: მოვისყიდე, მოსყიდული, მოუსყიდ-
ველი და სხ., რადგან მათ განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ.

ხმარობენ ფორმას გაუყიდავი-ს, რომელსაც, ჩემი აზრით, მეორე ფორმა გაუ-
ყიდველი სჯობია.

46 ვიღვწი, და არა ვიღწვი.

ზოგი მწერალი ხმარობს ფორმებს: მე ვიღვწი, შენ იღვწი-ო და სხ. ბგერა ვ
უნდა იჯდეს ლ-თან აქაც, როგორც სხვა ნაწარმოებ ფორმებში: ღვაწლი, მოღვაწე და
სხ.; მაშასადამე, უნდა ვიხმაროთ: ვიღვწი, იღვწი, იღვწის და სხ.

47. ვშოულობ, და არა ვშოობ

აღმოს საქართველოში ხმარობენ ფორმებს: ვშოობ, ვშოობ, ვშოობენ-ო და სხ.
როცა სახელზმნა ოპნა-ზე ბოლოვდება, აწყოში (და მისგან ნაწარმოებ დროებში)
მიმოხრაში მარცვალი ულ. ემატება: თხოვნა—ვთხოულობ, პოვნა—ვპოულობ; მაშა-
სადამე, შოვნა-ც ასე უნდა მიმოიხაროთ: ვშოულობ, შოულობ, შოულობს, ვშოუ-
ლობთ, ვშოულობდით და სხ.

48. მწამს, და არა მრწამს.

ტყუილათ უმატებენ რ-ს ზმნაში მე მრწამს, მას რწამს და სხ. რ ახლავს სახელებს
რწმენა, სარწმუნოება, რწმუნება, რწმუნებული.—ძველათ (საღვთო წერილში) იხმა-
რებოდა რ, მაგრამ ახლა თითქმის ყველა ასე მიმოიხრის: მწამს, გწამს, სწამს, მწამდა
და სხ. (უფრო ვრცელი დასაბუთება მე-II „დამატება“-ში ნახეთ).

49. განებება—დანებება, გატანჯვა—დატანჯვა.

თავი დამანებე და თავი გამანებე, —ორივე ზმნა შეიძლება ვიხმაროთ, მაგრამ
სხვადასხვა მნიშვნელობით: თავი გამანებე ნიშნავს მომშორდით, თავი დამანებე კი—

ე. ი. ჩემთვის დამაყენე, გამათავისუფლე, ან შენი თავი დამანებე (დამნებდიო).— იხმარება აგრეთვე ორივე თავსართით (ზა და ღა) სახელზმნა ტანჯვა: გატანჯვა და დატანჯვა; აქ თავსართი ზა სჯობია, როგორც შემდგომ ზმნებში: გაწვალება, გაწყვეტა, გაჟღერება და სხ. იმერეთში ამ ზმნაში უფრო თავსართი ღა იხმარება, და ამერეთში კი—ზა; „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი“ (ღვე. ბურამიშვილი).

50. მისთავაზა—უთავაზა.

მისთავაზაო, ხმარობენ ახლა მწერლობაში,—მაგრამ ამას უთავაზა ან მიუთავაზა სჯობია; კანონითაც ასე უნდა, რადგან ეს ზმნა ისე მიმოიხრის, როგორც მისი მზგავსი ზმნები: უბოძა (მიუბოძა), მიუტანა, მიუჩინა და სხ.; ბიორგამ მე მითავაზა, შენ გითავაზა, მას უთავაზა, ბიორგი მე მითავაზებს, მას უთავაზებს და სხ. როცა ზმნას პირველ პირში მი აქვს, მესამეში უ-ს მიიღებს.

51. მივაწიე, და არა მივაღწიე.

ახალ მწერლობაში თითქმის ყოველი მწერალი ხმარობს ფორმებს: მიღწევა, მივაღწიეო (ხან მიხწევა, მივახწიე) და სხ. საკვირველია, საიდან გააჩინეს ხმა ღ ამ ზმნაში! წმინდა ზმნა არის წევა და თავსართი მი (არის თავსართი ალ, მაგრამ აქ ის არაფერ შუაშია). წმინდა ხალხურ ენაში ყოველგან იტყვიან მიწევა, მივაწევ, მივაწიეო და სხ., აგრეთვე ძველ მწერლობაშიც ღ-ნით ეს ზმნა არსად არის ნახმარი.—ამ ზმნისავე მზგავსათ ხმარობენ: დაღწევა, თავი დააღწიაო (ან დახწევა, დაახწია) და სხ. ზემორეთქმულისამებრ, ღ-ს არც აქ აქვს ადგილი; თავის დაღწევის მაგიერ კი შეიძლება ვიხმაროთ გამოთქმანი: გათავისუფლება, თავის შველა და სხ., მაგალ. თავი ძლივს დავაღწიეო—ამის მაგიერ ვიტყვი: ძლივს გავითავისუფლე თავი, ძლივს ვუშველე თავს, ძლივს დავუსხლტი ხელიდან, და სხ. და სხ.—ღ-ანის მართლწერით შესაძლოა მივიღოთ მიღწევა, რომელიც განსხვავებული მნიშვნელობის ახალი ტერმინია (=достижение).

52. ვეახლები—ვიახლები.

მწერლობაში ზოგჯერ იხმარება ზმნის ხლება—საგან ფორმები: ვეახლები, ვეახელ, ეახლა და სხ. უმეტეს ნაწილათ კი ი-ნით ხმარობენ: ვიახლები, ვიახელ და სხ. ამ ზმნას ორნაირი მნიშვნელობა აქვს: საშუალო გვარისა და მოქმედებითი გვარისა, და, მართალია, საშუალო გვარის ზმნების ნიშანი ხმოვანი ე-ნია (ევედრები, ვმუსაიფები, ემხვეწები),—მაგრამ აღებულ ზმნაში გვარები მიმოხრაში სხვადასხვა დაბოლოებით გაირჩევა. როცა საშუალო გვარისაა, ეს ზმნა ასე მიმოიხრის: მე ვიახლები, შენ იახლები, ის იახლება და სხ., მე ვიახელ, შენ იახელ, ის იახლა, ჩვენ ვიახელით და სხ. ამგვართ მიმოიხრის ხალხშიც და უმეტეს ნაწილათ მწერლობაშიც (იხ. აგრეთვე „მეფხ-ში: „შენ ვიახლო სიკვდილამდის“,—„იგი ვიახლოს“). როცა მოქმედებითი გვარისაა, მაშინ ასე უნდა მიმოიხაროთ: მე ვიახლებ, შენ იახლებ, ის იახლებს და სხ., მე ვიახლე, შენ იახლე. მან იახლო, ჩვენ ვიახლეთ, თქვენ იახლეთ, მათ იახლეს. ზოგიერთ დროში ორივე გვარს ერთგვარი ფორმები აქვს: ვიახლო, იახლო, იახლოს, ვიახლოთ, იახლოთ, იახლონ; ამ შემთხვევაში გვარი მხოლოდ ქვემდებარის მართველობით გაირჩევა: მოქმედებითი გვარის ზმნა ქვემდებარეს მოთხრობით ბრუნვაში თხოულობს (მან იახლოს, ივანემ პეტრე იახლოს), საშუალო გვარის კი—სახელობითში (ის იახლოს, პეტრე ივანეს იახლოს).—ფორმები: ვიახლები, ვიახელ და სხ. ხან-

დახან მოქმედებითი გვარის მნიშვნელობითაც იხმარება: ხილს გაიხლებით, სადილი გაიხელით და სხ.

მ3. დამყნობა—დამყნა.

აპერეთში იხმარება ფორმები: მყნობა (დამყნობა), ვამყნობ, სამყნობი, ნამყნობი და სხ., იპერეთში კი—მყნა (დამყნა), ვმყნი, სამყენი, ნამყენი, დავმყენი, დავმყნათ და სხ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ორივე ფორმა მოყვანილი, ს.-ს მრბელინისა-ში კი—მარტო მეორე ფორმა, ე. ი. მყნა.—შეჯობესია მეორე ფორმა ვიხმაროთ, როგორც მარტივი, ადვილათ სატრიალებელი.

მ4. შეღებილი და შეღებული.

შეღებვა სახელზმნიდან მიმღეობა იქნება შეღებილი (კვერციხე წითლათაა შეღებილი), შეღება სახელზმნიდან კი—შეღებული (კარი შეღებითაა შეღებული).

მ5. გაათავისუფლა, და არა გაანთავისუფლა.

ფორმები: მე გავანთავისუფლე, შენ გაანთავისუფლე და სხ. უკანონოა; სრული თავსართია გან—და მაშინ იქნება ფორმები: განვათავისუფლე, განათავისუფლა და სხ.;—მაგრამ ეს ზმნა მოკლე თავსართით იხმარება (გა)—და, მაშასადამე, იქნება: გავათავისუფლე, გაათავისუფლე, გაათავისუფლა, გავათავისუფლეთ და სხე.

უკანონოთ იხმარება აგრეთვე ფორმები: ანცვიფრებს, გვანცვიფრებს და სხე.: ნ აქ უადგილოა.

მ6. ბატან, და არა გავატნევ.

ბატანება—მყოფ. დროი იქნება გავატან, მაგალ, შეებნელ ფიქრებს ქარს გავატან.

მ7. აღსარება (სრული მიმოხრა).

დასასრულ, საჭიროთ მიმამჩნია აქვე მოვიყვანო სრული მიმოხრა ზმნის აღვიარება-ისა, რომელსაც ახლა კანონიერი ფორმებით იშვიათად ხმარობენ. ჩვენს ახალ მწერლობაში იხმარება ფორმები: მე ვაღვიარებ, შენ აღვიარებ, ის აღვიარებს, მე ვაღვიარე, აღვიარებული, მეღვიარებია, მიღვიარებია და სხ.—და ყველა ეს უკანონოა.

აღსარება თავსართიანი ზმნაა—და ისე უნდა მიმოვხაროთ, როგორც სხვა თავსართიანი ზმნები მიმოიხრის,—მაგალითად—როგორც აღდგენა, აღვლენა, აღჭურვა, და სხ., სადაც ვ მხოლოდ პირველ პირში ჩნდება (როგორც პირველი მიმოხრის ყველა ზმნაში): მე აღვადგენ, აღვაღვლენ, აღვიჭურვები, ჩვენ აღვადგენთ, აღვაღვლენთ, აღვიჭურვებით, მე აღვაღვლინე, ჩვენ აღვაღვლინეთ, და სხ.; დანარჩენ პირებში კი ვ არ ახლავს: შენ აღადგენ, ის აღადგენს, თქვენ აღავლენთ, ისინი აღავლენენ, თქვენ აღავლინეთ, და სხ. მაშასადამე, აღსარება-ც ასე უნდა მიმოვხაროთ:

1. მე აღვიარებ, შენ აღვიარებ, ის აღვიარებს, ჩვენ აღვიარებთ, თქვენ აღვიარებთ, ისინი აღვიარებენ;

2. მე აღვიარებდი, შენ აღვიარებდი, ის აღვიარებდა, ჩვენ აღვიარებდით, თქვენ აღვიარებდით, ისინი აღვიარებდენ.

3. მე აღვიარე, შენ აღვიარე, მან აღვიარა, ჩვენ აღვიარეთ, თქვენ აღვიარეთ, მათ აღვიარეს;

4. მე აღვიარებია, შენ აღვიარებია, მას აღვიარებია, ჩვენ აღვიარებია, თქვენ აღვიარებიათ, მათ აღვიარებიათ;

5. მე აღვიარებ (და სხ., როგორც აწმყო);

6. მე აღვიარებდე, შენ აღიარებდე, ის აღიარებდეს, ჩვენ აღვიარებდეთ; თქვენ აღიარებდეთ, ისინი აღიარებდენ;

7. მე აღმეარა, შენ აღგეარა, მას აღეარა, ჩვენ აღგვეარა, თქვენ აღგეარათ, მათ აღეარათ; აგრეთვე: აღმეარებია, აღგეარებია, აღეარებია, აღგვეარებია, აღგეარებიათ, აღეარებიათ;

8. მე აღმეაროს, შენ აღგეაროს, მას აღეაროს, ჩვენ აღგვეაროს, თქვენ აღგეაროსთ, მათ აღეაროსთ; აგრეთვე: აღმეარებოის, აღგეარებოის, აღეარებოის, აღგვეარებოის, აღგეარებოისთ, აღეარებოისთ;

9. მე აღვიარო, შენ აღიარო, მან აღიაროს, ჩვენ აღვიაროთ, თქვენ აღიაროთ, მათ აღიარონ;

10. აღიარე! აღიაროს! აღვიაროთ! აღიარეთ! აღიარონ! ნუ აღიარებ! ნუ აღიარებს! ნუ აღვიარებთ! ნუ აღიარებთ! ნუ აღიარებენ! არ აღიარო! არ აღიაროს! არ აღვიაროთ! არ აღიაროთ! არ აღიარონ!

11. აღმსარებელი, აღსარებული, აღსარებელი.

ს ი ნ ო ნ ი მ ე ბ ი.

სინონიმები იმისთანა სახელებს ჰქვია, რომელსაც გამოთქმა სხვადასხვაგვარი აქვს, ხოლო მნიშვნელობით ან სულ ერთი და იგივეა, ან თითქმის ერთი და იგივე. სინონიმები სიტყვიერების ერთი იმისთანა ნაწევართაგანია, რომელიც სტილს ალამაზებს, აკეთილხმოვანებს. სმენისათვის ერთი სიტყვის ხშირათ გამოკრება უსიამოვნოა—და სინონიმებიც ამ შემთხვევაში უწვევს ენას სამსახურს.—ცხადია, სინონიმებს არაფერი აქვს საერთო ენის ფორმების მრავალგვარობასთან—და, მაშასადამე, ისინი ენაში აუცილებლათ უნდა დარჩენ. აქ მხოლოდ საყურადღებო არიან შემდეგი გარემოებანი:

1) ზოგჯერ სინონიმებს ერთმანეთში მნიშვნელობით სრულიად არავითარი განსხვავება არ აქვს: მაგალ. **ლოქო** და **ლღავი**, **თხმელა** და **მურყანი**, **კომში** და **ბია**, **თავთავი** და **თაველი** და სხ;

2) ზოგიერთებს კი, როცა კარგათ ჩაუტყვირდებით, მნიშვნელობაში მცირეოდენ განსხვავებას შევამჩნევთ,—მაგალ. **შიშველი** იმისთანაზე ითქმის, რომელსაც ტანზე მცირე რამე მაინც აცვია, ხორცი დაფარული აქვს, ხოლო **ტიტველი**—იმისთანაზე, რომელსაც სრულიად არაფერი არ აცვია (იხ. ს.-ს. **მარბელ**. ლექსიკ.).

აქიდან ცხადია, მწერლობაში მეორეგვარი სინონიმები ყველა უნდა დარჩეს, ხოლო იმ სინონიმებს შორის, რომელსაც სრულიად ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს, ერთერთი უნდა ავირჩიოთ და მწერლობაში ის დავსტოვოთ, რომელსაც ხმარებითა და გამოთქმით მეტი საფუძველი ექნება.

* *

თვეების სახელები ჩვენს ახალ მწერლობაში არეულათ იხმარება: ხან ევროპიულ სახელწოდებას ხმარობენ და ხან ხალხურს. რომისა და საბერძნეთის საშვალეებით კალენდრული ცნობები და მასთან თვეების სახელები, საზოგადოთ ყოველგან და აგრეთვე ჩვენშიც, ისე გავრცელებულა, რომ ხალხშიც და მწერლობაშიც რომაული სახელები უფრო ცნობილია, ვიდრე ქართული-ხალხური. მართალია, ხალხში და მწერლობაშიც ხშირათ იხმარებიან სახელწოდებანი თიბათვე ან ივანობისთვე, კათათვე ან კვიკობისთვე, მარიაშობისთვე, ეკენისთვე, ღვინობისთვე ან მწიფობისთვე, გიორგობისთვე, ქრისტეშობისთვე,—მაგრამ კიდევ უფრო ხშირათ იხმარება ხსენებული თვეების ევროპიული სახელწოდება: ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომ-

ბერი, ნოემბერი, დეკემბერი, და რადგან პირველი ხუთი თვის სახელწოდება (იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი) მაინც ევროპიული რჩება, სჯობია - მწერლობაში საერთოდ ევროპიული სახელწოდებანი დაესტოვოთ.

* *

არის რამდენიმე ცნება, რომლის გამოსახატავათაც აღმოს. საქართველოში ერთობ რთული ფორმებია შემოღებული, — მაგალ. კალმის დანა, ცხვირის დაცემინება, დიდდედა, თავთავი. ამათ მაგიერ უმჯობესი იქნება შემოვიღოთ მოკლეთ მოკრილი ფორმები, რომელიც იმერეთის ხალხში და ზოგჯერ მწერლობაშიც იხმარება: ჯაყვა, დაცხიკება (ხმაბაძვეთი სიტყვაა, ამ მოქმედების კარგათ დამახასიათებელი; ნახმარია „შილ.“-ში, გვ. 97), ბებია (ამასთან პაპა-ს მაგიერათაც ბაბუა უნდა ვიხმაროთ, როგორც ბებია-სთან გამოთქმითა და წარმოებით შეთანხმებული სახელწოდება), თაველი.

* *

რასაც ამერეთში თეფხს უწოდებენ, იმერეთში საინი ქვია. ეს სიტყვები ქართული ძირის არცერთი არ არის — და, ჩემი აზრით, სჯობია საინი დარჩეს სამწერლო ენაში. — აქვე უნდა ვსთქვა, რომ რუსული „ბლიუდო“-ს აღსანიშნავათ კარგი იქნება შემოვიღოთ სიტყვა ლანგარი, რომელიც თავისი მოყვანილობით და დანიშნულებითაც „ბლიუდო“-ს უტრის.

* *

ძვიჯა, როდინი და ავანდახტი: — ამ სამ სიტყვაში ყველაზე უფრო გავრცელებული და ადვილი სახმარია სიტყვა ძვიჯა — და მასთან, როგორც წმინდა ქართული ძირისა და უფრო ხშირათაც სახმარებელი, უმჯობესია დავსტოვოთ სიტყვა ქვასანაყი, ვიდრე ფილთაქვა.

* *

იმერეთში იხმარება სიტყვა ქური, ამერეთში კი ქვევრი. ჭური ძველ მწერლობაში არის ნახმარი (საღვთო წერილში), მაგრამ ახალ მწერლობაში უფრო გავრცელებულია სიტყვა ქვევრი, და სჯობია მწერლობაში იგი დაესტოვოთ.

* *

გასაღები თუ კლიტე? პირველი სიტყვის ფორმა არის მიმღობა; ქართულ ენაში ბევრია მიმღობა, რომელსაც სრულიად არსებითი სახელის მნიშვნელობა და სახე მიუღია, — მაგალ. საწერელი, სახურავი, სათიბი და სხ.; სიტყვას გასაღები-ს კი, როგორც არსებით სახელს, დღემდე ვერ მოუპოვებია მოქალაქობა, ასე რომ სმენას ეჩოთირება. ამასთანავე მეორე სიტყვა — კლიტე თუმცა ბერძნულია, მაგრამ დიდი ხნის გაქართულებულია, ხალხისა და მწერლობისაგან შეთვისებული, — და ის უნდა დარჩეს სამწერლო ენაში. — ს. ს. მრბელიანი კლიტეს ხმარობს (ნახეთ მისი ლექსიკონი და აგრეთვე „სიბ.-სიცი.“); „მეფხ.“-შიც კლიტეა ნახმარი გასაღების მნიშვნელობით და ბოქლომის მნიშვნელობითაც; აგრეთვე საღვთო წერილში (სახარ. მათესი, 16 — 19).

* *

ხმალი თუ ლეკური? ხანჯალი, თუ სატევარი? ძველ მწერლობაში ყოველგან ხმალი-ა ნახმარი; ახალ მწერლობაშიც ხმალი და ხანჯალი უფრო ხშირათ იხმარება, ვიდრე ლეკური და სატევარი, და სხვადასხვა ფორმაში ტრიალიც უფრო ამ სიტყვებს აქვს შეთვისებული: ხმლიანი, ხმალში გაწვევა, ხმალ-ხანჯალი, ქამარ-ხანჯალი, და-ხანჯვლა და სხ.

ძროხა, თუ ფურჩი? ძროხა წინათ საზოგადო სახელწოდება იყო—და ამბობდნენ: მამალი ძროხა, დედალი ძროხა-ო. ახლა კი ძროხა იმას ეწოდება, რასაც ამერეთში უფრო ხშირათ ფურს უწოდებენ. რადგან სახელწოდება ძროხა როგორც იმერეთში, ისე ამერეთშიც უფრო ცნობილია, მწერლობაში ის უნდა დარჩეს.—რა თქმა უნდა, ხალხის ენაში, ხალხურ ნაწარმოებში ყოველთვის ხალხური გამოთქმა უნდა დარჩეს—და შეუძლებელია, მაგალითად, გადასხვაფერდეს ხალხური ანდაზა: „მისთანა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს მოიწველიდეს“-ო. სახელწოდება ფური დარჩება აგრეთვე სიტყვებში: ფურ-ირემი, ფური კამბერი (ხარ-ირემი-სა და ხარ-კამბერის წინააღმდეგათ).

* *

საღვთო წერილში იხმარება კარაული და კიცვი, ხალხსა და მწერლობაში კი სახედარი და ვირი. საღვთო წერილის ენას ვერ შევეხებით, და სალიტერატურო ენაში კი სახელწოდება ვირი უნდა დარჩეს, როგორც ყველასგან ცნობილი სიტყვა (სახედარ-ს მარტო ამერეთში უწოდებენ, თუმცა იქვე სახელწოდება ვირიც იხმარება).

* *

სახელწოდება კრავი უფრო გავრცელებულია მწერლობასა და ხალხში, ვიდრე ბატკანი; კრავი თანასწორათ იხმარება როგორც ძველ მწერლობაში (საღვთო წერილში და სხ.), ისე ახალშიც—და უმჯობესია სალიტერატურო ენაში ეს სიტყვა ვიხმაროთ.

* *

სამწერლო ენაში უნდა დარჩეს თევზების სახელები წვერა, ხრამული და ღლა-ვი, წინააღმდეგ სიტყვებისა მურწა, ფიჩხული და ლოქო, რადგან ხმარებითაც და კეთილზმოვანობითაც უპირატესობა იმათ ეკუთნის.

* *

მულა (მულუ), თხუნელა და ფულუ:—მე მგონია, ამ სამ სახელწოდებაში მულა სჯობია დარჩეს, როგორც ადგილათ სახმარებელი ფორმა.

* *

ამერეთში რომ ხალხი ალუბალს უწოდებს, იმერეთში კვიზნას უწოდებენ (თათრული სახელწოდებაა); მწერლობაში უფრო ხშირათ ალუბალი-ა შემოღებული—და ესვე დარჩება.

* *

სახელწოდება ბია უფრო გავრცელებულია ხალხში, ვიდრე კოშში—როგორც იმერეთში, ისე ამერეთშიც (იმერეთში ხალხმა არ იცის, რა არის კოშში, ამერეთში კი სახელწოდება ბია ბევრგან არის ცნობილი); მწერლობაში თანასწორათ იხმარება ორივე სიტყვა, და რადგან კეთილზმოვანობითაც ორივე თანასწორია, მწერლობაში ის უნდა დარჩეს, რომელიც უფრო გავრცელებულია, ე. ი. ბია.

* *

იმერეთში იციან სახელწოდებანი ბუოლა, თხმელა, კოპიტი, —ამერეთში კი ამათ ეწოდებათ თუთა, მურყანი, იფნი; მაგრამ რადგან ამ მცენარეთა სამშობლო უფრო იმერეთია, ვიდრე ამერეთი, და იმერული ტერმინები უფრო გავრცელებულია, ამიტომ მწერლობაში უმჯობესია საერთოდ ბუოლა, თხმელა, კოპიტი ვიხმაროთ.

კაკალი თუ ნიგოზი? ამერეთში იციან კაკალი, იმერეთში კი—ნიგოზი. „კაკალი“ კიდევ ხეხილის მომსხო ნაყოფებს ეწოდება: ერთი კაკალი ატამი, ხუთი კაკალი ქლიავი, ათი კაკალი თხილი და სხ. და სხ.; ამასთან, სახელწოდება ნიგოზი ხალხში უფრო გავრცელებულია—და მწერლობაშიც ის დავსტოვოთ.

* *

საზამთრო, თუ ხაბურზაკი? სახელწოდება საზამთრო სრულიად არ შეეფერება ზაფხულში მოსავალ ნაყოფს, და რადგან ეს ხილი აზიიდან არის შემოსული, მწერლობაში იქაურივე სახელწოდება—ხაბურზაკი სჯობია დავსტოვოთ (პირველი ფორმა ხაბურზაკი ყოფილა, მაგრამ გამოთქმაში. ხალხს მეტათეზისი მოუხთენია—და ახლა უფრო ხშირათ ხაბურზაკი მოისმის).

* *

ტიკინა მეტათ უკეთილხმოვანო სიტყვაა (წარმომდგარი უნდა იყოს სიტყვის ტიკი-საგან); ამას სჯობია სახელწოდება დედოფალა (წარმომდგარი სიტყვის დედოფალი-საგან, რადგან დედოფალსავეთ რთავენ და აწყობენ). ეს სიტყვა დღეს ხშირათ იხმარება ჩვენს მწერლობაში, მხოლოდ ხშირათ უკანონოთ აბრუნებენ მას (იხ. გვ. 8).

* *

მამლის ბოლო, ქათმის ბოლო-ო, ხმარობენ ხშირათ ჩვენს მწერლობაში; უმჯობესია სახელწოდება კუდი ვიხმაროთ როგორც ოთხფეხის, ისე ფრინველების შესახებაც, რადგან ხალხიც ყოველგან უფრო ხშირათ ასე ხმარობს და მწერლობაშიც უმეტეს ნაწილათ კუდი იხმარება, ბოლო (და დასასრული) საქმის, აზრის ან ადგილის შესახებ ითქმის: ბოლოს, როგორც იქნა, დავითანხმე, სოფლის ბოლოსა და სხ. ხალხი ფრინველების კუდს ბოლოს ყოველგან მხოლოდ ზოგიერთი ფრინველის სახელებში უწოდებს: ბოლოშავი, ბოლოწითელი...

* *

იმერეთში რომ ჭაჭას უწოდებენ (ჭაჭის ავთამყროფობა, ჭაჭის ანთებაო და სხ.), ამერეთში თირკმელს უწოდებენ. მართალია, ახალ მწერლობაში პირველი სახელწოდება თითქმის უფრო ხშირათ იხმარება, ვიდრე მეორე, მაგრამ თირკმელს ის უპირატესობა აქვს, რომ მარტო ერთ საგანს აღნიშნავს, სხვა მნიშვნელობა არ აქვს (ჭაჭა კი ყურძნის ნაწურსაც ეწოდება),—ამიტომ მწერლობაში თირკმელი უნდა დარჩეს.

* *

ამერეთში ელენთა, ხან ტყირპი იხმარება, იმერეთში კი—ტყლიპი; ეს უკანასკნელი უფრო გავრცელებულია—და სამწერლო ენაში ის უნდა დარჩეს.—ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონით, ელენთა ღორთა და თევზთა ტყლიპს ეწოდება.

* *

პლანი და გეგმა—ორივე უცხო ენიდან შემოტანილი სიტყვებია; გეგმა თუმცა უფრო წინათ არის ჩვენს ენაში შემოსული, მაგრამ დღემდე თითქმის არავინ ხმარობს მას (განსაკუთრებით ხალხში); სახელწოდება პლანი კი ლამაზი სიტყვაა და ძალიან გავრცელებულიც, მასთან ხმარებაშიც (სხვადასხვა ფორმაში) მოქნილი: მოპლანვა, გაპლანვა, მოპლანული, მოხაპლანავი და სხ.; ამიტომ სჯობია ყოველთვის პლანი ვიხმაროთ.

* *

ტყუილათ აუხირდენ სიტყვას ჩანჩქერი-ს—და მწერლობას ახალი სახელები მიწოდეს, მაგალითად ჩახჩიალა და სხ. სიტყვა ჩანჩქერი ხალხურიცაა და გამოთქმითაც

თავისი შინაარსის კარგათ დამახასიათებელი; მასთან იმდენათაც გავრცელებულია, რომ ახლა მისი გამოცვლა, საჭიროც რომ იყოს, ძალიან გაჭირდება.

* *

სიტყვის **ბულბული**-ს მაგიერ ძველ მწერლობაში იადონი იხმარებოდა. ხალხში ამ ფრინველს დღესაც აქა-იქ (მაგალ. ბურიაში) გაიადონას უწოდებენ (ბერძნული სიტყვის ჰადონ-იდან). მაგრამ სახელწოდება **ბულბული** ხალხსა და მწერლობაში იმდენათ გავრცელებულია, რომ მისი განდევნა შეუძლებელია, და არც საჭიროა, რადგან **ბულბული** ძალიან კეთილხმოვანი სიტყვაა.—ს.-ს. ორბელიანი იადონს უწოდებს იმ მაგლობელ ფრინველს, რომელსაც რუსები „კანარეიკას“ უწოდებენ (იხ. მისი ლექსიკონი და აგრეთვე „სიბ.-სიც.“); მაგრამ, ჩემი აზრით, ამნაირათ სიტყვის აზრის შეცვლა მეტიმეტი თვითნებობა იქნება; „კანარეიკას“, როგორც უცხო ქვეყნის ფრინველს, ჩვენში ვერ იცნობენ—და, მაშასადამე, არც სახელი ექნებოდა ხალხში. ღღეს შეიძლება რაიმე ახალი, განსხვავებული სახელი ვუწოდოთ მას, ძველი სახელის გადასხვაფერება კი—ისტორიის შებლაღვათ ჩაითვლება.

* *

ხელსახოცს ამერეთში იმას ეძახიან, რასაც იმერეთში **ცხვირსახოცი** ეწოდება; იმერეთში **ხელსახოცი** ქვია ჭამაში **ხელის შესახოცს**. ეს უკანასკნელი მნიშვნელობა ამ სიტყვისათვის, რა თქმა უნდა, უფრო შესაფერია. ცხვირის მოსახოცისათვის კი არის ხალხური სიტყვა **ცხვირსახოცი**—და ის უნდა დარჩეს მწერლობაშიც (ძველებური სიტყვა **ხელმანდილი** ძნელი გასავრცელებელია). თავზე გადმოსაფარებელ ცხვირსახოცს **თავსაფარი** ეწოდება.

* *

ზედსართავის **მთელი**-ს სინონიმი **სალი** არ არის სახმარებელი შემდეგ ფორმებში: **ჯანსალი**, **ტანსალი** და სხ. (ამათ მაგიერ უმჯობესია ვიხმაროთ კეთილხმოვანი ფორმები **ჯანმთელი**, **ტანმთელი**)—და ზმნაში **გასაღება** (**გამთელების** მაგიერ), რადგან **გასაღება** კიდევ თავიდან მოცილებას, გაყიდვას ნიშნავს.

* *

მასწავლებლის მაგიერ ზოგჯერ სიტყვა **ოსტატი** იხმარება; მაგრამ **ოსტატი** უფრო ხშირათ ნიშნავს **მოხელეს**, **ხელოსანს**, აგრეთვე **მოხერხებულ კაცს** (**ოსტატურათ** მოიქცა, **იოსტატა**, **დაუოსტატდა** და სხ.)—და უმჯობესია იგი ყოველთვის ამ მნიშვნელობით ვიხმაროთ. სწავლის მოძღვრისათვის კი უნდა დარჩეს სახელწოდება **მასწავლებელი**—და აქიდან წარმოდგება სიტყვა **სამასწავლებლო**, ასე რომ უნდა ითქვას: **სამასწავლებლო** (და არა **საოსტატო**) ინსტიტუტი, **სამასწავლებლო** სემინარია და სხ.

* *

ცეკვის მაგიერ ამერეთში სიტყვა **თამაში** იხმარება. ჰველა ცნობილ ენაში ცეკვის აღსანიშნავათ განსაკუთრებული სიტყვა არსებობს; ხოლო **თამაში** ყველა დანარჩენ სათამაშოზე ითქმის: **ბურთის**, **ბანქოს**, **ნარდის**, **ჭადრაკის** და სხ.—მაშასადამე უნდა ვიხმაროთ: **ვცეკვავ**, **ცეკვავს**, **ცეკვავენ** (და არა **ცეკვაობს**, **ცეკვაობენ**), **ცეკვა**, **საცეკვარი** (და არა **საცეკვაო**) საღამო და სხ.

* *

ჩვენს ახალ მწერლობაში ხშირათ ხმარობენ: **კურსი დაამთავრა**, **კურსდამთავრებული**, **საქმე დამთავრა** და სხ. უფრო ხალხური და საყოველთაოა სიტყვა **დასრულება**, **გათავება**—და ზემოხსენებული გამოთქმანი ასე. სჯობია ვიხმაროთ: **კურსი დაა-**

სრულა (გინდ შეასრულა, გაათავა), კურსშესრულებული, საქმე შესრულდა, გათავდა და სხ.

* *

იმერეთში იტყვიან: ივანე კარგათ ეცინის ლაპარაკში პეტრესო, აბა ერთი გასცინე პეტრესო, ივანემ პეტრეს გასცინაო და სხ.; ამავე აზრით ამერეთში ზმნა გაჯავრება იხმარება: ივანე აჯავრებს, ივანემ გააჯავრა, გააჯავრეო და სხ. ამ სიტყვის დედააზრი ის არის, რომ ვისსამე ჩვეულებრივს რამე მოქმედებას დიდი მიმზგავსებით გამოხატავს ვინმე—და გამოხატავს სახუმროთ, გასართობათ, სასაცილოთ, და არა შესაწუხებლათ, წყენისა და ჯავრის გამოსაწვევათ. ეს დედააზრი იხატება ამ ცნების იმერულ სახელწოდებაში—და მწერლობაში ის უნდა ვიხმაროთ.

* *

მწერლობაში არ არის შესაწყნარებელი ზმნები: მე ვშველი, ის მშველის, მე ვუშველე, მიშველე და სხ. (ჩვეულებრივი მოხმარების აზრით) და წავასხით, წავასხამთო და სხ. (მაგალ. ჯოგი წავასხით, ცოლ-შვილი უნდა წავასხაო და სხ.). ამათ მაგიერ უმჯობესია ვიხმაროთ ზმნები: მიხმარება (მე ვეხმარები, ის მეხმარება, მე მოვეხმარე, მომეხმარე და სხ.) და წარეკვა (ზოგ შემთხვევაში წაყვანა, სახელდობ როცა ადამიანებზე ლაპარაკი),—მაგალითად: ჯოგი წავრეკეთ, ცოლ-შვილი უნდა წავიყვანო და სხ.—შველა მაშინ ითქმის, როცა დიდ გასაჭირში, განსაცუთელში მყოფისათვის დახმარების ამოჩენას ნიშნავს,—მაგალითად, როცა ვისმე კლავენ, სცემენ, ვინმე იხჩობა და სხ., მხოლოდ ამისთანა გარემოებაში ითქმის: უშველეთ, მიშველეთო და სხ.

* *

ზოგჯერ უამიო ხმარობენ, დროის მაგიერ; სჯობია—საერთოდ დრო ვიხმაროთ, რადგან უამი კიდევ შავჭირსაც ნიშნავს; უამი მხოლოდ საღვთო წერილის ენაში დარჩება (რაჟამს და სხ.) და სამწერლო ენაშიც შემდეგ ფორმებში: ამუამათ, იმუამათ, მრავალუამიერ.—არ არის შესაწყნარებელი ორკეცი ფორმაც დრო-უამი, რომელიც ახალ მწერლობაში შემოიღეს.

* *

იმერეთში იხმარება სიტყვა აწი, რომელიც ნიშნავს: ამას შემდეგ, დღეის შემდგომ, მომავალში. ძველ ენაში აწ (და არა აწი) ახლა-ს ნიშნავს და აწინდელი—ახლანდელ-ს, მაგრამ ზმნისართი აწი ისე მოკლეთ და ლამაზათ ხატავს განსხვავებულ აზრს, რომ საქირაო მწერლობაში იმერული მნიშვნელობით მისი შემოღება, მით უფრო რომ სიტყვებს აწ და აწინდელი-ს მაგიერ გვაქვს სიტყვები ახლა და ახლანდელი (ან დღეს, დღევანდელი და სხ.).

* *

წამი და წუთი. ბევრი ამ ორ ცნებას ერთმანეთში ურევს: წამი უფროსი ერთეულია, ე. ი. საათის მე-60 ნაწილი, ხოლო წუთი—უმცროსი, ე. ი. წამის მე-60 ნაწილი (ნახ. ორბელ. ლექსიკ.).

* *

ასანთი, წუმწუმა. ძველათ წუმწუმა ან წუნწუმა გოგირდის სანათს ან პირდაპირ გოგირდს ნიშნავდა, და ეს ცნება განსხვავებულია იმისგან, რასაც დღეს ფრანგები allumette-ს და რუსები сннхка-ს უწოდებენ. ახალი ტერმინი ასანთი ფრანგულის მზგავსათ არის ნაწარმოები და თავისი ფორმითაც ხალხში ადვილი გასავრცელებელია.

ქანდელი და შუქურა. ზღვის სანათურის (МАРИК-ის) აღსანიშნავათ ქართულათ ჯერ **ქანდელი** შემოიღეს, ხოლო დღეს **შუქურა**-ს უწოდებენ. **შუქურა** ლამაზი სიტყვაა, მაგრამ იგი ჩვენს პოეზიაში ხშირათ სხვა ცნების გამოსახატავათ იხმარება (**შუქურა** ვარსკვლავი-ო და სხვ.)—და, მე მგონია, ზევით აღნიშნული ცნების ტერმინათ **ქანდელი** სჯობია დავსტოვოთ.

* *

ქარანდაში და ტანქარი. ორივე სახელწოდება უცხო ენის ძირისაა, მაგრამ **ტანქარი** დღემდე ხალხისათვის გაუგებარია—და სჯობია **ქარანდაში** მივიღოთ (და არა **ქარანდაში**, რადგან რუსებს კ-ანით იმიტომ შემოუღიათ, რომ ბგერა **შ** არ აქვთ, და **ქარა** კი ოსმალურათ **ქ**-არით გამოითქმის და შავსა ნიშნავს).

* *

თუთუნი და თამბაქო. მართი ოსმალური სიტყვაა, მეორე—ევროპული ძირისა. ჩემი აზრით, ხალხში ორივე სიტყვა ერთნაირათაა გავრცელებული (**თუთუნი** — უფრო დასავლ. საქართველოში, **თამბაქო**—აღმოსავლეთისაში); მაგრამ **თამბაქო**-ს ინტერნაციონალური ხასიათი აქვს და გამოთქმითაც უფრო შნოიანია—და შესაძლოა საერთოდ ის მივიღოთ.

* *

ჭარო, ფოცხვი, ზღვის ფირფატი—ასეთი სახელები უხმარიათ ქართულ მწერლობაში იმ ფრინველის აღსანიშნავათ, რომელიც ზღვას ელტვის და გემებს თავს დასტრიალებს (რუსულათ **Чайка**).—ძობულეთში ერთმა ქართველმა მამადიანმა მითხრა, რომ ჩვენ ამ ფრინველს **ჭინო**-ს ვეძახითო; მეორემ გადმომცა, რომ **ჭარო**-ც გამოგონიაო.—მე მგონია—**ჭარო**, რაკი ძველათაც უხმარიათ და გამოსათქმელათაც მარტივი და შნოიანია, იგი უნდა მივიღოთ. ორბელიანის აღწერითაც (იხ. მისი ლექსიკონი) სახელწოდება **ჭარო** მართლდება.

* *

ნადუღარი წყალი თუ **გადადუღებული წყალი**?—ჩვენმა დღევანდელმა აქიმაებმა უხეირო ტერმინი შემოიღეს იმ წყლის აღსანიშნავათ, რომელიც რაიმე სენის (მაგ. ხოლერის) დროს ხალხმა უნდა სვას: **გადადუღებული**-ო (ოუსულიდან ასე სთარგმნეს); მაგრამ **გადადუღება** (როგორც **გადაწერა** და სხვ.) **ხელახლა** ადუღებას ნიშნავს, და აქ კი ის აზრია, რომ წყალი ერთხელ უნდა აადუღონ, გააცივონ და ისე დალიონ. ასე მომხადებულ წყალს ტერმინი **ნადუღარი** სრულათ ხატავს: **ნადუღარი** აღნიშნავს, რომ სასმელათ მომზადებულმა წყალმა (გაცივებულმა) **დუღილი უკვე განიცადა**.—ზოგი ამბობს **მოხარული წყალი**-ო! წყალი თვით ხარშავს სხვადასხვა საგანს, ხოლო თვითონ კი არ **იხარება**, არამედ **დუღს**.

* *

მესამოცე წლები, თუ სამოციანი წლები?—სუფიქსი **იანი** რისამე ქონას აღნიშნავს,—მაგ. **ჩოხიანი**=ჩოხის მექონი, **ჩოხით** გამოწყობილი,—**სევდიანი**=სევდის მექონი, და სხვ.; ტერმინი **სამოციანი** კი ამ ცნებას არ შეიცავს.—როდის მოხთა ეს ამბები? ამ კითხვაზე უნდა აღინიშნოს, თუ რომელიმე საუკუნის მერამდენე ათეული იყო წლებისა, როცა რაიმე ამბები მოხთა; მაშასადამე, პასუხი **რიგითი** ფორმის რიცხვითი სახელით უნდა გამოიხატოს: **მესამოცე, სამოცდამეთე, მეოთხმოცე წლები** (და არა **სამოციანი** ზ სხვ.). **სამოციანი** ქვევრი მაქვსო, ხალხში იტყვიან, ე. ი. **სამოცჩაფიანი**-ო; ხოლო **სამოციანი წლები** უხეირო თარგმანია რუსული „шестьдесятые годы“-სა.

* *

მერწყული, თუ მეწყლე?— ძველათ მერწყული ტერმინი უხმარიათ და ხალხი დღესაც ხშირათ ასე ხმარობს— და გამოთქმითაც მერწყული სჯობია.

* *

ბოლოს, და არა დაბოლოს:— კავშირი და დასაბოლოებელი სიტყვის ბოლოს-თვის მიუმატებიათ (და ბოლოს)— და ახალ მწერლობაში ზოგიერთი მწერალი ხმარობს უკანონო ტერმინს დაბოლოს-ს. რასაკვირველია, ბოლოს ან დასასრულ უნდა.

ზოგიერთი სიტყვის მართლწერა.

ანგელოზი იწერება აგრეთვე ანგელოსი; ბერძნული სიტყვაა და ს-ნით ბოლოვდება, მაგრამ ჩვენი ენის თვისებით უფრო ზ შეშვენის, როგორც სახელებში: ნიკოლოზი, ფარნაოზი და სხ.

* *

ხმარობენ აქედ, იქედ, აქეთ, იქეთ, აქით, იქით. ძველ მწერლობაში ეს ზმნისართები ყოველთვის თ-ზე ბოლოვდება. ღლევიანდელ მწერლობაში უფრო ხშირათ მართლწერა აქეთ—იქით იხმარება. ჩემი აზრით, ორივე ეს ზმნისართი ერთნაირათ უნდა ბოლოვდებოდეს, ან მთ-ზე და ან ით-ზე; რადგან ზმნისართს იქით-ს ახლა თითქმის ყველა ით-ზე აბოლოებს, მეორე ზმნისართიც სჯობია ით-ზე დავაბოლოოთ, როგორც იხმარება კიდევაც იმერეთში, — და საერთოდ ვიხმაროთ ფორმები: აქით, იქით, აქითა, იქითა, აქითური, იქითური, აქიდან, იქიდან, აქითკენ, იქითკენ და სხ.

* *

ძალიან გავრცელდა ახალ მწერლობასა და ხალხში გამოთქმა ექიმი, ექიმობა, ექიმობს, საექიმო და სხ. ძველ მწერლობაში („ვისრ.“, „ვეფხ.“, „სიბ.-სიც.“ და სხ.) ყოველგან ა-ნით იხმარება ეს სიტყვები, და რადგან ა-ნიანი ფორმა დღესაც ხალხში ბევრგან ცრცხალია, მწერლობაში უმჯობესია ვიხმაროთ ფორმები: აქიმი, აქიმობა და სხ.— ძართულ ენაში ეს სიტყვა ორნაირი გამოთქმით უთუოთ იმიტომ შემოუღიათ, რომ სპარსულში, საიდანაცაა იგი ჩვენი ვადმოტანილი, დასაწყისის ხმოვანი ისე გამოითქმის, რომ ა-სა და მ-ს შუა რალაც საშვალო ხმა მოისმის.

* *

სადაც იმერეთში მ-ს ხმარობენ (წევიდა, წეილო და სხ.), ამერეთში ა-ნი იხმარება (წავიდა, წაილო); ზოგჯერ კი უკულმა იხმარება, ე. ი. ამერეთში მ (ეხლა, ემ საათში, ეგ), იმერეთში ა (ახლა, ამ საათში, აგი).— ახლა სიტყვის ახალი-სგან წარმოდგება, რომელიც ყოველთვის ა-ნით იწერება; ძველ მწერლობაშიც ეს სიტყვა ყოველგან ა-ნით არის ნახმარი („ვისრ.“, „ვეფხ.“, „სიბ.-სიც.“, „ძილ.“ და სხ.)— და მწერლობაში საერთოდ უნდა ვიხმაროთ ფორმები: ახლა, ახლავე, ახლანდელი.

* *

მართლწერა ეჭვი უფრო ხშირათ იხმარება, ვიდრე იჭვი: „ვისრ.“-სა და „ვეფხ.“-ში ყოველგან ნახმარია მართლწერა ეჭვი; — აშკარა მ ჩანს სიტყვებში: ვეჭვ, ვეჭვობ, უეჭველათ.

* *

კავშირის თორემ-ის ამ მართლწერას მართლწერა თვარა სჯობია, როგორც იხმარება ყოველგან იმერეთში და როგორც უმეტეს ნაწილათ ძველ მწერლობაში იხმარებოდა. „ვეფხ.“-ში ნახმარია თვარემ და უფრო ხშირათ თვარა („ვეფხ.“-ში ერთ

ადგილას შემოკლებულათაც არის ნახმარი ეს კავშირი, ე. ი. ფორმა **თვარ**, როგორც ხშირათ იხმარება იმერეთში), „ვისრ.“-ში **თუარა** და **თვარა**. ეს კავშირი ორი სიტყვი-საგან არის შედგენილი: თუ+არა=თუარა, რომელიც შემდეგ გამოთქმაში **თვარა**-თ შემოკლდა (თა=ვა, როგორც საშუალება=საშვალება, გუარი=გვარი).

* *

კათალიკოზი:—იწერება აგრეთვე **კათოლიკოზი**. ამ სიტყვას ერთი ძირი აქვს სიტყვას **კათოლიკე**-სთან (ბერძნული ენიდან)—და, მაშასადამე, **ო**-ნით წერა უფრო კანონიერია, —მაგრამ მწერლობაში უფრო ხშირათ მართლწერა **კათალიკოზი** იხმარება (მაგ. ვახუშტის გეოგრ. და სხ.).

* *

კამბეჩი, თუ **კამეჩი**? უფრო ხშირათ, ხალხშიც და მწერლობაშიც **კამბეჩი** იხმარება (ამერეთში ორივე გამოთქმა მოიხმის, იმერეთში კი —**კამბეჩი**); „ჭილ.“-ში **კამბეჩი**-ა ნახმარი, აგრეთვე ვახუშტის „ისტორია“-სა და „გეოგრ.“ და ს. ორბ. „სიბ.-სიც.“-ში.

* *

კიპრუჭი-ო, ხმარობს ხალხი ამერეთში—და აგრევე იხმარება მწერლობაშიც. იმერეთში ამ სიტყვის გამოთქმა **კრიპუჭი** იხმარება—და მე შგონია საერთოდ ასე სჯობია ვიხმაროთ.

* *

გამოთქმას **შელავათი** და **შალავათი**-ს სჯობია **სალავათი**, როგორც ამბობენ ამ სიტყვას იმერეთში, რადგან ადვილი გამოსათქმელიც არის და ადვილათ სახმარი სხვადასხვა ნაწარმოებ ფორმაში: შესალავათება, შემისალავათა, შესალავათებული და სხ.; წარმოებ-თაც ეს ფორმა არავითარ უკანონობას არ წარმოადგენს, რადგან **შ** და **ს** ერთმანეთში ხშირათ იცვლება: შინჯვა—სინჯვა, შკოლა—სკოლა და სხ.

* *

შელავათის მზავსათ ამერეთში ამბობენ **შეჭამალი**; აქ **შმ**-ს ადვილი არ უნდა ქონდეს, რადგან ამ სიტყვას მყოფადი დროის მიმღეობის ფორმა და ხასიათი აქვს, როგორც, მაგალ., სიტყვებს **საჭმელი**, **სახმელი** და სხვ., სადაც ყოველთვის თავსართი **ს** ახლავს. გამოთქმა **საჭამალი**, რომელიც იმერეთში იხმარება, კანონიერიც არის და მასთან უფრო კეთილხმოვანიც. —ეს მართლწერაა ნახმარი „ვისრ.“-შიც. ძველათ იხმარებოდა ფორმა „სასმალი“, რომელიც ისეა ნაწარმოები, როგორც „საჭამალი“ (იხ. „ვისრამ.“); „ვეფხ.“-ში კი „შეჭამალი“-ა ნახმარი.

* *

სრულიად გაუგებარია, საიდან გამოჩნდა თავში **მ** სიტყვაში **მსწავლული**; ეს არსებ. სახელი წარმოადგენს ნაყო დროის ვნებით მიმღეობას, სადაც თავში **მ** არაოდეს არ ემატება (ნახვა—ნახული, ხილვა—ხილული და სხ.); მაშასადამე, სახელზმნის **სწავლა**-სგან ნაყო დროის ვნებითი მიმღეობა **სწავლული** იქნება, რომელიც ამავე ფორმით არსებ. სახელათ გადაქცეულა, როგორც მაგალ. წყლული, წერილი და სხ.

* *

აღმოს. საქართველოში ხმარობენ სიტყვას **უჩუმრათ**, რომელსაც ზმნისართის **ჩუმათ**-ის მნიშვნელობას აძლევენ. თუ ფორმა **უჩუმრათ** შეიძლება ვიხმაროთ, იმას **ჩუმათ**-ის მნიშვნელობა კი არ ექნება, არამედ სრულიად წინააღმდეგი, რადგან წინ

უარყოფითი ნაწილაკი უ უზის, — როგორც მაგალითად: უჩინრაოთ, უტყუერაოთ, უტირ-
ლაოთ და სხ. და სხ.

* *

სიტყვა ყველაფერი ჩვენს მწერლობაში მრავალი ფორმით იხმარება: ყოველი-
ფერი, ყოველისფერი, ყოვლიფერი, ყოლიფერი და სხ (ყველაფერი ამერეთში უფრო
იხმარება, დანარჩენი ფორმები კი — უფრო იმერეთში). ეს სიტყვა რთულია, ორი სი-
ტყვისგან შედგება: ყოველი და ფერი. როცა ვამბობთ ყოველიფერიო, თითოეული
სასაუბრო საგანი ცალცალკე და ბოლოს ერთად შეგროვებული უნდა ვიგულისხმოთ;
სიტყვით ყველაფერი კი (= ყველა ფერი) პირდაპირ ყველა სასაუბრო საგანს ერთად
აღებულს ვგულისხმობთ, და რადგან ამ სიტყვაში სწორეთ ეს უკანასკნელი მნიშვნე-
ლობა იხატება, ამიტომ გამოთქმა ყველაფერი სჯობია.

* *

ჟურდღელი, ყურდღელი, ყურდგელი. შესამე ფორმა უფრო კანონიერია:
ჟ-არით უნდა იწყებოდეს, რადგან ეს სახელწოდება სიტყვების ყური და გძელი-საგან შე-
დგება, და ლ-ზე უფრო აქ ადგილი ბ-ს უნდა ქონდეს (ბძელი).

* *

ამერეთში და მწერლობაშიც ხშირათ ხმარობენ ფორმებს: შეხვრეტა, შეხვვრი-
ტე, შეხვრეტესო და სხ., როცა რაიმე წვნიანის შექმას ან შესმას აღნიშნვენ. ეს სი-
ტყვა ხმაბაძვითად არის ნაწარმოები და აქ უფრო ხმა ვ მოისმის, ვიდრე ტ; ამასთან
სიტყვას შეხვრეტა-ს კიდევ სხვა მნიშვნელობაც აქვს (როსამე გახვრეტა, გაბურღვა), და
ამიტომ მწერლობაში ფორმა შეხვრეტაა, მოხვრეტა და სხ. სჯობია დარჩეს, როგორც
იმერეთში და ხშირათ მწერლობაშიც იხმარება.

* *

თუმცა ძველსა და ახალ მწერლობაში: სახელწოდება ცუღლი იხმარება, მაგრამ
რადგან იმერეთში ამ გამოთქმაში ცუღი მნიშვნელობა იხატება, სჯობია მწერლობაში
ეს სიტყვა იმერული გამოთქმით შემოვიღოთ, ე. ი. ვიხმაროთ ფორმა ცუღლი, მით
უფრო რომ მეორე ამგვარი სახელწოდებაც, სახელდობ წაღლი, ამ სიტყვისვე მზგავ-
სათ არის ნაწარმოები. — „ძილ.“-ში ცუღლი-ა ნახმარი. (გვ. 294).

* *

წავაწყლი, წააწყდა, წაწყდომაო, იხმარება მწერლობაში და ზოგან ხალხშიც
(აღმ. საქართვე.). არის ამ ზმნის მეორე ფორმაც: წავატყლი, წატყდომა და სხ., რომე-
ლიც მწერლობაში იშვიათად იხმარება, მაგრამ ხალხში კი ხშირათ (განსაკუთრებით
დასავლ. საქართველოში). წაწყდომა კიდევ სხვა მნიშვნელობითაც იხმარება (საშეალო
გვარის სახელზმნაა წაწყდომა, მოქმედებითის — წაწყმედა), და მეორეც — მოქმედებას
ტყდომას უფრო აქვს აქ მნიშვნელობა (თავს წავატყლი, ე. ი. თითქო თავს გადავე-
მტერიე, გადავეჩხეო), ვიდრე წყდომა-ს.

* *

ჭიანჭველი თუმცა კანონიერი წარმოებით ჟ-რით უნდა იწერებოდეს (ჭია-საგან),
მაგრამ ფონეტიკური კანონის ძალით, რომელიც „კეთილხმოვანობა“-ის თავშია განმარ-
ტებული, ორი ჟ ერთ სიტყვაში კეთილხმოვანობას ეწინააღმდეგება, და ამიტომ მწერ-
ლობაში უმჯობესია ფორმა ჯიანჭველა, ვიხმაროთ, — მით უფრო, რომ მთელ იმერეთში
ასე იხმარება და მწერლობაშიც ამ სიტყვას სანახევროთ ჯ-ნით სწერენ. — მსვე უნდა

ეს თქვათ სიტყვის **ჯინჭარი**-ს შესახებაც, რომელიც ამ მართლწერით უკეთესია, ვიდრე **ჭინჭარი**. — „სიბ.-სიც.“-ში **ჯინჭველა**-ა ნახმარი, „ძილ.“-ში — **ჯინჭველი**.

* *

არ არის შესაწყნარებელი ფორმები **ზოგიერთა**, **მთხოვარა**, რადგან მნიშვნელობით ეს ფორმები არაფრით განსხვავდება **ზოგიერთი**-ს და **მათხოვარი**-ს, ფორმები-საგან, რომელიც ბევრათ უფრო გავრცელებულია.

ორგვარი დაბოლოებით (ა-ნითა და ი-ნით) ხმარობენ აგრეთვე სახელებს: **ჯინჭველა**, **წიფელა**, **კალათა**, **პეპელა**, **ტომარა**; **ტიტველი**, **შიშველი**, **წიწილი**;— მაგრამ უმეტეს ნაწილათ ისე იხმარება, როგორც ჩვენ მოგვყავს (პირველი 4 ა-ნით, უკანასკნელი 3 კი—ი-ნით). **ტიტველა** და **შიშველა** ხმნისართებათ ითქმის, მაგალითად: ბავში **ტიტველა** დარბოდა (რა სახით დარბოდა?).

რთული სიტყვების მართლწერა:

ჩვენს მწერლობაში თითქმის ყოველგვარს რთულ სახელს შუახაზით სწერენ: ხელწერილი, ქვა-ნახშირი, ყოფა-ქცევა, ავლა-დიდება, სახლ-კარი, პირ-და-პირ, სხვა-და-სხვა, ცხენის-წყალი, მთა-წმიდა, ტან-დაბალი და სხ. და სხ.

რთული სიტყვების მართლწერის შესახებ შემდეგი კანონით უნდა ვიხელმძღვანელოთ: თუ რომ რთული სახელი თავისი შინაგანი აზრით ერთ საგანს, ერთ ცნებას აღნიშნავს, როგორც ყოველი ერთი აზრის მექონი სახელი, უხაზოთ უნდა ვსწეროთ, — და თუ რთული სახელის თითოეულ ნაწილს თავისი მნიშვნელობა არ ეკარგება, მაშინ შუახაზია საჭირო. მაგალითად, სიტყვა **ყოფა-ქცევა** ერთ აზრს ხატავს, სიტყვის ორივე ნაწილი (**ყოფა** და **ქცევა**) ერთად ერთ გარემოებას, ერთ ცნებას აღნიშნავს — და ამიტომაც უხაზოთ უნდა დაიწეროს; სიტყვა **დედ-მამა**-ში თითოეულ ნაწილს (**დედა** და **მამა**) თავისი მნიშვნელობა და აზრი არ ეკარგება, აქ **დედაც** იგულისხმება და **მამაც**, — ამიტომაც ეს სიტყვა შუახაზით უნდა დაიწეროს.

რთული სახელების მართლწერის ყველა შემთხვევის აღნიშვნა შეუძლებელია — და ამიტომ ლექსიკონშიც არა მაქვს აღნიშნული ეს მართლწერა; მე აქ ამ მართლწერის კანონი განვმარტე — და ამ კანონის ძალით ყველას ადვილათ შეუძლია გააზარჩიოს, სად უნდა შუახაზი და სად არა. აქ მხოლოდ რამდენმე მაგალითს მოვიყვან.

უხაზოთ უნდა ვსწეროთ: **ავლა-დიდება**, **ბოროტმოქმედება**, **ბოროტგანზრახვა**, **ბერიკაცი**, **დედაკაცი**, **ვაჟბატონი**, **ქალბატონი**, **მართლმადიდებელი**, **მთავარმართებელი**, **თანდათან**, **ზედიზედ**, **პირდაპირ**, **სხვადასხვა**, **სახლკარი**, **ცხენისწყალი**, **წყალწითელა**, **მთაწმიდა**, **ჯერჯერობით**, **თავდაპირველათ**, **ღვთისმეტყველება**, **ყოფა-ქცევა**, **ტანწერწეტი**, **შავთვალა** და სხ. და სხ. უხაზოთ უნდა ვსწეროთ აგრეთვე რთული რიცხვითი სახელები: **ოცდახუთი**, **ოცდაათი**, **ორმოცდაათთხმეტი**, **სამოცდაექვსი** („მისრ.“-ში ხშირათ შეხვედებით ამგვარსავე მართლწერას: ორმოცდაათსა, ოცდაათი, მრავალფერი, თავგაწირული, თვალცრემლიანი, გულდადაღული და სხ და სხ.); ხაზით უნდა ვსწეროთ: **დედ-მამა**, **და-ძმა**, **ქალ-ვაჟი**, **ცოლ-ქმარი**, **დედალ-მამალი** და სხ.

მ თ ა ვ რ უ ლ ე ბ ი.

ჩვენს მწერლობაში მთავრული ასოები იშვიათად იხმარება. ძველათ მთავრულები: როგორც ხუცურში, ისე მხედრულშიც ხშირათ იხმარებოდა; ზოგჯერ მხედრულში მთავრულებათ ხუცური მთავრულები იხმარებოდა, რადგან. მხედრულ ანბანში მთავ-

რულს განსხვავებული მოყვანილობა არ აქვს და ჩვეულებრივის ნუსხური ანბანებისაგან მხოლოდ სიდიდით გაირჩევა (ასეა ნახშიარი, მაგალითად, თეიმურ. ბატონიშვილის „საქართველოს ისტორიაში“). ძველათ, ხშირათ წითლური იხმარებოდა, ე. ი. საყურადღებო სიტყვებს, განსაკუთრებით სათაურებსა და რომელიმე ტექსტის ინიციალებს წითელი მელნით ან კინოვარით სწერდენ ხოლმე.

პირადათ, მე მთავრულების ხმარება ფრიად საკიროთ მიმაჩნია—და ამის საფუძვლები მე-11 „ღამატება“-ში ნახეთ.

ს ი ნ ტ ა ქ ს ი.

ქართული ფონეტიკა:

თანხმოვან ბგერათა კლასიფიკაცია და თვისებანი.

ბგერები ადამიანის სამეტყველო ორგანოებით გამოითქმის: ბაგის, კბილის, ენის, სასის და ხორხის (ყელის) საშვალებით.

ბაგით გამოითქმის ბ, ვ, მ, პ, ფ—და ამათ ბაგისმიერი ბგერები ეწოდებათ.

კბილისა და ენის-წვერის ადვილათ შესამჩნევი საშვალებით გამოითქმის დ, თ, ტ—და, მაშასადამე, ესენი კბილ-ენისმიერი ბგერები არიან.—კბილ-ენის ოდნავ შესამჩნევი საშვალებით გამოითქმის აგრეთვე ასე-წოდებული სისინა ბგერები: ზ, ს, ც, ძ, წ.

ენის-წვერისა და სასის ადვილათ შესამჩნევი საშვალებით გამოითქმის ბგერები: ლ, ნ, რ—და ოდნავ შესამჩნევათ აგრეთვე შიშინა ბგერები: შ, შ, ჩ, ჭ, ჯ—და ამათ ენა-სასისმიერი ბგერები უნდა ეწოდოს.

* *

თანხმოვანთა გამოთქმის ხასიათს რომ დაუფკვირდეთ, შევნიშნავთ, რომ მათ გამოთქმაში იმგვარივე სხვადასხვაობა მოიხსნის, როგორც სხვადასხვა საგნისგან წარმოშობილ ხმებში: ზოგი ისე გვეხმის, თითქო მიწას ფეხი დაკრესო, ან შორს თოფი ისროლესო, ე. ი. მაგრათ და მომხსოთ,—მაგალ. ბ, გ, დ და სხ.; ზოგი ისე, თითქო ქიქა ქიქას მოხვდაო, ან სპილენძის ტაშტს წკეპელი დაკრესო, ე. ი. მაგრათა და წმინდათ, წკრიალა ხმათ,—მაგალ. კ, პ, წ და სხ.; ზოგი ისე, თითქო წყალი ჩქერში მოჩუხჩუხობსო, ან თოვლს, ბამბას გინდ გუბე წყალს ბრტყელი და სუბუქი რამე საგანი დაეცაო, ე. ი. რბილათ და მომხსოთ,—მაგალ. თ, მ, რ, ფ, შ, ჩ და სხ.

ძართულ ენას, როგორც ეტიმოლოგიაშიცა მაქვს ხშირათ ნათქვამი, ის მშვენიერი თვისება აქვს, რომ ყოველივე ბგერა (და აგრეთვე ყოველივე სიტყვა) ისე გამოითქმის, როგორც იწერება, და ისე იწერება, როგორც გამოითქმის.

ძართული სიტყვების გამოთქმას რომ ყურადღებით დაუფკვირდეთ, შემდეგ კანონებს შევნიშნავთ: 1) ძირეულ სიტყვაში ერთად არ მოხვდება ერთი ორგანოს ბგერები,—მაგალითად არ შეიძლება ძირში ერთად შეხვდეთ ბგერებს: ბპ, ბფ, გკ, ყკ, გქ, გლ, დტ, დთ და სხ. (ბამორიცხვას შეადგენს ბაგისმიერი მ, რომელიც უერთდება თავისისავე ორგანოს ხმებს,—მაგალ. ბამბა, ფომფო, ლამპარი, ლამბი, გომბიო და სხ.); 2) მაგარ ბგერას მაგარი მისდევს, რბილს რბილი,—მაგალ. ტპბილი, ტქენა, ტბა-კბილი, ღბომა, გღება, მხა, მხილი, მქმა, ფპვილი, ფხა და სხ.—ამ კანონს არ ემორჩილება ბგერები მ, მ, ლ, ნ, რ, ღ, ქ და სისინა და შიშინა ბგერები, რომელიც როგორც რბილ ბგერასთან, ისე მაგართანაც ერთნაირათ დაისმის,—მაგალ. ტქე, ძროხა, ძმა, ხმა, გმირი, ქბა, ქღა, ღღე და სხ.

სისინა და შიშინა ბგერებთან თუმცა მაგარი ბგერაც დაისმის და რბილიც, მაგრამ, როცა მართლწერა სადავოა, მწერლობაში რბილს ამაჯობინებენ,—მაგალ. ებზამენი, რედაშცია, ალექსანდრე და სხ. (თუმცა უცხო ენაში ეს სიტყვები მაგარი ბგერებით იწერება, ე. ი. ჰზ, კც, მს). სხვათა შორის ეს გარემოებაც ამტკიცებს, რომ ზემორეგამოთქმულს ფონეტიკურ კანონს (მაგართან მაგარი ბგერა, რბილთან რბილი) ხალხის გამოთქმაში მტკიცე საფუძველი აქვს.

საზოგადოთ სამწერლო ენას საფუძვლათა და საძირკვლათ ხომ ხალხის ენა უნდა ედვას, მაგრამ ხალხურ ენას განსაკუთრებით გამოთქმაში უნდა მიექცეს ყურადღება, მეტადრე ქართულში, სადაც, ვიმეორებ, სიტყვები ისე იწერება, როგორც გამოითქმის.

თუ ამ მოსაზრებას დავეთანხმეთ, მაშინ ადვილათ გადავსწვევტო, თუ სხვადასხვა შემთხვევაში როგორი მართლწერა უნდა მივიღოთ.

* *

ჩვენი დედაქალაქის სახელწოდება სამგვარათ იწერება: ტფილისი, თბილისი და თფილისი.

ეს სახელწოდება სიტყვის თფილი-საგან წარმოდგება, რომელიც ფ-რით უნდა დაიწეროს, რადგან ხალხის გამოთქმით ფ ისმის. ხალხს რბილ ხმასთან რბილი ხმის გამოთქმა უფრო ეადვილება, და ამიტომ მწერლობის გავლენას მოშორებული ხალხი ასე გამოსთქვამს: თფილი, სითფო, გათფობა, გამთფარი და სხ.

ხალხშივე (განსაკუთრებით იმერეთში და ძალიან ხშირათ ამერეთშიც) თქვენ გაიგონებთ გამოთქმას ცთა, გამოცთა, გამოცთილი, შეცთომა, გაცთენა და სხ., ე. ი. ც-თან ყოველთვის თ-ს, და არა ღ-ს. ძველსა და ახალ მწერლობაში ყოველთვის იხმარება მართლწერა ცთომილი (და არა ცდომილი), თუმცა ამ სიტყვის ძირი იგივეა, რაც სიტყვის ცთომა-სი, რომელსაც ღ-ნით სწერენ. თ-ნით სწერენ აგრეთვე სიტყვას ცთუნება-ს; ფსალმუნში ნახმარია მართლწერა: საცთომელი, საცთურება, საცთური, შეჭსტეს, ჰსცთებიან, შეაცთუნა. „ვისრამიან“-ში: მოვაცთუნებდე, ხაცთუნებლად, მაცთურისაგან, მოუცთომელნი—და საზოგადოთ ცთუნება სხვადასხვა ფორმაში; ასეა აგრეთვე „ძილ“-შიც. თუ კი სიტყვებში ცთომილი და ცთუნება თ უფრო კეთილხმოვანათ მიაჩნიათ, ვიდრე ღ, რა საფუძველი უნდა გვქონდეს, რომ სხვა სიტყვებშიც თ არ ვამჯობინოთ ღ-ს, როცა ხალხის გამოთქმაშიც უპირატესობა თ-ს უჭირავს?!

რაკი უპირატესობა ხალხის გამოთქმას უნდა მიექცეს, ჩემი აზრით, მწერლობაში დღევანდელი ხღ-ის მაგიერ მართლწერა ხთ უნდა ვიხმაროთ, ე. ი. რბილ ხ-თან რბილივე ხმა თ ვიხმაროთ, და არა მაგარი ღ, და ვსწეროთ მხთალი, ხთა, მოხთა, წახთენა, მიხთომა, მოხთომა, გამხთარი, მოხთენილი, წილხთომილი და სხ.—„ვისრ.“-სა და „მეფხ.“-ში ნახმარია მართლწერა მუხთალი, რაიც ამავე კანონს ეთანხმება.

შენიშვნები: 1. როცა ძირეული ცთ და ხთ ნაწარმოებ ფორმებში დამარცვლდება და ც-სა და ხ-ს შემდეგ ხმოვანი ჩაერთვის, მაშინ თ-ანის მაგიერ ღ ჩნდება: მოცთა, გამოცთა, მოხთა, გამოხთა—მოიცადა, გამოსცადა, მოიხადა, გამოხადა, მოეხადა, გამოეხადა და სხ. ეს გვიჩვენებს, რომ ძირეული ხმა ღ ყოფილა, მაგრამ გამოთქმის კანონით რბილ ც-სა და ხ-თან ხმა ღ გარბილებულა და თ-ნათ ქცეულა.—2. რბილ ხ-თან (ხ-ს შემდეგ) მაგარი ხმები (განსაკუთრებით ხშირათ ხმა ტ) მხოლოდ შემდეგ სიტყვებში იხმარება: ხტომა, ხტუნვა, კოხტა, ტახტი, რახტი, სახტათ, კახბა, ხბო, ხხლომა—და ამათგან ნაწარმოებ ფორმებში: ნახტომი, სახტომი, გახტომა, სატახტო, კოხტომა და სხ.

ამავე ფონეტიკური კანონის ძალით, ე. ი. მაგარ ბგერასთან მაგარი და რბილთან რბილი, ჩვენს ენას ზოგან ბგერათა შესაფერი ცვალება უცხო ენის სიტყვებშიც მოუხთე-

ნია: რედაქცია, დირექცია, ინსპექცია, კოლექცია, ლექცია-ო და სხ., ხმარობენ საერთოდ ჩვენს მწერლობაში, თუმცა ლათინურ ენაში, საიდანაც ეს სიტყვები გადმოსულა, ქართული ძ-ნის ადგილას ძ ზის (წმინდა ძირში კი ზ). ამ შემთხვევაში ქართველთა სმენას, რალა თქმა უნდა, იმით უხელმძღვანელებია, რომ რბილ ც-თან მაგარი ძ-ნის გამოთქმა ძნელია — და გამოთქმის გასაადვილებლათ მაგარი ბგერა რბილათ გადაუქცევია.

სამწუხაროთ, ჩვენი მწერლობა ქართული ენის კანონიერობას ყოველთვის თანდათანობით არ მისდევს — და მეორე შემთხვევაში სრულიად უსაფუძვლოთ ამგვარივე სიტყვების ძირებში ლათინური ენის მაგარი ძ რბილ ძ-ნათ შეუცვლიათ და ხმარობენ: რედაქტორი, დირექტორი, დოქტორი, ლექტორი, პროექტი, ელექტრონი, სექტემბერი, ოქტომბერი-ო და სხ. და სხ. ნამდვილ ძირში რომ რბილი ხმა ყოფილიყო, მაგარ ტ-თან, პირიქით, მაგარ ხმათ უნდა შეგვეცვალა, და აქ კი შეცვლა რალა საჭიროა, როცა ქართული ენის ფონეტიკური კანონითაც ძირეული ხმა ძ უფრო ადვილი გამოსათქმელია?! ცხადია, ამგვარი სიტყვების მართლწერაში ხმები ძტ უნდა ვიხმაროთ: რედაქტორი, სექტემბერი და სხ.

უადგილო არ იქნება, აქვე დავაკვიროთ მკითხველი იმ გარემოებას, რომ ქართულ ენაში ერთი სიტყვაც არ მოიპოება იმისთანა, სადაც ბგერები ძც ან ძტ თავს ერთად იყრიდეს.

ფონეტიკური კანონის მიხედვით, უკანონოთვე სწერენ სიტყვებს ერთგული და კვითკირი, რადგან ზ-სა და ძ-თან რბილი თ ძნელი გამოსათქმელია. ხალხის გამოთქმაში ფონეტიკური კანონი მტკიცეთ არის დაცული, — ის ამბობს: ერდგული, ქვიტკირიო („ვეფხ.“-ში ყველგან კვიტკირი-ა ნახმარი და ვახუშტიც თავის „გეოგრ.“-ში ყოველთვის მართლწერას კვიტკირ-ს ხმარობს; მასვე აქვს ნახმარი მართლწერა ერდგული) — და ასე უნდა ვიხმაროთ მწერლობაშიც. — ამავე კანონის დამამტკიცებელი საბუთია თანდებულ ზან-თან უკანასკნელი მართლწერა, მაგალ. თფილისიდან, სოფლიდან და სხ. ეს მართლწერა ამგვარათ წარმოდგა: ჯერ იწერებოდა თფილისითგან (რადგან თანდებ. ზან მოქმედ. ბრუნვას თხოულობს), შემდეგ მაგარ ზ-თან რბილი თ მაგარ ლ-ნათ იქცა და გაკეთდა თფილისიდგან, სოფლიდგან და სხ, და ბოლოს ხმა ზ სულ გამოვარდა და დარჩა თფილისიდან, სოფლიდან. თუმცა დღევანდელ მწერლობაში სამივე ფორმა იხპარება (სოფლითგან, სოკლიდგან, სოფლიდან), მაგრამ უკანასკნელ ფორმას (სოფლიდან) როგორც ხალხისგან, ისე მწერალთაგანაც უპირატესობა ეძლევა. — დაბოლოება ლან (სოფლიდან) თათრულ ენაში იხმარება ამავე აზრით, მაგრამ არა ვგონებ, რომ ქართულ ენაზე ამ შემთხვევაში თათრულს ქონოდეს გავლენა.

ქ ე თ ი ლ ხ მ ო ვ ა ნ ო ბ ა .

ქეთრლხმოვანი სიტყვა ის არის, რომელიც გამოსათქმელათ ადვილია და სმენისათვის სასიამოვნო.

ქართული ენა კეთილხმოვანობისათვის შემდეგი კანონებით ხელმძღვანელობს:

1. თანხმოვანთა გამრკლება.

ძველათ სიტყვების გამოთქმა, სხვათა შორის, ერთად მრავალი თანხმოვანის თავმოყრით იყო გაზვიადებული, მაგალ. ბრძანება, მრთელი, მფრინველი, ტანისსამოსი და სხ. ახალი ენა ცთილობს — სადაც კი შესაძლებელია, ერთად თავმოყრილი თანხმოვანთა რიცხვი შეამციროს და მით გამოთქმა გაადვილოს. ჩვენი მწერლობა ჯერ კიდევ რყევანშია: ბევრი ისევ ძველ გზას ადგას და ენისათვის ძნელათ გამოსათქმელს

მრავალთანხმოვანიან ფორმებს ხმარობს. მათი საქციელი მხოლოდ იმით შეიძლება გაა-
მართლდეს; რომ „ჩვეულება სჯულის უმტკიცესიაო“, თვარა, რაღა თქმა უნდა, უპირა-
ტესობა იმ ფორმებს ეკუთნის და გამარჯვებაც იმას უნდა დარჩეს, რომელიც უფრო
ადვილათ და მარტივათ გამოითქმის.

ბი რა შემთხვევებში იკარგება სხვადასხვა თანხმოვანი:

ა. როცა ერთად სამი ან მეტი თანხმოვანია თავმოყრილი და მათში ბგერა რ
ურევია, ეს უკანასკნელი ბგერა (რ) გამოაკლდება: ხ(რ)მალი, ბ(რ)ძანება, მ(რ)თელი,
ძი(რ)მწარე, გ(რ)ძელი, მ(რ)წამს, ვაზ(რ)და (ამ უკანასკნელ სიტყვაში რ ისევ ჩნდება,
როცა სხვადასხვა ფორმაში ზ-ს შემდეგ ხმოვანი ჩაერთვის: გავიზარდე, გავზარდე,
გავუზარდე, გავზარდა და სხ.; შეადარე გვ. 47, შენიშე. 1).

ზოგიერთ სიტყვას ამ შემთხვევაში რ ჯერ კიდევ არ გამოკლებია, მაგალ. ბრწყინ-
ვალე, გრძნობა, ფრთხილი, ქრთამი, ჩრდილი, თუმცა ხალხის ენაში ხშირათ მოი-
სმბს გამოთქმა ბწყინვალე, ფთხილი, ქთამი, ჩდილი (დ. ზურამიშვილს ნახმარი აქვს
ფორმა ჩრდილი, ვახუშტის—ჩდილო =ჩრდილოეთი, იმერეთში კი ხალხის ენაში
ინმარება შტილი).

ბ. გამოთქმის გასაადვილებლათ ხალხსა და თანამედროვე მწერლობას საჭიროთ
დაუნახავს-ზოგიერთ სიტყვას თავში ბგერა მ მოაშოროს. თუმცა ბევრი მწერალი ამ
მართლწერას ეწინააღმდეგება, მაგრამ, რაკი ჩვენი ენა ურთხელვე გამარტივ-გაადვი-
ლებისა და ფორმების გაწმენდის გზას დაადგა, მის წინსვლას ველარაფერი შეაჩე-
რებს.—შმანთ ხშირათ ინმარება და, ჩემი აზრიო, ასევე უნდა დარჩეს მწერლობაში
შემდეგი სიტყვები: დევი, დივანბეგი, დოგვი, კალია, კვარი, კვდარი, კვირცხლი, კვეთ-
რი, მართველი (მართველობა, სამართველო), მართებლობა, რგვალი, სუბუქი, სუნაგი,
სუქანი, სწავლული, სხალი (ნახეთ „ძილილა და დამანა“, „ღავითიანი“, ვახუშტის
გეოგრაფია), სხვერპლი, სხვილი, ტევანი, ტკაველი, ტრედი, ფრინველი, ღვდელი,
ღვთაება, ღვთისმშობელი, შვილდი, ჩვარი, ციყვი, ცფიყრი, ცხედარი, ძევალი, წვა-
ნილი, წვერი, წვადი, წვეტი, წნილი, ქადი, ქვალი, ქვარტლი, ხვედრი.

ნაწარმოებ ფორმებში ზოგიერთს ამ სიტყვათაგანს ხმოვანს შემდეგ მ-ის ჩართვა
უხთება,—მაგალითად: სამსხვერპლო, იმსხვერპლა, უმსხვერპლა, სიმსუქნე, სიმსუნაგე,
სიმსუბუქე, შემსუბუქება, სამტრედია და სხ.

ბ. ნათესაობ. ბრუნვისგან ნაწარმოებ სახელებში, სისინა ხმების წინ, გამოვარ-
დება ბგერები ს და თ, რომელთაგანაც ს მხოლ. რიცხვის ნათეს. ბრუნვის ნიშანია, რ
თ—მრავლობითის: ტანი(ს)ამოსი, პირის(ს)ახე, ცი(ს)სარტყელა, ტან(ს)აცმელი,
ფგხ(ს)აცმელი, ნავთ(ს)ადგური, თვალ(თ)წინ რ სხ.—ქეთილხმოვანობა (გამოთქმის
სიადვილე) მოითხოვს, რომ წინასიტყვის დაბოლოების ს, შემდგომი სიტყვის თავის ს-ს
წინ, არ ვინმაროთ: ავი(ს) სიტყვით=ავი სიტყვით, ცუდი(ს) სენით=ცუდი სენით,
და სხვ.—აბრწყთვე, მ-ანით დაწყებული სიტყვების წინ კავშირი რომ უმჯობესია რო-თ
შეეცვალოთ (ჩვენს მწერლობაში რო-ც ინმარება): ეს რომ მითხრა, წავიდა=ეს რო
მითხრა...; შენ რომ მომეცი, ის წიგნია=შენ რომ მომეცი... და სხვ.—მეორე მიმობრის
ზმნებში, მრავლობითი რიცხვის მეორესა და მესამე პირში, ბგერა ს იკარგება, რად-
გან ბევრი თანხმოვანი იყრის თავს ერთად: მე მყავს—თქვენ გყავთ, მათ ჰყავთ; მე
მიყვარს—თქვენ გიყვართ, მათ უყვართ. ამ შემთხვევაში ს შეიძლება დარჩეს, თუ წინ
ხმოვანი უხის: თქვენ გყავდესთ, მათ ეყოლოხთ, თქვენ გესმისთ, მათ ესმისთ (ნახ.
გვ 25).

ღ. ბგერა ვ ხან იკარგება; ხან კი ჩაერთვის კეთილხმოვანობისათვის. ვ იკარგება
საზოგადოთ მ-ნისა და შ-ნის წინ: 1. მბა-ზე დაბოლოებულ სახელებში: თავი, ნა-
თესავი, მოურავი, ხევი, მძლევი—თაობა, ნათესაობა, მოურაობა, ხეობა, მძლეობა.
თუ მ-ნის წინ ხმოვანი ი ხის, მაშინ ვ აღარ იკარგება: ტივი, კრივი, სხივი—ტივო-

ბა, კრივობა, სხივობა;—2. ზმნებისგან ნაწარმოებ ფორმებში (დაბოლოებებში), ხმოვანების ო-ნისა ღ უ-ნის წინ: წვევა, ჩვევა, ხვევა, კვილი, ყვილი—ვეწვეოდი, ვეჩვეოდი, ვეხვეოდი, ყიოდა, გაკიოდა, მოწვეული, შეჩვეული, წვეულება, ჩვეულება;—3. ო-ნისა და უ-ნის წინ ზედსართავებში: ნათესაური, ნათესაობრივი, თაოსანი (თაოსნობა), ვეფხისტყაოსანი და სხ. (ნათესავი, თავი);—აგრეთვე: სანაძლეო, საპატეო, სამოურაო, სამუშაო (ნაძლევი, მოურავი და სხ.);—4. შეინოთ სჯობია ვიხმაროთ აგრეთვე შემდეგი ფორმები: იპობა, იპობოდა, იშობა, იშობოდა, იპობოდეს, იშობოდეს და სხ.; მეკუთნის, მეკუთნოდა, კუთნილება.

II. თანხმოვანთა ჩართვა.

ა. 3 ჩაერთვის კეთილხმოვანობისათვის: 1. ზმნებში, მ-ნისა და ი-ნის წინ, როცა ორმარცვლოვანი სახელზმნა ობა-ზეა დაბოლოებული: (შე)ტყობა, (და)წყობა, (გა)ძრობა, (და)ტრობა—შეეიტყვე, დაეაწყვე, გაეიძვრე, დაეათვრე, შემეიტყვია, დამეაწყვია, გამეიძვრია (შეადარე გვ. 22);—2. როცა ერთმარცვლოვანი სახელზმნა მბ-ზეა დაბოლოებული, მ ბ-ნისა და ი-ნის წინ ჩაერთვის: თქმა, სმა, ცმა—ესთქვი, სთქვას, ვსვი, სვამს, სვას და სხ. (გვ. 22.)

ბ. მიმოხრაში ზოგიერთ ზმნას კეთილხმოვანობისათვის ხ დაერთვის, მაგალ. სწე-რე, სთქვი, სძინავს, მისცა და სხ. (გვ. 19—20).

III. მეტათეზისი.

ზოგჯერ კეთილხმოვანობა მოითხოვს, რომ თანხმოვანებმა ერთმანეთს ადგილი შეუცვალოს,—მაგალითად ცალიერი-ს მაგიერ მწერლობაშიცა და ხალხშიც ცარიელი იხმარება. ამ სიტყვის მზგავსათ ზოგიერთები ხმარობენ აგრეთვე ფორმებს: დათვარიელება, მადრიელი, სურიელი, მოსურიელება, ძრიელი; მაგრამ უფრო ხშირათ, განსაკუთრებით მწერლობაში, კანონ იერი ფორმები იხმარება, ე. ი. დათვალიერება, მადლიერი, სულიერი, ძლიერ.—აქვეუნდა ვსთქვათ, რომ მბ-ზე დაბოლოებულს ერთმარცვლოვან სახელზმნაში, როცა მ-ნის წინ რამდენიმე თანხმოვანი იყრის თავს, მეტადრე—როცა წინ ლ, ნ და რ ახლავს, გამოთქმის გასაადვილებლათ მ ადგილს იცვლის: ხნვა, სლვა, სხლვა, კრვა, ძრვა, ხრვა და სხ. კანონიერი ფორმებია, მაგრამ ძნელი გამოსათქმელია—და ამიტომ იხმარებუ ხვნა, სვლა, სხვლა, კვრა, ძვრა, ხვრა, წასვლა, შეკვრა და სხ.—ამგვარათვე უცვლია ადგილი ხმას რ-ს სიტყვებში აღარ, ველარ, ნულარ (ძველებური ფორმებია არღა, ვერღა, ნურღა, რომელსაც ძველი ენის მიმდევარნი ახლაც კი ხმარობენ).—ამავე კანონის ძალით მწერლობაში უნდა დარჩეს მართლწერა თუთხმეტი, რომელიც თავისი გამოთქმით უფრო კეთილხმოვანია, ვიდრე უძველესი ფორმები თხუთმეტი და ხუთმეტი. ამავე კანონით ხშირათ იხმარება ხალხში გაჭივრება (ამერეთში—გაჭირვება და გაჭირება), ჭივრება. ზოგჯერ მეტათეზიამოვრო ფორმებს ხმარობენ მეტათეზისათ: სხნა (გასხნა, შესხნა, მოსხნა და სხვ.), სხნილი, შხირი, ნაშხირი, ოშხივარი, კაშვვა, ძრმის, ძრმიანი, ქრმის, ქრმიანი,—უნდა: ხსნა, ხსნილი, ხშირი, ნახშირი, ოხხივარი, კაშვვა (შეკაშვვა, მოკაშვვა, შეკაშვული და სხ.), ძმრის, ძმრიანი, ქმრის, ქმრიანი.

ამ კანონს, ე. ი. თანხმოვანთა გადასვლ-გადმოსვლას ან ადგილის შეცვლას, სახელათ მეტათეზისი ეწოდება.

IV. თანხმოვანთა შეცვლა.

ძართული ენა ერთ სიტყვაში ორი ერთგვარი ხმის ხმარებას საზოგადოთ ერიდება. თუმცა მიმლეობის ჩასართი არ არის, და არა ალ (მაგალ. მაქებბარი, მკებენარი,

მცინარი, მყივარი), მაგრამ, ამ კანონის ძალით, როცა ზმნას ძირში რ ურევია, ამ ჩასართში რ ლ-თ იქცევა,—მაგალითად: წერა, მზერა, მღერა, ყვირილი—მწერალი, მომწირალი, მომღერალი, მყვირალი.—ამ სახითვე იხმარება ჩასართები ურ და ულ,— ე. ი. როცა ძირში რ ურევია, ურ-ის მაგიერ ულ იხმარება: გურული, იმერული, ფრანგული და სხ. (სხვაგან ყოველთვის ურ იხმარება: კახური, სოფლური, ინგლისური და სხ.).

ამ კანონისვე ძალით, თუმცა ძირის მიხედვით მართლწერა წლეულს და წლე-ვანდელი უნდა იყოს (წელი—წლის), მაგრამ გამოთქმით უპირატესობა მართლწერას წრეულს, წრევანდელი-ს ეძლევა. ამ კანონითვე ხალხი გამოსთქვამს ბარბაღე, მარგალიტა, თუმცა უცხო ენაში, საიდანაც ეს სახელები ჩვენში გადმოტანილია, ორივე ადგილას რ იწერება. ჩვენს მწერლობაში უმეტეს ნაწილათ ამ სახელებს ასე სწერენ: ბარბარე, მარგარიტაო, და საზოგადოთ ჩვენს ინტელიგენტებს როგორღაც საჩოთიროთ მიაჩნიათ ამ სახელების ხალხური გამოთქმა: ალბათ იმიტომ, რომ ევროპული გამოთქმისთვის „მიუჩვევიათ ყური“. ამ კანონსვე ეკუთნის მართლწერა ლერწამი, რბილი, მზგავსი, მზგავსება (მიმზგავსება და სხ.), თუმცა ხშირათ იხმარება ფორმებიც ლბილი, მზგავსი და მზგავსი; მართლწერას მზგავსი-ს მაინც არავითარი სიმართლე არ აქვს: ეს არის დამახინჯებული ფორმა, როგორც მაგალ. შექმავვა, ნახშირი, ოშხივარი და სხ.—შეკავვა, ნახშირი და ოშხივარი-ს მაგიერ.

ზემოხსენებული გამოთქმის კანონიდან, ჩემი აზრით, უნდა გამოირიცხოს სიტყვები: ერთჯერ, ორჯერ, ბევრჯერ, ორორი, რომელიც ორი რ-თი უფრო კეთილზმოვანათ მოისმის, ვიდრე მაშინ, როცა ლ-ით იწერება, და კიდევ სიტყვა გაცარცვა (გაძარცვა-ს მაგიერ).

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ უცხო ენის (განსაკუთრებით ბერძნულის) ხ-ნის მაგიერ ქართულ ენაში მ იხმარება: ძრისტე, ძრონოლოგია, არქიმანდრიტი, არქეოლოგია და სხ.; ზოგჯერ ჩვენს ახალ მწერლობაში ამ სიტყვებს ხ-ნითაც სწერენ, მაგრამ მ-ნის ხმარება სჯობია, რადგან ქართველთა სმენას ძველი დროიდანვე ეს გამოთქმა შეუთვისებია.

V. ს და შ

არის რამდენიმე სიტყვა, რომ ს-ნითაც იწერება და შ-ნითაც, მაგრამ სმენისათვის, ჩემი აზრით, შ უფრო კეთილზმოვანია—და ხალხშიც უფრო გავრცელებული: ტაშტი, ფოშტა, შკოლა, გაშტერება, შინჯვა, შიმშილი. სიტყვა სტვენა კი ს-ნით უფრო ხშირათ იხმარება, ვიდრე შ-ნით: ბულბულთა სტვენა, ბულბული სტვენს.—სტვენა ხმაბაძვითი სიტყვაა—და ბულბულის ნაზ გალობას წმინდა ხმა ს უფრო აღნიშნავს, ვიდრე სხვილი შ; შტვენა, დაშტვენა და სხ. რაიმე ბოხი ხმის აღსანიშნავათ შეიძლება ვინმართ.

VI. მარცვალთა შემოკლება.

ძველებური მკა და შა ახლა ვა-თ არის შემოკლებული: ცხოვარი—ცხვარი, საშუალეა—საშვალეა

ხალხში, განსაკუთრებით აღმოს. საქართველოში, ხშირათ ვა-ს მაგიერ მ იხმარება: ამილახვარი, ცხვარი, ცოდო, კომლი, დახდო და სხ.; მაგრამ სამწერლო ენა ვა-ს ირჩევს: ამილახვარი, ცხვარი, ცოდვა, კვამლი („ვისრ.“-ში კუამლი, „ვეფხ.“-ში კვამლი, —მართლწერა კომლი მოსახლე კაცის აღსანიშნავ ტერმინათ დარჩება), დასდვა-ო და სხ. მ-ს არჩევენ მხოლოდ სიტყვებში: ხომალდი, ხონთქარი, ხორბალი, ხოლმე, დიაკონი (ამ საგნის შესახებ ნახ. გვ. 28.).

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთ სიტყვაში შპ ხალხური გამოთქმით შპ-თ შემოკლდება: თუარა—თვარა, საშუალება—საშვალეა, საშუალი—საშვალი, შუამდგომელი—შვამდგომელი, შუადღე—შვადღე, შუამაიალი—შვამაიალი, და სხვ.; ჩემი აზრით, სამწერლო ენაშიც შპ უნდა ვიხმაროთ.

VII. ეკლესია—ეკლესია.

ძართულ ენას არ უყვარს ერთისა და იმავე თანხმოვანის ერთ ადგილას გამეორება, როგორც უცხო ენებს, მაგალ. როგორც ბერძნულს, ლათინურს, ფრანგულს და სხ. პრაბთუ ძირეულ სიტყვებში ვერ შეხვდებით ერთად ორს ერთგვარ თანხმოვანს, არამედ თავსართებსა და დაბოლოებებთანაც ცთილობს ქართული ენა—მოაშოროს სიტყვებს ერთგვარი თანხმოვანების თავმოყრა: როგორც ზვევითაც ვსთქვით (გვ. 49), მმართველი-ს მაგიერ ახლა ხშირათ მართველი იხმარება, თუმცა კანონით ორი მ უნდა ახლდეს (ერთი ძირის და მეორე მიმლეობის).

ძართული ენის ამგვარი თვისების გამო ჩვენ ვალდებული ვართ, როცა რომელიმე სიტყვა უცხო ენიდან შემოგვაქვს, უცხო ენის მართლწერა კა არ დავიცვათ, არამედ—ჩვენი ენისა. შოველი ხალხის თვისება და ჩვეულება ეს არის: როცა სხვისი ენიდან რამე თავისი ენის საუნჯეში შეაქვს—ზღაპრებია თუ სიტყვები—თავისებურათ ნათლავს, თავის ბეჭედს ასვამს. ეს კანონი დღეს ბევრმა შეიგნო—და ახლა თითქმის აღარ იხმარება მართლწერა ეკლესია, გრამმატიკა, კომისისია და სხ.

რა თქმა უნდა, ყოველი ენისათვის უფრო კეთილხმოვანი ის ფორმაა, რომელიც მის თვისებასა და ხასიათს ემორჩილება, მის კანონს არ ეწინააღმდეგება—და, მაშასადამე, ჩვენს მწერლობაში ამ შემთხვევაში უნდა დარჩეს მართლწერა: ეკლესია, გრამატიკა, პროგრამა, კომისია, პროფესორი, ანა, სარა, იოანე და სხ. და სხ.

აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ზოგიერთი მწერალი ძველი ჩვენი ენის მართლწერას დღესაც ერთობ ბრმათ ემორჩილება და მეტათ საძნელო გამოსათქმელ ფორმებს ხმარობს, მაგალ. ჩვილი, თვე და სხ., იმ საფუძვლით, რომ ეს სიტყვები ზოგიერთ ძველ წიგნში ამ ფორმით არის ნახმარი. რა თქმა უნდა, ხალხური გამოთქმის საფუძველი, რომელიც მე ზევით განვმარტე, უფრო საყურადღებოა—და იმის ძალით ჩვილი, თვე უნდა ვსწეროთ,—მით უფრო რომ ძველ მწერლობაშიც უწარჩინებულესი ავტორები („მისრამიანის“, „მეთხისტყაოსნის“, „სიბრძნე-სიცრუის“, „ღავითიანის“ და სხ.) ამ შემთხვევაში ჩვენ გვემოწმებიათ (ს. ს. მრბელიანი და ღ. ბურამიშვილი სიტყვას თვე-ს ერთი მ-ნით ხმარობენ, ხოლო სიტყვას ჩვილი-ს—ორი ჩ-ნით).

VIII. მ და ა.

უცხო ენის სახელები, რომელიც მ-ნით იწერება, ქართულ მწერლობაშიც მ-ნით იხმარება, რუსული ენის გამოთქმის წინააღმდეგ, მაგალ.—მოსკოვი, მდებსა, კომისია, კომიტეტი და სხ.; გამორიცხვას შეადგენს სახელები: კანტორა, ხალდათი,—რომელნიც ა-ნით გამოითქმიან.

IX. მარცვალთა განხმოვანება.

ს ი ტ ყ ვ ი ს დ ა მ ა რ . ც ვ ლ ა .

სიტყვის დამარცვლის, სტრიქონიდან სტრიქონში კანონიერი გადატანის შესახებ საკმაოთა მაქვს ნათქვამი „ღამატება“-ში (ორივე რეცენზიაში)—და აქ სიტყვის დამარცვლის მხოლოდ წესრიგს აღვნიშნავ.

თუ სიტყვაში ხმოვანის წინ ერთი თანხმოვანია, ეს თანხმოვანი ამ ხმოვანს ეკუთვნის. ავიღოთ სიტყვა ბალი: თანხმოვანი ლ ხმოვანს მ-ს ეკუთვნის და მასთან ცალკე მარცვალს ღმ-ს შეადგენს (ბა-ღმ).

თუ სიტყვაში ხმოვანის წინ ორი თანხმოვანია, ერთი წინა ხმოვანს ეკუთნის; და მეორე იმ ხმოვანს, რომლის წინაც ზის: **ბავ-ში, კოვ-ში, ზარ-მე-ლი.**

თუ სიტყვაში ხმოვანის წინ სამი ან მეტი თანხმოვანია, უკანასკნელი თანხმოვანი იმ ხმოვანს ეკუთნის, რომლის წინაც ზის, დანარჩენი თანხმოვანი კი თანამომდევარ ხმოვანს ეკუთნის და მასთან ცალკე მარტვალს შეადგენს:

მარც-ვა ლი, ბარტ-ყი, სა-ვარც-ხა-ლი.

თუ სიტყვა თავსართიანია ან რთულია, მაშინ თავსართები და რთული სახელის შემადგენელი ნაწილები ცალკე უნდა ვიანგარიშოთ:

ბა-სწო-რე-ბა, აღ-დგო-მა, სა-ბძა-ნე-ბე-ლი, და-ძმა, შავ-თვალ-წარ-ბა, ხელ-მწი-ფე.

* *

როცა სიტყვის დაბოლოება და მისი შემდეგი სიტყვის დასაწყისი ერთგვარ თანხმოვანებს ერთად თავს უყრის, იმ შემთხვევაში წინა სიტყვის დაბოლოება (განსაკუთრებით მიცემითა და მოქმედ. ბრუნვებში) ა-ნით ხმოვანდება — კეთილხმოვანობისათვის; მაგალითად — **წყალს ვვვამ, პატივს ვვცემ, ეს სთქვა, ხელით სთხრის** და სხ. ძნელი გამოსათქმელია — და ამიტომ თანამომდევარი სიტყვების დაბოლოება უნდა განხმოვანდეს: **წყალსა ვვვამ, პატივსა ვვცემ, ესა სთქვა, ხელითა სთხრის.** ამ შემთხვევაში შეიძლება ორგვარი ფორმა ვისმართ: ან თანამომდევარი სიტყვა ა-ნით გავახმოვანოთ, ან შემდეგ სიტყვას (ზმნას) ს მოვაშოროთ: **ესა სთქვა, ან ეს თქვა.**

ზახმოვანებული ფორმები აგრეთვე შემდეგ გამოთქმებში იხმარება, საზოგადოთ ერთმარცვლოვანი სიტყვების წინ: **რახა იქ? რახა იქო? არა ვარ, არა ხარ, არა ვართ, არა ხართ, არა მწამს, არა მაქვს, არა გაქვს, არა მყავს, ვინა სთქვა? სადა ხართ? ხელთა გვაქვს, ძმასა გავს, ხესა ვრგავთ** და სხ.

ა-ნის მიმატებით სიტყვა ბრუნვებში აგრეთვე იმ შემთხვევაში ხმოვანდება, როცა მას კავშირი აქვს მისდევს: **ქალსა და კაცს, დიდსა და პატარას, ღვათისა და კაცის, წვითა და დაგვით** (ნახ. გვ. 13).

დანარჩენ შემთხვევაში კი სრული დაბოლოება ენის კილოს მეტისმეტათ აზვიადებს, გამოთქმას ამძიმებს, თუმცა ამერეთის ხალხი და მწერალნი თითქმის ყოველთვის სრულ დაბოლოებებს ხმარობენ. მოვიყვანოთ მაგალითი: „მთელი ქვეყანა მისდევს სწავლა-განათლებას, ავრცელებს ჟურნალ-გაზეთებს, ბეჭდავს სხვადასხვა წიგნს, ამრავლებს შკოლებს, ამზადებს ცხოვრებისათვის ყმაწვილებს, მარად მაცადინობს — სწავლის საქმეს ხელი შეუწყოს სიტყვით, გონებით, ფულით, — ერთი სიტყვით — ყოველგვარი საშუალებით“. — ბევრად უფრო სასიამოვნო კილო გამოდის, როცა დაბოლოებას ა ყოველგან მოშორდება.

აქვე უნდა ვსთქვათ, რომ მეტათ უსიამოვნო მოსასმენია ახლანდელ მწერლობაში ძველებური ფორმა ბრუნვებში: **საქმისა კაცისასა, საქმესა კაცისასა, საქმითა კაცისათა** და სხ. თუ რომ წინადადებაში საჭიროა ვაბრუნოთ სასაზღვრ სიტყვას შემდეგ დასმული მსაზღვრელი სიტყვა (**ლევკი ლომისა, საქმე კაცისა** და სხ.), მაშინ ქემაინც დაბოლოება უნდა შევამოკლოთ (**საქმეს კაცისას, ლევკს ლომისას, საქმემ კაცისამ** და სხ.), თვარა სულ სჯობია სიტყვების ამგვარ წყობას. გვერდი ავუაროთ და ასე გამოვსთქვათ: **კაცის საქმეს, კაცის საქმემ, კაცის საქმით** და სხ.

X. ნაცვალსახელებისა და კავშირის რუმ-ის ხმარება.

წინადადებაში უნდა ვერიდოთ ნაცვალსახელებისა და კავშირის რუმ-ის ხშირ ხმარებას: არ უნდა ვიხმაროთ ისინი არსად, სადაც კი უმათოდ აზრი გასაგები იქნება, — მაგალითად: **ა. მე ჩემს მეგობართან წავედი; მმ მინდოდა დამემტკიცებია მისთვის, რომ მმ მართალი ვიყავ. — ბქ ნაცვალსახელი მმ არსად საჭირო არ არის, ან შეიძლე-**

ბა მარტო თავში დავსტოვოთ;—ბ. რუმ დამარწმუნონ, რუმ უცებ გაგამდიდრებთო, უსინიდისობას მაინც არ ჩავიდენ.—აქ მეორე რუმ უნდა გამოიტოვოს.

სინტაქსიური კანონები.

შემასმენელის შეთანხმება ქვემდებარესთან.

ზადეავლოთ თვალი ჩვენს მწერლობას და გავითვალწინოთ, თუ შემასმენელს ძველათ ამ შემთხვევაში როგორ ათანხმებდენ.

„ვისრ.“-ში პირველი დაბოლოებით (მრავლობით რიცხვში სახელებს ორგვარი დაბოლოება აქვს: მზი და ნი; მზი-ს ვუწოდებთ პირველს, ნი-ს კი—მეორეს; ძველათ პირველი დაბოლოებით იშვიათად აბრუნებდენ) მრავლობითი. რიცხვის ქვემდებარეს იშვიათად შეხვდებით—და მისი შემასმენელი ხან მხოლოდით რიცხვში ზის და ხან მრავლობ. რიცხვში: „რომელიცა ცნობილი კაცები იყო“, „ქაბუკები იყუნეს“.

როცა ერთი შემასმენელთან რამდენიმე ქვემდებარეა, „ვისრ.“-ში შემასმენელი ყოველთვის მრავლობითში ზის, თუ ეს ქვემდებარე ადამიანს მოასწავებს,—მაგალითად: „გაიხარებენ ასული ჩემი და ძე ჩემი“; დანარჩენ შემთხვევაში კი შემასმენელი მხოლოდით რიცხვშია ნახმარი,—მაგალ. „ძირი და ნაპირი არა ჩანს“.—როცა ქვემდებარეთ უსულო საგნის მომასწავებელი სახელება, შემასმენელს მრავლობ. რიცხვში იშვიათად შეხვდებით.—შედგენილ შემასმენელათ „ვისრამიანი“ ხშირათ არის განსხვავებული ფორმა, რომელსაც ჩვენს მწერლობაში ძალიან იშვიათად შეხვდებით,—მაგალ. „ყმანი ყუელანი დედათ მოყუარულნია“. ამ წინადადებაში შედგენილი შემასმენელი მოყუარულნია შედგება მრავლობ. რიცხვის ზედსართავისაგან და მხოლოდ, რიცხვის შემწეობითი ზმნისაგან. ამგვარადვე შემასმენელი „ვეფხისტყაოსანშიც“ არის ნახმარი, მაგრამ სულ ორჯერ თუ სამჯერ. საზოგადოთ კი ამისთანა შემთხვევაში შემწეობითი ზმნა მრავლობითად დაისმის, როგორც ნახმარია ხშირათ. „ვისრამ.“-ში,—მაგალ. „დედანი გულ ჩვილნი არიან“.

„ვეფხ.“-შიც იმგვარათვეა შემასმენელი ნახმარი, როგორც „ვისრამ.“-ში, ე. ი. მრავლობითად, როცა ადამიანს შეეხება: „ადგეს სოგრატ და ავთანდილ“, და მხოლოდითად, როცა მოქმედება ადამიანს არ ეკუთნის: „დურაჯები დაინაბა“, „ბროლი და ლალი გათლილი ლაყვარდად გარდიქცოდა“. ბევრ ქვემდებარესთან იშვიათად მრავლობითი რიცხვიც არის ნახმარი:

„მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებთან,
მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმად მყვებიან“.

„სიბ.-სივ.“ წიგნშიც შემასმენელი ქვემდებარესთან ზემოხსენებული წესებით არის შეთანხმებული, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქვემდებარეს აქ პირველი დაბოლოებით (ები) უფრო ხშირათ შეხვდებით, ვიდრე „ვისრამ.“-სა და „ვეფხ.“-ში, და მათ შორის სულძირი საგნის მრავლობ. რიცხვის ქვემდებარე შემასმენელს ყოველთვის მრავლობითად თხოულობს, ადამიანს შეეხება ის თუ ცხოველებს, სულ ერთია,—მაგალ.: „მოვიდენ მცველები“, „მწეერებმან ასე გახადეს“, „ლორებმა წაუხდინეს“ და სხ. უსულო საგნის ქვემდებარე ს. ს ორბელიანს ზოგჯერ მხოლოდითად აქვს ნახმარი და ზოგჯერ მრავლობითად (მრავლობითად—როცა რამდენიმე ქვემდებარეა და ერთი შემასმენელი): „მათ კაცთა სახელები ესე არს“, „თაფლი და სამსალა ორივე სდიოდეს“.

აი კიდევ შემასმენელის მაგალითები „სიბ.-სივ.“ წიგნიდან:

„ორნი მეფენი შეიბნენ“.—„მართი კუ და ერთი მორიელი დამობილდნენ“.—
„მეფე-დედოფალი შემოვიდნენ“.

ხშირათ ს.-ს. ორბელიანი რიცხვით სახელს მრავლობითად არ ხმარობს—და მაშინ შემასმენელსაც მხოლოდ რიცხვში სვამს,—მაგალითად:

„მრავალი თეთრი ყარყატი ბუღობდა“;—„ორი დიდებული დასნეულდა“.

ხალხის ენაში და ახლანდელ მწერლობაშიც შემასმენელის რიცხვი არეულათ იხმარება: მრავლობითი რიცხვის ქვემდებარესთან შემასმენელს ხან მხოლოდით რიცხვში სმენ, ხან მრავლობითში—და ერთი რამე გარდაწყვეტილი კანონი ამის შესახებ არ არსებობს.

ბი ჩემი აზრი ამ საგნის შესახებ:

I. შემასმენელი მესამე პირში მრავლობით რიცხვში უნდა დაისვას:

1. თუ მრავლობ. რიცხვის ქვემდებარე მეორე დაბოლოებით არის ნაბრუნები,—მაგალ. ბავშვი სწავლობენ, მწევარნი გაიქცენ, ხეხილნი აყვავებულან, მთანი თოვლით დაფარული არიან;

2. როცა პირველი დაბოლოებით ნაბრუნები მრავლ. რიცხვის ქვემდებარე სულიერ საგანს მოასწავებს,—მაგალ. ბავშვები სხედან, ძაღლები ყეფენ, მერცხლები მოფრინდენ;

3. როდესაც ერთ შემასმენელთან რამდენიმე ქვემდებარეა, სულიერი საგნის მომასწავებელი,—მაგალ. მან და ხანდრო სასეირნოთ მიდიან;—ძაღლი და ძაბა წაიკიდენ;—შაშვმა, ჩხართვმა და ბულბულმა ჩვენს ახლოს ბუღქ გაიკეთეს.

II. შემასმენელი მრავლობ. რიცხვის ქვემდებარესთან მხოლოდ რიცხვში დაისმის:

1. თუ ქვემდებარე უსულო საგანს მოასწავებს და პირველი დაბოლოებით არის ნაბრუნები, ან უსულო საგნის რამდენიმე ქვემდებარეა:

ა. სახლები შენდება, ტყეები ამწვანდა;

ბ. მთა და ბარი გასწორებულა; მიწა, ხე და ტყე მწვანით იმოსება.

2. სულიერი საგნის რთულ ქვემდებარეს შემდეგ: ჩემი დედ-მამა აქ ცხოვრობს, შენი და-ძმა სოფელში იყო, თქვენი ქალ-ვაჟი კარგათ სწავლობს,—სიტყვები დედ-მამა, და-ძმა, ქალ-ვაჟი, ცოლ-ქმარი, მამა-შვილი, დედა-შვილი, ქმარ-შვილი, ცოლ-შვილი, რძალ-დედამთილი, სიძე-სიმამრი და მზგავსი სხვები—მტკიცეთ, განუშორებლათ შეერთებულ სახელებს წარმოადგენს, ისე რომ თითქმის ერთი აზრის აღმნიშვნელ სიტყვებათ გადაქცეულან; ამიტომაც არის, რომ ამისთანა სახელებს შემასმენელი მხოლოდ რიცხვში უფრო უხებდა, ვიდრე მრავლობითში. ამავ კატეგორიას ეკუთნის კავშირით „და“ შეერთებული, აზრით ერთმანეთის მოპირდაპირე სახელებიც,—მაგალითად: დიდი და პატარა, ქალი და კაცი, მდიდარი და ღარიბი, კეთილი და ბოროტი და სხ. და სხ., და ამიტომ იმათ შემდეგაც შემასმენელი უმჯობესია მხოლოდ რიცხვში დაისვას,—მაგალითად: დიდი და პატარა იქით მიეშურებოდა, ქალი და კაცი მისი წინააღმდეგი შეიქნა.

სულიერი საგნის რამდენიმე ქვემდებარესთან შეიძლება შემასმენელი მხოლოდითად დაისვას, და მაშინ ეს მოქმედება უახლოეს ქვემდებარეს ეკუთნება, ან თითოეულს ცალცალკე,—მაგალითად: „ტრედი, გვრიტი და ქედანი იქ ირევა ნაფჯაშია“; „ქალი, კაცი, გოგო, ბიჭი ეზიდება ზაპთრის სარჩოს“ (რ. პრისთავის ლექსიდან).

III. რიცხვით სახელზე დამოკიდებული სიტყვა, როგორც ქვემოთაც გვექნება განმარტებული, მხოლოდ რიცხვში დაისმის—და შემასმენელიც ამისთანა შემთხვევაში მხოლოდითად უნდა ვიხმაროთ,—მაგალ. ჯარში ბევრი ქალი იყო, ორივე მე-

გობარი აქ მოვიდა, სამი ძმა ერთად ცხოვრობს და სხ. — ამ შემთხვევაში, როცა ერთ წინადადებაში რამდენიმე შემასმენელია და ქვემდებარეთ სულიერი საგანია, პირველი შემასმენელი მხოლოდობითად იხმარება, დანარჩენები კი — მრავლობითად, — მაგალითად: მოვიდა ორი კაცი, თან მოიტანეს საქმელ-სასმელი, დასხდნენ და ქეიფი გასწიეს; სამივე თავადი სანადიროთ წავიდა, მწვეარ-მეძებრები მრავლათ წაიყვანეს და მთელ კვირას ნადირობდნენ.

IV. შედგენილი შემასმენელი.

როცა ქვემდებარე მეორე დაბოლოებით არის ნაბრუნები, მაშინ შედგენილი შემასმენელიც თავის ქვემდებარეს სრულათ ეთანხმება, როგორც ზევითაც არის მოყვანილი: „მთანი თოვლით არიან დაფარული“, „ეს ყმაწვილნი კეთილი არიან“.

როცა ქვემდებარე პირველი დაბოლოებითაა ნაბრუნები და უსულო საგანს მოასწავებს, მაშინ შედგენილი შემასმენელი მხოლოდობით რიცხვში დაისმის:

მთები თოვლით არის დაფარული (თოვლითაა დაფარული, თოვლით დაფარულია); ჩვენი სახლები კარგათ იქნება მოწყობილი.

აგრეთვე რამდენმე ქვემდებარესთან:

მაზაფხულზე ხე, ტყე და ველი მწვანით არის შემოსილი (მწვანითაა შემოსილი, მწვანით შემოსილია).

როცა პირველი დაბოლოებით ნაბრუნები ქვემდებარე სულიერი საგანია, შედგენილი შემასმენელი, ჩემი აზრით, ასე სჯობია ვიხმაროთ: შემწეობითი ზმნა მრავლობით რიცხვში დავსვათ, და ზედსართავი სახელი კი უცვლელათ დავსტოვოთ, — მაგალითად:

მს კაცები სწორეთ ბრმა არიან; ბავშები მშიერი იყვენ.

აგრეთვე რამდენმე ქვემდებარესთან:

ძალი, კატა და თხა მთელ დღეს დამწყვდეული ყოფილან (ამ შემთხვევაში შეკვეცილი დაბოლოებით ზედსართავის მრავლობითი ძველ ენაშიც იხმარებოდა, — მაგალ. „ამაო არიან ძენი კაცთანი, ცრუ არიან ძენი კაცთანი“, — ფსალ. დავით.: 61, 9).

როცა შედგენილი შემასმენელი შემწეობითი ზმნისა და არსებითი სახელისაგან შედგება, მაშინ კი არსებითი სახელი მრავლობითად დაისმის:

მს კაცები ბრმები არიან, ისინი მდიდრები ყოფილან, ეს ბავშები სწორეთ მხეცები არიან (ბრმები, მდიდრები, მხეცები ამ შემთხვევაში არსებითი სახელებია).

აქვე უნდა გამოვარკვიოთ, თუ ქვემდებარესთან და წინადადების სხვა ნაწილებთან როგორ უნდა შეეთანხმოთ ნაცვალსახელი „რომელიც“ იმ შემთხვევაში, როცა დამოკიდებული წინადადება ამ ნაცვალსახელით იწყება და როცა მთავარი წინადადების მრავლობითად დასმული რომელიმე ნაწილი (ქვემდებარე, დამატება და სხ.) იმით ხსაზღვრება

ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში იმავე კანონებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რომლითაც ჩვენ შედგენილი შემასმენელის ხმარებაში ხელმძღვანელობთ, ე. ი. თუ განსაზღვრება მრავლობითი რიცხვის სულიერ საგანს და ან მეორე დაბოლოებით ნაბრუნებს მრავლობითი რიცხვის უსულო საგანს შეეხება, მაშინ მრავლობით რიცხვში უნდა დავსვათ, — დანარჩენ შემთხვევაში კი — მხოლოდობითში. ამასთან უნდა ვსთქვათ, რომ ფორმა **რომლები, რომლებს** და სხ. არ არის კეთილზმოვანი, და სჯობია ყოველთვის მეორე დაბოლოებით ვაბრუნოთ (რომელნი, რომელთა და სხ.), მით უფრო რომ საზოგადოთ ნაცვალსახელები მრავლობით რიცხვში მეორე დაბოლოებით იბრუნვის (ისინი, ესენი, იგინი, მაგინი, იმათ, მაგათ და სხ.).

მოვიყვანოთ მაგალითები:

1. ჰავკასიაში ყოფილან მოგზაურები, რომელთაც ეს მხარე ყოველი მხრით აუწერიათ.

2. მანომ დაიჭირა ტრედი, გვრიტი და ქედანი, რომელნიც ნამჯაში იმალებოდენ (ამგვარ შემთხვევაში „რომელიც“-ის მაგიერ ხშირათ რუმ იხმარება; მაგალითად, აქ დამოკ. წინად. ასეც ითქმის: „ნამჯაში რომ იმალებოდენ“).

3. მათ აშფოთებდენ ვნებანი, რომელნიც ზღვასავით ლელავდენ.

4. ამ დროს გამოჩნდა მთები, რომელიც თოვლით იყო დაფარული.

ათულსა და მოპირდაპირე სახელებს ამ შემთხვევაში მრავლობითი რიცხვი უფრო შეფერის:

1. აქ ცხოვრობს ჩემი და-ძმა, რომელნიც მე მზდიან.

2. მტერს მედგრათ ებრძვის დიდი და პატარა, რომელთაც სამშობლოს დასაცავათ გადაუდევით თავი.

მრავლობითი რიცხვზე უფრო შეფერის განსაზღვრებას მაშინც, როცა ის უსულო საგნის რამდენმე სახელს ეკუთნის:

ჩვენ დავინახეთ მიდვრები და ტყეები, რომელნიც შორიდან ადამიანს ზღვას მოაგონებდენ.

მ ს ა ზ ლ ვ რ ე ლ ი ს ი ტ ყ ვ ა .

რა ადგილი უნდა ექიროს ფრაზეოლოგიაში მსაზღვრელ სიტყვას? როგორც ძველ მწერლობაში, ისე ახალშიც მას თავისი ადგილი მიჩენილი არ აქვს: ერთი და იგივე მწერალი მსაზღვრელ სიტყვას ხან სასაზღვრის წინა სვამს და ხან უკან. ხალვთო წერილში მსაზღვრელი სიტყვა თითქმის ყოველთვის სასაზღვრს შემდეგ არის ნახმარი: ძე შენი, ძენი კაცთანი, მამაო ჩვენო, სახელი შენი და სხ. და სხ. საერთო მწერლობაში კი—პროზაში მსაზღვრელს უფრო ხშირათ პირველი ადგილი უჭირავს, ხოლო ლექსებში—უფრო ხშირათ მეორე ადგილი; მაგალითად, „ვისრამ.“-ში ხშირათ არის ნახმარი ამგვარი წყობა: ყურისა ძირნი წმიდასა ვერცხლსა უგუანდეს,—რამინის ჭურეცა,—მეფის შვილი,—ყოვლისა სოფლისა სიხარული,—სირცხვილისა ფარდაგი დახია,—შენი ძიძა, შენი ბრძანება და სხ.; იშვიათად შეხვედებით წინააღმდეგ წყობას, მაგალ.: ასული ჩემი, ძე ჩემი, ძმა მოაბადისი და სხ.—„ვეფხ.-ში“ კი ამის წინააღმდეგ ვპოულობთ, ე. ი. უფრო ხშირათ მსაზღვრელი სასაზღვრს შემდეგ ზის,—მაგალითად: ლეკვი ლომისა, მიმდომნი საწუთროსანი, ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, საქმე სოფლისა, სჯობს უყოლობა კაცისა და სხ.—თუმცა ხშირათ შეხვედებით იქ მეორეგვარ წყობასაც,—მაგალითად: არაბთა მფობელმან, ამა მამისა სწავლასა, მეფისა ბრძანებასა და სხ.

ჩვენს დღევანდელ მწერლობაში კი აღმოსავ. საქართველოს წარმომადგენელნი მსაზღვრელ სიტყვას თითქმის ყოველთვის სასაზღვრს შემდეგ სმენ, დასავლეთისანი კი—წინ; ამგვარი განსხვავებით იხმარება ეს წყობა ამ ორი მხრის ხალხის ენაშიც.

ამ ორ წყობას რომ დაუუკვირდეთ, დავინახავთ, რომ გამოთქმა, მაგალითად, ისტორია საქართველოისა, ნაწილი ქალაქისა და სხ.—ენის ერთი გამაზვიადებელ ფორმათაგანია; მართალია, ეს წყობა ქართულს დიდი ხანია შეთვისებული აქვს, უცხო ენების (ბერძნულის, ლათინურის, ფრანგულის, რუსულის და სხვ.) მზგავსათ და უთუთო ზოგიერთის მათგანის გავლენით, მაგრამ ეს თვისება იმ უცხო ენებისთვის მიუცილებელია (მე ვამბობ იმ შემთხვევაზე, როცა განსაზღვრება—მსაზღვრელი სიტყვა ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გამოიხატება, მაგალ. წიგნი ბავშვისა და სხ.), მათ თვის ეს ერთადერთი ფორმა ამ აზრის გამოსახატავათ,—ქართულს კი ეს ფორმა

საფუძვლიანათ დღემდი ვერ შეუთვისებია—და უფრო მეორე წყობას ეტანება, რომელიც უფრო მარტივია, აზრის ადვილათ გამომხატველი; ყველა ამ საფუძვლის გამო უმჯობესია მსაზღვრელი სიტყვა, როცა ის ნათეს. ბრუნვით იხატება, სასაზღვრის წინ დაესვათ,—მაგალ. საქართველოს ისტორია, ქალაქის ნაწილი, კაცის ბედნიერება, ბუნების სიმშვენიერე და სხ.

მს კანონი განსაკუთრებით პროზაში უნდა დავიცვათ; რაც შეეხება ლექსებს, იქ შეიძლება ორივე წყობა. ვიხმაროთ, ლექსის საჭიროების მიხედვით.

პროზაში მსაზღვრელი სიტყვა უკან სასაზღვრს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოექცევა, როცა ამ მსაზღვრელ სახელზე მთელი წინადადებაა დამოკიდებული,—მაგალითად: მოგზაურმა დაათვალიერა მთელი ნაწილი ჰოროზისა, რომელიც შავ ზღვას ბათომის მახლობლათ ჩაერთვის; ან კიდევ: ეს არის დასაწყისი. საქმისა, რომლის წარმატებაზედაც მთელი ხალხის ბედნიერებაა დამოკიდებული. ამ შემთხვევაში მსაზღვრელი ნათესაობითი ბრუნვა შესაძლებელია წინ მხოლოდ მაშინ დაესვათ, როცა ნათესაობითს თან ჩვენებითი ნაცვალსახელი (იმ) მოსდევს; მაგალითად, ზემორე მოყვანილი წინადადება ასე შეიძლება გამოვსთქვათ: ეს არის იმ საქმის დასაწყისი, რომლის წარმატებაზედაც მთელი ხალხის ბედნიერებაა დამოკიდებული.

როცა მსაზღვრელი სიტყვა ზედსართავი სახელით, ნაცვალსახელით, რიცხვითი სახელით და სხ. გამოიხატება, ამისთანა მსაზღვრელი სასაზღვრს შემდეგ მაშინ დაისმის, როცა საგნის თვისებას—ეპიტეტს განსაკუთრებული რამე მნიშვნელობა უნდა მისცენ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ,—მაგალითად: ღმერთო ძლიერო!—თამარი იყო მეფე სახელგანთი;—მე ვამბობ, რომ იმ კაცს აქვს სახე ღვთაებრივი.—სასაზღვრ სავანს შემდეგვე დაისმის კუთნილებითი ნაცვალსახელები ჩემი, შენი, მისი, ჩვენი, თქვენი—ნათესაობის აღმნიშვნელ ზოგიერთ სახელთან: მამა, დედა, ბებია, ბაბუა, დეიდა, მამიდა, ბიძა,—მაგალითად: მამა-ჩემი, დედა-მისი, ბებია-შენი ღ სხ.

აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ზოგჯერ ნათესაობითი ბრუნვის მსაზღვრელი სიტყვა თავისი სასაზღვრის განუშორებელ ეპიტეტს შეადგენს, ისე რომ მსაზღვრელი და სასაზღვრი თითქმის ერთ სახელათ გადაქცეულა,—მაგალითად: ქვის კედელი, რკინის ხიდი, თათრის ქალი, ვაშლის ხე და სხ. ამისთანა შემთხვევაში, თუ რომ სასაზღვრ სიტყვას კიდევ უნდა დავართოს ზედსართავის, რიცხვითის ან ნაცვალსახელის მსაზღვრელი სიტყვა, ეს უკანასკნელი მსაზღვრელი ნათესაობითის წინ დაისმის; მაგალითად: მალალი ქვის-კედელი, ლამაზი თათრის-ქალი, დიდი ვაშლის-ხე; და თუ ნათესაობითის მსაზღვრელი მაინცადამაინც არ არის სასაზღვრის განუშორებელი ეპიტეტი (მაგალით. მოსწავლის წიგნი, კაცის სიმდიდრე, ქალის თვალები და სხ.), მაშინ სამატი მსაზღვრელი ნათესაობითს შემდეგ უნდა დაისვას: მოსწავლის დიდი წიგნი, კაცის შესანიშნავი სიმდიდრე, ქალის ღვთაებრივი თვალები (იხ. მე-II „დამატება“-ში).

მოყვანილი სიტყვები.

მოყვანილ სიტყვებს ზოგიერთი მწერალი პირდაპირი მიმართვით ხატავს, ზოგი კი, სხვადასხვა პირის მიხედვით, ნაწილაკებს მეთქი-ს, თქო-ს (ან თქვა-ს) და ო-ს ხმარობს. „მეფხ.“-ში თითქმის სულ პირდაპირი მიმართვაა; მეორე პირის სათქმელში თქო მხოლოდ ერთ ადგილას აქვს რუსთველს ნახმარი: „მიკითხოს ჰკადრე, იყოთქო აქა ერთისა წამითა“; პირველი პირის სათქმელი ყოველგან პირდაპირი მიმართვით აქვს გამოხატული, მესამე პირისაში კი აქა-იქ აქვს იშვიათად ნახმარი ნაწილაკი ო. „ვისრამ.“-ში კი ამისთანა შემთხვევებში ნახმარია ნაწილაკები მეთქი, თქო ან თქუა და ო (თითქმის ყოველგან); იშვიათად პირდაპირი მიმართვაც იხმარება აქ. — „სიბ.-სიც.“-შიც არაერთად არის ნახმარი: ხან პირდაპირი მიმართვით, ხან ნაწილაკებით (მეთქი, თქო და ო).—ჩვენი დროის მწერლობაში მოყვანილი სიტყვები

ტყეები უფრო ხშირათ პიროვანი ნაწილაკებით გამოიხატება—და ამ ნაწილაკებს არეულათ ხმარობენ: ზოგი პირველსა და მეორე პირში თანასწორათ ხმარობს ნაწილაკს **თქო** ან **თქვა**-ს, ზოგი პირველში **მეთქი**-ს, მეორეში **თქო**-ს ან **თქვა**-ს.

ჩემი აზრით, პირდაპირი მიმართვა ქართულ ენას არ უხდება; უფრო ლამაზათ ეწყობა აზრი, როცა ის ზემოხსენებული ნაწილაკებით არის გამოთქმული. ამასთანავე უნდა ვსთქვა, რომ მეორე პირის მისამართავ სიტყვაში **თქვა**-ს სჯობია ნაწილაკი **თქო**; რომელიც თავისი ფორმით უფრო გვიხატავს უცვალბებელ ნაწილაკს, ვიდრე **თქვა**, რომელიც ნამყო დროის ფორმას წარმოადგენს (მან **თქვა**).

მოვიყვანოთ მაგალითები იმ სახით, როგორც, ჩემი აზრით, მწერლობაში საერთოდ უნდა ვინმართოთ:

1. მე ვუთხარი სიმონს, რომ შენი შვილი კარგათ **სწავლობსმეთქი**; 2. წადი და უთხარი სიმონს, რომ შენი შვილი კარგათ **სწავლობსთქო**; 3. მასწავლებელმა უთხრა სიმონს, რომ შენი შვილი კარგათ **სწავლობსო**.—ჰველა ამ წინადადებაში შეიძლება კავშირი რამ სულ გამოვუშვათ.

მესამე პირით, უნაწილაკოთ, მხოლოდ მაშინ შეიძლება ამ შემთხვევაში, აზრის გამოთქმა, როცა მოყვანილი სიტყვების მთქმელი არცა ჩანს და არც იგულისხმება,— მაგალითად: **ხალხმა გაიგო, რომ ვახტანგი ოსებთან ბრძოლას აპირებდა**. და როცა მთქმელი ჩანს ან იგულისხმება, მაშინ იმ სახით უნდა გამოითქვას აზრი, როგორც თავდაპირველათ იქნებოდა ის წარმოთქმული, და თან პირის შესაფერი ნაწილაკი უნდა დაერთოს; მაგალითად: **ვახტანგმა გამოაცხადა, (რომ) მე ოსებთან ბრძოლას ვაპირებო** (და არა „რომ ის აპირებდა ოსებთან ბრძოლას“); **სარდალმა ჯარს გამოუცხადა, (რომ) ვახტანგი ოსებთან ბრძოლას აპირებსო**, და სხ. უკანონოთ არის ნახმარი რაფ. მრისთავის ლექსში („ძოროლი“): „მაგრამ ჯერ კითხა ტუნობსა, რაზედ თავხედობს იგია, ან რა რკინაა, რომ იმას ზედ მხარზედ გადაუკიდიო?“ უნდა იყოს: „მაგრამ ჯერ კითხა უცნობსა: „რაზე თავხედობ შენაო? ან რა რკინაა, რომ შენ მხარზე გადავიკიდიო?“.

ხშირათ სასაუბრო პიროვან ნაწილაკებს **მეთქი**-ს, **თქო**-სა და **ო**-ს უადგილოდ ადგილას სმენ, მაგალითად ასე: **მე მეგონა, დამიბნელდამეთქი თვალი; მანომ მითხრა, მოვიდაო შენი ძმა**, და სხ. სასაუბრო ნაწილაკები **მეთქი**, **თქო** და **ო** წინადადებას ყოველთვის ბოლოში უფრო უხდება, ვიდრე შუაში. ძველ მწერლობაში მხოლოდ შოთას აქვს ისინი უფრო ხშირათ შუაში ნახვარი (თუმცა ბოლოშიც ხმარობს; საზოგადოთ ლექსებში თავისუფლათ მათი ხმარება ძნელია); „სიბ-სიც“—ში მხოლოდ ერთ ადგილას შევხვდები **ო**-ს შუა წინადადებაში: „მაშინვე მოჰკვდებო უცილოდ“.

მაშასადამე, ზემორემოყვანილი წინადადებანი ასე უნდა გამოვსთქვათ: **მე მეგონა, თვალი დამიბნელდამეთქი; მანომ მითხრა, შენი ძმა მოვიდაო**.

პირდაპირ, უნაწილაკოთ, მისამართავი კითხვა-პასუხის გამოთქმა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა მოთხრობაში მომქმედ პირებს შორის პირდაპირი საუბარია გამართული და თანაც კითხვა-პასუხს სიტყვები **კითხა**, **სთქვა**, **უთხრა**, **უპასუხა** და მისთანები არ ახლავს.

მოვიყვანოთ მაგალითები:

— საით მიბძანდებო?—მკითხა ჩემმა მასპინძელმა.

— მთაში მივდივარ სანადიროთმეთქი,—უპასუხე მე.

— ხომ ხედავ, რომ მეტათ ცუდი ტაროსიაო,—განაგრძო მან,—დღეს აქ მოითმინე—და ხვალაც მოესწრები ნადირობასო.

მსვე საუბარი პირდაპირ, უნაწილაკოთაც შეიძლება გამოითქვას, როცა არ ეხლება სიტყვები **მკითხა**, **უპასუხე** და მისთანები.

მასპინძელსა და ჩემ შორის შემდეგი საუბარი გაიმართა:

— ხაით მიბძანდები?

— მთაში მივდივარ სანადიროთ.

— ხომ ხედავ, რომ მეტათ ცუდი ტაროსია; დღეს აქ მოითმინე— და ხვალაც მოესწრები ნადირობას.

მძელ პერიოდში სასაუბრო ნაწილაკი იმ სიტყვას ახლავს, რომელზედაც მიქცეულია ყურადღება, და ეს სიტყვა უსათუოთ წინადადების ბოლოში უნდა მოაქციონ; უმეტეს ნაწილათ ამისთანა სიტყვაა **ზმნა** (შემასმენელი); სასაუბრო ნაწილაკი (**მეთქი, თქო, ო**) შეიძლება რამდენჯერმე იქნეს მძელ პერიოდში გამეორებული, მაგრამ ერთობ ხშირათ, ზედიზედ არ უნდა იხმარონ, თვარა საუბარი უკეთილზმოვანო გამოვავ; აი მაგალითიც: **ღედამ უთხრა შვილს: „შვილო, ჩემი სიღარიბით რაც შემეძლო, თავი არ მიზოგავს; დაეხარჯე, მოგამზადე და კლასში მიგაბარეო. აწი შენ იცი, როგორ მონდომებ, რა სიბეჯითესა და კარგ ყოფაქცევას გამოიჩინო. სწავლა და ცოდნა საკუთრათ შენთვის იქნება საბოლოოთ გამოსადეგი, მაგრამ ესეც გახსოვდეს, რომ კარგი სწავლითა და რიგიანი ყოფაქცევით შენი მოხუცი დედის გულს უზომოთ გაახარებო“.**

დ რ ო თ ა შ ე თ ა ნ ს მ მ ბ ა .

ძველ მწერლობაში იხმარებოდა და ბევრი მწერალი ახლაც ხმარობს (ახლა განსაკუთრებით აღმოს. საქართველოს მწერალნი) დროთა ერთგვარ შეთანხმებას, რომელიც, ჩემი ფიქრით, აზრის ლოლიკურ მსვლელობას ეწინააღმდეგება.

მაგალითები:

„მსე დაასკუნა, რომე რამინის ომად წავიდეს, და შეეხას“ („პისრ.“);

„მოაღებინა ოცდაათი ისარი, შეკრა მაგრად და მოიზიდა, რათა გაატეხოს („ხიბ.-სიც.“).

მორივე მოყვანილი მაგალითი გვიჩვენებს, რომ მოქმედება აქ წარსულ დროს შეეხება, წარსულ დროში მომხთარა; დამოკიდებულ წინადადებათა შემასმენელები კი (**რომე წავიდეს და შეეხას, რათა გაატეხოს**) გვიჩვენებს, თითქო მოქმედება ჯერ. არ მომხთარიყოს, აწი უნდა მიხთეს. მართალია, იმ დროის დამსწრეთათვის, რომელსაც ეს გარემოებანი შეეხებიან, გახაზული დროები (**წავიდეს და შეეხას, გაატეხოს**) მყოფადი დროის მოქმედების აღმნიშვნელი იქნებოდა და, მაშასადამე, ზმნებიც მყოფად დროში უნდა დასმულიყო; ჩვენთვის კი, როცა ყველა ეს მოქმედება ნამყო დროს ეკუთნის, მყოფადი დროის ფორმა სრულიად შეუფერებელია; ჩვენი აზრის თანდათანობითი მსვლელობა მოითხოვს— ამ შემთხვევაში შემასმენელი იმისთანა ფორმით აღინიშნოს, რომ წინათ მომხთარ მოქმედებას გვიჩვენებდეს.— მაშასადამე, ზემორემოყვანილ წინადადებათა შემასმენელები ასე უნდა გამოითქვას: **რომ წახულიყო და შებმოდა, რათა გაეტეხა.**

მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი: (ირემმა აქ) „პირველად აახილა თვალი რომ მიესალმოს ქვეყანას, და ბოლოს უკანასკნელად დახუჭა, რომ სამუდამოდ გამოესალმოს“; — „განვიზრახე, რომ თვითონ გლახას გამოვფთქმევიწო თავისი ვინაობა“; — „განვიზრახე, რომ პეპიასთან წავიდე და ყველაფერი შევატყობინო“.

ეს მაგალითები ილ. ზავჭავაძის „ზლახის ნაამბობიდან“ არის ამოღებული; მათ რიელი უამბობს მონადირეს თავის თავგადასავალს, — მაშასადამე, ყველა მოქმედება წარსულ დროს შეეხება— და ამიტომაც ლოლიკა მოითხოვს— იმისთანა დრო დაესვათ, რომელიც წარსულში მომხთარ გარემოებას გვიჩვენებდეს, და არა მომავალში შესასრულებელს.

მაშასადამე, ზევით მოყვანილი მაგალითები ასე უნდა ითქვას:

ირემმა აქ პირველათ აახილა თვალი, რომ ქვეყანას მისალმებოდა, და ბოლოს უკანასკნელათ დახუჭა, რომ სამუდამოთ გამოსალმებოდა. — მე განვიზრახე, რომ თვი-

თონ გლახისთვის გამომეთქმევიანება თავისი ვინაობა.— მე განვიზრახე, რომ ჰეპიასთან წასულვიყავ და ყველაფერი შემეტყობინებია.

აი კიდევ დროთა უკანონო შეთანხმების რამდენიმე მაგალითი (იმავე „გლახის ნაამბობი“-დან):

„მტყობოდათ ზედ, რომ ამათ პატრონს ბევრი ცეცხლი უნახავს, ბევრი ავდარი შესწრებია და გამოუვლია“. — აქაც დარღვეულია აზრის ლოლიკური მსგელობა; ამგვარი დროთა დაწყობა გვიჩვენებს, რომ მოქმედება იმისთანა პირს შეეხება, რომელიც ახლა ცოცხალია; და თუ ის პირი, რომელსაც მოქმედება შეეხება, არ არის ცოცხალი იმ დროს, როცა იმაზე საუბრობენ, მაშინ ნამყო III (უნახავს) კი არ დაისმის, არამედ ნატვრითი კილოს ნამყო I (ენახა).

ამ სახით, ზემოხსენებული წინადადება ასე უნდა გამოვსთქვათ: ზედ ეტყობოდა, რომ იმათ პატრონს ბევრი ცეცხლი ენახა, ბევრი ავდარი შესწრებოდა და გამოევლო.

ამ კანონს ამტკიცებს შოთა რუსთველის ენაც: „რომე პირველვე დაესკვნათ, მათ ესე შეეტყობოდა“.

აი კიდევ სხვაგვარი შემთხვევა:

„რომ დამინახა, უკან მივდეგ, მითხრა“ („გლახ. ნაამბ.“).

„მე მაშინ არ მესმოდა, რას ამბობს“ (იქვე).

აუხსენლათაც ცხადია, რომ აქ მოქმედება ნამყო დროს შეეხება და იმავე დროში უნდა იყოს ნახმარი შემასმენელიც:

როცა დამინახა, რომ უკან მივხლევდი, მკითხა:— მე მაშინ არ მესმოდა, თუ რას ამბობდა.

პრის ერთი შემთხვევა, როდესაც ნამყოს მაგიერ აწმყო იხმარება: როცა ავტორს სურს, რომ წარსულში მომხთარი მოქმედება ცოცხლათ თვალწინ დაგვიხატოს, შემასმენელს, ნამყო დროის მაგიერ, აწმყოში ხმარობს; მაგალითად:

„სხვაგან ჰქრის მისი გონება“;

„იგი ლალი და უკადრი მივა ტანისა მრხეველად“;

„თაიჭი მიუჯს მერანსა, მიეფინების მზე ველად“;

„შიმაველი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მუსესა“ (ვეფხ.).

„მნახე, ერთს მგელს პირთ ყრმა სჩრია და მოაქვს“ („სიბ. სიც.).

ჩემი აზრით, აქაც უნდა დავიცვათ მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებას შორის დროთა ერთგვარობა: ან ორივეში აწმყო იქნეს, ან ორივეში ნამყო,—

მაგალითად ასე:

მზივარ ტყეში და ვხედავ, რომ ყურდგელი ჩირგვში წევს და სმინავს, ან: ვიჯექი ტყეში და ვხედავდი (ან დავინახე), რომ ყურდგელი ჩირგვში იწვა და ეძინა.

ამგვარი აწმყო სხვა ენებშიც იხმარება — როგორც ძველში, ისე ახალშიც (ლათინურში, ფრანგულში, რუსულში და სხ.); ამისთანა აწმყოს ისტორიული აწმყო ეწოდება (praesens historicum).

აქვე უნდა ვსთქვა, რომ ხშირათ აწმყოს მაგიერ ამ შემთხვევაში ზოგიერთი ავტორი მყოფადს ხმარობს, მაგალითად ასე: ივანე ადგება და მის ბინაზე მივა, მაგრამ კარი დაკეტილი დაუხვდება... მყოფადის მაგიერ აწმყო სჯობია, და ზემოხსენებული წინადადება ასე უნდა გამოითქვას: ივანე ადგება, მიდის მის ბინაზე, მაგრამ კარი დაკეტილი უხვდება; ანუ ნამყო:... ადგა, ... მივიდა, ... დაუხვდა.

კ ა ვ შ ი რ ი რ ა .

ახალ მწერლობაში ძალიან გააზნირეს კავშირის რა-ს უადგილო ალაგას დასმა, ე. ი. ზმნას შემდეგ, მაგალითად ასე: დაასრულა რა ეს სიტყვა, ორატორი გავიდა დარბაზიდან. ძველ საერო მწერლობაშიც და ხალხშიც ამ შემთხვევაში კავშირი რა

(აგრეთვე რაკი, როცა, რომ) ზმნის წინ დაისმის. „ვისრამ:“-ში ეს კავშირი ყოველგან ზმნის წინ ზის: „რა ვისმან მოისმინა მისგან პასუხი, გული გაუფიცდა“ და მრ. სხ; „ვეფხ:“-ში: „რა ყველაი დავიურვე, ხატებით გავემგზავრე“; „რა გათენდა, შეეკაზმა“, და სხ. ამგვარი წყობა ნახმარი „სიბ.—სიც.“-შიც; მხოლოდ ერთ ადგილას შევხვდი აქ წინააღმდეგ წყობას: „ესმა რა ესე რუქას საქურისსა, აღშფოთდა“.

ხალეთო წერილის წიგნებში, მართალია, რა ზმნას შემდეგ იხმარება, მაგრამ, რაკი ხალხურ ენაში ეს წესი არ არსებობს, ჩანს-ხალეთო წერილში, სათარგმნი დედნების გავლენით, ქართულისათვის არაბუნებრივი ფორმა შეუტანიათ.

ამ სახით, ზევით მოყვანილი წინადადება ასე უნდა გამოვსთქვათ: რა ეს სიტყვა დაასრულა, ორატორი დარბაზიდან გავიდა.— ესე წინადადება შეიძლება ასეც გამოვსთქვათ:

ეს სიტყვა რომ დაასრულა
რომ დაასრულა ეს სიტყვა
როცა დაასრულა ეს სიტყვა
რაკი დაასრულა ეს სიტყვა
დაასრულა ეს სიტყვა თუ არა

}, ორატორი დარბაზიდან გავიდა.

ახალ მწერლობაში ზმნას შემდეგ რა-ს ხმარება, როგორცა ჩანს, რუსული ენის გავლენით გაუერცყლებიათ, რომ რუსული „დეკრიჩასტიე“ გამოხატონ; მაგალითად, სწერენ: „გაცნობებთ რა ამას; გთხოვთ პასუხი დაუყოვნებლათ შეგვატყობით“-ო (რუსული: сообщая об этом, просим და სხ.). ძართულათ ამისთანა შემთხვევაში, აზრი შემაერთებელი კავშირით (და) გამოითქმის; მაგალითად, ზემოხსენებული წინადადება ასე ითქმის: გაცნობებთ ამას და გთხოვთ (ან: და მასთან გთხოვთ) - პასუხი დაუყოვნებლათ შეგვატყობით.

მრთი სიტყვით, როცა რუსული „დეკრიჩასტიე“ გვინდა ქართულათ გამოვხატოთ, თუ აწმყო დროის არის, შემაერთებელი კავშირით გამოიხატება, და თუ ნამყო დროისა, მაშინ კავშირებით რა, რაკი, რომ, თუარა — იმ სახით, როგორც ზევით გვაქვს მაგალითები მოყვანილი.

ბი კიდევ რამდენიმე მაგალითი:

1. Присылая вам при сем деньги, прошу выслать мне книги.—ამასთანავე გიგზავნით ფულს და გთხოვთ წიგნები გამომიგზავნოთ (და არა გიგზავნით რა ფულს და სხ.);

2. Окончивши это дело, он воротился назад.—რა (რომ, როდესაც, როცა) გაათავა ეს საქმე, ის უკანვე დაბრუნდა; ან: გაათავა ეს საქმე თუარა (ეს საქმე რომ გაათავა), ის უკანვე დაბრუნდა.

ნამყო დროშიც შეიძლება რუსული „დეკრიჩასტიე“ შემაერთებელი კავშირით გადაითარგმნოს,—მაგალითად: Сидя в комнате, Георгий предавался розовым мечтам,—ზიორგი ოთახში იჯდა და სასიხარულო ფიქრებით ერთობოდა (და არა იჯდა რა ოთახში და სხ.).

შედარებითი ხარისხი ნათესაობით ბრუნვას თხოულობს.

ჩვენს ძველ საუკეთესო თხზულებებში ყოველთვის შედარებითი ხარისხის ფორმას შემდეგ ნათესაობითი ბრუნვა ნახმარი ან ბან თანდებულთ, ან პირდაპირ; მაგალითად, „ვისრამან“-ში: „მთისაგან უმძიმესი“, „ვეფხისაგანცა უფიცხესი“, „ამის უარესი“, „მის უკეთესი“; „ვეფხ:“-ში: „დისაგანცა უფრო დესი“, „პირველისა უარესი“, „უმჯობესი დედისა“, „ვარ უმაგრესი რვალისა“; და სხ; „სიბ.—სიც.“-ში: „ენის უტკბესი“, „ენის უმწარესი“ და სხ.—ხალხში არეულათ ხმარობენ ამ ფორმებს; ერთნაირათ მოი-

სმის იქ, მაგალითად, **ამაზე კარგი, ღობეზე დაბალი** (ანდაზა: „კაცზე მაღალი, ღორზე დაბალი“) და სხ., და აგრეთვე: **ამის უკეთესი, ღობის უდაბლესი, ან ამაზე უფრო კარგი, ღობეზე უფრო დაბალი.**

ჩემი აზრით, მწერლობაში ამგვარათ უნდა ვიხმაროთ: წმინდა შედარებით ხარისხს შემდეგ—ნათესაობითი ბრუნვა (მზის **უბრწყინვალესი**, მთის **უმალლესი** და სხ.); თანდებული **ზე** ამ შემთხვევაში მხოლოდ ნაცვალსახელებში იხმარება: **ჩემზე** (შენზე, თქვენზე, ამათზე, მათზე) **უკეთესი**; მხოლოდობით რიცხვში კი ჩვენებით ნაცვალსახელებში ნათესაობითი ბრუნვა იხმარება: **იმის** (ამის, მაგის) **უკეთესი**.—**წმინდისა**რთით ნაწარმოებ შედარებით ხარისხთანაც აგრეთვე თანდებული **ზე** იხმარება: **მთაზე უფრო მაღალი, ამაზე უფრო კარგი და სხ.** რაც შეეხება გამოთქმას **მთაზე მაღალი, ჩემზე დაბალი** და სხვ., იგი, როგორც განუყოფელი ფორმა, მწერლობიდან უნდა გაიღვენოს.

რიცხვითი სახელები რიცხვში არ იცვლება და მხოლოდობით რიცხვს თხოულობს.

ახალ მწერლობაში და აგრეთვე ხალხში მრავლობით რიცხვს აღმოს. საქართველოში ხმარობენ (უმეტეს ნაწილათ იმ შემთხვევაში, როცა აღამიანზეა ლაპარაკი), ხოლო დასავლეთში—მხოლოდობითს. **ორნი ძმანი, ხუთნი ამხანაგნი** და სხვ.—ერთი რომ მეტათ მძიმე ფორმაა, რაიცა გამოთქმას აძნელებს და ენას ატლანქებს, და მეორე—უმნიშვნელოცაა, რადგან მრავლობითი რიცხვის დაბოლოება ამ შემთხვევაში რაოდენობას არა სცვლის. რიცხვითი სახელი მრავლობითი რიცხვის დაბოლოებით მხოლოდ მაშინ უნდა ვიხმაროთ, როცა გვინდა ავღნიშნოთ, რომ ერთი და იგივე რიცხვი რამდენჯერმე აღებული; მაგალითად, თუ გვინდა აღვნიშნოთ მრავალჯერ ხუთი, მრავალჯერ ასი და სხ., მაშინ ვიტყვი: **ხუთები, ასები** (ან **ხუთნი, ასნი**) და სხ.

აქიდან ცხადია, რომ არ ითქმის, როგორც ხმარობენ ხშირათ: **ორივე თვალე-ბი, ორივე ხელე, ხუთივე ბავშე, ბევრი სახლები** და სხ.; არამედ **ორივე თვალი, ორივე ხელი, ხუთივე ბავში, ბევრი სახლი, ცოტა საქმე** და სხ.—**ზოგნი** ბრუნვებსაც კი ამახინჯებენ და სახელობითში ხმარობენ: **ორთავე, ორთავენი, ორივენი** და სხ.; სახელობითი, თუ მაინცაღამაინც, **ორნივე** იქნება, და არა **ორთავენი** და **ორივენი**; მაგრამ, ვიმეორებ, მრავლობითი რიცხვის დაბოლოება ამ შემთხვევაში შესაწყნარებელი არ არის (დაწვრილებით საბუთები იხ. მე-II „ღამატება“-ში).

შვილითურთ, შვილით, შვილიანათ.

ღედა მოვიდა თავისი **შვილითურთ**, ღედა მოვიდა თავისი **შვილით**, ღედა მოვიდა თავისი **შვილიანათ**,—სამივე ეს გამოთქმა იხმარება ჩვენს დღევანდელ მწერლობაში. „მისრ.“-ში ნახმარია პირველი ორი გამოთქმა,—მაგალითად: „მოვიდეს მეფენი და დიდებულნი **დედაწულითურთ**“, „გულსა **გონებითურთ** შენ მოგცემ“; უფრო ხშირათ კი უთანდებლოთ არის ნახმარი: „მივიდა ზარდი ციხესა **ორასითა კაცითა**“, „გამომგზავრდა მისითა **მოყვართა და ლაშქრითა**“ და სხ.—„ვეფხ.“-ში სამივე გამოთქმაა ნახმარი: „**ბექდითურთ** თითი მოჰკვეთა“, „**მე** და **შენი შვილითურთ** აწ ახლა დავიბადენით“, „**მივა ოთხითა მონითა**“, „**მოვიდა მოყვისითა სამიფა**“ და სხ.: „მოვივალ მე ალაფიან-ტყვიანად“, „**მეფემან ჰბრძანა**: იკითხეთ, მარტოა, ანუ ყმიანად?“. — „სიბ.-სიც.“-ში მხოლოდ ერთ ადგილას შევხვდი ძველებურ დაბოლოებას **ურთ-ს** და ერთ ადგილასაც ხალხურ დაბოლოებას **იანად-ს**: „**ყოველნი მონაგებითურთ** დანითქნენ“, „**ცხენ-კაცებიანად** თან ჩაგვიტანა“; სხვაგან კი ყოველგან უთანდებულო მოქმედებითი ბრუნვაა ნახმარი: „**დახვდა ქორითა და მეძებრებითა**“,—ერთი ფუნდრუკი

მისის კაცებითა, აქლემითა, ადგილითა, სახლებითა, გალავნითა სრულობით აიტაცა და წაიღო“, და სხვ.

თანდებულნი ფორმა (შვილითურთ) იმდენათ მძიმე ფორმაა და დღეს ხალხისა და მწერლობისაგან ისე დაევიწყებულა, რომ ის ფეხს ვერ მოიდგამს; დანარჩენი ფორმები მწერლობაში, ჩემი აზრით, ორივე უნდა დარჩეს შემდეგი განსხვავებით: თუ გამოთქმაში ის აზრი იხატება, რომ ერთად მყოფი საგნები ერთმანეთთან მეტათ მტკიცეთ შეკავშირებულა, მაშინ დაბოლოება იანათ ვინმაროთ,—მაგალითად: ქარმა ხე ძირიანათ ამოსთხარა, მგელმა ცხვარი ძვლიანათ შესჭამა, კაცი ტანისამოსიანათ გადავარდა წყალში, ტომარა ფქვილიანათ მოიპარეს, ვირი საპალნიანათ გადავარდა კლდეზე, და სხ. და სხ.; ამ კანონსვე ემორჩილება ზნეობრივათ შეკავშირებული საგნებიც: ცოლიანათ, შვილიანათ, ცოლ-შვილიანათ, მეგობრიანათ და სხ.; მაგალ.: ეს კაცი თავისი ცოლ-შვილიანათ აქ ცხოვრობს; და თუ გამოთქმა გვიჩვენებს, რომ ერთად მყოფი საგნები მაინცაღამაინც მჭიდროთ შეკავშირებული არ არის, მაშინ წმინდა მოქმედებითი ბრუნვა უნდა ვინმაროთ; მაგალითად: მეფე ორი კაცით გაიტკა ბრძოლის ველიდან, ჩემი ძმა თავისი ნაცნობით რუსეთში ცხოვრობს, ჩვენ ივანე თავისი მეზობლით გვეწვია.—მრავლოვნობის ან უხერხული გამოთქმის ასაშორებლათ შეიძლება ან ხალხური ფორმა იანათ ვინმაროთ, ან შემაერთებელი კავშირით და გამოეხატოთ აზრი,—მაგალითად: ჩვენი ჯარისკაცები ცხენებიანათ გაიტაცეს მტრებმა, ან ჩვენი ჯარისკაცები და მათი ცხენები მტრებმა გაიტაცეს (ცხენებით გაიტაცეს რომ ესთქვათ, ის აზრიც ექნება, თითქო ცხენებზე შესვეს და ისე გაიტაცესო).

თურმე და თურა.

დღევანდელ მწერლობაში ზმნისართს თურმე-ს ხშირათ პირდაპირ შემასმენელის წინ სმენ; მაგალითად: მთავრობას განზრახვა თურმე აქვს, რომ მიწის ბაჟი მოგვიმატოს, რაფიელი ავათ თურმე გამხთარა-ო და სხ.

შოთა რუსთველი და ს.-ს. მრბელიანი თურმე-ს ქვემდებარის წინ სმენ, ან ისე, რომ იმასა და შემასმენელს შორის კიდევ იყოს რამე სიტყვა; მაგალ. „ვეფხ.“-ში შეხედებით:

„მას თურმე წყლული სტკიოდა“, „თურმე ბედი მოაღაფლებს კაცსა ეგზომ არ ლაფალსა“ და სხ.; მხოლოდ ორ ადგილას შევხვდი აქ თურმე-ს პირდაპირ შემასმენელის წინ: „კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ თურმე არ წარხდების“,—„ამას თურმე მახარებდა“.—სიბ.-სიც.“-ში: „ძველთაგან თურმე ნასოფლარი ყოფილიყო“,—„თურმე ის უფრო ყრუ იყო“,—„ყადი თურმე სიბერით დაყრუებულყო“ და სხ. აქაც ორ ადგილას შევხვდი წინააღმდეგ წყობას: „მას სოფელს ერთი უმეცარი დალაქი თურმე იყო“,—„ცინე თურმე შემოეთხარა“.

ხალხში მე თურმე-სთან სამნაირი წყობა მაქვს შენიშნული: აქ ის დაისმის წინადადების თავში, შუაში და ბოლოში. მეც ასე მგონია, რომ მწერლობაში ეს სამგვარი წყობა უნდა დარჩეს.

მოვიყვანოთ, მაგალითები:

1. თურმე ეს ყმაწვილი სოფელში ცხოვრობს;
2. ეს ყმაწვილი თურმე სოფელში ცხოვრობს;
3. ეს ყმაწვილი სოფელში ცხოვრობს თურმე.

როცა შედგენილი შემასმენელია:

1. თურმე ეს ყმაწვილი ნიჭიერი იყო;
2. ეს ყმაწვილი თურმე ნიჭიერი იყო;
3. ეს ყმაწვილი ნიჭიერი იყო თურმე.

აგრეთვე კავშირი თუარა ხშირათ უადგილო ჟღერს იხმარება,—მაგალ.: გამეფ-
და თუარა მამარი, სამეფო საქმეებს მიყო ხელი-ო, და სხ. ამ კავშირს ადგილი
უფრო წინადადების ბოლოში შეშვების: გამეფდა მამარი თუარა (ან: მამარი გამეფ-
და თუარა), სამეფო საქმეებს მიყო ხელი

შარყოფითი მიმოხრის ფორმები.

ა. შარყოფითი აზრი ძველათ ორგვარათ გამოითქმოდა: შ ნით და არაპ-თი (ან
პირაპ-თი); მაგალითად, „მეფე.“-ში ვპოულობთ: „ძოკობი და დაუფრტყვენლი ვარდი
დაგხედე დაუმტკნარი“; „მივალ არ ფიცხელი“; „მკლავს სურვილი და ვერ-ნახვა
ჩემისა სასურველისა“ და სხ.—შქველეს ქართულ ენაში უარყოფა აგრეთვე თანდებუ-
ლით თვინიერ-ით გამოიხატებოდა,—მაგალითად: „სარწმუნოება თვინიერ საქმეთა
მკვდარ არს“.

დღევანდელ მწერლობაში, აზრის უარყოფითად გამოსატქმელათ, ნაწილაკები შ და
არაპ უნდა დარჩეს, მაგრამ, ჩემი აზრით, შემდეგი განსხვავებით: შ-ნით გამოხატული
უარყოფა რისამე სრულს, გადაწყვეტილ უარყოფას ნიშნავს, ხოლო არაპ-თი გამოხა-
ტული—საშვადლო უარყოფას; მაგალითად: უჩვეულებრივო ცხოვრება იმისთანა ცხოვ-
რებას ნიშნავს, რომელიც ჩვეულებრივს სრულიად არა გავს, ხოლო არაჩვეულებრი-
ვი ცხოვრება—იმისთანას, რომელიც ჩვეულებრივს მცირეთ მაინც მოგვაგონებს; უწე-
სო საქციელს იმისთანა მოქმედებას ვუწოდებთ, რომელსაც წესიერების არაფერი
ახლავს, ხოლო არაწესიერ საქციელს—იმისთანას, რომელსაც მცირეოდენი წესიერება
უნდა ახლდეს.—მე მგონია, ამავე აზრით უნდა იყოს ნათქვამი ხალხში: „არცოდნა არ
ცოდვასო“, ე. ი. როცა კაცს რისამე სრული ცოდნა არა გაქვს, ეს გარემოება მაინცა-
დამაინც დიდს, მომაკვდინებელ ცოდვას არ შეიცავსო. უცოდნელობაზე, უცოდინ-
რობაზე, ე. ი. სრულ უვიცობაზე ხალხი ამავე აზრს, რა თქმა უნდა, არ შეადგენდა.

შარყოფა შ-ნით უმთავრესათ მიმღობაში და არსებით სახელთაგან ნაწარმოებ
ზედსართავებში გამოიხატება; მაგალითად: დაწერილი—დაუწერელი, დამტკნარი—
დაუმტკნარი, ხშიანი—უხშიო, მამულიანი—უმამულიო, ზედნიერი—უზედური, ძლიერი—
უძლიერი, გონიერი—უგონური და სხ.—წმინდა ზედსართავ სახელთაგან უარყოფა ან
არაპ-თი გამოიხატება და ან წინააღმდეგი აზრის გამოხატველით, მოპირდაპირე სა-
ხელით; მაგალითად: მალალი—დაბალი, მდიდარი—ღარიბი, კეთილი—ბოროტი, თფი-
ლი—ცივი, კარგი—ცუდი, კარგათმყოფი—ავათმყოფი, ახალი—ძველი, ახალგაზდა—
ხნიერი და სხ. და სხ. მთუ გვინდა ამ შემთხვევაში, რომ საგნის საშვადლო თვისება
გამოვხატოთ, და არა უკიდურესი, მაშინ ზედსართავ უნდა ვიხმაროთ არაპ-თი, რო-
გორც ზევითაც ვსთქვით: არაკეთილი, არაბოროტი, არახნიერი და სხ:

აი კიდევ უარყოფის მაგალითები კითხვაზე: როგორ?

შქულოთ წავედი, უფულოთ დავრჩი, შეუბრალებლათ, დასაჯეს, უშენოთ არ
ვარგვარ და სხ.

ბ. ამ სახით, როგორც ზევით მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, თითოეული სიტყვის
უარყოფითად გამოთქმა ძნელ საქმეს არ შეადგენს. მაგრამ ჩვენს ახალ მწერლობაში
ხშირათ გვერდს უვლიან იმ შემთხვევებს, როცა უარყოფითად რამდენიმე სიტყვა უნდა
გამოიხატოს. ავიღოთ, მაგალითად, შემდეგი წინადადება:

მე დიდი შრომით შევესრულე ეს საქმე.

როგორ უნდა გამოვხატოთ გახაზული სიტყვები უარყოფითად? ამ შემთხვევაში
უარყოფა სხვადასხვაგვარათ გამოიხატება: 1. დიდი შრომის გაუწევლათ (ე. ი. უარ-
ყოფითი სიტყვის ჩამატებით), 2. დიდი შრომის უმისოთ (სადაც სიტყვა უმისით წარ-

მოადგენს ახლანდელს ხალხურ ფორმას ძველებური თვინიერ-ის მაგიერ), და 3. უდიდ-
შრომით.

ძველებური თვინიერ-ის შემოღება, რომელიც ენას დიდი ხანია დაჟეიწყებია, ახლა ძნელია, ვერ გავრცელდება; ამ შემთხვევაში უარყოფის გამოსახატავათ ისევ უნდა დარჩეს,—თუმცა ვფიქრობ, რომ ხალხურმა ფორმამ უმისოთ-მა მომავალში უნდა გზა გაიკლიოს, რადგან მისი შემწეობით ყოველგვარი უარყოფა ადვილათ გამოიხატება,—მაგალითად: შენი მოწყალების უმისოთ, ქვეყნის ბედნიერების უმისოთ და სხ. და სხ.

აქვე უნდა შევნიშნო, რომ ზოგჯერ ჩვენს მწერლობაში (მეტადრე ამერნი) ვერ არჩევენ უარყოფითი ნაწილაკების არ და ვერ-ის მნიშვნელობას, თუმცა მათ შორის განსხვავება ძალიან ადვილი გასარჩევია. მოვიყვანოთ მაგალითები: არ მივდივარ ნიშნავს, რომ სურვილი არა მაქვს წასვლისა, თუმცა შემიძლია წავიდე, ხოლო ვერ მივდივარ იმას ნიშნავს, რომ წასვლის სურვილი მაქვს, მაგრამ რაიმე გარემოება მბრკოლებს და არ შემიძლია წავიდე.—უკანონოთ ხმარობენ (ამერეთში) ვერ შემიძლიან-ო, —უნდა ითქვას: არ შემიძლია.

ბ. ბევრი მწერალი დღეს უარყოფით ნაწილაკებ არ, არა, ალბათ-თან ნაცვალსახელს რბ-ს სევამ ხოლო, მაგალითად: არავინ არა იცოდა რა, არა გაუკეთებია რა აღარა უქნია რა, არას არ ელოდა, „არა რა არს რა“ (ილ. ჭავჭ.) და სხ. რბ-ს მაგიერ უმჯობესია ვიხმაროთ არაფერი: არავინ არაფერი იცოდა, არაფერი გაუკეთებია, აღარაფერი უქნია, არაფერს ელოდა, არაფერია და სხ. არ ვარგა აგრეთვე გამოთქმანი: ვერა კალამი ვერ ასწერს, ვერა ფრინველი ვერ შეედრება და სხ. ვერ-ას მაგიერ ვერცერთი, ვერაფერი სჯობია ვიხმაროთ: ვერაფერი კალამი ვერ ასწერს, ვერცერთი (ვერაფერი) ფრინველი ვერ შეედრება.

დ. უარყოფის აღმნიშვნელ სიტყვებთან (არავინ, არაფერი, ვერავინ, ვერაფერი, ნურავინ, ნურაფერი) ზმნასთან მეორე უარყოფა (არ, ვერ, ნუ) ხან იხმარება, ხან არა.

ორი უარყოფა (არავინ არ, ვერავინ ვერ და სხვ.) იმ შემთხვევაში იხმარება, როცა უარყოფას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევენ; მაგალ., არავინ მოსულა—ჩვეულებრივს, მშვიდობიანი კილოთი გამოთქმულ უარყოფას ნიშნავს, ხოლო არავინ არ მოსულა—ენებიანს, ბრაზმორეულ კილოს, აღშფოთებას იმის გამო, რომ ერთიკი წამლათ არ გაჰაქანებულა, ან განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას იმაზე, რომ არავინ მოსულა.—არაოდეს, ვერაოდეს, ნურაოდეს, ვერავითარ, ნურავითარ—თან თითქმის ყოველთვის მეორე უარყოფაც იხმარება: არაოდეს არ, ვერაოდეს ვერ, ნურაოდეს ნუ,—მაგ. ვერავითარ საქმეს ვერ ვაკეთებთ, და სხვ.

ორი სხვადასხვაგვარი უარყოფა ერთად (მაგ. არ — ვერ) შეუძლებელია: არა-სთან არ უნდა იქნეს, ვერა-სთან ვერ. უკანონოთ არის ნახმარი ილ. ჭავჭავაძის ლექსში („ბევრი ვიტანჯე“): „ხოლო ჩემ თავის არაფრობისა არ ძალმიძს, ძმანო, ვერრით გაძლება“;—უნდა იყოს:... არარით, არაფრით გაძლება.

იმიტომ და იმისთვის

ხშირათ ურევენ ერთმანეთში კავშირებს იმიტომ, ამიტომ, მიტომ-სა და იმისთვის, ამისთვის, მისთვის-ს. იმიტომ (ამიტომ, მიტომ) მიზეზის კავშირია, იმისთვის (ამისთვის, მისთვის) კი—მიზნის; მაშასადამე არ ითქმის მაგალითად: „მე ამ კრებას ვერ დავესწრები, იმისთვის რომ დრო არა მაქვსო“; აქ უნდა იმიტომ რომ, რადგან უკანასკნელი წინადადება მიზეზს გვიხატავს;—ხოლო მიზნის გამოსახატავათ კავშირი იმისთვის რომ იხმარება: სიცოცხლე იმისთვის უნდა გვინდოდეს, რომ ქვეყანას გამოვადგეთ (და არა იმიტომ... რომ).

სანამ — მანამ.

კავშირების სანამ—მანამ-ის მაგიერ (აგრეთვე სანამღი—მანამღი). ხშირათ ხმა რობენ უკანონო ფორმებს სინამ—მინამ, სინამღი—მინამღი-ს. ეს კავშირები წარმომდგარია სიტყვების სად და მანდ-ისაგან, ასე რომ ს-სა ღ მ-ს შემდეგ უსათუოთ ხმოვანი ა უნდა იჯდეს.—უკანონოთვე ხმარობენ აგრეთვე მანამ-ის მაგიერ სანამ-ს,—მაგალითად: მე უფრო წაგებული დავრჩი, სანამ შენო; სანამ-ის აღვილას აქ უნდა მანამ ან ვიდრე. აი კანონიერი მაგალითები: სანამ მუშაობას არ გაათავებენ, მანამ ქირას ვერ მიიღებენ; სანამ პეტრე მოვიდოდა, (მანამ) პავლეს ტყავი გააძვრესო; ან ასე: მანამ ვერ მიიღებენ ქირას, სანამ (ან ვიდრე) მუშაობას არ გაათავებენ; მანამ არ მოვიდა პეტრე, სანამ პავლეს ტყავი არ გააძვრეს.

რომ, და არა თუ.

კავშირის რომ-ის ალაგას ხშირათ თუ-ს ხმარობენ: „თუ სანახევროდ სხვას მი-სცა, რაღა გასაყოფელი?“ (რაფ. მრისთ. „თინიას მამითაღი“); „თუ ბრმა დავხატო, მომკლავს“ („სიბ.-სიკ.“). მოყვანილ მაგალითებში კავშირი რომ სჯობია: „სანახევროთ რომ სხვას მისცეს, რაღა გასაყოფელი?“—„ბრმა რომ დავხატო, მომკლავს“.

მე ვსთვლემ, თუ მე მთვლემს?

ამერეთში ხშირათ იხმარება: ბავშვა სთვლემს, ბავშვს ჩასთვლიმა-ო და სხ. ალბათ ეს ზმნა მიმოხრითაც და მართველობითაც ზმნას მძინავს-ს მიამზავსეს, რომელიც მიცემითს თხოულობს (ბავშვა სძინავს); მაგრამ თვლემა უფრო ხშირათ ისე მიმოიხრის, როგორც პირველი მიმოხრის ზმნები: ვთრთი, ვზვრინავ და სხ., ე. ი. ვსთვლემ, სთვლემ, სთვლემს და სხ., და, მაშასადამე; მართველობითაც ამ ზმნების ჯგუფს უნდა ეკუთნოდეს, ე. ი. უნდა ითქვას: მე ვსთვლემ, ბავშვი სთვლემს, ბავშვა ჩასთვლიმა და სხ. მეორე მიმოხრის ფორმები: მე მთვლემს, შენ გთვლემს და სხ., ამ სახით, უნდა უარყოთ, მაგრამ ფორმა: მე მეთვლიმება, შენ გეთვლიმება, მას ეთვლიმება და სხ., რა საკვირველია, შეიძლება ვიხმაროთ, როგორც ჩვეულებრივი ფორმა (მაგალ. როგორც ვსტირი, ვცივნი — მეტირება, მეცივება).

ივანეს გააცევა.

ამერეთში უკანონოთ ამბობენ: ივანე გააცევა, ივანე გააცხელა-ო და სხე. დამატება სახელობითში საერთოდ მხოლოდ პიროვან წინადადებაში იხმარება, ე. ი. როცა ქვემდებარე ჩანს ან იგულისხმება,—მაგალითად: ზამთარში გარეთ ყოფნამ ივანე გააცევა. უპიროვნო წინადადებაში კი დამატება მიცემით ბრუნვაში შეშვენის, როგორც ამბობენ იმერეთში: ივანეს შეაცხელა, ივანეს შეაცევა (გააცევა). მნაშენელობაშიც არის განსხვავება: ივანე გააცევა ნიშნავს ივანე ცივათ გადააქცევაო, ივანეს გააცევა კი—ივანეს ციება დაემართა, ე. ი. ციების ნიშნები გამოაჩნდაო

იმეფა ოც წელს.

ხშირათ იხმარება ძველსა და ახალ მწერლობაში: იმეფა ოცი წელი, დარჩა ოქ ერთი კვირაო და სხ.; აგრეთვე ხმარობენ: იმეფა ოც წელს, დარჩა ერთ კვირასო და სხ. ძითხვაზე „როდის?“ ქართულათ მიცემითი ბრუნვა დაისმის: როდის?—დიღას, საღამოს, შვადლის ხანს, მესამე წელს და სხ.; ამის მზავსათვე ზემორე აღნიშნულს მზავს გამოთქმებში მიცემითი ბრუნვა უფრო შეშვენის: იმეფა, დარჩა, იარა, იცხოვრა, იცოცხლა, მეფობდა, ცხოვრობდა და სხ.—ოც წელს, ას წელს, ათ თვეს და სხ. და სხ.

მე ჩემს დღეში.

მე თავის დღეში არ გილალატებ; შენ თავის დღეში არ მილალატებ, ის თავის დღეში, ჩვენ თავის დღეში და სხ. არ შეეფერება ქართული ენის ხასიათს, ქართული ენა ამ შემთხვევაში. ლათინურს, ბერძნულსა და ფრანგულ ენებსაგავს, სადაც თითოეულ პირში იმავე პირის ნაცვალსახელი იხმარება; მაშასადამე, უნდა ვსთქვათ: მე ჩემს დღეში, შენ შენს დღეში, ის თავის დღეში, ჩვენ ჩვენს დღეში და სხ. ძველ მწერლობაში ისეა ნასმარი, როგორც ჩვენ ვამბობთ. თუმცა იშვიათად წინააღმდეგიც უხმარიათ, — მაგალ.: „ქორწილი თავისა თუალითა მინახავს“ („მისრ.“, გვ. 24). შეიძლება ყველა პირისათვის საზოგადოთ გამოითქვას აზრი — და მაშინ უნდა სიტყვა არაოდეს (იხმარება აგრეთვე სიტყვა მრდღეში): მე არაოდეს (მრდღეში) არ გილალატებ, ჩვენ არაოდეს არ გილალატებთ და სხ.

ს ა ვ ა უ ო გ ა მ ნ ა ზ ი ა .

დედათა სასწავლებელი, დედათა მონასტერი და სხ. არ არის რიგიანი. გამოთქმა, რადგან სასწავლებელი, მონასტერი და სხ. დედათა სამყოფი ადგილი კი არ არის, არამედ საერთოდ ქალებისა. პიღვე ხმარობენ მწერლობაში საქალებო გიმნაზიო და სხ., მაგრამ არც საქალებო ვარგა, რადგან ქართულ ენაში საზოგადო აზრზე მრავლობითით კი არა, მხოლოდითი რიცხვით გამოიხატება, — მაგალ. საყმაწვილო წიგნი, საშკოლო საქმე, სამასწავლებლო სემინარია, სასოფლო, საჯლებო, სააზნაურო, სათავადო, საქვეყნო და სხ. ამ სახით, ზემორეაღნიშნული გამოთქმანი ასე უნდა იხმაროთ: საქალო სასწავლებელი (მონასტერი, გიმნაზია), სავაუო გიმნაზია...

ივანეს დამიძახე.

ზოგჯერ მოწვევის მაგიერ სიტყვა დამიძახება იხმარება: ხალხის დამიძახება მინდა, „ქულზედ კაცი დაუძახე“-ო (ილ. ჭავჭ. „ღმ. თავდად.“), რ. სხ. დამიძახება იმას ქვია, როცა მალალი ხმით უძახი ვისმე. „ქულზედ კაცი დაუძახე“-ს მაგიერ უნდა ითქვას: ქულზე კაცი გამოიწვიე (ან გამოიყვანე). — შეკანონოთვე იხმარება ამერეთში, მაგალითად, ივანე დამიძახე, პეტრე დამიძახე-ო და სხ. იმ მნიშვნელობით, ვითომ ივანეს აცნობე ჩემთან მოვიდესო; ივანე დამიძახე იმას ნიშნავს, რომ სახელი ივანე მიწოდეთ. რა თქმა უნდა, უფრო კანონიერია იმერული გამოთქმა: ივანეს დამიძახე, რადგან ზნა ვუძახი მიცემით ბრუნვას თხოულობს: მე ვუძახი, ვუძახოდი, დავუძახე ივანეს.

ვილტვი,—ველტვი.

ხშირათ უადგილოთ ხმარობენ ფორმებს ვილტვი და ველტვი-ს. ამათი აზრი სხვადასხვაა: ვილტვი ნიშნავს გავუზრბი რასმე, ვშორდები; ველტვი კი — ვესწრაფები, ვუახლოვდები, ვეტანები. ხალხი ამბობს: „ამ ადგილს დევზი ელტვის, ყურდგელი ელტვისო“, ე. ი. ამ ადგილს ეტანება, ჩვევიაო.

მე რომ შენ ვიყო.

მე რომ შენი ვიყო, ჩვენ რომ თქვენი ვიყოთ და სხ. არ არის აზრის შესაფერი გამოთქმა; მე რომ შენი ვიყო ნიშნავს: მე რომ შენ გეკუთნოდეთ. იმერული გამოთქმა, მე რომ შენ ვიყო, უფრო კანონიერია, რადგან აქ კითხვა უნდა: ვინ ვიყო? და ამ კითხვაზე სახელობითი ბრუნვა უნდა დაისვას. თუ არ შეიძლება ვსთქვათ: მაგალითად, შენ რომ ამ ვაჭრისა იყო (ყოველგან ამბობენ: შენ რომ ეს ვაჭარი იყო), არც მე რომ შენი ვიყო ითქმის. შეიძლება ზემოხსენებული გამოთქმანი ასეც გამოვხატოთ: მე შენს ალაგას, ჩვენ თქვენს ალაგას და სხ.

ტანზე ჩაიცვა, — ნავახშმევს და სხ.

ამერეთში ამბობენ და მწერლობაშიც უფრო ხშირათ ასე ხმარობენ: **ტანთ ჩაიცვა, ფეხთ ჩაიცვა, ტანთ გაიხადა, ფეხთ გაიხადა, ფეხთ დაიბანა-ო** და სხ. ზევითაც ვსიტყვი, რომ ქართული ენის ხასიათს არ შეშვენის საზოგადო აზრის მრავლობითი რიცხვით გამოხატვა, ასე რომ, ჩემი აზრით, სჯობია ზემოხსენებული გამოთქმანი იმ სახით ვიხმაროთ, როგორც იმერეთში ამბობენ: **ტანზე ჩაიცვა, ფეხზე ჩაიცვა, ტანზე (ფეხზე) გაიხადა, ფეხი დაიბანა.** — ამავე საფუძვლებით, **თვალთ დაუბნელდა, მუხლთ მოეკეცა, ვახშამთ უკან, სადილთ უკან** და სხ. გამოთქმების მაგიერ უმჯობესია ვიხმაროთ: **თვალი დაუბნელდა, მუხლი მოეკეცა, ვახშამს უკან, სადილს უკან** (ან **ნავახშმევს, ნასადილევს, ვახშამს შემდეგ** და სხ.).

სხვაზე გაყიდვა და სხ.

ახლანდელ მწერლობაში იხმარებიან ხშირათ გამოთქმანი: **სხვაზე გაყიდვა** (გაცემა, გადაცემა, მიცემა) და სხ., **ვაჭარი ქალზე ყიდის სხვადასხვა საქონელსო** და სხ. ამისთანა შემთხვევებში თანდებული ზემა ქართული ენის ხასიათს არ შეეფერება; აქ ზოგან უნდა ვიხმაროთ თანდებული **თვის**, ზოგან ნათესაობითი ბრუნვა უთანდებულოთ: **სხვისთვის გადაცემა** (მიცემა, გაცემა), **სხვისთვის მიყიდვა**. ხალხი ამბობს: **ანტონის მიცემას** — ივანესთვის მიგეცა, უფრო მადლს იზამდიო და სხ. — ძველ მწერლობაში „სიბ-სიც.“ წიგნში ერთ ალაგას თანდებული ზემა ნახმარი. „**მასცა** განძი ურიცხვი **გლახაკთა ზედა**“; მაგრამ გამოთქმა **გლახაკებზე** **გასცა**, მე მგონია, ქართული სმენისათვის შეუფერებელია, და ყოველთვის შესაძლებელია ამისთანა გამოთქმას გვერდი ავუაროთ და ვსიტყვათ, მაგალითად, ასე: მეფემ მრავალი განძი დაურიგა **გლახაკებს**; **უბოძა გლახაკებს-ო** და სხ. და სხ. — ზემოხსენებული გამოთქმა — **ვაჭარი ქალზე ყიდის საქონელს** — შეიძლება ასე გამოვსიტყვათ: **ვაჭარი ქალს ფასათ აძლევს საქონელს**, ან **ქალი ვაჭრისაგან ყიდულობს საქონელს** და სხ.; **ვაჭარი ქალზე ყიდის საქონელს** კი ქართული ენის ხასიათით იმას ნიშნავს, რომ ვაჭარი საქონელს აძლევს და სამაგიეროთ მას ქალს აძლევენო, როგორც, მაგალითად, ვიტყვი: **ივანე თევზზე ყიდის ბამბას-ო**, ე. ი. თევზის სამაგიეროთ ბამბას აძლევსო.

თფილისში ვცხოვრობ, — თფილისს მივდივარ, — შინ დავბრუნდი!

ძველ ენაში კითხვაზე **სად ქვეყნების, ქალაქებისა ღ სოფლების სახელები შიგან** (შინა) თანდებულთ დაისმოდა, ან პირდაპირ უთანდებულოთ — მიცემით ბრუნვაში; კითხვაზე **საით** კი — ყოველთვის წმინდა მიცემითი ბრუნვა, — მაგალ.: **მარავს მივიდა, დარჩეს მარავშიგან, ჭოხტანს ვჯედ** („ვისრ.“); **იყო არაბეთს როსტევან** („მეფხ.“).

ახალ მწერლობაში ორივე შემთხვევაში უმეტეს ნაწილათ თანდებული ში იხმარება: **თფილისში წვიდა, თფილისში ცხოვრობს** და სხ., თუმცა ზოგჯერ პირდაპირ მიცემითსაც ხმარობენ — უთანდებულოთ; ხალხშიც იმ სახითვე იხმარება, როგორც ახალ მწერლობაში. ჩემი აზრით, ჩვენს ენას უფრო შემდეგი კანონით ხელმძღვანელობა შეშვენის: როცა მდებარეობა იხატება (კითხვაზე **სად**), თანდებული ში ვიხმაროთ, და თუ მიმართულება (კითხვაზე **საით**) — მაშინ უთანდებულო მიცემითი ბრუნვა; — მაგალითად: **თფილისს მივდივარ, საფრანგეთს გაემგზავრენ, თფილისში ვცხოვრობ, საფრანგეთში ვიყავი**. — უკანონოთ იხმარება ახალ მწერლობაში: **სახლში** ვიყავი, **სახლში** მივდივარო და სხ.; ზმნისართია **შინ**, და არა **სახლში**, ასე რომ უნდა ითქვას: **შინ** მივდივარ, **შინ** ვიყავი და სხ. ზმნისართად **სახლში** ძველ მწერლობაში არსად იხმარება, არამედ ყოველგან **შინ**. — **სახლში** მაშინ ითქმის, როცა უნდათ აღნიშნონ,

რომ ვინმე შიგნით სახლში შედის ან იმყოფება: კაცი სახლში შედის, სახლში ცხოვრობს და სხ.

ჰიქა გატყდა, ჰიქები დაიმტვრა.

ზოგიერთი ზმნა რიცხვის მიხედვით ძირსა სცვლის; მაგალითად, ერთ ჰიქაზე ითქმის გატყდაო, მრავალზე კი — დაიმტვრაო; აგრეთვე: კაცი მოკვდა — ხალხი დაიხოცა, კაცი მოკლეს — კაცები (ხალხი, ჯარი) დახოცეს, ბავში დაჯდა — ბავშვები დასხდნენ, ქუდი გდია, ეგდო — ქუდები ყრია, ეყარა, ქვა ძევს — ქვები აწყვია, სხალს აბია (ერთი კაკალი) — სხალს ასხია (ბევრი), ბია ჩამოვარდა — ბიები ჩამოცვინდა ღ სხ.

სუფიქსები მზ და მზ.

ზმირათ ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ მზ-სა და მზ სუფიქსებს და უკანონოთ ხმარობენ: უსიამოვნება, ჭკმაყოფილება, ვცხოვრებ-ო და სხვ. — ჩემი აზრით, მათი ხმარების უმთავრესი საფუძვლები და წესრიგი შემდეგია:

1. მიმოხრაში მზ საშვალო გვარის ზმნების სუფიქსია, ხოლო მზ — მოქმედებითი გვარისა (ნახ. გვ. 16): ვცხოვრებ — ვაცხოვრებ, ვწვალებ — ვაწვალებ, ვხმარებ — ვახმარებ (აქ მოყვანილი ზმნების სახელზმნა ორივე გვარისათვის მზ-ზე ბოლოვდება: ცხოვრება, წვალება, ხმარება; დანარჩენ შემთხვევებში კი ორივე გვარის სახელზმნა შესაძლოა მზ-ზეც ბოლოვდებოდეს და მზა-ზეც: სეირნობა, გართობა, ხმაურობა, გასეირნება, — შემკობა, გაცნობა, დაწყობა, დაწყება და სხვ.).

2. თავისუფლმზა — თავისუფლება, უბედურმზა — უბედურობა: — მზ სუფიქსით გამოხატული არსებითი სახელი კონკრეტული მნიშვნელობისაა, მდგომარეობას აღნიშნავს, ხოლო მზ სუფიქსით — განყენებულ ცნებას; მაგალ.: უბედურობაში ვცხოვრობთ (ე. ი. უბედურ მდგომარეობაში), — უბედურება გვეწვია (ე. ი. საუბედურო მოვლენა); ბაზრობას ცოტა ხალხი დაესწრო და ამიტომ დიდი თავისუფლობა იყო; — „თავისუფლებავე, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი“ (ილ. შავქ. „ღედა ღ შვილი“). — აღნიშნული მნიშვნელობით უნდა ვიხმაროთ ფორმები: ქვეყნიერობა — ქვეყნიერება, ბედნიერობა — ბედნიერება, კადნიერობა — კადნიერება, მეცნიერობა — მეცნიერება, თავისებურობა — თავისებურება, უგუნურობა — უგუნურება, კმაყოფილობა — კმაყოფილება, სიამოვნობა — სიამოვნება, ღირებულობა — ღირებულება, ერთსულოვნობა — ერთსულოვნება, დამოკიდებულობა — დამოკიდებულება ღ სხვ. (წორმები გა-თავისუფლმზა, გა-უბედურმზა, და — კმაყოფილმზა და სხვ. — მოქმედ. გვარის სახელზმნებია, — იხ. ზევით 1).

3. მ-ზე დაბოლოებული უარყოფითი ზედსართავი სახელი არსებით. სახელს მზა-თი აწარმოებს: უკმაყოფილმზ, უსიამოვნმზ, უსამართლმზ, უწესმზ და სხვ. — უკმაყოფილობა, უსიამოვნობა, უწესობა, უსამართლობა (და არა უსამართლოება). — წინააღმდეგ ამისა მზ სუფიქსით წარმოებს: უმანკოება, უბიწოება, უსაზღვროება, უსჯულოება.

მხოლოდობითი რიცხვის უპირატესობა.

ძართული ენა სხვადასხვა გამოთქმაში უპირატესობას მხოლოდობით რიცხვს აძლევს: ცხვრის ფარა, ცხენის ფოგი, რუსის ფარი, სომხის ახალგაზდობა ღ სხვ. (ღ არა ცხვრების — ცხენების — რუსების — სომხების); ქალისა და ვაჟის საზოგადოება, საქალო და სავაჟო სასწავლებელი (და არა ქალებისა და ვაჟების, საქალებო და სავაჟებო); თვალდახუჭული, თვალი მოავლო, ხელი შორს! ხელი აიღე! ხელი არ მიხლო! „ხელი ხალთას!“ — და მრავ. სხვ. (ნახეთ აგრეთვე გვ. 68 და 69).

როლის თამაში, როლი ითამაშა—ქართულათ უმჯობესია როლის შესრულება, როლი შეასრულა,—მაგალ: ივანე მთავრობაში დიდ როლს ასრულებს (ღ არა თამაშობს),—მსახიობმა ჰამლეტის როლი კარგათ შეასრულა (და არა ითამაშა).

როცა სიტყვა საზოგადოება მცხოვრებთ აღნიშნავს, უნდა ითქვას ქართველ-საზოგადოება; და არა ქართული საზოგადოება, როგორც ხშირათ იხმარება დღე-ვანდელ მწერლობაში; ქართული საზოგადოება მაშინ ითქმის, თუ რომ საზოგადოება რაიმე დაწესებულებას აღნიშნავს, მაგალ. საზოგადოება „შრომა“ და სხვ.

მაგალითები მოაქვს, მოიტანა-ო, შემოიღეს ზოგიერთებმა მწერლობაში; საზოგადოთ კი ამგვარ გამოთქმებში ზნა მოყვანა იხმარება: მაგალითები მომყავს, მაგალითები მოვიყვანე. ჩემი აზრით, მოყვანა უნდა დარჩეს: ქართული ენა ამ შემთხვევაში მაგალითების მოწმობას გულისხმობს, და სიტყვასა და მაგალითს ცოცხალი მოწმის—ადამიანის თვისებას აძლევს,—როგორც ადამიანების შესახებ იტყვიან—მოწმეები მოვიყვანეთ-ო, ისე აქაც: მაგალითები (ადგილები, ნაწყვეტები, ციტატები—იგულისხმება მოწმეებათ) მოვიყვანეთ-ო.

ცხენიდან გადმოხტა, თუ ცხენზე გადმოხტა? ხელიდან გაუვარდა, თუ ხელში გაუვარდა?—ორივე გამოთქმა ქართულია (და არა უცხო ენის—მაგ. რუსულის—გაყლენით შემოღებული, როგორც ზოგიერთს გონია)—და, როგორც მხატვრული გამოთქმები, ორივე შეიძლება დავსტოვოთ. — „ვისრ.“—ში ნახმარია: „ცხენისაგან გარდავდა“, „წიგნი ველთაგან დავარდა“.

წვე, ქემაინც, ქე.

ეს ნაწილაკები იმერეთში იხმარება—ხალხში, და მწერლობაში კი ჯერ არავის უხმარია (იხ. „ჩემი აზრი და ფიქრები“; წიგნი პირველი, 1901 წ., გვ. 8). ჩემი აზრით, საჭიროა შევიტანოთ მწერლობაში ყველა ეს ნაწილაკი, რადგან თითოეული მათგანი მოკლეთ ხატავს განსაკუთრებულ აზრს, ხშირათ მთელ წინადადებას. მაგალითად: წვე-ვე ქვეიანურს ლაპარაკობდე, ამდენს რათ ლაყობო? ეს ნიშნავს: „ქვეიანურს რომ ლაპარაკობდე, კიდევ არა უშავს (ან: ყველამ ვიცით, რომ ქვეიანურს არ ლაპარაკობ)—და ამდენს რა გალაყობებს?“

„ამდენი დაეხარჯე შენი გულისათვის, და ქემაინც მადლობა მითხარო“, ამბობენ იმერეთში. იმერეთში ასე იტყვიან: „ამდენი დაეხარჯე შენი გულისათვის, და მადლობა მაინც მითხარო.“—მაინც კიდევ ნიშნავს ყოველ შემთხვევაში (მაგალ. შენ მაინც შენსას გაიძახი), და ქემაინც-ის მნიშვნელობა მაშინ ეძლევა მას, როცა წინადადებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს (უმეტეს ნაწილათ ამ შემთხვევაში პირდაპირ შემასმენელის წინ დაისმის); ქემაინც კი შეიძლება წინადადების თავშიც დავსვათ, შუაშიც და ბოლოშიც; ამასთან ქემაინც-ს ის უპირატესობა აქვს, რომ მარტო ერთი მნიშვნელობით იხმარება.

„მართადერთი იმედი მქონდა ცხოვრებაში—და ისიც ქე მომისპეთ?“—ქე მომისპეთ ნიშნავს: ისე მომისპეთ, რომ აღარაფერი ეშველება, საბოლოოთ, გადაწყვეტილათ მომისპეთ.—პრდევ მაგალითი: „სთხოვე კი ვისმე ეს საქმე?—ქე ვსთხოვე, მაგრამ არავეინ შეისმინა“,—ე. ი. რა თქმა უნდა, რასაკვირველია, ბეჯითად ვსთხოვე და სხ. ქე-ს მაგიერ შეიძლება კი ვიხმაროთ ამ შემთხვევაში, მაგრამ კი ვსთხოვე ისე მტკიცეთ ვერ ხატავს მოქმედებას, როგორც ქე ვსთხოვე (ნახ. აგრეთვე ჩემი ლექსი „მესტ. მკ.-ძის გარდაცვალებაზე“: „თუ გამოჩნდა ერთი-ორი, ქე დაუხშეთ მათაც პირი?“ ეს ლექსი პირველათ „ივერიაში“ დაიბეჭდა 1885 წელში და რედაქციამ ძმ ხომათ გადამისწორა—და ლექსში ამით სრულიად სხვა აზრი იხატებოდა, და არა ის, რომელიც მე მქონდა განზრახული).

სხვადასხვა გამოთქმა

(ფრჩხილებ-გარეთ კანონიერი გამოთქმებია, ხოლო ფრჩხილებში—უკანონო).

1. ადვილი შესაძლებელია, ძნელი წარმოსადგენია (ადვილათ შესაძლებელია, ძნელათ წარმოსადგენია).

2. კინელამ წაიქცა, კინელამ მოკვდა (კინელამ არ წაიქცა, კინელამ არ მოკვდა); რა საგანიც უნდა აიღოთ (რა საგანიც არ უნდა აიღოთ).

3. კრება დიდხანს გაგძელდა, გაგძელდება (. . . გასტანა, გასტანს).

4. საქმე, სიტყვა განაგრძე, განვაგრძოთ (. . . გაავაძელე, გავაავაძელოთ;—გაგძელდება, გამოგაძელდება—გაპიანურებას ნიშნავს, გაგრძობა კი—შეწყვეტას შემდეგ კვლავ კეთებას ან თქმას).

5. დამნაშავე ვარ, დანაშაული მიმიძღვის. (დანაშაული ვარ).

6. ბინა, ეტლი და სხვ. დავიჭირავე, დაიჭირავეს (. . . დავიჭირე, დაიჭირეს).

7. უმეტესი ნაწილი (უფროს ერთი).

8. ღმერთი აღარა გყავს, ან აღარა გწამს? (. . . აღარა გაქვს?).

9. რომელი საათია?—ორი საათია (რამდენი საათია?—საათის ორია).

10. გზა გვიტოვებ (გზა გვიყავით).

11. ისე, ასე, იმნაირათ, ამნაირათ (იმისთანად, ამისთანად).

12. ფული მიჭირდება, მიჭირია, მეჭივრება (ფული მიჭირს;—მე მიჭირს ნიშნავს, რომ გაჭივრებული ვარო).

13. ყურამდი, ფეხამდი (ყურთამდე, ფეხთამდე).

14. ვიგეძე, იგეძა (ვიწვნიე, იწვნია).

15. ბევრათ ნაკლები (ბევრით ნაკლები).

16. ძვეითად მიედივარ (ფეხით . . .).

17. თავი ნუ მომიკვდებ, თავი არ მომიკვდეს (თავი არ მომიკვდება).

18. ამ კვირაში, იმ კვირაში, გადაღმა კვირაში (ამ კვირია, იმ კვირია).

19. მით უფრო (მით უმეტეს).

20. ჰოველი ჩვენგანი, თქვენგანი და სხვ (ყოველი ჩვენთაგანი, თქვენთაგანი).

21. ასე-წოდებულნი, აგრე-წოდებულნი (ეგრედ წოდებულნი).

22. ხელს ვუსვამ, ხელს უსვამს, ხელის მოსმა (ხელს უსობს, ხელს უსობს, ხელის მოსობა).

23. მიწას ვმუშაობ, ნიადაგს ვაბრუნებ, ძაფს ვართავ და სხვ. (და არა ვამუშავებ).

24. სთქვი, რის თქმაცა გასურს. (და არა რისიც თქმა . . .).

25. ორხლის მეტათ, ორჯრის მეტათ, სამხლის მეტათ და სხვ.—იმერეთში იხმარება ორხელ მეტათ, ორჯერ მეტათ, სამხელ მეტათ . . . და რადგან ორჯერ, ორხელ, სამხელ და სხვ. უცვალელებელი სიტყვის ნაწილია (ზმნისართი), უპირატესობა იმერულ ფორმას უნდა მიეცეს (გამოთქმა ორხლის, სამხლის . . . ზმნისათვისაც უსიამოვნოა).

რ უ ს ი ც ი ზ მ ე ბ ი .

რუსული ენის გავლენით ქართულ ენაში ბევრი, ჩვენი ენისათვის შეუფერებელი, ტერმინი და გამოთქმა შემოჭრილა—და საჭიროთ მიმაჩნია მათი გათვალწინება და წმინდა ქართული ტერმინებისა და გამოთქმების დაცვა.

1. **სამელნე**—რუსული чернильница-ს მიხედვით არის შემოღებული; ქართულათ **საწერელი** ოთქმის, კალმიანათ კი—**საწერ-კალამი**. სამელნე ყოველგვარ შუშას შეიძლება ეწოდოს, რომელშიც მელნის ჩასხმა შეიძლება, ხოლო **საწერელი**—საკუთრათ წერისათვის მომარჯვებულ შუშას ეწოდება.

2. **სათვალეები**:—მრავლობითი რიცხვის ფორმით რუსული ენის გავლენით შემოღლიათ (=очки), ქართულათ კი ეს ცნება მხოლოდ. რიცხვის ფორმით გამოიხატება: **სათვალე**.—მრავლ. რ. ფორმა **სათვალეები** იმ შემთხვევაში უნდა ვიხმაროთ, როცა ბევრ **თანაზეა** ლაპარაკი.

3. **დუზენი**, და არა **დუჟინი**. თუმცა იშვიათად იხმარება, მაგრამ ფერო კანონიერი ფორმაა წარმოებით (ფრანგულიდან) და ამიტომ უფრო საფუძვლიანია ვიხმაროთ სიტყვა **დუზენი** (**დუჟინის** ნაცვლათ, რომელიც ჩვენს ენაში დამახინჯებულათ რუსული ენის საშვალეებით შემოსულა).

4. **სუფრა**, **ჭიქა**, **ლანგარი** (და არა **სტოლი**, **სტაქანი**, **ფადნოსი**). რუსული ენის გავლენით ჩვენს მწერლობაში და მის მეოხებით ხალხის ენაშიც გავრცელდა სახელები: **სტოლი**, **ფადნოსი**, **სტაქანი** (**სტაქანი**, აგრეთვე **დოსტაქანი**, სპარსული ძირისაა და ძველ მწერლობაშიც უხმარიათ, მაგრამ ხალხურ ენაში რუსის შემოსვლის დროიდან გავრცელდა).—იმერეთში ხალხი სიტყვას **სუფრა**-ს ხმარობს, რომელიც გძელს ოთხფეხიან დაბალ „სტოლს“ ნიშნავს. თუმცა აღმ. საქართველოში **სუფრა** „სტოლის“ გადასათარებელს ეწოდება, მაგრამ, ჩემი აზრით, „სტოლის“ მნიშვნელობით სიტყვა **სუფრა** უფრო ადვილათ გავრცელდება, ვიდრე სახელები **მაგიდა** და **ტაბლა**, რადგან მას ხალხის ენაში აქვს საფუძველი. თუმცა დასავ. საქართველოში **სუფრა** მხოლოდ ერთგვარ „სტოლს“ ეწოდება, მაგრამ აქიდან ადვილია, სხვა ენების მზგავსათ, სხვადასხვაგვარ „სტოლზე“ მნიშვნელობის გადატანა: მალაღზე, რვეალზე, საწერზე და სხვ. აღმოსავლ. საქართველოში **სუფრის** მნიშვნელობა „სტოლის“ მნიშვნელობას უახლოვდება: **სუფრას მოუსხდენო**, ამბობენ იქ იმავე აზრით, როგორც **სტოლს მოუსხდენო**. საბა მრბელიანს სიტყვა **სუფრა** თავის ლექსიკონში სწორეთ იმ მნიშვნელობით აქვს განმარტებული, როგორც მე ვამბობ.

შოთა რუსთველი სიტყვას **ჭიქა**-ს ხმარობს—„**სტაქნის**“ მნიშვნელობით—და მწერლობაში საერთოდ ასე უნდა ვიხმაროთ, რადგან ხალხის ენაშიც არის ეს სიტყვა და მწერლობაშიც ხშირათ იხმარება.

რაც შეეხება სიტყვას **ფადნოს**-ს, ამის აღმნიშვნელი სახელწოდება ქართულ ენაში **ხონჩა**-ა.

5. **ღმერთა**, **მეფა** და **სხ.** რუსული ენის მიბაძვით, ზოგიერთი ჩვენი მწერალი, ვითომდა „მდებრობითი სქესის“ აღსანიშნავათ, რამდენმე სიტყვას რუსული დაბოლოებით ხმარობს: **ღმერთა**, **მეფა**, **ბატონა**, **ხელმწიფა**-ო და სხ. ქართულ ენაში სქესი არ არსებობს, და, მასასადამე, მის აღსანიშნავათ განსაკუთრებული დაბოლოება ჩვენს ენაში სრულიად შეუფერებელია. **მეფე** ვაჟზეც ითქმის და ქალზეც (თამარ **მეფე**-ო, ვამბობთ ყოველთვის, და არა **თამარ მეფა**), და **ღმერთი**—ვაჟის სახელით წარმოვიდგენთ მას თუ ქალის—ქართულათ მაინც **ღმერთი** იქნება.

6. ქართული ენის ხასიათის წინააღმდეგია გამოთქმები: **რა ღირს?**—**იაფი ღირს**, **ერთი აბაზი ღირს** და სხვ.—მს გამოთქმები რუსული ენის გავლენითაა შემოსული (470 стоит?—сто рублей და სხვ.). ძველ მწერლობაში— და, რუსის შემოსვლამდე, ხალხშიც

ყოველთვის ასე იხმარებოდა: როგორ ღირს? რამდენათ ღირს?— იაფათ ღირს, ძვირათ ღირს, ძვირათ დამიჯდა, ას მანეთად დააჯდა და სხვ.— და აუცილებლათ ასე უნდა ვიხმაროთ (დაწვრილებით ნანეთ მე-II „დამატება“-ში).

7. სადილზე (ვახშამზე, საუზმეზე და სხვ.) დაგვპატიუეს—რუსული გამოთქმაა (пригласили на обед); ქართულათ ითქმის: სადილათ დაგვპატიუეს, სადილათ და ვსხედით და სხვ.

8. ბიორგი ნინოზეა შეყვარებული. რუსული ენის გავლენით შემოუღლიათ გამოთქმანი: ბიორგი შეყვარებულია ნინოზე-ო და სხ. ქართული ენის ხასიათი მოითხოვს, რომ ამისთანა გამოთქმა მოქმედებითი გვარის ზმნით გამოიხატოს: ბიორგის ნინო უყვარს, ნინოს ბიორგი უყვარს, და სხვ.

9. მოკლულიქნა. მწერლობაში იხმარება, — განსაკუთრებით მე-19 საუკუნიდან, — ფორმა მოკლულიქნა, დამარცხებულიქნენ, გადაყვანილიქნა და სხ.

ძველ მწერლობაში ძალიან იშვიათად შეხვდებით ამ ფორმას (ფსალმუნში ერთ ადგილას არის ნათქვამი: „შეძრწუნებულ იქმნა“, 76—18, და „ქართლის-ცხოვრება“-შიც შემხვდა აქა-იქ). მკვი არ არის, ჩვენს ახალ მწერლობაში განსაკუთრებით რუსული ენის გავლენით გავრცელებულა ეს ფორმა (ныл убит, переведен ныл და სხ.).

ზემოხსენებული ფორმები სრულიად არ შეეფერება ქართული ენის ხასიათს.— და, ცხადია, მეტათ საწოთიროა ქართველის გაურყენელი სმენისათვის. „პუონი ამ ომში მოკლულიქნა“, „მტერი დამარცხებულიქნა ქართველთაგან“, „ჯარი გადაყვანილიქნა“ და სხ. ქართულათ ასე ითქმის: პუონი ამ ომში მოკლეს (ან მოიკლა), ქართველებმა მტერი დაამარცხეს, ჯარი გადაიყვანეს და სხ.

10. ბედის კმაყოფილი, — გალახვას ემუქრება. ბრიგოლ მრბელიანს ერთ ლექსში („სალამო გამოსალმებისა“) ნახმარი აქვს გამოთქმა: ღრუბელნი „ქვეყანას წარღვნითა ემუქრებიან“-ო. ზმნა ვემუქრები ქართულათ ორ მიცემითს თხოულობს: ივანე პეტრეს გალახვას ემუქრება და სხ.; მოქმედებითი ბრუნვა ამ შემთხვევაში რუსული ენის გავლენით არის ნახმარი, ხალხის ენაში კი ვერსად გაიგონებთ.—რუსულის გავლენითვე შემოუტანიათ გამოთქმანი: ცხოვრებით კმაყოფილი, ბედით კმაყოფილი და სხ.; სიტყვა კმაყოფილი, სიტყვების მადლობელი-ს, მადლიერი-ს, უმადური-ს, მომდურავის და სხ. მზგავსათ, ნათესაობით ბრუნვას თხოულობს: ცხოვრების კმაყოფილი, ბედის კმაყოფილი და სხვ. (მოქმედებითს ზმნა თხოულობს: კმაყოფილდება, დაკმაყოფილდა ამ ცხოვრებით და სხ.); ნაცვალსახელებთან კი, ნათეს. ბრუნვის მაგიერ, კუთნილებით ნაცვალსახელს თხოულობს სახელობით ბრუნვაში: შენი კმაყოფილი და სხ.— მიცემითს თხოულობს აგრეთვე ზმნა ვიქალი: ეს კაცი ერთობ იქალის თავის ჭკუასა და გამოცთილებას.

11. წიგნით ვაჭრობს, ხილით ვაჭრობს, ფართლით ვაჭრობდა, დათვზე ნადირობს, ყურდგელზე ნადირობა და სხ.—რუსული ენის გავლენით შემოუღლიათ; ქართულათ უნდა ითქვას (წმინდა ხალხურ ენაში ყოველთვის ასე ხმარობენ): ხილს ვაჭრობს, ფართალს ვაჭრობდა, ხილის ვაჭარი, ფართლის ვაჭარი, დათვს ნადირობს, ყურდგელის ნადირობა და სხ.

12. წერეთლის ასული ნინო. ძალის სახელსა და გვარს ახლანდელ მწერლობაში იმ სახითვე ხმარობენ, როგორც ვაჟისას: ნინო წერეთელი, მარიამ ზერხეულიძე-ო და სხ. შეცთობაა, რუსული ენის გავლენით შემოსული. თუ გაუთხოვარია ქალი, ასე ითქმის: ნინო წერეთლის ასული, მარიამ ზერხეულიძის ასული და სხ.; ან: წერეთლის ასულბ ნინო, ზერხეულიძის ასული მარიამი; და თუ გათხოვილია, მაშინ, მაგალითად, ასე: ნინო წერეთლის ასული ანდრონიკაშვილისა, — სადაც აღნიშნულია ქალის მამისაც და ქმრის გვარიც, ან ასე: ნინო ანდრონიკაშვილისა (იგულისხმება მეუღლე), — სადაც მარტო ქმრის გვარია აღნიშნული.

ძველი დროის ნაწერებში ამ წესის მაგალითები არა ჩანს, ხოლო ხალხის ცოცხალ ენაში, ისეთ კუთხეებში, სადაც გარეშე გავლენით ენა არ შერყენილა, ისეთი წესია მიღებული, როგორც ზევით აღვნიშნე.

13. ბგერა და განა ქართულია?! ჩვენს დღევანდელ მწერლობაში, თუმცა კი იშვიათად, შეხვდებით ანტონ კათალიკოსისაგან, რუსული ენის მიბაძვით, უადგილოთ შემოღებულ **ჟ-ს**. ანტონ კათალიკოსს რომ ქართული ენის ხასიათი და თვისება არ ესმოდა, იქიდანაა ჩანს, რომ, რუსული ენისვე მიბაძვით, თანდებულებს წინ უსვამს. სახელებს და ხმარობს, მაგალითად, „თვს კავშირთა“, „თვს სახელთა“-ო ღ სხ., კავშირთათვის და სახელთათვის მაგიერ.

თუ რომ საკუთარს, ძირეულ სიტყვაში ხალხი რომელმე ხმას არ ხმარობს, უცხო ენიდან გადმოტანილ სიტყვებშიც არ უნდა ვიხმაროთ იგი, არამედ უცხო სიტყვები საკუთარი ჩვენი ენის შესაფერი ხმით, ხალხური გამოთქმით შემოვიტანოთ. რაც უნდა სწეროთ **ფილოსოფოსი, ფოტოგრაფია, ჟუკიდიდი, ჟრანსუა-ო** და სხ., ხალხი მაინც თავისებურად გამოსთქვამს: **ფილოსოფოსი, ფოტოგრაფია, შუკიდიდი, შრანსუა-ო**, და სხ.

14. რაშია საქმე?—**საქმე იმაშია, რომ...** ამგვარი გამოთქმა ქართულათ ყოველად მახინჯია, რადგან იგი ქართული ენის ხასიათს ეწინააღმდეგება. (რუსულიდანაა შემოღებული: в чем дело?—дело в том, что...). ძარბველი ხალხი ყოველთვის ასე ამბობდა—და, სადაც ქალაქის გარყენილობა არ შესულა, დღესაც ასე ამბობს: **რა მოხთა? რა ამბავია?**—**ის ამბავია (ის მოხთა)**, რომ... **საქმე ისაა, რომ...** აგრევე წინააღმდეგია ქართული ენისა გამოთქმები: **უბედურება (დაბრკოლება, ბედნიერება და სხვ.) იმაშია, რომ...** სწორი ქართულია: **უბედურება ის არის, რომ... და სხვ.** (ნახ. აგრეთვე I „დამატება“-ში).

15. დამოკიდებულია ჩემგან (=зависит от меня),—ქართულათ ითქმის: **ჩემზეა დამოკიდებული**.

16. პალტოში (ბლუზა-შარვალში, სამხედრო ტანისამოსში და სხვ) გამოწყობილი, ფიქრებში გართული და მზგ. გამოთქმები რუსული ენის კონსტრუქციებია (одетый в пальто, погруженный в думы); ქართულათ უნდა ითქვას: **პალტოში გამოწყობილი, ფიქრებით გართული...**

17. შეადარეთ ერთმანეთთან, —უნდა ითქვას: **შეადარეთ ერთმანეთს**.

18. ქართულათ შეუწყნარებელია ფულის ამგვარი ანგარიში: 15 კაპიკი, 20 კაპიკი, 25 კაპიკი, 30 კაპიკი და სხვ. ქართულ ენას დიდი ხნის შეთვისებული აქვს **შაურობითა და აბაზობით** თვლა ფულისა: **1 შაური, 2 შაური, 3 შაური, 1 აბაზი, 5 შაური, 6 შაური, 7 შაური, 2 აბაზი, 9 შაური, 10 შაური, 11 შაური, 3 აბაზი, 13 შაური, 14 შაური, 15 შაური, 4 აბაზი, 17 შაური, 18 შაური (ან ოთხ აბაზ-ნახევარი), 19 შაური**—და 1 მანეთი; აგრეთვე **თუმნობით**: ერთი თუმანი, 2 თუმანი, ... 10 თუმანი, 100 თუმანი, 200 თუმანი და სხვ.—კაპიკებით ანგარიში მაშინ შეიძლება, როცა შაურები ან აბაზები **ზუსტათ** არ გამოდის, არამედ ან მეტია და ან ნაკლები,—მაგალ.: 1, 2, 3, 4, 6, 7, 8, 9, 11, 12 და სხვ.—აქაც ზოგჯერ ხალხში **შაურობითა და აბაზობით** თვლა მოისმის,—მაგალ.: 37 კაპ.=შეიდი შაური და ორი კაპიკიო, ამბობს ხალხი, 43 კაპ.=ორი აბაზი და სამი კაპიკი-ო, და სხვ.

არითმეტიკული ამოცანების გამოანგარიშების დროს შესაძლოა, მოქმედების გასაადვილებლათ, ქართული შაურები და აბაზები კაპიკებით გამოისახოს--დაიწეროს (10 კაპ., 15 კაპ., 75 კაპ. და სხვ.), მაგრამ, გამოთქმის დროს, მასწავლებელი მოწაფეებს უნდა ავალეზდეს, რომ ქართული ენის თვისების მიხედვით გამოსთქვან: **2 შაური, 3 შაური, 15 შაური** და სხვ.—აქვე უნდა ვსთქვა, რომ შეუწყნარებლათ მიმჩნია ზოგიერთების წინადადება, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში გამოითქვა—რიცხვები ასე-

ულის ფარგალში ათეულებით გამოესტკვათო: **ორათი, სამათი, ოთხათი, ხუთათი** ღ სხვ. ამგვარი რეფორმა ენისა მისი დამახინჯებაა, გარყვნაა, რომელსაც ვერავითარი სიადვილე ცნებისა ვერ გაამართლებს.

19. ქართული ენის ხასიათს ეწინააღმდეგება ამგვარი გამოთქმა: **სანდრო ამბობს**, რომ იგი **საზღვარ-გარეთ მიდის** (რუსული კონსტრუქციაა: **Сандро говорит, что он едет за границу**). ქართულათ უნდა ითქვას: **სანდრო ამბობს**, (რომ) **საზღვარ-გარეთ მივდივარო** (ერცელი განმარტ. ნახ. გვ. 59).

20. ივანე ამ საქმეში დიდ **როლს თამაშობს**,—**ივანემ დიდი როლი ითამაშა**; —ქართულათ სჯობია ითქვას: **როლს ასრულებს**, **როლი შეასრულა**. ასევე ითქმის პიესების როლებზედაც.

21. ...**მოგზაურთაგან ერთნი ჩვენში რჩებიან, მეორენი ინგლისს მიემგზავრებ-ბიან, მესამენი—ამერიკას...**(=Одни, другие, третьи);—ქართულათ იტყვიან: **ზოგი, ზოგნი, ზოგიერთნი**,—მაგალ: **ზოგი ჩვენში რჩება, ზოგი ინგლისს მიემგზავრება, ზოგი—ამერიკას** (ან: **ზოგნი ჩვენში რჩებიან და სხვ.**).

22. ხმარობენ: **ზომების მიღება, წამლის მიღება, ვანის მიღება**;—უნდა: **ზომე-ბის ხმარება, წამლის სმა** (დალევა), **ვანის გაკეთება** (**ვანა გავიკეთე**).

23. რუსული გამოთქმა „так например“ ქართულათ „**ასე მაგალითად**“—ო, იხმა-რება; მაგრამ ამგვარი გამოთქმა ქართულს არ უხდება—და სიტყვა „ასე“ უნდა გამო-იტოოს.

24. სასტუმროში **გაჩერდენ** (=Остановились);—ქართულათ ითქმის: **სასტუმრო-ში ჩამოხტენ-ო**.

25. მიმართვის დროს მამის სახელის ხმარება რუსული ენის თვისებაა (მაგალ: ბიორგი **ღავითის ძე**; მარიამ **სოლომონის ასული**!—და სხვ), ქართულათ კი უმამის-სახელოთ უნდა მიმართონ: **ბატონო** *) **ბიორგი! პატივცემულო, ნინო! მოქალაქე იო-რამ!**—და სხვ.

26. **თუთხმეტ მაისს**,—**ნახევარი სამეფო. დეკემბრის ნახევარში, აპრილის ნახევარში**, მაისის **თუთხმეტს, აგვისტოს დამლევს** და სხ, როგორც ხშირათ ხმარო-ბენ ახლანდელ მწერლობაში, **მე მგონია**, რუსული ენის გავლენით არის გავრცელე-ბული; წმინდა ხალხურ ენაში ასე ხმარობენ: **შუა დეკემბერში, შუა აპრილში, თუთხმეტ მაისს, ოც ივლისს, დამლევ აგვისტოს** და სხ. წინათაც ასე უხმარიათ,—მა-გალ: „**თვესა ივლისსა ოცსა**“ („**პართლ. ცხ.**“),—„**სრულ იქმნა შრომა ესე ოკტომბერ-სა ოცსა**“ (მახუმტ. „ისტორ.“), და სხ. ამისვე მზგავსათ უმჯობესია ეიხმართო: **ნახევარი სამეფო, მესამედი ჯამაგირი** და სხ. (**სამეფოს ნახევარი-სა, ჯამაგირის მესამედი-სა** და სხ. ნაცვლათ).

27. ტერმინი **მიწადმოქმედება** რუსულიდან გადმოუთარგმნიათ (**земледелие**). მაგრამ ქართულათ აზრითაც უფარგისი გამოდის და მართლწერილთაც უკანონოა. მიწას **მუშაობენ** ხოლმე (მიწის მუშაობა ან დამუშავება), და არა **ამოქმედებენ**, და ფორმაც მიწად გაუგებარია: აქ ნათესაობითი ბრუნვის აზრია—და, მაშასადამე, მიწათ ან მი-წის უნდა იყოს.

*) სოციალისტურ წრეებში ზოგიერთები ამ სიტყვის ხმარებას გაურბიან; მაგრამ, როგორც ფრანგულ „მოსიე“-სა და ინგლისურ „სერ“-ს, ისე ქართულ „**ბატონო**“-საც დღეს საუბარში მხოლოდ **თავაზიანობისა** და მოქალაქობრივის კეთილშობილური ურთიერთობის მნიშვნელობა ეძლევა—ღ შევბნელი „**ბატონ-ყმობის**“ ეპოქასთან უკვე აღარაფერი საერთო არ აქვს.

უცხო სიტყვების შემოტანა.

ძართველ ხალხს ბევრ უცხო ხალხთან ჰქონია ხანგრძლივი დამოკიდებულობა; ბევრ უცხო ტომს უცხოვრია საქართველოს საზღვრებში—ზოგს როგორც დამპყრობელს, ზოგს როგორც შემოხიზნულს—და ამიტომაც ქართულ ენაში ძველი დროიდანვე ბევრი უცხო სიტყვა შემოსულა. წერაკითხვის უცოდინარი და გონებით განუვითარებელი ხალხი ადვილათ ითვისებს უცხო ტომის სიტყვებს, განსაკუთრებით ტენიკურ სახელებს, რომელიც კი რაიმე მიზეზით ცხოვრებაში ხშირათ ესმის. ღღესაც თვალწინ გვიდგას ხალხის ამგვარი ჩვეულება,— ის ამბობს: იამა, სტოლბა, სვიაი, კანავო, დანაზადება, უგლავოში, პრიამათო ღ მრავ. სხ., თუმცა ყველა ამ სიტყვის მაგიერი, რა თქმა უნდა, ყოველთვის ყოფილა ღ არის ჩვენს ენაში.

ამ შემთხვევაში ენის სიწმინდის დაცვა მწერლობის აუცილებელ მოვალეობას შეადგენს. ძველათ, როგორცა ჩანს, ჩვენი მწერლობა უცხო ენების გავლენისაგან ქართულის დაცვის სურვილით მაინცადამაინც დიდათ გამსჭვალული არ ყოფილა—და ამიტომაც ძალიან ბევრი უცხო სიტყვა შემოსულა ქართულ ენაში ისე, რომ მათ მაგიერი წმინდა ქართული ძირის სიტყვები დაკარგულა, დავიწყებულა. ღღევანდელი ჩვენი მწერლობა უფრო ფრთხილათ იქცევა, მაგრამ ეს სიფრთხილე მას მხოლოდ თითოეული სიტყვების, სახელების ხმარებაში ატყვია; რაც შეეხება სხვადასხვა გამოთქმისა და კონსტრუქციის, ამ მხრით ახალ ქართულს ხშირათ რუსული ენის გავლენა ეტყობა (იხ. „რუსიციზმები“).

ამ სახით, რა თქმა უნდა, დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ უცხო სიტყვების შემოტანით ჩვენი ენა არ დავამახინჯოთ. მაგრამ აქაც უკიდურესობა არ ვარგა. შეუძლებელია - რომელმე ენაში უცხო სიტყვა არ შევიდეს, მაგრამ ეს სიტყვა უთუოთ იმისთანა ტენიკური, განსაკუთრებული მნიშვნელობის მექონი უნდა იყოს, რომლის მზგავსიც ამ ენაში არაოდეს არ ყოფილა. ამისთანა სიტყვების კატეგორიას ეკუთნის, მაგალითად, რუსული სიტყვა „სამოვარი“. ზოგიერთებმა სცადეს ამ სიტყვის გადათარგმნა—და მას ქართულათ „თვითმადულდებელი“ უწოდეს, მაგრამ თარგმანმა ფეხი ვერ მოიდგა, და, ჩემი აზრით, არც არაფერი ცოდვაა, ამისთანა უცხო სახელები რომ შემოვიღოთ. ზრანგულ ენაშიც კი იხმარება ეს სიტყვა რუსული გამოთქმით; ფრანგები ხმარობენ რუსულ სიტყვებს „ცარ“, „ცარევიჩ“ ღ სხვ; რუსულ მწერლობაში ხშირათ იხმარება ქართული სიტყვები: „ბატონიშვილი“, „მეპე“ (მეფე), „აზნაურ“ (აზნაური), „ტავად“ (თავადი), „ღზელკვა“, (ქელქვა), „ტხემალი“ (ტყემალი), „მცირი“ (მწირი) და სხვ. ღღესაც ამათ იხარჯება ზოგიერთების ენერგია იმისათვის, რათა ქართულათ სთარგმნონ ისეთი უცხო ტერმინები, როგორც არის, მაგალ, ელექტრონი (ელსმენი-ო!), ვავონი (რონოდა-ო!) და სხვ. ამგვარი ტერმინების თარგმნა არც მიზანშეწონილია და ცხოვრებაშიც არ გატარდება.

ცოდვა ის კი არ არის, რომ ჩვენს ენაში „სამოვარი“ და ამის მზგავსი სიტყვები შემოვიდეს,—ჩემი აზრით, დიდი ცოდვა და დიდი შეცთომა ის არის, რომ ქართული სამწერლო ენა პროვინციალური ფორმებით ავაჭრელოთ, როცა ეს საჭირო არ არის, როცა ჩვენს ენას შემუშავებული, საერთოდ სახმარი განვითარებული ფორმები აქვს. მაგალითად, ჩვენი დროის ზოგიერთი მგოსნის ნაწერებში ხშირათ შეხედებით: ხანჯარი (ხანჯალი), მიწოვავ (მიწოვია), აუნთავ (აუნთია), დაუკლავ (დაუკლავს), დგა (დგას), ქალაუ (ქალო), წაიღვეით, მოიტანვეით (წაიღეთ, მოიტანეთ) და სხ. და სხ.; და ამ შემთხვევაში მგოსნებსა და მწერალთ იმდენი დანაშაული არ მიუძღვისთ, რამდენიც ჩვენს ჟურნალ-გაზეთებსა და ესთეტიური გრძნობის უქონელ ჩვენს კრიტიკოსებს, რომელნიც ამგვარებს უბეჭდვენ და უწონებენ. წინასიტყვაშიც ნათქვამი მაქვს, რომ სამწერლო ენა თავის საზღოს ყოველ კუთხეში უნდა პოულობდეს, ყოველი კუთ-

ხიდან უნდა იყვებოდეს იგი, როგორც დედა-მდინარე სხვადასხვა კუთხის ნაკადულებით იყვება და იზღვება; სამწერლო ენა დედა-მდინარეს მხოლოდ იმით არა გავს, რომ მდინარეში ყოველგვარი ნაკადული ერთვის—ავი და კარგი, ღვრია და ანკარა,—ენაში კი უსათუთო უსაქიროესი სიტყვები და ხალასი, დაწმენდილი ფორმები უნდა შეიტანონ.

ხალხური ენის ფორმები მწერლობაში მხოლოდ მაშინ იხმარება; როცა მწერალმა პირდაპირ ხალხის ტიპს ალაპარაკებს; წმინდა ლიტერატურულ ენაში კი, როცა მწერალი ამბავს თავისი საკუთარი ენით გადმოგვცემს, ლიტერატურული ენის საწინააღმდეგო ფორმების ხმარება, როგორც განსაკუთრებით შესამჩნევია ფშაველი მგოსნები ხმარობენ,—ღიღი შეცთომია.

საუბრისა და კითხვის კილო.

როგორც ვიცით, საქართველოს ყოველ კუთხეში გამოთქმის განსაკუთრებული კილო არსებობს: გურული სისწრაფითა და ენის მოქცევით ლაპარაკობს, იმერელი—მიხვეულ-მოხვეულათ, ენის გრეხით, ქართლელი და კახელი—სიტყვის გამოძნელებით, მძიმეთ, გაბრტყელებით. სალიტერატურო ენას საუბარში, გინდ კითხვაში, არცერთი ეს კილო არ შეეფენის; მოსაუბრე, გინდ მკითხველი, სიტყვებს გაზვიადებულათ, არც ენის მოქცევითა და გრეხით, არ უნდა გამოსთქვამდეს,—მისი გამოთქმის კილო უნდა იყოს სწორი, გადაჭრილი, მოშორებული ყოველგვარს განსხვავებულ ხასიათს; ეს გამოთქმა ყველასთვის ერთნაირი უნდა იყოს,—როგორც ქართლელის, ისე იმერლის, გურულისა და სხვებისათვის. ძითხვასა და საუბარში აუცილებლათ საჭიროა გამოთქმაში სხვადასხვაობა, მრავალფეროვანობა,—მაგრამ ეს სხვადასხვაობა მხოლოდ გრძნობიერი ადგილების განსხვავებულათ გამოხატვას უნდა შეეხებოდეს, აზრის მიხედვით ხმის აწვევად წევას - ხან ამალლებას, ხან დაშვებას..

„ლიცენცია პოეტიკა“.

მოშიარეებს ძველი დროიდანვე ერთი ზნე შეჩვევიდა და მას დღესაც მტკიცეთ იცვენ: ისინი ხშირათ თავისუფლათ ხმარობენ, ლექსთწყობისა თუ რითმებისათვის, იმისთანა ფორმებს, რომელიც პროზაში არ შეიძლება ვიხმაროთ. პოეტების ამგვარ ჩვეულებას „ლიცენცია პოეტიკა“ ეწოდება, ე. ი. პოეტური უფლება.

შოთა რუსთველი ხშირათ სარგებლობს ამგვარი უფლებით; მაგალითად:

„გაჰგზავნა მონა თორმეტი მისი წინაშე მდგომარე,

შბრძანა: „ხელთა აიღეთ აბჯარი თქვენ სამარე“.

„სთქვა: „მზეო, ვარდსა სიშორე შენი დამაჩნდეს ეს ადრე...

ჰხამს მოყვრისათვის სიკვდილი, ესე მე დამიძს წესადრე“.

აი კიდევ მაგალითები: „მისთვისც გეტყვი ძმას“... „ან შენ მაშინ რა იცოდი, ან შენმ გიჟმა რა იცოდა“ და სხ. (ილ. ჭავჭავ.).

თუმცა პოეტებს ეს უფლება ათასწლობით აქვთ აღბეჭდილი და დამტკიცებული, მაგრამ მე მგონია ენისთვისაც და ლექსის სილამაზისთვისაც უმჯობესი იქნება - ამ უფლებით რაც შეიძლება იშვიათად ისარგებლონ: უკანონო ფორმები როგორც პროზაში, ისე არც ლექსებში არაოდეს განვითარებული სმენისათვის სასიამოვნო არ იქნება.

ლექსთაწყობის გაადვილებისათვის, ჩემი აზრით, შეიძლება, ენის დაუმახინჯებლათ, პროზის ენის კანონებს შემდეგ შემთხვევებში აუარონ გვერდი:

1. ლექსის საკიროების მიხედვით იხმარონ სრული, გინდ მოკლე დაბოლოება ბრუნვებში (ბავშისა—ბავშის, ბავშითა—ბავშით და სხ.), აგრეთვე თანხმოვანზე დაბოლოებულ ზმნისართებში (შინ—შინა, წინ—წინა, გარეთ—გარეთა, ქვეით—ქვეითა, ძირს—ძირსა და სხ.); ი-ზე დაბოლოებული ზედსართავებიც შეიძლება შემოკლდეს ბრუნვებში: კეთილ გულის, კეთილ გულით;

2. მსაზღვრელი სიტყვა სასაზღვრის გინდ წინ დასვან, გინდ უკან, როგორც ლექსისთვის ემჯობინება (ლექვი ლომისა—ლომის ლექვი);

3. „მოყვანილ სიტყვებში“, თუ ლექსთაწყობა მოითხოვს, ნაწილაკები მეთქი, თქო, ო გამოუშვან, პირდაპირი საუბრით გამოსთქვან აზრი;

4. წოდებით ბრუნვაში იხმარონ დაბოლოებათ მ-ც, როცა ამას ლექსის ზომა მოითხოვს (ა-სა, მ-სა, ო-სა და უ-ზე დაბოლოებულ სახელებში);

5. არ გამოაკლონ ბრუნვებში ხმოვანები ა, ე, ო შესამოკლებელ სახელებში, მაგალ. იხმარონ ხმალისა გინდ ხმლისა, ხმალითა—ხმლითა.

რაკი ლექსებზე გვაქვს ლაპარაკი, საკიროა ორიოდ სიტყვა ლექსთაწყობის შესახებაც ვსთქვათ. ჩვენი მოშაირეები ზოგჯერ უკანონოთ აწყობენ ლექსებს, განსაკუთრებით ასეწოდებულ „შაირში“. „შაირი“ ორგვარია: მაღალი და დაბალი. ორივეგვარი შაირის თითოეული ტაეპი ცეზურებით ოთხ ნაწევრათ გაიყოფება; მაღალ შაირში ოთხივე ნაწევარი ერთი ზომისაა, ოთხ-ოთხი მარცვლისგან შემდგარი,—მაგალითად:

„ნახეს უცხო || მოყმე ვინმე, || ჯდა მტირალი || წყლისა პირსა“.

ამის მუსიკალური ნიშნებია:

ა—აა || ა—აა || ა—აა || ა—აა.

დაბალ შაირში პირველი და მესამე ნაწევარი ხუთ-ხუთი მარცვლისგან შედგება, მეორე და მეოთხე კი—სამ-სამისაგან,—მაგალ.:

„იყო არაბეთს || როსტევან || მეფე ლეთისაგან || სვიანი“.

ამის მუსიკალური ნიშნები:

აა—აა || —აა || აა—აა || —აა.

შოთა რუსთველს თავის პოემაში ორივე შაირი აქვს ნახმარი, მაგრამ ისე, რომ თითოეულ ხანაში ორივეგვარი შაირის წყობა არ შეგხვდებოთ,—ან მთელათ მაღალია, ან მთელათ დაბალი. ჩვენი დროის მოშაირეებს კი ხშირათ აქვთ არეული ზომა—და ერთ ხანაშივე ზოგი ტაეპი (ლექსის სტრიქონი) მაღალია, ზოგი დაბალი.

მოვიყვანოთ მაგალითი:

„უცებ მეფემ თვალი მოჰკრა,—

ხალხი გაირღვა შუაზედ:

ორს მარჯვე ბიჰს ბერიკაცი

მოჰყავთ მის წინ მოედანზედ“.

აქ მეორე ტაეპი დაბალი შაირია, დანარჩენი კი მაღალი,—რაიცა სმენისათვის არ არის სასიამოვნო.

ორივეგვარი შაირი (მაღალიც და დაბალიც) მხოლოდ პოემებს შეშვენის,—იქ შეიძლება ზოგი ხანა დაბალი შაირი იყოს რ ზოგი მაღალი, როგორც, მაგალ., „მეფე ხისტყაოსანი“—ა დაწყობილი; პატარა ლექსებს კი არ შეშვენის სხვადასხვა ზომა: ისინი ან მთლათ მაღალი შაირით უნდა იყონ დაწყობილი და ან მთლათ დაბალი შაირით.

ლექსებში უნდა ერიდონ აგრეთვე ბოლოში უთავბოლოთ ა-ნის მიმატებას, როცა იმას ბრუნვა სრულიადაც არ მოითხოვს,—მაგალითად:

„მეფისა იყო ის ცხენი, თამამი, თითქო ვეფხვია;
იმის უზანგში მეფის მეტს ვერვის შეედგა ფეხია“.

ბახაზულ სიტყვებში ბოლოში ა სრულიად შეუფერებელია, მხოლოდ მარცვლის მისამატებლათ მიკერებული.—ასე უადგილოთ ხშირათ არის ა მიმატებული ხალხურ ლექსებშიც, ხშირათ ხმარობს ამისთანა ლექსს რუსთველიც; მაგრამ ამგვარი ლექსები მეტათ უსიამოვნო მოსასმენია—და ეს ჩვეულება ჩვენს ლექსთაწყობაში უნდა მოი-სპოს. ა სახელებს, ლექსის დაუმახინჯებლათ, ყველა ბრუნვაში შეიძლება მიემატოს, სახელობითს გარდა.

ბოლოში ა-ს ჩენი მგოსნები ზმნებშიც ხშირათ უმატებენ, რაიცა აგრეთვე შაირ-სიტყვას მეტათ აუკეთილხმოვანებს,—მაგალ. აკაკის „ბებიას ნაამბობ“-ში:

„შენ რომ ბოჩოლა გგონია, ის არის ძეგლი გმირისა.—
ხომ ხედავ, ქუდმოხდილია, თითქო რაღაცას სტირისა“.

შეცთომების მავალითები

ქართველ მწერალთა ნაწარმოებში.

საჭიროთ მიმაჩნია-მკითხველებს რამდენიმე ქართველი მწერლის ენის შეცთო-მები გავუთვალწინო, ვინაიდან, ჩემი აზრით, სწორი ქართულის მოინტერესე მკითხ-ველი ენის სისწორეს ამგვარი გათვალწინებითა და ვარჯიშობით უფრო ადვილათ შეითვისებს, ვიდრე კანონების თეორეტიული განმარტებითა და გათვალწინებით.—
ითიოეული ავტორის ყველა შეცთომის აღნიშნვა შეუძლებელია, რადგან ამ შეცთო-მათა რიცხვი უამრავია; აქ მხოლოდ რითიმე საყურადღებოსა და იშვიათ შეცთომებს მოვიყვან—და ზოგს მათგანს იქვე გავასწორებ, ხოლო სხვების გასწორებას თვით მკითხველს მივანდობ (ამ ჩემი წიგნისვე საშვალებით—**ლექსიკონით** და სხვ.).

ილია ჭავჭავაძის თხზულებებიდან (1892 წლ. გამოცემა).

1. „ძაცია-აღამიანი“: ჭის-კარები=ჭიშკარი; არასფერი; დაწყებილი=დაწყე-ბული; გადმოიქნია, გაუქნია, ამოერჩია—გაუქნია, ამოერჩია და სხვ.; ჩამოართო, ხელი გადაუსო, ცხენზედ შესო=ჩამოართვა, შესვა და სხვ.; ბაშვი; ესე მოხდა ეს ამბავი, ესე დაიწერა=ასე...; ჩაუკრამს; შამოჭხედა=შეოხედა; ლუარსაბი თათქა-რიძე=ლუარსაბ თათქარიძე; შენ სწუხარ=სწუხხარ, უნდა ვიყვნეთ=ვიყოთ; გონე-ბის გასართავად=გასართობათ; უკაცრაოდ=უკაცრავათ; ბედი მომეცი და სანახვეზე გადამაგდეო=... სანახვეზე; მაიკუნტა=მოიკუნტა.

2. „შლაღიკავკ. ტფილისამდე“: არა ხალხი=არც ერთი ხალხი; აქედ; შევეუ-კვეთე ერთს ფეხმოტეხილს სალდათსა, რომელიც ბოლოს სტანციის გუშავად გამო-დგა=... ფეხმოტეხილ სალდათს, რომელიც ბოლოს სადგურის გუშავი გამოდგა (აღ-მოჩნდა); რაც კი დამეტოვა=დამეტოვებია; დავუგდევი ყური=დავუგდე...; გარდა ვადარეული ლაპარაკისა არა შევატყვე რა=... ვერაფერი შევატყვე (ვერა შევატყვე რა); ყუთში რაკი ბუზებს აღარ ვნახავდი, აშკარა იქნებოდა, რომ ყუთის თავი აუ-ხდია ვისმე=... ვეღარ ვნახავდი...; გროშიც არ დაჯდება=გროშათაც არ დაჯდება; მამწონს; იმ ფიქრით მივეცი თავი ძილს, რომ ხვალე ცხენს ვიქირავებ და ისე გად-ვივლი მთებს=... ხვალ... ვიქირავებ და გადვივლი მთებს-მეთქი; ერთ და იგივე საგანზედ=ერთსა და იმავე საგანზე; მილაგებულნი ფიქრები=მილაგებული ფიქრები.

3. „მოთარანთ ქვრივი“: იგი სთეს=სთესს (თესავს). რუი; რუიღამ=რუ, რუ-ღან; იძღვეოდა, არევიდეს, გამოიღვეოდა (3 არ უნდა); ბევრს ამისთანაებს=ბევრ ამისთანას; რომ ეცქერნა=ეცქირა; ამის მერმედ=ამას შემდეგ; არა ხარჯი არ და-ზოგა=არავითარი ხარჯი...; დახუჭვილი=დახუჭული; ქრისტიშობისთვე=ქრისტიშო-ბისთვე; ავის სიტყვით,—რაც სიტყვი=ავი სიტყვით, რაცა სიტყვი (კეთილხმოვანობა

მოითხოვს, რომ პირველ გამოთქმაში ერთი ს გამოაკლდეს, და მეორე გამოთქმაში ერთმარცვლოვანი რაც გახმოვანდეს).

4. „ლექსები“, ტ. I: გარშაპო; ყვავილს სწოწნს=ყვავილსა სწუწნის; ყველა ყვადება=ყვავის (ჰყვავის); მერედ=მერე, მერმე; დავიწყობ ტქნობას; ელოდა= ელოდა; ფრენა ციურნი=... ციური; კილით კილამდინ=კილემდი; ძრისტის სიტყვა-თა=ძრისტეს...; მე დავუკრამ; სიმრგვლივ=ირგვლივ; ჯერედ ხომ შენი ბედი=ჯერ ხომ შენი ბედი; მინამ=სანამ, ვილრე; მინახვიხარ; შენ ამშვენებ; „უსულდგმულო ცხოვრება ცის ნიჭად ნუ გგონია“=... ცის ნიჭი ნუ გგონია; ვერ მიმასწავლებ? =ვერ მიმასწავლი?—დალუპვილსა=დალუპულსა; მამა მომკვდომიყო=მომკვდომოდა; ციურნი ხმები; დავამთქნარევით=დავამთქნარეთ; სახლი არ ვარჯდა=არ ვარგოდა; ძარღვში მი-დგია სისხლი=მიდგას...; ჯერ ეგრეთჟო დამიჯერეთ, საბუთითჟო მერე იყოს=ჯერ აგრე დამიჯერეთ, და საბუთი მერე იყოსთჟო; აღსდექი=აღსდგექი; თუ მიენდები= მიენდობი; ტვირთმძიმენი ხალხი=ტვირთმძიმე ხალხი; საწველ ფურად=მეწველ ფურათ; წავა და ინახულებდა, წავა და შესჩვილებდა=წავიდოდა...; ამშვენებს= ამშვენებს; ნახი, როგორც მშველია=... შველია; დაჰბადავს=დაბადებს; უწონს=უწონის (უწონავს); ველარ განუძლებს=გაუძლებს; დაჰანგებული=დაჰანგული; შესძლებიყო=შესძლებოდეს; მხვედრი=ხვედრი; გარედ; ცეცხლი ჰჩნდოდა=... ჩნდა; მე ამოვყე ფარასა ცხერისას=ამოვყე(ი)...; მე იქ გავერთვი=გავერთე (გართობა); ნუ-თუ მისდღეში არა გყოლია=შენს დღეში...; რასმეს=რასმე; გაუბედნია=გაუბედავს.

ბაკაი წერეთლის თხზულებებიდან.

1. „ჩემი თავადასავალი“:— ერთ ფასში იყიდება=ერთ ფასათ; ფრაკში გამო-კონტავებული=ფრაკით...; ჩაუღვეს=ჩაუღვია; თავისს შრომას=თავის შრომას; თვალ-წინ მიდგია=... მიდგას; არახოდეს; მოწყალეობა=მოწყალება; ესენები ყველა, ესე-ები ყველა=ესენი, ყველა ეს; სათითაოდ; კვირეს=კვირას; შამომქმნა, შამომიტია; უმარული; გაგებდნიათ; თამაშობაები; მივედი სახლში, —სახლში დავბრუნდი= შინ...; ყველამ მირჩიეს=ყველამ მირჩია.

2. „ლექსები“, ტ. I-II (1893 წ.):— გვიწამლიდა=გვიწამლავდა; უნახვებართ= უნახავებართ; ხვალ შენ ვენახს ამომიკაფ=... ამომიკაფავ; რომ გცოდნებოდათ=გცოდ-ნოდათ; ქართვის; ანთებაებს, —ლირსებაებს, —მოჩვენებაებს; უპატრონოდც არ ვარ-გვივართ=უპატრონოთაც არ ვარგვართ; მისთვისც, —რომლითც=მისთვისაც, რომლი-თაც; შესვაფს, —ისხაფს, —ურტყავს; მაწმონხარ; ვიწვიდე, ვით აბედი=ვიწოდე; უდროვოდ=უდროოთ; განქრა, განქრეს; გვცხვენია=გვრცხვენია; დამფრთხარი= დამფრთხალი; მოძმებს=მოძმეებს; მიმალამთ; შიშის ქრად=ქართ; მოსდო ხელი= მოსდვა (მოხვია ხელი); გულშიდა=გულში; სახლში მივედი; მათ მომხრებს=მო-მხრეებს; დადგომილან=დამდგარან; ვერავის ვერ შეგადრი=ვერავის შეგადარებ; არავის მივყიდო არც ჯილდოში და არც ფულში=... არცა ჯილდოთ და არც ფუ-ლათ; წმინდა სისხლით დებულსა=(შე)ღებულსა; ვნახამ; აგზნილი=აგზნებული; ყოვ-ლისფერს=ყველაფერს (ყოველიფერს).

3. „თორნიკე მრისთავი“:— გილოცავ თქვენ გამარჯობას, —გამარჯობა და-რჩათ=... გამარჯვებას, —გამარჯვება; წაკვეთა სასოებისა=წარკვეთა; საბოლოვით= საბოლოოთ; ჰფერავენ, ჰკერავენ=ფერვენ, კერვენ; შევარდნულადო=შევარდნულა-თო; გამაგზავნეს=გამგზავნეს; უნცროსმა=უმცროსმა; საერო საქმებს=საქმეებს; გაუღეწიათ ბერძნები=დაუღეწიათ ბერძნები; აგზავნის, აგზავნიდა=გზავნის, გზავ-ნიდა; ქართველები ბერძნებისაგან დარჩენილიყვენ მიტოვებული=..., მიტოვებული

(მიტვევა ქორ-მიმინოზე ითქმის — ქორი ხოხობს მიუტვევსო და სხვ.); შენსებრ = შენ-ებრ; ვეცადოთ ყველამ = ვეცადოთ ყველა (ყველანი); სიღამაც = საიდანაც.

თანამედროვე სხვადასხვა ქართველი მწერლის თხზულებებიდან.

1. ხელის გადასობა = ხ. გადასმა; 2. ცრუმორწმუნოება (ნახ. ლექსიკ.); 3. ძვირათ შეხვდებით = იშვიათად შ.; 4. მიხვდა, რაშიც იყო საქმე = მ., რაც მოხდა; 5. ბაირონის ჩაილდ-გაროლდი = ბ. ჩაილდ-ჰაროლდი; 6. ნამეტარი = ნამეტანი; 7. მკერმეტყველება = მკერმეტყველება; 8. ბიძალის მთები = ჰიბალის მთები; 9. შავში ჩაცმული, თეთრში გამოწყობილი = შავათ ჩ., თეთრათ გ.; 10. ბექდის თვალები = ბ. თვლები; 11. დაწილი = დაწული; 12. რისიც თქმა გვსურდა = რის თქმაცა გვ...; 13. მებურთაღნი = მობურთაღნი; 14. რას შვებით? = რას შერებით? 15. დედა ბავს ძუძუს აქმევდა = ... ძუძუს აწოვებდა; 16. შერხნის ფოთელი = ვ. ფოთოლი; 17. ქარგ ფასში გაყიდა = ქარგ ფასათ გ.; 18. უმფროსი ძმა = უფროსი ძ.; 19. ოღონ = ოლონდ; 20. აქამდისინ = აქამდი; 21. ამშვენებდა; 22. ასხავენ = ასხმენ; ჰმართევს = მართებს; 23. რასმეს = რასმე; 24. მაშინათვე = მაშინვე; 25. ბებერსავით შემომცქეროდნენ = ბებერივით შემომცქეროდნენ; 26. ცოტა არ იყვეს = ... იყოს; 27. საუკუნოების განშავლობაში = საუკუნეების გ.; 28. რაშია საქმე? = რა ამბავია? რა მოხდა? 29. მხოვნი ასრულება ვერ შემიძლიან = ... არ შემიძლია; 30. სხვადასხვა ფერისანი არიან = ... ფერის არიან; 31. შევარდენი; — 32. პატარა, მკვრამ გიჟ წყალს = პატარას, ...; 33. მწირ, გამოფიტულ ნიდაგზე = მწირს, ...; 34. ბაეკეთებინა, გაეთავებინა = გაეკეთებია, გაეთავებია; 35. ისეთ ადგილებში, რომელი ადგილიც = ისეთ ადგილებში, რომელიც ..; 36. დაბოლოს = ბოლოს, დასასრულ. და მრავ. სხვ.

ფრაზეოლოგია

(წინადადების ნაწილთა წყობა).

წინადადების ნაწილთა წყობას, თუ რომელ ნაწილს რა ადგილი უნდა ეკავოს, თავისი წესები და კანონები აქვს — და არ შეიძლება ფრაზის დაწყობა იმის მიხედვით, თუ რომელ მწერალს როგორ მოეპრიანება და ფრაზის რომელი ნაწილი ფიქრსა და ენას უწინ მოადგება. ფრაზის ლამაზ დაწყობასა და აშენებას ისევე გულდასმით უნდა მოფიქრება, როგორც შენობის არქიტექტურის სილამაზეს, და სრულქმნილი შემოქმედების წინაშე დიდათა სკოდვენ ის მწერალნი, რომელნიც, ვითომდა ზეშთავანების რაშზე შემსხდარნი, ფიქრ-აზრთა მერანს უგზო-უკვლოთ მიაქროლებენ და უკან არ იხედებიან — სისწრაფით გაკაფული გზის ხელახლა გულდასმით დათვალაიერებას არ ცთილობენ, რომ აქა-იქ ზრამები ღოღროჩოღრო ნაპირები შეასწორონ ღ შეალამაზონ. ისინი ერთ წამსაც არ უნდა ივიწყებდენ, რომ ჰარმონია, სილამაზე — საერთოდ გარეგანი მშვენაიერება — თუ მეტის არა, ნაკლები მნიშვნელობის არ არის, ვიდრე მშვენაიერება შინაარსისა.

შეუძლებელია ყველაფრის თეორეტიულათ განსაზღვრა, თუ წინადადების რომელი ნაწილი სად უნდა იყოს მოთავსებული. რაც რომ ამ ფარგალში მე დაკვირვება და გამოცთილება მაქვს, ვფიქრობ — მკითხველს რამდენიმე მაგალითით უფრო ადვილათ შეუძლია გაითვალწინოს, ვიდრე თეორეტიული ღებულებებით. თეორეტიულათ, მაგალითად, ცნობილია (და ამ ჩემს წიგნშიც ზევით მოხსენებულია), რომ შემასმენელს ქართულ ფრაზაში უმთავრესათ ფრაზის ბოლოში აქვს ადგილი; მაგრამ არის შემთხვე-

ვები, როცა ეს ასე არ ხერხდება და იგი სადმე წინ უნდა დაისვას. თეორეტიულათ კიდე შეიძლება შემდეგის თქმა: ფრაზაში პირველი ადგილი იმ სიტყვას უჭირავს (წინადადებებს იმ ნაწილს), რომელზედაც განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული, და ეგ სიტყვა—ეს ნაწილი შემასმენელის წინ დაისმის.

მაგალითები: 1. **ჩვენი დედაქალაქი თფილისია:**—აქ ჩვეულებრივი—დამოუკიდებელი აზრია გამოთქმული და წყობაც ჩვეულებრივია;—2. **თფილისია ჩვენი დედაქალაქი:**—ამ წყობით ის აზრი გამოსჭვივის, რომ თფილისია ჩვენი დედაქალაქი, და არა სხვა, რომელიც უნდა იყოს;—3. **ზიორგი თფილისს გაგზავნეს:**—აქაც ჩვეულებრივი წყობით ჩვეულებრივი აზრია გამოთქმული;—4. **ზიორგი გაგზავნეს თფილისს:**—ამგვარი წყობით ის აზრი გამოითქმის, რომ თფილისს ზიორგი გაგზავნეს, და არა სხვა ვინმე;—5. **თფილისს გაგზავნეს ზიორგი:**—ამგვარი წყობა გვეუბნება, რომ ზიორგი თფილისს გაგზავნეს, და არა სხვაგან.

ახლა, ფრაზის ნორმალური დაწყობის გასაცნობათ, წინადადების ნაწილთა დალაგების გასათვალწინებლათ, რამდენმე მაგალითს მოვიყვან—შეცთომებით, როგორც ჩვენს მწერლობაშია ნახმარი, და ჩემი შეხედულებისამებრ იქვე გავასწორებ (წყობასაც, ეტიმოლოგიასაც და სხვ.):

1. „**მოთარაანთ ქვრივი, რაც უნდა მდარე მოსაყვლი ყოფილიყო, სამს საპალნეს ღვინოს მაინც გაჰყიდდაო ყოველ წლივ**“ („მოთარ. ქვრ.“);—აქ არც ფრაზა რიგინათ დაწყობილი—და ეტიმოლოგიაც (**სამს საპალნეს ღვინოს**) დღევანდელ სალიტერატურო ენას ეწინააღმდეგება; უნდა იყოს (გახაზულის მაგიერ): **ყოველწლივ სამს საპალნეს ღვინოს მაინც გაყიდდაო.**

2. „**შველაზედ უძვირფასესი განძი სხვა დარჩა მოთარაანთ ქვრივს თავის ქმრისაგან ყველაზედ უძვირფასესი განძი სხვა დარჩა.**“ (იქვე)=**მოთარაანთ ქვრივს თავისი ქმრისაგან ყველაზედ უძვირფასესი განძი სხვა დარჩა.**

3. „**თეთრი და ფაფუკი ღრუბელი ნაჭერ-ნაჭერ აქა-იქ მიდიოდ-მოდოდა წყნარად და აუჩქარებლად გადაწმენდილ ცაზედ, თითქო ტოლ-ამხანაგებს ეძებნო ხელი-ხელს გადასაბმელად**“ (იქვე)=**თეთრი და ფაფუკი ღრუბელი გადაწმენდილ ცაზე აქა-იქ ნაჭერ-ნაჭერ წყნარათა და აუჩქარებლათ მიდიოდ-მოდოდა, თითქო ტოლ-ამხანაგებს ხელი-ხელს გადასაბმელათ ეძებნო.**

4. „**მერე თითქო რაღაც ხიდი გაიდოვო მორევიდამ გამოსასვლელად, წამოდგა ფეხზედ და ხმამალა სთქვა**“ (იქვე)=**მერე, მორევიდან გამოსასვლელათ თითქო რაღაც ხიდი გაიდვო, ფეხზე წამოდგა და ხმამალა სთქვა.**

5. „**პრჩილი ახალს ვენახს აშენებდა და უნდოდა მიწა ჰადრაკის ფიცარსავით უჯრა-უჯრად დაეყო და ისე მოერიგებინა ვაზი მწკრივად და ლარზედ**“ (იქვე)=**პრჩილი ახალ ვენახს აშენებდა და უნდოდა მიწა ჰადრაკის ფიცარსავით უჯრა-უჯრათ დაეყო და ვაზი მწკრივათა და ლარზედ ისე მოერიგებია.**

6. „**სოფელი ეშურებოდა ვენახებიდამ შინ თივის ზიდვას საქონლის გამოსაკვებად ზამთარში**“ (იქვე)=**სოფელი, ზამთარში საქონლის გამოსაკვებავთ, ვენახებიდან შინ თივის ზიდვას ეშურებოდა.**

7. ბევრი „**უწმინდურია თავისი ტყაპუჭით კი არა, ზოგჯერ თავის გულითაც**“ (იქვე)=**ბევრი არა მარტო თავისი ტყაპუჭით, არამედ ზოგჯერ თავისი გულითაც უწმინდურია.**

8. „**მკერდზედ სცემდა თოვლივითა მოხუცებულს თეთრი წვერი**“ („ღიმიტრი თვალად.“)—ამგვარი წყობით ისეთი აზრი გამოდის, თითქო წვერი მოხუცებულს თოვლივით სცემდაო; უნდა იყოს: **მკერდზე სცემდა მოხუცებულს თოვლივითა თეთრი წვერი.**

9. „თამარ-ცხიერი რომ დაიბეჭდა ცალკე წიგნად და ზედ ათი შაური ეწერა ფასი“.... (ბაკის „ჩემი თავგადასავალი“) = „თამარ ცხიერი“ რომ ცალკე წიგნად დაიბეჭდა და ზედ ფასი ათი შაური ეწერა....

10. „ამ ახირებულობას ისე იყვენ მიჩვეული დიდი და პატარა, რომ უამისოდ ვერც კი შეეძლოთ წარმოედგინათ სადილ-ვახშმის ჭამა“ (იქვე) = დიდი და პატარა ამ ახირებულობას ისე შეჩვეული იყვენ, რომ უამისოდ სადილ-ვახშმის ჭამა არც კი შეეძლოთ წარმოედგინათ.

11. „მერიქიფეებს ეჭირათ ხელში ღვინით სავსე დოქები და, დაიცლებოდა თუ არა ვისიმე ჭიქა, მაშინვე აავსებდენ“ (იქვე) = მერიქიფეებს ღვინით სავსე დოქები ეჭირათ ხელში და, ვისიმე ჭიქა დაიცლებოდა თუ არა, მაშინვე აავსებდენ.

12. „მს ზნე მოუვლიდა ხოლმე უფრო ხშირად მაშინ, როდესაც უნებურად გამოაღვიძებდა ვინმე“ (იქვე) = ეს ზნე უფრო ხშირად მაშინ მოუვლიდა ხოლმე, როდესაც ვინმე უნებურად გამოაღვიძებდა.

13. „ხელში ეჭირა წკეპლა და, შეეშლებოდა თუ არა ბავშვს კითხვა; უცხუნებდა და უცხუნებდა“ (იქვე) = ხელში წკეპელი ეჭირა, და ბავშვს, კითხვა შეეშლებოდა თუ არა, უცხუნებდა და უცხუნებდა.

თანამედროვე ჟურნალ-გაზეთებიდან და სხვ.

14. პარლამენტი იხილავს საკითხს ჯარების გაგზავნის შესახებ ჩინეთში = ჩინეთს ჯარების გაგზავნის შესახებ; ან: პარლამენტი ჩინეთს ჯარების გაგზავნის საკითხს იხილავს.

15. ისე მძლავრათ დააჭირა მზემ თავისი სხივები დედამიწას, რომ... = მზემ დედამიწას თავისი სხივები ისე მძლავრათ დააჭირა, რომ....

16. ბავიდა ჯარი ქალაქიდან და დაადგა ბრძოლის ველისაკენ მიმავალ გზას = ჯარი ქალაქიდან გავიდა და ბრძოლის ველისაკენ მიმავალ გზას დაადგა.

17. ბანზრახულია შეიკრიბონ მთავრობათა წარმომადგენელნი მოსალაპარაკებლათ მშვიდობიანობის დამყარებაზე სახელმწიფოთა, შორის = სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანობის დამყარებაზე მოსალაპარაკებლათ შეიკრიბონ.

ქარბი სტილის ნიშუშები კროზაში.

I. „ვისრამიანი“-დან:

1. რა რამინ ბურგანით მარავს მივიდა, ვისი მუნ ველარა პოვა. მისისა სიხარულისა ვენავი გამვმარი ნახა და წალკოტი უყუაფილო. ღარბაზსა შიგან ქუეყნისა მზე აღარ დახუდა, არცა საჯდომი მისთა თმათა სურნელობისაგან სავსე გაიცადა, არცა ქალაქი პირველისაებრ მოხარული დახუდა. თუ სთქუა, დარბაზი და მიდამო რამინის გულისაებრ უმისობისათუის ტიროდა. იგი ამო დარბაზი, მისგან გასახარებელი, საკნადა უჩნდა ღ შეჭირვებითა, ვითა ბროწეული ქერქსა შიგან, გასქდა, ტიროდა სულ შეუღებლად; გაზაფრანებულსა პირსა ზედა მარგალიტსა აწვიმებდა. მისსა საჯდომსა ზედა პირი დასდვის და, ვითა იაღონი ვარდსა ზედა, ეუბნებოდა, კუნესოდა და საბრალოდ მოთქმიდა (გვ. 190).

2. ზაფხულისა ჟამი იყო: დღე ამო; მინდორნი, ველნი და წალკოტნი სამოთხესა გუანდეს; ხენი ნაყოფიანი, წყალნი მდინარენი და მფრიმველნი ზედა დამღეროდეს; ნარგისნი მწდეთა გუანდის და იანი თავჩამოგდებულობითა მთურალთა; შტონი ნაყოფისაგან—ნოშრევანისა გუირგუინსა სიტურფითა; ველნი სიმწუანითა ზურმუხტსა და მთან ბეჭმედსა; ყოველი ქუეყანა ყუაფილითა, სიტურფითა სულნელობითა ავისილიყო. საწუთრო ახალ სძლისაებრ ნაზობდა (გვ. 233).

3. თუ შეიღნივე ცანი ქალაქად მქონდეს, სრულად ვარსკულავნი მწიგნობრად მყუეს, ღამისა ჰაერი მელანი იყოს, ასონი ფურცელთა, ქუიშათა და თევზთაებრ ხშირად სხდენ, აღსასრულამდინ იმედი და ნატრა ჩემისა მოყურისა ნახუისათუინ მქონდეს;—შენმან მზემან, ნახევარსა ვერცა მაშინ დავსწერ სურვილსა (გვ. 289).

II. „სიბრძნე-სიცრუის წიგნი“-დან.

ზამოხდეს ჟამი რაოდენიმე. შეიწყალა ღმერთმან და მისცა ძე ესეთი, რომე სინათლითა მზე მოშურნობდა, ათხუთმეტისა დღისა მთოვარე ნათელს მისგან ითხოვდა, ვარსკულავნი მისს კამკამებას გაეცვიფრებინა, შავნი მერცხლის მყარნი ბროლთა ზედან განპყრობით დაეშვენებინა, მელნის გუბენი გიშრის ლერწმით შემოესარა, ვარდი და ზამბახი ერთმანერთში აეყვავებინა; სახელად ჰუმბერ უწოდეს (კანონიერი ფორმები: გაეცვიფრებია, დაეშვენებია; აეყვავებია).

III. ილია ჭავჭავაძის „ზღაზის ნამბობი“-დან

(ჩვენი მართლწერის დაცვით).

მე სწორეთ, ნადირობის ტრფილს რომ იტყვიან, ისა ვარ. საკვირველათ მიყვარს დაბურულს, ხმაგაკმენდილ ტყეში ხის ძირას ჯდომა და მიღეული გულის-ცემით ლოდინი ნათვალევი ნადიროსა. არის რალაც მოუწყინარი სიამოვნება ამ ხალისიან გართვაში. თუ გნებავთ, ამასაც კი ვიტყვი, რომ ნადირობა ცოდვაა: ყოველი სულიერი ღვთის დანაბადია, ყველას აქვს თანასწორი ნება ამ თვალმიუწვდომელ ქვეყანაში ცხოვრებისა... მაგრამ რა გაეწყობა!.. ტყუილათ კიარ გვარწმუნებს ჩვენი საღვთო წერილი, რომ პირველი სისხლი უბოროტო ქვეყანაზე კაცმა კაცისა დაანთხიაო. ძაცი

მოსისწლია,—მეც კაცთაგანი ვარ. ბევრჯერ მინახავს ირემი, დამფრთხალი ძაღლისაგან, ბევრჯერ მინახავს—და ბევრჯერ გაუტაცია ჩემი გონება მის თავისუფალ სილამაზეს. ბადაუწყევია ზურგზე თავისი შტოიანი რქები—და მორბის გამალებული, ლამაზი და ამაყი, უკან მოჰყევს ნაგეში ძაღლი. ძაღლს მიურბის საწყალი—და ზედ კი შეეხლება ხოლმე კაცსა, რომელიც ამ შემთხვევაში ძაღლზედ უფრო შეუბრალებელი და დაუნდობელია.

IV. აკაკის „ბაში-აჩუკი“-დან

(ჩვენი მართლწერიტ).

ღიდი ზანია, რაც ახალმა ცხოვრებამ კახელის გულის ფიცარზე დღემდი ღრმათ დაბეჭდილი მისი ისტორიული ნაგრძნობი და ნაფიქრები გადაფხიკა... ქართულ ტკბილ ლილინს, ვაჟკაცურ შეხმატკბილებასა და სასოების მომგვრელ გალობას თათრულმა შექაქანებამ მრულო ბოლო... ტკბილი ჩანგური და სალამური ხურნა-ქიანურმა ჩაყლაპა...

დ ა მ ა ტ ე ბ ა

(კრიტიკულ გარჩევა)

I. სუბიექტური კრედიტის მორევიზია და ობიექტური კრედიტის მესამე რევიზია ქართულ ზმნებში

აკაკი შანიძისა (1920 წ.).

II. სალიტერატურო ქართულისათვის

პროექტი ქართული ორთოგრაფიის სადაო საკითხების მოსაწესრიგებლად, შემუშავებული საორგანიზაციო კომისიისა და მიღებული სასწავლო კომიტეტის მიერ (მასალები კონფერენციისათვის), — 1921 წ.

დამატიება I. საკაპი შანიძის

ზნობრივი და მცნიერული ავლადიდება.

(ქართული ენის გრამატიკის ფარგალში მისი ნაშრომის გამო).

მე ახრათა მაქვს-აკაკი შანიძე მკითხველ საზოგადოებას ორი მხრით გავაცნო: როგორც ადამიანი და როგორც მეცნიერი. პირველს მის თვისებას მკითხველები იმ მიწერ-მოწერიდან გაიცნობენ, რომელიც მე მასთან ჩემი გრამატიკის შესახებ მისი რეცენზიის გამო გავმართე (ფოტის საშუალებით). აქ მე მკითხველს მოწიწებითა ვსთხოვ-ჩემი პირველი წერილების კილოს დაუკვირდეს და კარგათ გაითვალწინოს, თუ რამ გამოიწვია უკანასკნელის ჩემი წერილის გაბრაზებული კილო.—ხოლო მეორე ღირსების, ე. ი. აკაკი შანიძის მეცნიერული ავლადიდების, ახსნასა და განმარტებას ამის მონიტორესენი ამ ჩემი წერილის მეორე თავში ამოიკითხვენ.

I. საკაპი შანიძის აღამიანობა

(მასთან მიწერმოწერა ჩემს გრამატიკაზე მისი რეცენზიის გამო).

პირველი ჩემი წერილი.

დიდათ პატივემულო ბ. აკაკი! სარეცენზიო კომისიისაგან დადგენილი რეცენზია ჩემი წიგნებისა („ქართული გრამატიკა“, წ. I და II) მაცნობეს—და ვხედავ, რომ უსამართლობა მჭირს. კომისიას თურჲე „მრავალი თვალსაჩინო ნაკლი“ უნახავს ჩემს წიგნებში—და მაინც კიდევ ნებადართულად უცვნია. მადლობის მეტი რა შეთქმის, როცა წიგნებში მრავალი თვალსაჩინო ნაკლია—და, ჩემი პატივისცემისათვის, მაინც კიდევ, თუნდ დროებითაც, ნებასა რთვენ!..

მე თქვენდამი, როგორც ერთერთი რეცენზენტისადმი, ორი სათხოვარი მაქვს—და იმედია ამისრულებთ: 1) გავცანით ჩემს მოხსენებას, რომელსაც ამასთანავე სარეცენზიო კომი! იას ვუგზავნი, და, თუ იგი საფუძვლიანათა სცნოთ, სიმართლეს ნუ დამიკარგავთ, და 2) მომეცით საშუალება შემდგომი გამოცემისათვის მხედველობაში მივიღო ყველა ის შენიშვნა, რომლის გამოც ჩემს წიგნებს წუნსა სდებენ;—ამისთვის კი საჭიროა პირადათ თქვენი და საერთოდ კომისიის შენიშვნები ხელთ მქონდეს—და გთხოვთ, მოწიწებითა გთხოვთ, როგორმე ამ მოკლე ხანში მომაწვდინოთ ყველა შენიშვნა, რომელზედაც კომისიამ თავისი დადგენილება დაამყარა.

იმედი მაქვს-უპასუხვით არ დამტოვებთ.

თქვენი სილოვან ხუნდაძე.

სოფ. ძალაგონი, 1919 წლის 10 აგვისტოს.

საკაპი შანიძის პასუხი*)

15 VIII 1919 წ. ტფილისი.

დიდად პატივემულო ბატონო სილოვან,

ჩემი რეცენზია თქვენს გრამატიკის კომისიის თამჯდომარეს აქვს გადაცემული და განზრახულია, სხვა რეცენზიებთან ერთად, დაიბეჭდოს. თქვენ, როგორც ავტორს, უფლება

*) ა. შანიძის წერილები სრულიად უცვლელათ იბეჭდება, გარდა მთავრულებისა.

გაქვთ, რომ რეცენზიის დაბეჭდვამდეც მოითხოვოთ მისი პირი, რომელსაც ალბათ გადა-
 აღებინებენ და გამოგიგზავნიან. ჩემის მკრითაც ვსთხოვ კომისიის მდივანს, რომ ჩემი რე-
 ცენზიის პირი გადააღებინოს და თქვენ გადმოგიგზავნოს, რაც შეიძლება მალე.—თქვენი
 მოვსენება ჯერ არ მინახავს, მაგრამ თუ ჩამოსულია, მე მგონია, გადმომცემენ წასაკითხავად.—
 ღარწმუნებული უნდა ჰბრძანდებოდეთ, ბატონო ჩემოსილოვან, რომ თქვენი წიგნის გარჩე-
 ვის დროს მე მალაპარაკებდა მხოლოდ ჩვენი სკოლის ინტერესი და სალიტერატურო ენის
 ბედი. **ღა** თუ მაინც, მიუხედავად თქვენი წიგნის **მრავალი თვალსაჩინო ნაკლისა**, მე
 შესაძლებლად ვცანი (და კომისიის წევრებმა ეს ჩემი აზრი გაიზიარეს) მისი **დროებით**
 ნებადართვა, ეს არა **თქვენი პატივისცემისათვის**, როგორც თქვენა გგონიათ, (ჩემი პა-
 ტივისცემა თქვენდამი ღიდაა, მაგრამ კიდევ მეტია ჩემი პატივისცემა ქართული სამწერლო
 ენისადმი), არამედ იმ უმწვეო მდგომარეობისა, რომელშიაც იმყოფება ჩვენი დღევანდელი
 სკოლა სავლემძღვანელოთა უქონლობის გამო.—

მარად თქვენი პატივისმცემელი **ბ. შანიძე**.

ჩემი მეორე წერილი. 26 VIII 1919 წ.

ბ-ნო აკაკი! თქვენი პასუხი მივიღე—და მადლობას გწირავთ, რომ პასუხი არ დამი-
 გვიანეთ, —თუმცა წერილს გზაში დაუგვიანებია, რადგან თქვენ საქამიასერზე გაგიგზავნიათ,
 და მე კი 20 აგვისტოდან ქუთაისში ვარ.

ბ-ნო აკაკი, თქვენი წერილის კილო ისეთია, რომ, გატყობთ, ჩემი წერილი საწყე-
 ნათ მიგიღიათ, და მე კი ფიქრათაც არ მომსვლია თქვენი წყენება, მით უფრო, რომ არც
 ვიცოდი, თუ სარეცენზიო რეზოლიუციის ავტორი თქვენ იყავით. ჩემი წერილის შავი ხელ-
 თა მაქვს, ერთხელ კიდევ გადავიკითხე—და მივიკირს, რა ნახეთ შიგ საწყენი!.. თვით მე კი
 მაქვს საბუთი ნაწყენი ვიყო, რადგან ის რეცენზია, რომელიც თქვენს „კომისიას“ მიუღია,
 სამართლიანი არ არის. თქვენს წერილში თქვენ ამბობთ: „მე მალაპარაკებდა მხოლოდ
 ჩვენი სკოლის ინტერესი და სალიტერატურო ენის ბედი“-ო, და რატომ ფიქრობთ, რომ
 ჩემთვის ეს ინტერესი და ბედი უცხოა?! 35 წელია მე ქართულ სკოლასა და ქართულ
 ენას ვემსახურები—და ნუთუ ერთი კალმის მოსმით ფიქრობთ მთელი ამ ხნის გულმოდგინე
 სამსახური წყალში ჩამიყაროთ და ქართული სკოლისა და ენის მტრათ დამსახოთ?!.. არა,
 მე მტერი არა ვარ არც ქართული სკოლისა და არც ქართული ენისა, და თუ ჩემი შეხე-
 დულება ქართული სალიტერატურო ენის შესახებ განსხვავდება ზოგიერთების შეხედულე-
 ბისაგან—და მათ შორის, როგორცა ჩანს, თქვენი შეხედულებისაგანაც, ეს კიდევ იმას არ
 ნიშნავს, რომ მე მტერი ვარ და თქვენ კი მოყვარე ჩვენი სკოლისა და ენისა. ჩვენ მხოლოდ
 სხვადასხვა აზრისა ვართ სალიტერატურო ენის შესახებ—არც მეტი და არც ნაკლები, და
 ვინ უფრო მართალია, ამას მიუდგომელი მომავალი გამოაჩენს. შეიძლება ზოგიერთ მაშინვე
 ვცთებოდე (შეუცთომელი ვინ არის?!), მაგრამ თქვენც ხომ შეიძლება ცთებოდეთ, რადგან
 თქვენც ადამიანი ხართ!.. მაგალ., რა საფუძველია იმისა, რომ ახალმა ქართულმა ენამ,
 ცოცხალი ხალხის ენამ დაიცვას უძველესი ფორმები და ძველი მართლწერა, არქაიზმები,
 რომელსაც, როგორც თქვენი წერილიდან და „პრომეთე“-ში მოთავსებული თქვენი წერი-
 ლებიდან ჩანს, თქვენ მისდევთ. მაგალ. **ფილირსი, მოკუსნება, მკზრითაც, სავლემძღვა-**
ნელო, ჰბრძანდებოდეთ და სხვ?.. თქვენ ფიქრობთ—ასე სჯობიაო, მე კი სხვანაირათ
 ვფიქრობ—და ნუთუ თქვენ უფლება გაქვთ სთქვათ, რომ ჩვენ ორში მხოლოდ თქვენ გა-
 ლაპარაკებს ქართული სკოლის ინტერესი და სალიტერატურო ენის ბედი?!.. არა, **ბ-ნო**
აკაკი! ასეთი ლაპარაკი და მსჯელობა შეურაცხმყოფელია მთელი ჩემი ადამიანობისა—და
 მე ეს არ დამიმსახურებია.

როგორც გადმომცეს, ნიკოლაიშვილის გრამატიკა თურმე უმიზეზოთ მიგიღიათ, და
 მისი გრამატიკა ჩემისაგან მით გაირჩევა, რომ იგი უკანასკნელ გამოცემაში ენებით ბრუნ-

ვაში დაბოლოებას ღს ხმარობს (თავდაპირველათ კი თ-ს ხმარობდა) და ზმნებში—ჰ-ს, მაგრამ ამ უკანასკნელს ისე უთავბოლოთ ხმარობს, რომ თავის „კანონს“ (?) თვითონაც არ ემორჩილება!.. ღანარჩენი თითქმის ყველაფერი ჩემი აქვს თავის წიგნში შეტანილი: ჩემ-მიერ გამოკვლეული და შემუშავებული წესები და კანონები, მრავალი მაგალითიც კი მზამზარეული შეუტანია უცვლელათ;—გარდა ამისა—იქ „პროვინციალურიც“ საკმაოთ შე-გხვდებათ, ის „პროვინციალური“, რომლისთვისაც მე ჯვარს გნებავთ მაცვათ, მაგალ.: მწყესი (გვ. 8), იზღება, ბავში (9), ბძანება (10), შკოლა (11), სხალი (23), იყვენ (41 და სხვ.), რაფერ (48), და სხვ. და სხვ. (იხ. ნიკოლ. გრამ. მე-3 გამოც.). ბევრია იქ თვალსაჩინო შეცოთმაც წესებსა და გამოთქმებშიც, მაგრამ ახლა აქ ამის აღნიშვნისათვის დრო და ადგილი არ არის...

მიუხედავთ ყველა ამისა, მე ჩემს მოხსენებაშიც ვაცხადებ და თქვენც გიცხადებთ, რომ ჩვენი სახელმწიფოებრიობის პატივისცემა და მისი დაცვის შეგნება კარგათ მესმის— და ამიტომ ჩემს თავს მოვალეთ ჩავსთვლი ოფიციალურათ მივიღო ის ფორმები, რომელსაც სახელმწიფო ყველასათვის სავალდებულათ შემოიღებს, და ჩემი წიგნების მომავალ გამოცემაში შევიტან შესწორებას იმდენათ, რამდენათაც ამას კანონი დამავალებს. ამიტომაც აუცილებელია მთავრობამ მიანდოს რომელსავე ავტორიტეტულ კომისიას შემუშავება და გამოცხადება სახელმძღვანელო წიგნებში/სავალდებულათ სახმარებელი ფორმებისა. სანამ ეს არ მომხთარა, მანამდი თითოეული მკვლევარისა თუ რეცენზენტის აზრს ინდივიდუალური ხასიათი და მნიშვნელობა ექნება—და შეუძლებელია ამგვარი აზრი ყველასათვის სავალდებულათ გახადოთ. მრთგვარობა არა მარტო გრამატიკაში, სხვა სახელმძღვანელოებშიც უნდა იქნეს დაცული—და მხოლოდ მაშინ შეიძლება ქართული ენის სწავლება თანდათან კალაპოტში ჩადგეს. რაც შეეხება შეცოთმებს, რომელიც მთავრობისაგან დაცანონებულ ფორმებში—ეკვი არ არის—შეიპარება, იმათი შესწორება თანდათანობით მოხთება—ისევე კანონიერი გზით, და არა ვისიმე თვითნებობით, ე. ი. მცოდნე პირთა დასაბუთებული შენიშვნების მიხედვით, რომელსაც შემდეგ მთავრობაც დააკანონებს.

ასეთი უნდა იყო, ჩემის აზრით, გზა შკოლაში ქართული ენის ერთგვარობის შემოღებისა, და თუ ამ აზრს თქვენც იზიარებთ, სხვებთან ერთად, ვინაც მთავრობასთან ახლოს ხართ, შეეცადეთ—რაც შეიძლება მალე დააკანონოთ განსაზღვრული ფორმები და მით ავტორებს საშვალება მოგვეცეთ ჩვენი სახელმძღვანელოები სათანადოთ შევასწოროთ.

ბ-ნო აკაკი, თქვენ იწყებრბით, ჩემს რეცენზიას გამოვგაზენიებო, და არ ვიცი, რომელ რეცენზიაზე ბძანებთ: მოკლე რეზოლიუციაზე, თუ დეტალურ რეცენზიაზე. რეზოლიუცია მე უკვე ვიცი (კომისიის მდივანმა უკვე მაცნობა), ხოლო დეტალური რეცენზია არ ვიცი—და სწორეთ ეს არის ჩემთვის საჭირო, რომ შემდეგი გამოცემისათვის ვიხელმძღვანელო. თუ ამ დეტალურ რეცენზიას გამოვგაზენიებთ ორივე წიგნისას, დიდათ დამავალებთ—და ვეცოთბი თქვენი შენიშვნები კეთილათ გამოვიყენო... მაგრამ კიდევ ვიმეორებ, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ შემუშავდეს სალიტერატურო ენის განსაზღვრული ფორმები, რათა ყველამ იცოდეს, თუ რა ფორმები იხმარონ სახელმძღვანელოებში და რა ფორმები ასწავლონ შკოლაში...

თქვენი პატივისმცემელი სილოვ. ზუნდაძე

ჭუთაისი, 1919 წლის 26 აგვისტოს.

ჩემი მესამე წერილი. 6 X 1919 წ.

ბ-ნო აკაკი! ჩემი მეორე წერილი მიღებული გექნებათ—და იქიდან გაიგებდით, თუ რა უკმაყოფილობა გამოიწვია ჩემში „კომისიის“ უსამართლო დადგენილებამ. მაშინ მე თქვენი შენიშვნები წაკითხული არ მქონია, ახლა კი ხელთა მაქვს კაი ხანია, რამდენჯერმე გადავიკითხე—და ყოველთვის, როცა თქვენს შენიშვნებს ვიგონებ, ჩემს თავს ვეკითხები: რამ

გამოიწვია ეს ადამიანი, რომ ასეთი შეურაცხყოფელი კილოთი მიხსენიებს—იმის მაგიერ, რომ დინჯის, დარბაისლური კილოთი გავრჩია წიგნი, როგორც შეშვენის მეცნიერების მიმდევარ ადამიანმეტქი!..

თქვენი შენიშვნების შესახებ მე ახლო მომავალში ალბათ პრესაში დამკვირდება საუბარი, მაგრამ ჯერჯერობით მინდა გავიგო, რამ გამოიწვია თქვენი მხრით ასეთი შეურაცხება ჩემი პიროვნებისა, როცა ასე დაუსაბუთებლათ უმტიციებთ ქვეყანას, თითქო მე სრულიად არაფერი გამეგებოდეს იმ საგნისა, რომელსაც ვიკვლევ!.. ამხსენით, რა აზრია თქვენს დაცინვაში მეგრული „გოკვათაუ“-ს შესახებ? რა შეცთომას პოულობთ თქვენ ამ შემთხვევაში?—საზოგადოთ თქვენს შენიშვნებს უმეტეს ნაწილათ არავითარი განმარტება არ ახლავს, თქვენი აზრი და საფუძველი არა ჩანს—და საჭირო კი არის, რომ თქვენი საკუთარი აზრი და შეხედულება იყოს აქ დასაბუთებული, რათა თქვენს მართლმსაჯულობას მეტი ფასი ექნეს.

იმედია გამაგებინებთ, თუ რა უტყუარი საბუთი და საფუძველი გაქვთ იმისათვის, რომ დაცინვის საგნათ გაგიხთივართ!...

თქვენი სილოვ. ხუნდაძე:

1919 წლის 5 ოკტომბერს.

აქ. შანიძის პასუხი. 13 X 1919 წ.

ბატონო ჩემო სილოვან,

ჰამათის სურვილი არა მაქვს და არც დრო მაქვს საამისოდ. მე გადმოცემული მქონდა გასარჩევად თქვენი წიგნი და მე ამ წიგნთან მქონდა და მაქვს საქმე. თქვენი დაცინვა ფიქრადაც არ მომსვლია. თქვენს გრამატიკაში მოქცეულ მასალებს რომ ვარჩევდი, შიკს სხვათა შორის, მეგრ. ბო.—და იმერეთში ვმარებულ ბო.—ნაწილაკის შედარება შემხვდა. მათი შედარება კი იმას ჰმოწმობს, რომ გრამატიკის ავტორი, (გეწყინებთ, მაკრამ უნდა ვთქვა მაინც) ჩამორჩენილია ენათმეცნიერებაში, რადგანაც გარეგნული მსგავსება მისთვის საკმარისი ყოფილა, რომ შედარებაზე ჩამოაგდოს ლაპარაკი.

თქვენ განხრახვა გქონიათ ჩემი კრიტიკის შესახებ შენიშვნები დაპბექდოთ პრესაში. ჰეთილი და პატიოსანი, მაგრამ თქვენი შენიშვნები შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ დაიბეჭდოს, როცა ჩემი გარჩევა თქვენი წიგნისა დაბეჭდილი იქნება სრულიად და უტყველად.

თქვენ უსამართლობაზე ჰლაპარაკობთ. შეთანხმებით, რომ ჰომისიის დადგენილება უსამართლო იყო, რადგანაც ჩვენი სკოლა, დროებით მაინც, უნდა შეურიგდეს თქვენი წიგნის ვმარებას და ჩვენმა ბავშვებმა ერთხანს კიდევ თქვენის თვალით უნდა უტყვირონ ჰართული ენის ბუნებას და გრამატიკულ აგებულებას. თქვენი ა. შანიძე.

P. S. პრესის თვალყურის დევნებისათვის (განსაკუთრებით ჰეთათურისათვის) მოცალეება არა მაქვს და მადლობელი ვიქმნები, თუ მაცნობებთ, როცა თქვენი შენიშვნები დაიბეჭდება,

ა. შ.

ჩემი მეოთხე წერილი. 16 X 1919 წ.

ბატონო აკაკი! უკანასკნელ თქვენს ბართში იწერებით: „მე თქვენს წიგნთან მქონდა და მაქვს საქმე, თქვენი დაცინვა ფიქრადაც არ მომსვლია“-ო. ამგვარ შემთხვევებზეა ნათქვამი: „ფიცი მწამს, და ბოლო მკვირვებსო“! საკმით დავრწმუნდი; რა „ადამიანთანაც“ მაქვს საქმე. თქვენს რეცენზიაში ნათქვამია: 1) „ეს სილოვანისებურად გაგებული კეთილხმოვანება“, 2)... „ჰართული ფორმების შესადარებელი მასალების მოყვანა ისეთი ცოდნით არ შეიძლება, როგორც ჰქონია გრამატიკის ავტორს“; 3) (მეგრული გოკვათაუ-ს და იმერული გოუჰრა, გოუჰვეთა-ს) „ერთმანეთთან შედარება ვერც ბატ. სილო-

ვანს შესძენს სახელს და ვერც მოწაფეს ცოდნას“; 4) „გრამატიკიდან არა სჩანს სრულებით, რომ ავტორს თვალყური ედევნებინოს ქართული გრამატიკული ლიტერატურისათვის“-ო, და სხვ.

ბაბა რა სამართლიანობა უნდა მოეთხოვოს იმისთანა „ადამიანს“, რომელსაც ისიც კი არ ესმის, რომ ამგვარი ფრაზები შეურაცხყოფელია ადამიანისა, დაცინვაა—და ისიც სრულიად უსაფუძვლო, რადგან ამის დამამტიკებელ საბუთად ერთი სიტყვაც არ არის მოყვანილი.—„ზედნადებათ“ კიდევ თქვენს კულრაქა წერილებშიც შეურაცხყოფელ კილოსა და ფრაზებს ხმარობთ,—მაგალითად, უკანასკნელ ბარათში: „გრამატიკის ავტორი (ე. ი. ვითომ მე) ჩამორჩენილია ენათ-მეცნიერებაში“-ო!..

ნება მომეცით მოვახსენოთ, ბ. პაკი, რომ ჯერ არც კაცობრიობას გაუგია რაიმე: პაკი შანიძის მეცნიერებისა და არც საქართველოს, და, როგორცა ჩანს, ვერც მომავალში გაიგებს, რადგან მართალი ნათქვამია, რომ „სახარე მოხვედრს სასკოროში შეეტყობა“-ო. რაც შეეხება თქვენს მეორე მამლაციწურ ფრაზას: „გეთანხმებით, რომ ძომისის დადგენილება უსამართლო იყო, რადგანაც ჩვენი სკოლა, დროებით მაინც, უნდა შეურიგდეს თქვენი წიგნის ვმარებას (ეს ვ—ც ნიშანია თქვენი ლოლიკისა და მეცნიერული აღლოს ძლიერებისა!) და ჩვენმა ბავშვებმა ერთხანს კიდევ თქვენის თვალთ უნდა უტკირონ ქართული ენის ბუნებასა და ზრამატიკულ აგებულებას“-ო, ამაზე მოვახსენებთ, რომ შესაძლებელია ზოგი რამ არ ვიცოდე (ყველაფრის მცოდნე ვინ არის?!), მაგრამ ერთი კი შემიძლია თამამათა ვსთქვა: თქვენზე უკეთ ქართული ენის ბუნებაც მესმის და გრამატიკული აგებულებაც. თქვენი „რეცენზიის“ შენიშვნები მაჩვენებელია იმისა, რომ თქვენ უბრალოდ რისამე გაგებაც არ შეგძლებიათ, და მართლაც სამწუხარო და სავალალოა, რომ ჩვენი ნორჩი უნივერსიტეტი „ერთხანს მაინც უნდა შეურიგდეს“ თქვენისთანა „მეცნიერის“ „პროფესორობას“!

ჩემი წარსულიდან თქვენ უნდა იცოდებთ, რომ პირიქით შეურაცხებას არავის ვაყენებ მანამდე, სანამ მე თვითონ არ შეურაცხყოფენ, ან საზოგადოებრივი ბიწიერებით არ გამოიმიწვევენ, და როცა ვხედავ, რომ უსამართლოთ და უდიერათ მეპყრობიან, მერე კი აღარ დავზოგავ არავითარი კანონიერი აზრითა და შეხედულებით. „პბილი კბილისა წილ!“ აი ჩემი დევიზი—და აჰა ბურთი და მოედანი! გამობძანდით და დავუმტიკოთ შეგნებულ მკითხველებს, თუ რომელს ჩვენგანს უკეთ ესმის „ქართული ენის ბუნება და გრამატიკული აგებულობა“.

ისიც დამახასიათებელია თქვენი პიროვნებისა, რომ იწერებთ: „კამათის სურვილი არა მაქვს და არც დრო მაქვს საამისოდ“-ო!. ბ-ნო „პროფესორო და მეცნიერო“, თუ გგონიათ, რომ ქვეყანას აშენებთ და მართლა დიხ სამსახურს უწევთ ქართულ მეცნიერებას!? ან ფიქრობთ, რომ თქვენ მოკლება არა გაქვთ (მეცნიერებას ემსახურებით!), და შე კი უსაქმოთა ვარ!.. უსამართლობას რა ვუთხრა, რომ თქვენისთანა უკაცრავათ პასუხია „რეცენზენტი“ დროს მაკარგვინებს თავისი ყოვლად უსაფუძვლო—?ავშური შენიშვნებით, მაგრამ რა უნდა ექნა: „აჲს რომ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელათ რა დავარქო“?!

სილოვ. ხუნდაძე.

ჭუთაისი, 1919 წლის 16 ოკტომბერს.

შენიშვნა. პასუხი შანიძეს აწას შემდეგ არ მოუცია.

მოინტერესე მკითხველთათვის მოვიყვან აქ (მოკლეთ) იმ შენიშვნებს, რომლის ძალითაც პ. შანიძე ჩემს გრამატიკის იწუნებდა: 1.. „სიტყვის ასე დამარცვლა სრულებით არ შეეფერება ქართული ენის ბუნებას“-ო (ნახეთ ქვემოთ ჩემი შენიშვნა ამ საგნის შესახებ);— 2. გრამატიკის „ავტორს არა აქვს სწორი წარმოდგენა ქართულ ფონეტიკაზე“-ო;—სხვათა შორის იწუნებდა ჩემს ტერმინოლოგიასაც: „კბილისპიერი, ხორხისპიერი“ და სხვ.;—3 რე-

ცუნტეტი უარყოფდა ჩემ-მიერ აღნიშნულ კანონს; რომ ქართულ ენას ძირეულ სიტყვებში არ უყვარს ერთისა და იმავე თანხმოვანის ერთად ხმარება (ეკკლესია, გრამმატიკა); და ამბობდა: მაშასადამე, „უნდა ვწეროთ სწუხარ, და არა სწუხხარ“-ო! აკ. შანიძეს ვერ გაურჩევია, თუ რა არის ძირეული სიტყვა—და ამიტომ მაგალითად სწუხარ მოყავს! როგორ მოგწონთ, ჰკითხველო, აკ. შანიძის „მეცნიერული“ ალღო?!—4. იმისთანა სახელებს, როგორც არის, მაგალ., ტოროლა, ბელურა და სხვ, ნათესაობითში დაბოლება ის აქვს (ტოროლის, ბელურის), და არა სი-ო (ტოროლასი, ბელურასი);—ნუთუ ამ შენიშვნაში მოიპოვება თუნდ ნამცეცი გონიერი დაკვირვებისა და სიმართლისა?!—5. წოდებით ბრუნვაში უნდა ვიხმაროთ: ბიცოლავ, შავკავაძე, და არა ბიცოლა, შავკავაძე-ო; 6. მიწუნებდა, როგორც ვითომდა პროვინციალურს, ისეთ ფორმებს; როგორცაა, მაგალ.: ბავში, შენ ცხოვრობ, შენ ტკბები, ისინი კეტენ, ვიჯაქ, დავჯაქ, ვიწოლები, ვიჯდომები, ვიდგომები, კაცათ და სხვ.;—7. როცა დედაქართულსა და სვანურ-მეგრულს ერთმანეთს ვადარებ, მე ვამბობ, რომ სვანური და მეგრული დიალექტები ახლოსაა თავისი ფორმებით დედაქართულთანმეტქი, და, სხვათა შორის, ასეთი მაგალითი მომყავს: ქართულათ არის თავსართი ბპ (მაგ. გა-კვეთა), მეგრულათ კი ბმ (გო-კვათუა); მაგრამ აქაც კი მეგრული ქართულს დიდათ არ დაშორებია, რადგან იმერულ კილოში აგრეთვე თავსართი ბმ იხმარება: გო-უკვეთა, გო-უჭრა და სხვ.—ამაზე აკ. შანიძე თავის რეცენზიაში ბძანებს: „მეგრულიდან ქართული ფორმების შესადარებელი მასალების მოყვანა ისეთი ცოდნით არ შეიძლება, როგორც ჰქონია გრამატიკის ავტორს; მაგალითად მეგრული ბმ ნაწილაკისა (გოკვათუა) და იმერულ კილოში ხმარებული ბმ ნაწილაკის (გოუჭრა, გოუკვეთა) ერთმანეთთან შედარება ვერც ბატ. სილოვანს შესძენს სახელს და ვერც მოწაფეს ცოდნას“-ო!—არსად აკ. შანიძე თავის შენიშვნას არ ასაბუთებს—და არც ამ შემთხვევაში მოყავს მას რაიმე საბუთი—და ცარიელი სიტყვებით ასე უზღველათ ილანძღება.—ზმნების შესახებ მისი შენიშვნები აქ არ მომყავს, ვინაიდან ჩემს რეცენზიაში აკ. შანიძის აზრი ქართული ზმნებისა და მათი პრეფიქსების შესახებ ვრცლათა მაქვს განხილული.—ამ შენიშვნების შესახებ ჩემი ვრცელი პასუხი მკითხველს შეუძლია ნახოს 1919 წლის გაზ. „სახალხო საქმე“-ში, №№ 706, 707 და 709. მე იქ საკმაოდ ვასაბუთებ და ვამტკიცებ, რომ აკ. შანიძის არც ერთი შენიშვნა საფუძვლიანი არ არის და ბევრი—სასაცილოცაა. აქ მხოლოდ შემდეგი მწადია ვსთქვა: აკ. შანიძეს რომ სერიოზული მომზადება და ცოდნა არ აქვს ქართული ენის სისწორისა და აგებულობის ფარგალში, სხვათა შორის, იქიდანაცა ჩანს; რომ იმ კომისიამ, რომლის ნამუშევრსაც მე ამ ჩემს წიგნში ვარჩევ და რომელსაც თვით აკ. შანიძე თავმჯდომარეობდა, წინააღმდეგ აკ. შანიძის ზევით მოყვანილი შენიშვნებისა, ბევრი იმისთანა ფორმა მიიღო, რომლისთვისაც ეს „მეცნიერი“ ჩემს გრამატიკას „ანიავებდა“;—კომისიის ნაშრომში („ქართული მართლწერისათვის“) ნათქვამია: „ბავში“ (გვ. 8), „შავკავაძე“ (წოდებ. ბრ., გვ. 18), „ვცხოვრობ, და არა ვცხოვრებ“ (გვ. 32). „ეკლესია, გრამატიკა“ (გვ. 50) და სხვ.

რაც შეეხება მეგრული გოკვათუა-ს იმერულ გოუკვეთა—გოუჭრა-სთან შედარებას, მე დღესაც კარგათ არ მესმის, თუ რის თქმა უნდოდა აკ. შანიძეს. შესაძლოა ის ფიქრობდა და ფიქრობს, რომ თავსართის ბმ-ს შესახებ არა დედაქართულის კილოს—იმერულს მოუხთენია გავლენა მეგრულზე, არამედ, პირაქით—მეგრულს იმერულზე;—მაგრამ ამ დებულებას ჯერ ერთი გამოთქმა უნდა, და მერე—დამტკიცება; ხოლო აკ. შანიძე ბრძოლის ველზე სრულიად უიარაღოთ—უცოდნოთ. გამოდის—და, თვით მოუზადებელი და ულოლიკობით გზა-კვალაბნეული, სხვებს—მაზე მეტის მცოდნეებს—უცოდნობასა და „ჩამორჩენილობას“ უკიჟინებს!...

II. აკაკი შანიძის მეცნიერება...

ა. ქართული ენის უცოდინრობის ნიმუშები.

აკაკი შანიძემ შეადგინა და 1920 წელს კიდევაც დააბეჭდვინა ერთი წიგნი, სახელათ „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“. ქართული გრამატიკის კანონების მონიტერესე მკითხველებს მე დავპირდი ამ წიგნის გარჩევას (იხ. ჩემი სრული გრამატ., 1920 წლ. გამოც., ბოლოსიტყვაში შენიშვნა)—და ახლა მწადია ეს დაპირება შეევსრულო.

დაიბეჭდა ეს წიგნი თუ არა, ავტორმა იმისათვის უდიდესი ჯილდო მოითხოვა— ხარისხი მეცნიერების დოკტორისა—და ჩვენს კუროთხულ დედაქალაქში, თფილისში, მყისვე დადასტურდა კიდევაც ის ჭორი, რომ აკაკი შანიძე ქართული ენის დიდი მცოდნეა და ღირსია-მეცნიერების დოკტორის სახელი ატაროსო!... მს ამბავი საქართველოს ქალაქებს, დაბებს, სოფლებს—მთელს განათლებულ ქართველობას ეუწყა, და იმ დღეს შემდეგ აკაკი შანიძე ბევრს ჩვენში ქართული ენის დიდ მცოდნეთ მიაჩნია და ყველა მას „დოქტორს“ უწოდებს!..

როგორც მოგვხსენებათ, ჭორს ჩვენში დღეს დიდი გასავალი აქვს; მაგრამ თითო-ოროლა ჩვენშიც მოიპოება, რომელთაც ჭორი არაფრათ ეპრიანებათ და ცთილობენ, რომ ყველაფერი სალი კრიტიკის თვალთ ასწონ-დასწონონ და ქეშმარიტებათ მხოლოდ ის იწამონ, რაიც მართლა ქეშმარიტებაა, და არა „სიცრუის კანანახია“. მეც შევეცადე შემესწავლა აკაკი შანიძის მეცნიერული ავლადიდება, ქართული ენის ცოდნის ფარგალში, და რაკი დაერწმუნდი, რომ ამ დარგისა მასში „კატის ასაკიდებელიც“ კი არაფერი ყრია, მწადია გავფანტო და გავაცამტვერო ის ჭორი, რომელიც თფილისში დაიბადა და რომელმაც მერე „განათლებულ ქართველობაში“ თვისი კოჭლი ფეხი თითქო მოიკიდა.

იმ ჩემი წერილითაც, რომელიც 1919 წლის „სახ. საქმ“-ის სამ ფელეტონათ იყო დაბეჭდილი (№№ 706, 707 და 709), დაკვირვებული მკითხველი საკმაოთ დარწმუნდებოდა, რომ არა მე, არამედ თვით აკაკი შანიძე ყოფილა „ჩამორჩენილი მეცნიერებაში“ და მეტათ ყალბი წარმოდგენა ჰქონია მას ქართული ენის კანონებზე, და, რადგან, მიუხედავთ ამისა, აკაკი შანიძე, რალაც გაუგებარი მანქანებით, ქართული ენის დიდ მცოდნეთ გამოაცხადეს და მეცნიერების დოკტორათ აღიარეს, ამიტომ უფრო მწადია ამ „მეცნიერის“ შეფასებას კვლავ დავუბრუნდე და მკითხველებს წარვუდგინო უტყუარი საბუთები იმისა, რომ აკაკი შანიძე, ქართული ენის კანონების ცოდნის ფარგალში, არა თუ ცოდნისა, არამედ მხოლოდ უვიცობის დოკტორის სახელის ღირსია.

მართალია, ეს ჩემი წერილი აკაკი შანიძის ჩემდამი უმართებულო მოპყრობით არის გამოწვეული, და შესაძლოა ზოგიერთმა მკითხველმა იფიქროს, რომ პირადი უკმაყოფილობით გამოწვეული წერილი ვაზვიადებული იქნებაო. შაგრამ სრული ჩემი სინიდიისით, დამშვიდებული სინიდიისით შემიძლია დავარწმუნო მკითხველი, რომ, როგორც მთელს ჩემ სიცოცხლეში არავისთვის არაფერი მომიგონებია, ისე აკაკი შანიძესაც არაფერს მოუფონებ: მე საბუთებს მხოლოდ მისი ნაწერებიდან მოვიყვან—და მკითხველს ყოველთვის ექნება შეძლება შეამოწმოს ისინი. რაც შეეხება კილოს, იმედი მაქვს, რომ მკითხველი, როცა ამ წერილის პირველ თავს გაეცნობა, კილოს სიმწვავეს მე ველარ მისაყვედურებს.

სანამ აკაკი შანიძის წიგნის მეცნიერული კვლევადიების დასკვნებს შევხებოდე, მინდა კბილი გაუშინჯო იმ ენას, ქართულ ენას, რომლითაც ეს კვლევადიება გამოხატული. მკითხველი უნდა დამეთანხმოს, რომ ის კაცი, რომელიც ქართული ენის ცოდნის უპირველესი ხარისხის მიღებას ეტანება, ვალდებულია ეს ენა საკმაოთ კარ-

გათ იცოდეს და თავის აზრებს—რაც უნდა შემცთარი იყონ ისინი მეცნიერულათ—
ავლაბრულ ფორმებში არ ახვევდეს და მახინჯ გამომეტყველებას არ აძლევდეს.

ბი რამდენი უმზგავსობა ზევით დასახელებულს აკაკი შანიძის თხზულებაში,—
უმზგავსობა, მომასწავებელი იმისა, რომ აკაკი შანიძემ ქართული ენა არ იცის, ან
იცის იგი ისე შეუგნებლათ, როგორც ყოველმა დილექტანტმა:

1. არსებით სახელთან ზედსართავ სახელს აკაკი შანიძე ხან შეკვეცილი დაბო-
ლოებით აბრუნებს ხოლმე, ხან კი სრული დაბოლოებით; მაგალითად: ა) ძველს ქარ-
თულში, მთელს ვრცელს წინადადებას, ძველს სამწერლო ენაში (გვ. 1—3) და მრავ.
სხვ.; ბ) ქართული ზმნის, ქართულ ზმნას (იქვე) და მრავ. სხვ.— ასეთი მერყეობა და
არევედარევა მხოლოდ დილექტანტსა და უტოდინარს ევატიება, და არა იმ პირს, რო-
მელსაც სწადია ენის კანონები სხვებს უკარნახოს და ენის მცოდნის, მეცნიერების
დოკტორის სახელი ღირსეულათ ატაროს.

2. ძვემდებარის გარდა (გვ. 1), შემასმენელს გარდა (გვ. 23).—როგორცა ჩანს,
აკაკი შანიძეს ჯერ თავისთვისაც ვერ გაურკვევია, თუ რა გზას დაადგეს, თვარა განა
შეიძლება ასე არევედარევა ფორმებისა და კანონებისა?! თანდებული გარდა, როცა
იგი სამართავ სახელს შემდეგ არის მოქცეული, ან ნათესაობით ბრუნვას უნდა თხოუ-
ლობდეს, ან მიცემითს, ხოლო ხან ისე და ხან ასე მხოლოდ მანასეს დამახასიათე-
ბული საქციელია, და არა „მეცნიერების დოკტორისა“*.)

3. მერყეობა და მანასეობა აკაკი შანიძის წიგნში ხშირია—და ერთი კიდევ
აღვნიშნოთ: იგი ერთსა ლ იმავე დროს ხან მღი-ს ხმარობს, ხან მღი-ს ლ ხან მღის-ს:
„ჩვენამღი მოღწეული“ (გვ. 130;—ერთი ესეც უნდა ეკითხოს ჩვენს მეცნიერ „დოქ-
ტორს“: ეგ ღ-ნიანი ფორმა მოღწეული რომელს ძველ ძველში აძოიკითხა მან?!),
„ბოლომღი“ (გვ. 148), „შაბლონამღე“ (84), „იქამღე“ (85), „იქამღის“ (140). ეს ხომ
დომხალია, და არა შეგნებული მკვლევარის ენა!

4. სიტყვას მხოლოდობით-ს აკაკი შანიძე ერთი მ-ნით ხმარობს: „მხოლოდობითი“—ო
(გვ. 25, 28, 36, 44 და სხვ.). საკვირველია, იმდენი სმენა როგორ არ უნდა ქონდეს
„შეგნებულ ენათმეცნიერს“ (ჩვენ ხომ ჩამორჩენილსა და, მაშასადამე, უმეცარს გვი-
წოდებს), რომ ეს უბრალო ჭეშმარიტება ვერ შეუთვისებია: მ-ზე დაბოლოებული
სახელები, ფორმების წარმოების დროს, მ-ს არ კარგავს (გარდა სიტყვისა ღვინო);
მაგალითად: მარტმ—მარტოობა, მარტოოდენ; უთმ—დაუთოება, საუთოებელი;
კალო—კალოობა, და სხვ. და სხვ.

5. „განსხვავება იმაშია, რომ“... (გვ. 26). ასე მოქართულობს ტფილისის მე-
ცნიერი დოკტორი შანიძე—და არათუ მეცნიერებმა, უმეცრებმაც კი დიდი ხანია
შეიგნეს რომ საქმე იმაშია, განსხვავება იმაშია და მზგავსი გამოთქმები აშკარა რუ-
სიციზმებია, ხოლო ქართულათ უნდა ითქვას: საქმე ის არის, განსხვავება ის არის,
რომ, და სხვ.

6. თავისი სამეცნიერო—სადოკტორო წიგნის მე-14 გვერდზე „დოკტორის“ შა-
ნიძე ბძანებს, რომ აწმყო დროში უთანდებულოთ იხმარება ფორმა დგას, ხოლო თან-
დებულოთ (პრევერბით)—დგების-ო! ამის დასამტკიცებლათ „დოკტორის“ მაგალითი სა-
ხარებიდან მოყავს: „მკუდარნი აღდგებიან“. ქართული ენის „დოკტორს“ უბრალო
რამ ვერ გაუგია,—სახელდობ ისა, რომ ვდგავარ სხვა ზმნაა და ვდგები სხვა—და
აღდგებიან მეორე ზმნის ფორმაა, და არა პირველისა.

7. აკაკი შანიძე აწმყო დროში ხმარობს ფორმებს: იგი ფქვის, იგი თიბს (გვ.
99—100). ვერ გაგვიგია, თუ საიდან გამოატყვირინა „ტფილისის დოკტორმა“ ეს
უმზგავსო ფორმები! „ტფილისის მეცნიერს“ იქვე ძველი დროის წიგნებიდან მოყავს მა-

*) თანდებული გარდა, ჩემი გრამატიკით, ნათესაობითს იმ შემთხვევაში თხოულობს, როცა იგი
სამართავი სიტყვის წინა ზის.

გალითები: „ორნი ფქვილენ ფქვილსა“, „თივასა თიბდენ“-ო, და ალბათ ამ უებარ მკვლევარს გონია, რომ, რაკი ნამყო უსრულში ფქვილენ და თიბდენ არის ნახმარი, აწმყო ფქვის და თიბს იქნება, რადგან ნამყო უსრული აწმყოსაგან წარმოობს!.. აკაკი შანიძეს რომ თუნდ მცირედი მეცნიერული დაკვირვება მისცა, ადვილათ შეიგნებდა, რომ ნამყოში, მართალია, ხშირათ იხმარებოდა ძველათ (და დღესაც იხმარება) ფორმები: ხედვიდა, ბედვიდა, რკვიდა, რწყვიდა, წვიდა და სხვ., მაგრამ ამგვარი ნამყო აწმყოში სრულიადაც არ გულისხმობდა შემდეგნაირ ფორმებს: იგი ხედვის, იგი ბედვის და სხვ., არამედ—იგი ხედავს, ბედავს და სხვ.; მაშასადამე, არ შეიძლება ითქვას ფქვის და თიბს, არამედ—ფქვავეს, სთიბავს.

8. „მეცნიერს“ აკაკი შანიძეს უტყუარი მეცნიერული კვლევა-ძიება მოუხთენია და შემდეგი სიბრძნე ამოუჩენია: ზმნას მშაა-ს წმინდა ძირი ალბათ მ-ნით ეწყებოდა, მაგრამ შემდეგ ეს მ გამოვარდნილარ (შენ გ-შია, მას შია) და ამის დამამტკიცებელი საბუთია ფორმები შეემშა და შიმშილი (=სიმშილი)-ო! (გვ. 73, შენიშვნა 2). დოქტორის აკ. შანიძის ლოლიკით გამოდის, რომ, რაკი არის, მაგალ., ფორმები შემჩნევა და შეემჩნია, ამიტომ ამ ზმნის ძირიც მ-ნით უნდა იწყებოდეს (მჩნ, და არა ჩნ), და თუ არსებობს, მაგ., ფორმები სიმწიფე, სიმშვენიერე და სხვ, აქიდან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ მ ძირს ეკუთნის, ე. ი. ძირები აქ მშვენ, მწიფ. იქნება, და არა შ(ვენ)—წიფ! ნამდვილათ კი ქართულ ენას ამგვარი თვისება აქვს: ნაწარმოებ ფორმებში (განსაკუთრებით კი თავსართებს სა-სა და სი-ს შემდეგ) ხშირათ ჩაერთვის ხოლმე მ—კეთილხმოვანობისათვის (დიახ, იმ კეთილხმოვანობისათვის, რომლის გამოც ჩემი გრამატიკის რეცენზენტი შანიძე ისე უსაფუძვლოთ მამხილებდა). აი, მაგალითად, სიტყვა სუბუჭი უფრო ხშირათ უმანოთ იხმარება, მაგრამ არ ითქმის სისუბუჭე, არამედ სიმსუბუჭე, აგრეთვე ტრედი უმანოთ იწერებოდა და ახლაც ბევრი ასე სწერს და გამოსთქვამს, მაგრამ არ ითქმის სატრედია, არამედ სამტრედია.—ასეთი გახლავთ ქართული ენის ხასიათი და თვისება—და ამითვე აიხსნება მ-ნის არსებობა შეემშა-სა და სიმშილ-ში, და არა მისი ძირეულობით.

აკაკი შანიძემ, როგორც უკვე დავამტკიცე, სრულიად უსაფუძვლოთ წამოიხროლა ჩემს შესახებ დამცინავი სიტყვები იმისთანა საკითხის გამო, რომელიც თვით მას თურმე ვერ შეუგნია და ვერ გაუთვალწინებია (მეგრული გოკვათუა-სა და იმერული გოუკვეთა-ს შესახებ მოგახსენებთ), და ამის გამო „მეცნიერებაში ჩამორჩენილი“ მიწოდა, და როგორ არ უნდა ვამხილო მეცნიერებთა მკვებარა „დოქტორი“ მისი მართლაც ჩამორჩენილობისა, მისი ულოლიკობისა და მხოლოდ გარეგან სახეებსა და ფორმებზე (შეემშა, სიმშილი) მეცნიერული დასკვნების დამყარებისათვის?! სხვის თვალში რომ წველს ეძიებს, თავის თვალში დვირეებს რატომ ვერ არჩევს ეს „დოქტორი“ და „მეცნიერი“?!

9. „ორთავე საკითხის“, „ორთავე გვარის“, „ორთავე რიცხვში“ (გვ. VII, 42, 43). ასე ხმარობს აკაკი შანიძე—და ამგვარი ფორმების ხმარება მომასწავებელია ხმისა, რომ აკაკი შანიძეს ძალიან ბნელი წარმოდგენა ჰქონია როგორც ძველი ენისა, ისე ახალი ენის ბრუნვებსა და ფორმებზე. თუ რომ ძველი ფორმებით სწადია მეცნიერების დოქტორს გვესაუბროს, მაშინ მხოლოდობით რიცხვში ასე უნდა აბრუნოს: ორისავე საკითხისა, ორისავე გვარისა, ორსავე რიცხვსა შინა (გინა რიცხვში), ხოლო მრავლობით რიცხვში—სახელობ. ორნივე რიცხვნი ან გვარნი, ნათეს. ორთავე რიცხვთა ან გვართა და სხვ.; და თუ ახალი ენის ფორმები სწადია იხმაროს, მაშინ ასე უნდა ვაბრუნოთ (მხოლოდ. რიცხვში): ორივე გვარი, ორივე გვარის, ორივე გვარს და სხვ., ხოლო მრავლობითი რიცხვის ფორმა ამ შემთხვევაში სულაც საჭირო არ არის.—შინაც ეს არ იცის, იგი არც დოქტორათ გამოდგება და არც დოხტურათ,—იგი უბრალო მანასეა—და მეტი არაფერი.

10. „**გამოვდიოდეთ უნდა არა მათი მნიშვნელობიდან ევროპის ენებზე**“ (გვ. 70): აშკარა რუსიციზმია—და აზრის ასე გამოთქმა ქართულათ ყოველად შეუწყნარებელია.

11. „**ლოდიკური სუბიექტი იგივე იქმნება; რაც გრამატიკული ქვემდებარე**“, „**საჭირო შეიქმნა**“ (გვ. 70 ლ 105), და სხვ. ჩანს, „**მეცნიერების დოქტორმა**“ არ იცის, თუ როდის უნდა იხმაროს **იქმნება** და როდის—**იქნება**; მოყვანილ ფრაზებში აუცილებლათ **იქნება** და **შეიქნა** უნდა, და არა **იქმნება** და **შეიქმნა**. მ-ნიანი ფორმა რისამე **შექმნას**, **გაკეთებას** ნიშნავს, ხოლო უმანო—ყოფნას, არსებობას: ა) ეგ საქმე გონივრულათ **იქმნება** (ე. ი. კეთდება), ბ) ეგ საქმე ყოველი მხრით კარგი **იქნება**. — ძველენაში თუ მ-ნიანსა და უმანო ფორმებს ხშირათ ერთმანეთში ურევდენ, ეს არ კმარა იმის საბუთად, რომ დღესაც ასე მოვიქცეთ.

12. „**მისთანაეზის**“, „**მისთანაეზზე**“, „**მისთანაეზში**“ (გვ. 72, 75, 79). **დოქტორმა** უნდა იცოდეს, რომ ორი მ ამ ფორმებში სრულიად უადგილოა.

13. „**მოუსწვრიათ**“ (გვ. 75). „**მეცნიერების დოქტორს**“ უნდა მოეხსენებოდეს, რომ სახელზმნის „**მოსწრება**“—დან ბგერა ვ არცერთ დროში არ იხმარება.

14. „**ამშვენებს**“ (გვ. 105). არის სიტყვა **შვენება** (და არა **მშვენება**)—და ამ ძირის სიტყვაში მ მხოლოდ ზედსართავ სახელს შეიძლება ახლდეს და მისგან ნაწარმოებ ფორმებს (**მშვენიერი**, **მშვენიერება**), თუმცა ძველათ აქაც უმანოთ იხმარებოდა (**შვენიერი**), ხოლო ზმნის ფორმებში მხოლოდ მოქმედებ. გვარის მიმღეობაში ჩნდება მ (დაამშვენებელი), სხვაგან კი მ-ნის ხმარება ყოველად შეუწყნარებელია—და აღმნიშვნელია ქართული ენის უცოდინრობისა.

15. „**გამჩნდარიყო**“ (გვ. 105). მიმღეობის ფორმა **გამჩნდარი** დღემდე; ეგონებ; არავის უხმარია, და თუ ვინმე იხმარა, იგი, ალბათ, იმგვარივე „**მეცნიერი**“ იქნებოდა; როგორც აკაკი შანიძე ბძანდება, და სამწუხაროა, რომ დროზე არ მოუთხოვია, თვარა თანამედროვე „**პროფესორები**“ მასაც „**დოქტორობას**“ უბოძებდენ—და მაშინ ბედნიერ საქართველოს, ერთის მაგიერ, ორი ღირსეული და სახელოვანი **დოქტორი** ეყოლებოდა: ის უცნობი იქსი და აწინდელი „**ცნობილი**“ აკაკი შანიძე!

16. „**ვავადყოფობ**“ (გვ. 189). მეცნიერებაში **დაწინაურებულმა დოქტორმა** შანიძემ (ჩვენ ხომ **ჩამორჩენილს** გვიწოდებს!) არ იცის, რომ იმისთანა რთულ სახელზმნებს, როგორც არიან, მაგალითად, **ავათყოფობა** (ავათყოფობა), **ნათელყოფა** (ნათელიყოფ-ნ-ა), **ცხადყოფა** (ცხადიყოფ-ნ-ა), **გარშემორტყმა**, **გარემოცვა**, **უარყოფა** და სხვ.,—პირველი პირის პრეფიქსი ვ შუაში ჩაერთვის, და არა თავში: **ავათმყოფობ**, **ავათმყოფობთ**, **ნათელყოფ**, **ნათელყოფთ**, **გარშემორტყმებით**, **გარემომოცავთ**, **უარყოფთ** და სხვ. და სხვ. **დოქტორობის** მეძიებელს ამ ანბანის უცოდინრობა სასირცხოთ უნდა მიაჩნდეს.

17. „**დრომს**“, „**ქილომს**“ (გვ. 4, 103 და სხვ.). ბგერა **ქ** კი ხანია ჩვენი მწერლობიდან გაიდევნა, თუმცა არის შემთხვევები, როცა ეს ბგერა საჭირო ხდება. ხოლო აკაკი შანიძის უბედურება ის არის, რომ მას მხოლოდ უსაზღვრო წადილი აქვს **მეცნიერის** სახელი ატაროს, ხოლო მეცნიერის ალლო, სმენა და უნარი სრულიად არ შესწევს, რათა ეგ საჭიროება განსაზღვროს და გამოარკვიოს.—ბგერა **ქ** მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ვიხმაროთ, როცა იგი, რაიმე ხმოვანთან ერთად, ერთ მარცვალს შეადგენს. აი, მაგალ., „**ვეფხისტყაოსნის**“ ცნობილი ფრაზა ასე უნდა ვსწეროთ: „**ვაჲ, სოფელო, რაშიგან ხარ**“—და სხვ., რადგან **ვაჲ** აქ ერთი მარცვალია (ან შესაძლოა **ვაჲ**-ს მაგიერ აქ ფორმა **ვაჰ** ან **ვა** ვიხმაროთ). აგრეთვე შესაძლოა **ქ**-ს ნახევარხმიანობის თვისებით ვისარგებლოთ და, მისი საშვალებით, უცხო ენებიდან შემოტანილ სიტყვებშიც ერთმარცვლიანობა დავიცვათ,—მაგალითად ასე: **ილქუხტრაცია**, **ნქუანსი**, **ნქუტონი** და სხვ. რაც შეეხება აქ. შანიძის მიერ ნახმარ ფორმებს,

იქ სრულიად უადგილოა **ღ**, ვინაიდან ცოცხალ ენაში იქ აშკარა ი მოისმის—**ღა**, მაშასადამე, სრული მარცვლია: **დროის** (ორი მარცვლია), **კილოის** (სამი მარცვლია). ძველ ენაში თუ ამისთანა შემთხვევაში **ღ** იხმარებოდა, დღეს ამგვარი მართლწერა შეუწყნარებელია: **მეცნიერების დოქტორს** უნდა ესმოდეს, რომ **სიძველე** არ არის საბუთი **კანონიერობისა**.

18. როგორც ზევით მოვახსენეთ, მესამოცე წლებში განდევნილი ასოებიდან შესაძლოა კვლავ მხოლოდ **ღ** შემოვიღოთ, თუმცა საეჭვოა, რომ მან საყოველთაოთ ფეხი მოიკიდოს. ხოლო ყოვლად შეუწყნარებელია იმ ასოს დაბრუნება, რომელსაც აკაკი შანიძე ასე დაჟინებით ებლაუტება: **ჳ**-ისა. აკაკი შანიძე რამდენმე სიტყვას წერს ხოლმე **ჳ**-ით, ხოლო დანარჩენებს—**ხ**-ნით, მაგრამ ჩვენ არსად გვინახავს მისგან განმარტებული კანონი, თუ როდის უნდა ვიხმაროთ **ჳ** და როდის **ხ**: ეს „მეცნიერი დოქტორი“, ექვი არ არის, ფიქრობს, რომ, რასაც მე მოვისაზრებ, ან, უკეთ ვსთქვათ, **მოვისაზრებ**, იგი ყველასათვის დაუსაბუთებლათაღ დასაჯერებელი უნდა იყოსო!.. ან სიტყვები, რომელსაც აკაკი შანიძე **ჳ**-ით სწერს: **ჳმარება**, **ჳვარე**, **ჳდება**, **ჳმა**, და რამდ. სხვ. მრთადერთი საბუთი **ჳ**-ის ხმარებისათვის შანიძეს, ალბათ, ის აქვს, რომ ძველათაც ასე სწერდნო. მაგრამ საქმე ის არის, რომ ძველათ თუ **ჳ**-ს ხმარობდენ, იმას მაშინ განსხვავებული გამოთქმაღ ჰქონდა, ხოლო დღეს დედა-ქართულში ეს გამოთქმა სრულიად მოისპო—**და**, მაშასადამე, დღეს დედა-ქართულში იმის ხმარება ანაქრონიზმი და აბსურდი იქნება; ხოლო მის კილოკავებში (მაგ. სეანურ ენაში) ეს განსხვავებული გამოთქმა: დღესაც არსებობს—**და** სამართლიანათ მისი ხმარება მხოლოდ იქ შეიძლება (იხ. ჩემი სრული გრამატიკა).

19. როცა **აქ**. შანიძე ჩემს გრამატიკას რეცენზიას უკეთებდა, სხვათა შორის სიტყვების დამარცვლის კანონებს მიწუნებდა. როცა სხვებს რასმე უწუნებთ, ვალდებული ხართ ამის საფუძველიც წარმოადგინოთ და ყველას დაანახოთ, რომ ეგ თქვენ-მიერ დაწუნებული საგანი თქვენ კარგათ გესმისთ. **აქ**. შანიძე ასე არ მოქცეულა: იგი უსაბუთებოთ, მშრალი ფრაზებით იწუნებდა ჩემს კანონებს, ხოლო თავისას არ გვეუბნებოდა. **ღა**, აი, როცა თავისი „მეცნიერულ“ კვლევა-ძიება გამოაქვეყნა, იქ თავისთავათ გამოაშკარავდა აკაკი შანიძის ყოველგვარი „სიბრძნე“—**და**, სხვათა შორის, სიტყვათა დამარცვლის შეგნებაღ. ან რამდენიმე მაგალითი სიტყვათა დამარცვლისა **აქ**. შანიძის აღნიშნულს „სადოქტორო“ წიგნში: 1) **სარ-წმუნობითა** (გვ. 15), 2) **გრ-ძლად** (73), 3) **მრ-ჩობლი** (105), 4) **შეჰხვ-დება** (107), 5) **მიცემი-თში** (183) და მრავ. სხვ. ამგვარათ სიტყვების დამარცვლა და სტრიქონში გადატანა მხოლოდ **უფიცობის დოქტორს** ეპატიება—**და** სწორეთ ასეთი უნდა იყოს **აქ**აკი შანიძე, რადგან არა სცოდნია, რომ: 1) „სარწმუნობა“-ში **სა** თავსართია და იგი ცალკე მარცვალს უნდა შეადგენდეს; 2) „გრძლად“ ერთმარცვლოვანი სიტყვაა და იმის დამარცვლა, ორ ნაწილათ გაყოფა და სტრიქონში გადატანა შეუძლებელია; 3) „მრჩობლი“ ორმარცვლოვანი სიტყვაა (მრჩობ + ლი)—**და**, მაშასადამე, სტრიქონში **მრჩობ** უნდა დარჩეს და **ლი** მეორეში გადავიდეს; 4) „**შეჰხვდება**“-ში **შე** თავსართია—**და**, მაშასადამე, გადატანა ამ კანონიერი დამარცვლის მიხედვით უნდა მოხდეს: **შე + ჰხვდე + ბა**; 5) „**მიცემითში**“—**თში**-ს გადატანა ყოვლად შეუწყნარებელია, რადგან **ში** თანდებულია ზე იგი ცალკე მარცვალს შეადგენს: **მი + ცე + მით + ში**.

ან ამისთანა ანბანური ჰემარტიტება არ იცის „დოქტორმა“ შანიძემ—**და** კიდევ სხვებს უკიჟინებს, დამარცვლის კანონები არ გესმისო!.. ან, შესაძლოა, „მეცნიერი“ შანიძე მიმდევარია იმ ბრძნული მოსაზრებისა, რომელიც ამბობს, რომ, სადაღ და-ცხიკება*) მოგინდება, იქ მძიმე (,) უნდა დასვაო, სადაღ დამთქნარება—**იქ** წერტილ-

*) ამერულ „ცხვირის დაცხიმება“-ს ტერმინათ იმერული „დაცხიკება“ სჯობია.

მძიმეო (ჰ), სადაც ძილი—წერტილიო (!)?!. ლოქტორი შანიძის გადატანის კანონიკ ასეთია: რამდენი ასოც დაეტევა ერთ სტრიქონში, იმდენი უნდა ჩაყაროო!..

20. სანამ წიგნის მთავარ საგანს შევეხებოდე, აკაკი შანიძის, ვითარცა მეცნიერის, დასახსიანათებლათ საჭიროთ მიმანია ორიოდე მაგალითი მოვიყვანო, — მაგალითები, დამამტკიცებელი არა მისი მეცნიერული მომზადებისა, არამედ, პირიქით, მისი უფიცობისა და მის-მიერ სამეცნიერო აღლოს უქონლობისა.

თავისი წიგნის 71-ე გვერდზე აკ. შანიძე შემდეგ სიბრძნეს მოგვითხრობს: „ჭყავს ღ ჰბაძავს ზმნებს ერთი ღ იგივე უღვლილება აქეთ“-ო! როგორცა ჩანს, „ლოქტორი“ შანიძე წმინდა მეორე მიმოხრის ზმნებს (მყავს, მაქვს, მძინავს, მეშინია, მწყენია ღ სხვ.) ასე-წოდებულის მიჩემებითი ზმნებისაგან (მბაძავს, მწერს, მხატავს, მიწერს, მიხატავს და სხვ.) ვერ არჩევს, როცა ამ ორი ჯგუფის ზმნები ერთმანეთისაგან—როგორც შინაარსით, ისე მიმოხრის ფორმებითაც—დიამეტრალურათ განსხვავდება. მეორე მიმოხრის ზმნების მოქმედება თვითმყოფია, დამოუკიდებელია, ხოლო მიჩემებითი ზმნებისა—დამოკიდებული, ასე ვთქვათ—გარემყოფი, ზეგავლენითი,—და ამიტომაც მეორე მიმოხრის ზმნა, წარმოების მხრით, თვითარსია, ხოლო მიჩემებითი ზმნა—წარმოებითი: იგი უმთავრესათ მოქმედებითი გვარის ზმნებისაგან წარმოიბს ხოლმე (მწერს, მაწერს ან მიწერს, მხატავს ან მიხატავს, მაშენებს ან მიშენებს და სხვ.), ან საზოგადოთ სხვა ზმნებისგანაც—საშვალო გვარის ზმნის მნიშვნელობით (მაცვია, მახურავს, მარტყია, მაკერია, მახატია და სხვ.)—ღ მეორე მიმოხრის ზმნასთან მხოლოდ ის მზავსება აქვს, რომ ეგ წარმოება ზეორე მიმოხრის ზმნების პიროვანი პრეფიქსების (მ, ზ, მზ) საშვალეობით ხდება;—ზმნას მყავს-ს მიმოხრაში ყველა პირი აქვს, ხოლო მბაძავს-ს (როგორც მოქმედებითი გვარის მიჩემებითს) ყველა პირი არ აქვს (იხ. ჩემი გრამატიკა, გვ. 97—100), და საზოგადოთ მიმოხრაში ამ ორგვარ ზმნებს საერთო თითქმის არაფერი აქვს. აბა რა არის საერთო, მაგალ., ფორმებში: მათ ყავთ—ისინი მბაძვენ (აწყო), მათ ეყოლათ*)—მათ მბაძეს (ნამყო), მე მეყოლება—მე მივბაძავ (მყოფადი):—ნუთუ ეს „ერთი და იგივე უღვლილება“-ა?!—„ტფილისის ლოქტორი“ რომ მიჩემებითსა და მეორე მიმოხრის ზმნებს ურთმანეთში ვერ არჩევს, ეს უფრო ნათლათ შემდეგიდანა ჩანს (გვ. 71): „ამგვარივე (ე. ი. როგორიცაა ჭყავს და ჰბაძავს შორის) ურთიერთობაა უყუარს და უწერს ზმნას შორის, და თუ რაიმე განსხვავებაა ამ უკანასკნელებს შორის, მხოლოდ იმ მკრივ, რომ პირველ მათგანს ერთი დამატება აქვს (მას), მეორეს კი ორი (მას, წიგნს); ქვემდებარე კი ორთავ ერთი და იგივე აქვს (უყუარს იგი, უწერს იგი).—ჩვენ ზევით უკვე განვმარტეთ, რომ მყავს, მიყვარს და სხვ., როგორც მეორე მიმოხრის ზმნები, შინაარსითაც და მიმოხრის ფორმებითაც დიამეტრალურათ განსხვავდებიან მიჩემებითი ზმნებისაგან. რაც შეეხება ქვემდებარეს, მიჩემებით ზმნაში (უწერს იგი), აშკარაა, ქვემდებარე იგი-ა, ხოლო მეორე მიმოხრის ზმნებზე (უყვარს იგი, აქვს იგი) არ შეიძლება იგივე იტყვას. მართალია, ძველათ მას იგი უყვარს, მას იგი აქვს ასე ესმოდათ: იგი მის საყვარელ საგანს შაადგენს, იგი მის ქონებას შეადგენს,—სადაც, ცხადია, იგი ქვემდებარე იქნებოდა, და მაშინ ზმნაც რიცხვში ამ ქვემდებარეს ეთანხმებოდა ხოლმე,—მაგალ. ძველათ ასე ითქმოდა: მას ისინი უყუარან, შენ მრავალნი თვალნი პატროსანნი გაქონან. ღლეს კი ამ ზმნების ხასიათი შეიცვალა: ღლეს ძველებური მარტველობა - შეთანხმება (გაქონან, გყვანან, უყუარან და სხვ.) აღარ იხმარება—და ძველის ფორმალური ქვე-

*) თავისი წიგნის 187-ე გვერდზე „ლოქტორი“ შანიძე მყავს (მყავს) ზმნიდან ნამყო სრული ნაჩვენები აქვს წაჰყვა. „მეცნიერი ლოქტორი“ ვერ არჩევს ორს სულ სხვადასხვა შინაარსის ზმნას: მყავს-სა და მიკვყები-ს; მყავს-იდან ნამყო სრული (ჩვენი ტერმინოლოგიით ნამყო II) მიკვყელა იქნება, ხოლო წაჰყვა, მიჰყვა, გაჰყვა და მზგ. სხვ. ფორმები „მიკვყები“-დან არის ნაწარმოები, და არა მყავს-იდან.

მდებარის (იგი, იგინი) როლი ლოდიკურ ქვემდებარეში (მე, შენ, მას, ჩვენ, თქვენ, მათ) გადავიდა.

მეორე მიმოხრის ზოგიერთი ზმნიდან განსაკუთრებით ნათლათა ჩანს, რომ ქვემდებარე მიცემით ბრუნვაში დგას. ავილოთ, მაგალ., ზმნა **მეშინია**: **ბავშს** მასწავლებლის ეშინია. სად არის აქ ქვემდებარე?—რასაკვირველია—**ბავშს**. ან კიდევ: **მოსწავლე**-ს მასწავლებლისა რცხენია, ერიდება და სხვ.,—ქვემდებარეა **მოსწავლეს**. ან კიდევ: **ამ კაცს ღმერთი სწამს**;—აქ კაცს არის ქვემდებარე, ხოლო **ღმერთი**—დამატება. ასეთი ხასიათი შეითვისა ქართულ ენაში მეორე მიმოხრის ზმნებმა—და რისთვის არის საჭირო, რომ ამ ზმნებს ძველებური შინაარსი და ხასიათი დავუბრუნოთ?!

თავსართიან ზმნებს თუ ავიღებთ, მაშინ უფრო ნათლათ დავინახავთ, რომ **იგი** (ყავს **იგი**, აქვს **იგი**) დამატებაა, და არა ქვემდებარე,—მაგალ.: **მუშას ტვირთი მიაქვს**, **მამას შვილი** სასწავლებელში შეყავს. ამ წინადადებებში **მუშას** და **მამას** (მას—მიც. ბრ.) მვემდებარებია, ხოლო **ტვირთი** და **შვილი**—დამატებანი.

აწმყო დროის **მყავს**, **მიყვარს** და სხვა ზმნების მართველობა ნამყო დროის **მიწერია**, **მიკითხავს** და მზგ. სხვ. მართველობას გავს, და თუ **ბავშს წიგნი უკითხავს** (წაუკითხავს)—ამ წინადადებაში **ბავშს** ქვემდებარეა და **წიგნი** დამატება, მაშინ ისიც უნდა ვიწამოთ, რომ **მამას შვილი უყვარს**—ამ წინადადებაშიც ამგვარივე მართველობა იქნება, ე. ი. **მამას**—ქვემდებარე, ხოლო **შვილი**—დამატება.

„დოქტორი“ შანიძე თავისი „მეცნიერული ნაშრომის“ 84—87 გვერდებზე მოგვითხრობს, რომ ქართულ ენაში სამი უღვლილებათ: **პირველ უღვლილებას** ის ზმნები ეკუთვნის, რომელთაც არავითარი დამატება არა აქვთ (მაგალ. **დაჯდა**, **ტირის**, **დაბერდა** და სხვ.), **მეორე უღვლილებას** —ის ზმნები, რომელნიც სახელობითი ბრუნვის დამატებას თხოულობენო (მაგ. **დაწერა იგი**, **მოკლა იგი**, **გაყიდა იგი**, **მოჭრა იგი** და სხვ.), ხოლო **მესამე უღვლილებას** —ის ზმნები, რომელნიც მიცემითი ბრუნვის (ან სახელობითისა და მიცემითის) დამატებას მოითხოვენო (მაგ. **ჰკითხა მას იგი**, **მიჰყიდა მას იგი**, **შესძინა მას იგი**, **ჰქონდა მას**, **ჰშია მას**, **ჰგავს მას**, **მისწერა მას** და სხვ.).

ამგვარი დაყოფა მიმოხრისა (უღვლილებისა) პირველათ გვესმის. ზმნების მიმოხრაში კატეგორიები იმისთვის არის შემოღებული, რომ ერთგვარი მიმოხრის, ერთგვარი ფორმების მექონი ზმნები ერთად, ერთ ჯგუფში მოაქციონ და მათი მიმოხრისათვის სხვადასხვა კილოსა და დროში ერთგვარი წესი და რიგი დააკანონონ. არც ერთი ენის გრამატიკაში არ გაგონილა დამატების მიხედვით მიმოხრის კატეგორიებით დაყოფა, არამედ — მხოლოდ ერთგვარი დაბოლოება, ერთგვარი ფორმებია ყველგან მხედველობაში მიღებული, და ქართული ენაც ამ გზას ვერ აშორდება. აბა რა არის საერთო, მაგალ., პირველი მიმოხრის ზმნებში **დაჯდა** და **ტირის**, მიმოხრის ფორმების მხრით?! დიდი ცოდნა არ არის საჭირო იმისათვის, რომ ამ ზმნების მიმოხრაში დიამეტრალური განსხვავება შეამჩნიონ. ასე დიამეტრალურათ განსხვავდებიან ერთმანეთ-შორის მეორე მიმოხრისა და მესამე მიმოხრის ზმნებიც—და „მეცნიერ“ მკვლევარს კი ისინი ერთ ჯგუფში მოუქცევია ღ მრუდი ღ მართალი დომხალივით ერთმანეთში აურევია!..

კიდევ ბევრი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ აშკარა შეცთომებისა აკაკი შანიძის წიგნიდან, რომელშიც, მართალია, 189 გვერდია, მაგრამ რომელიც უმთავრესათ სხვადასხვა წიგნიდან ამოღებულ ტექსტს შეიცავს, ხოლო თვით ავტორისა შიგ ძლივს 75 გვერდია (ჩვენ ეგ ზედმიწევნით გამოვიანგარიშეთ); მაგრამ 75 გვერდზე ოცზე მეტი სასირცხო შეცთომა, იმისთანა შეცთომები, რომელიც მაჩვენებელია ავტორის უეცრობისა და მეცნიერული ალღოს უქონელობისა, სრულიად საკმაო საბუთს წარმოადგენს იმისათვის, რათა ამდენი უტოლინრობის პატრონი „მეცნიერების დოქტორათ“ არ ეცნოთ; ხოლო თფილისის პროფესორებმა აკაკი შანიძის წიგნის, ალბათ, მთავარ საგანში პოვეს დიდი სიბრძნე და ამისათვის მიუბრძნეს მას ხარისხი „დოქტორობისა“!

შნახოთ, ამ მხრით მაინც რამდენათ ღირსშესანიშნავი და საფუძვლიანია სიბრძნე აკაკი შანიძისა და მართლმსაჯულობა პროფესორებისა.

ბ. აკაკი შანიძის ნაშრომის მთავარ დებულებათა უსაფუძვლობა.

აკაკი შანიძე ქართულ ზმნებს ორს მთავარ ჯგუფათა ყოფს. პირველ ჯგუფს— მისი ტერმინოლოგიით—**სუბიექტური ზმნები** შეადგენს, ე. ი. იმისთანა ზმნები, რომელთაც არავითარი დამატება არ აქვთ;—მეორე ჯგუფს—**ობიექტური (სუბიექტურ-ობიექტური)** ან **რელატიური ზმნები**, რომელთაც დამატება აქვთ; ხოლო დამატება შეიძლება იყოს ან სახელობით ბრუნვაში (**=სახელობითდამატებიანი ზმნები**), ან მიცემით ბრუნვაში (**=მიცემითდამატებიანი ზმნები**), ან სახელობითშიცა და მიცემითშიც ერთსა და იმავე დროს.

აკაკი შანიძე ცთილობს დაამტკიცოს, რომ ძველებურ ქართულში: 1. **სუბიექტურ ზმნებს** ა) მესამე პირში არავითარი პრეფიქსი არ აქვს, ხოლო მეორე პირში აქ სუბიექტური პრეფიქსია **ჰ**, რომელიც ზოგიერთი თანხოვანის წინ (ჩამოთვლილია ეს თანხმოვანები) **ს**-ნათ იქცევა (**ს**-ნის მავიერ ზოგჯერ **შ** ზის);—ბ) ბძანებით კილოში პრეფიქსი არ იხმარება;—გ) როცა ზმნის თემა ხმოვანი ბგერით იწყება, იმ შემთხვევაში პრეფიქსი არ იხმარება.

მაგალითები: ა) მე გარდამოვედ, შენ გარდამოჰვედ, ის გარდამოვდა;—მე იმწირობ, შენ ჰმწირობ, ის მწირობს;—მე აღვდეგ, შენ აღსდეგ, ის აღდგა;—ბ) გარდამოვედ;—მწირობდი!—გ) მე განვახლდი, შენ განახლდი, ის განახლდა;—განახლდი!—

2. **სახელობითდამატებიანი ზმნებში** სუბიექტური პრეფიქსები (**ჰ**—**ს**—**შ**) იმავე წესით იხმარება, როგორც სუბიექტურ ზმნებში, ხოლო ობიექტური პრეფიქსი აქ პირველი პირისა არის **მ**, მეორე პირისა **გ**, მესამე პირს კი არავითარი პრეფიქსი არ აქვს.—**ობიექტურ პრეფიქსთან სუბიექტური პრეფიქსი იკარგება.**

მაგალითები: ა) მე მოვკალ, შენ მოჰკალ, მან მოკლა;—ბ) მოკალნი!—მოკალთ!—გ) მე ვიხილე, შენ იხილე, მან იხილა;—იხილე!

3. **მიცემითდამატებიანი ზმნა** სახელობითდამატებიანისგან იმით განსხვავდება, რომ ობიექტური პრეფიქსი მას მესამე პირშიც აქვსო (ეს პრეფიქსები იგივეა, რაც მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსებია, ე. ი. **ჰ**—**ს**—**შ**); მაშასადამე, ამ ჯგუფის ზმნებს პრეფიქსები ყველა პირში ჰქონია, აგრეთვე—ბძანებით კილოშიც.

მაგალითები: 1) მე ვჰკითხე (მას), შენ ჰკითხე, მან ჰკითხა;—2) ჰკითხე!

არის ზმნები, რომელნიც ზან სახელობითდამატებიანი არიან, ზან კი მიცემითდამატებიანი;—**მაგალ.:** მე დავწერე, შენ დასწერე, მან დაწერა,—დაწერე! (წიგნი),—ე. ი. როგორც სახელობითდამატებიანი ზმნა;—**მაგრამ დასწერა** მას ჯუარი,—**დასწერე** ჯუარი!—ე. ი. როგორც მიცემითდამატებიანი (გვ. 65).

ასეთი არიან—**მოკლეთ**—**აკ.** შანიძის დებულებანი ზმნების სუბიექტურ-ობიექტური პრეფიქსების შესახებ ძველს ქართულ ენაში.—**საზოგადოთ** კი უნდა ვსთქვათ—**აკ.** შანიძეს არ აქვს უნარი იმისა, რომ აზრი მოკლეთ და ნათლათ გამოხატოს—და ხშირათ უბრალო აზრი იმდენი შენიშენითა და არეულ-დარეული ფრაზეოლოგიით აქვს ხოლმე გამოთქმული, რომ მეტათ ძნელი გასაგებია, თუ რის თქმა სწავლია—და აზრი კი არა, დომხალი გამოდის.

აღნიშნულ დებულებათა დასამტკიცებლათ ავტორს¹მაგალითები სხვადასხვა ძველი ძეგლიდან მოყავს.

სანამ ამ დებულებათა დახასიათებას შევუდგებოდეთ, საჭიროა ორიოდე სიტყვა იმ წყაროებზედაც ვსთქვათ, საიდანაც მკვლევარს მაგალითები ამოუღია.

დაბეჭდილი „დაბადების“ მაგიერ, აკ. შანიძეს აულია ფოტოგრაფიული სურათები ათონის მთაზე დაცული ხელნაწერისა, სურათები, რომელიც სამეცნიერო აკადემიას გადაუღებინებია. ჩვენ არ შეგვიძლია შევამოწმოთ, რამდენათ მართალია მკვლევარის-მიერ იქიდან მოყვანილი ციტატები, რადგან ეს სურათები ჩვენთვის დღეს მიუწვდომელია; მაგრამ შემთხვევით ერთმა ადგილმა, რომელიც, ჩანს, შეცთომით არის ნაჩვენები, დაგვაჩვენა. 29-ე გვერდზე „გამოსვლათაჲ“-დან მოყვანილია: „უბრალოჲ და მართალი არ მოჰკლა“—და ნაჩვენებია „გამოსვლათაჲ“-ს თავი 23-ე, მუხლი მე-17. დაბეჭდილ „დაბადება“-ში კი მართლწერაც განსხვავებულია (არ მოკლა) და მუხლიც მე-7-ა, და არა მე-17. მართლწერა შესაძლოა სხვადასხვა იყოს, ხოლო მუხლი, ალბათ, ათონისაშიც მე-7 იქნება, და არა მე-17. ამ სახით, შესაძლოა აკ. შანიძეს სხვა ადგილებიც და მართლწერაც შეცთომით ქონდეს აღნიშნული—და მაშინ მის ციტატებზე დამყარება ძნელია.—ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ საჭირო იყო იმის საბუთების მოყვანაც, თუ რატომ მიაჩნია აკ. შანიძეს ათონის ხელნაწერი უფრო სანდოთ, ვიდრე დაბეჭდილი. სანამ ამის საბუთები არ მოგვისმენია, ჩვენ დაბეჭდილ „დაბადება“-ს ვერ უარყოფთ და ჩვენს მაგალითებს იქიდან მოვიყვანთ.—აგრეთვე სახარების ტექსტიც აკ. შანიძეს ბენეშევიჩის გამოცემიდან მოყავს (1909—1911 წლ.), და არა „ბრიტანიისა და უცხო ქვეყანათ ღვთისმეტყველების საზოგადოების“ გამოცემიდან, და არც აქ განმარტავს, თუ რა უპირატესობა მიუძღვის პირველს მეორის წინაშე. განსხვავება კი აღნიშნული წყაროების მართლწერისა (როგორც „დაბადების“-ა, ისე სახარებისაც) საკმაოდ დიდია—და, მაშასადამე, საჭირო იყო ამ წყაროების შედარება და დახასიათება.—მართი რამე კი გადაჭრით შეიძლება ვსთქვათ: ხელნაწერის მართლ სიძველე სრულიადაც არ არის საკმარისი დავასკვნათ, რომ ორ ხელნაწერში—ის, რომელიც უფრო ადრეულ ეპოქაში არის გადაწერილი, უფრო სწორი ტ კანონიერია, ვიდრე ის, რომელიც, შედარებით, უფრო გვიან არის გადაწერილი. ადვილი შესაძლებელია, რომ უპირატესობა მერმენდელ ხელნაწერს მიუძღოდეს, და არა უწინდელს: ავ შემთხვევაში გადაწერის დროს კი არ აქვს იმდენი მნიშვნელობა, არამედ გამწერს, თუ რამდენათ დახელოვნებული და საქმის მკოდნე იყო იგი გამწერაში, და კიდევ—რა დროისა და ღირსების იყო ის დედანი, რომლის პირსაც გამწერი იღებდა.

ციტატების წყაროთა შესახებ უმთავრესათ კიდევ ის უნდა ითქვას, რომ აკ. შანიძეს მართლ სასულიერო ხასიათის ძეგლებიდან მოყავს მაგალითები, საეროს კი სრულიად არ იხსენიებს, და ჩვენ კი გვგონია, რომ, ხალხის ენის, სამწერლო ენის კანონების დახასიათებისათვის, საერო მწერლობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სასულიერო-საეკლესიო, ვინაიდან სასულიერო წიგნების ენა სქოლასტიური—კაბინეტური ხასიათისაა, ხალხის ცოცხალ ცხოვრებას დაშორებული, ხოლო საერო მწერლობა—პოეტურ მხატვრული—ცოცხალი შეილია ხალხის ცოცხალი ენისა. სალიტერატურო ენა რომელიმე ერისა არ შეიძლება იყოს ხელოვნურის, ვოლაპიუკ-ესპერანტოს ხასიათისა, არამედ იგი ხალხის ცოცხალი ენის ლექსიკონისა და ფორმების კვინტესენციას უნდა შეადგენდეს.—ამგვარ შეხედულებას, ამ დებულებას თვით დოკტორი შანიძეც კი ვერ უარყოფს, და თუ უარყოფს, არც ერთს გონიერ მკვლევარსა და მეცნიერს არ შეუძლია მას მხარი დაუჭიროს.

ამ სახით, უპირველესი ადგილი ქართული სალიტერატურო ენის შემუშავებაში ჩვენის ძეგლისა და ახალი მხატვრული მწერლობის ძეგლებსა და ნიმუშებს უნდა ეკავოს—და, მაშასადამე, დიდი შეცთომაა აკ. შანიძის ნაშრომისა, რომ არც „მისრამიანის“, არც „ვეფხისტყაოსნისა“ და არც სხვა მზგავს ნაწარმოებთა ენა მხედველობაში მიღებული არ არის.

აკ. შანიძის მიერ წამოყენებულ დებულებათა საწინააღმდეგო მაგალითი ზმნების ფორმებისა მრავალი მრიპოება როგორც სასულიერო წყაროებში, ისე საეროშიც.

ბი მაგალითები, წინააღმდეგი მისი პირველი დებულებისა, რომელიც აშბობს, თითქო სუბიექტურ ზმნებს პრეფიქსები არ აქვს, გარდა მეორე პირისაო (გვ. 3, 4, 20)—1) „დაბადება“, ნაწ. 1, 1884 წლ. გამოც.:

ქეთილი დასცხრა (გვ. 1054, 1112, 1131, 1133 და სხვ.), ჰბრძოდა (გვ. 1132), აღმოჰკვდა მზე (1149) და სხვ.;

2) სახარება (1879 წლ. გამოც. ბრიტ. და უცხო ქვეყ. ლეთისმეტყე. სახ.):

შეჰსძრუნდა (გვ. 2), აღჰსდგა (3, 13, 15 და მრავ. სხვ.), არა პურითა ხოლო ჰსცხონდნის კაცი (5), დაჰსჯდა (23), შეჰკრბა ერი მრავალი (23), დაჰვარდა გზასა, აღმოჰსცენდა, აღმოჰკვდა (24), ჰროკვდა (27) და მრ. სხვ.;

3) უსალმუნი დავითისი (იმავე საზოგ. გამოც.):

მე დავსწევ ღ დავიძინე (გვ. 2), აღჰსდგე, უფალო! (4), გამოჰსჩნდა ნათელი (2);

4) „ვისრამიანი“:

ბასძლებს, გავსძლებ (გვ. 11), გასწყრა (23), გასძლო (41), დასწყნარდი! (55), სწვიმდა (63), გასძლოს (64), და მრავ. სხვ.

5) „მეფხისტყაოსანი“ (იუსტ აბულაძის რედაქც. გამოც. 1914 წ.): მეფე გაჰკვირდა, გაცასწყრა (გვ. 12), ამოსწყდა მაფი ყველაი (67), გაჰკვირდა (164, 186), ღ სხვ.

ბი მეორე დებულების წინააღმდეგი მაგალითები—სახელდობ იმისა, თითქო სახელობითდამატებიან ზმნებს ობიექტური პრეფიქსი ნამყო სრულის მესამე პირში და არც ბძანებით კილოში არ ქონდეს (გვ. 24 და სხვ.):

1) „დაბადება“:

რომელი სჰამეს ჰაბუკთა (გვ. 25), შესცვალა სასყიდელი ჩემი (61), გარდასდგა სამხარი (207), დაჰკლა იგი (208), დასწვით! (209), რჲ სთქუა უფალმან (319), პური არა ვსჰამე (373), სჰამე ვორცი! სჰამე შენ ვორცი იგი (382), დასწერა მოსე გალობა ესე (427), დასთხიეს სისხლი (1096), აღმოჰქტათეს (1117), მალნარნი მათნი სალოცველნი მოჰკაფნა (1129), სცნეს (1144), მოჰკვეთა თავი (1152), მოსწუა მგვპტი ტანჯვთა (1095), და სხვ.;

2) სახარება:

აბრაამ ჰჰუა ისააკ (ფორმა ჰჰუა მრავალჯერ არის აქ ნახმარი); შეჰკრიბნა ყოველნი მლუდელთმთავარნი და მწიგნობარნი (2), განჰკურნა იგინი (6), ჰსთქუა, აჰა დედა ჩემი (23), შეჰსჰამეს იგი (24), ჰპოვა კაცმან ღ დაჰმალა (26), ჰსთქუეს, ჰსჰამეს (28), მოჰსწყვდნეს, დაჰკრიბეს, ჰსთქუა, ჰსთქუეს, მოჰკლეს (42), მოჰსწუა ცეცხლითა (43), და სხვ.

3) უსალმუნი დავითისი:

ვნარცი სთხარა და აღმოჰკვეთა იგი (4—5), ჰსთქუა გულსა შინა თვისსა (7, 8 და სხვ.), ჰსჰამეს (16 და მრ. სხვ.);—

4) თესალონიკელთა მიმართ:

მოჰკლეს იესო (418), მე ჰავლე დავსწერე კელითა ჩემითა (442), და სხვ.;

5) „ვისრამიანი“:

მოჰკაჰმეთ მინდორნი! (5), შეჰკაჰმეს (5, 13, 27), გარდასწყვიტა (32), მოჰკალ! (36, 37), დასცალა (45), და მრავ. სხვ.;

6) „მეფხისტყაოსანი“:

ჰფიცა მზე (9), გარდასწყვიდეს (9), ამოგწყვიდე (53), დავოცეს და ამოწყვიდეს (10), ცრემლი ცხელი გარდმოჰყარა (19), წიგნი დავსწერე (55), დასწერა წიგნი (156), სიძე მოჰკალ! (64), მოჰკაჰმეთ (65), სძებნეთ ყოველგან (76), კარვის კალთა ჩახლათული ჩავსჰერ (66), სვეს და სჰამეს (114), დასწვეს, გასცვალეს (126), გასტეხა ფიცი (141), და მრავ. სხვ.

მიცემიოდამატებიანი ზმნებიც ხშირათ არღვევს აკაკი შანიძის დებულებას; თუმცა შედარებით ისე ხშირათ არა, როგორც სახელობითდამატებიანი, რაიც იმით აიხსნება, რომ ძველ მწერლობაში ჰაენი ფორმები უფრო ხშირათ და წარამარა, უწყესრიგოთ იხმარებოდა, ვიდრე უჰაეო.— „დაბადება“-ში უპრეფიქსოთ განსაკუთრებით ხშირათ იხმარება ფორმა შეწირა (შეწიროს, შეწირვიდეს),—იხ. გვ. 258, 956 და სხვ.— „მისრამიან“-ში: მიმართა, მიმართოთ (33), არავის შეერთო (7, 15), ვთხოვეო (34), გავს (59, 60), და სხვ.— „ვეფხისტყაოსან“-ში: მან ყმამან ქვაბსა მიმართა (გვ. 27), მიმართა ზახილით კლდესა და ღრესა (28), და სხვ

შდველეს დროთა ძეგლებს შორის ზრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერა ერთი იმათგანია, რომელნიც კარგათ შენახულან და რომელთა მართლწერაც დამახასიათებელია ძველის ქართული ენის ფორმებისა. ამ ძეგლშიც კი საკმაოთ ბევრია მაგალითი იმისთანა მართლწერისა, რომელიც აკ. შანიძის-მიერ წამოყენებულ დებულებებს ეწინააღმდეგება.

აი ეს მაგალითები: 1) დაჰბეჰდა (გვ. დ); 2) ღმერთმან დაჰბადნა ისინი (კდ); 3) შეჰრაცხეს შემზადებაჲ (ლგ); 4) მადლი შეწირა ჰრისტესა* (ლდ); 5) ორნი ჯუარნი აღჰმართნა (ლპ); 6) წარჰველო (ლპ); 7) წიგნი მიწერა (მა); 8) დაჰმზადა მათთვის პური (მბ); 9) შესაწირავი განჰმზადა(ჯვ); 10) თანაწარგჰვედ (ნგ); 11) მან მიწერა წიგნი ვედრებით (ჟ); 12) მან მიწერა ეპისტოლს (ჟ); 13) ვითარცა შუენის სიწმიდესა შენსა, და სხვ.

მართალია, თვით აკ. შანიძეც არ მალავს და მაგალითებიც მოყავს იმისა, რაიც მის დებულებებს ეწინააღმდეგება, მაგრამ ამგვარ ფორმებს მეტათ ახირებული ჰიპოთეზით აქარწყლებს. იგი ამბობს (გვ. 75); „ამ ჯგუფის ზმნებს ოდესღაც, ძველისძველად, დამატება მიცემით ბრუნვაშიც უნდა ჰქონოდათ, მაგრამ შემდეგ დროთა განმავლობაში განვითარების გამო მიცემითის დამატება დაჰკარგვიათ, მაგრამ (ამდენი მაგრამ, ალბათ, კარგი სტილის, კარგი ქართულის ნიმუშია! ს. ხ.) დაჰკარგვიათ გარეგან“-და სხვ. (—ამგვარი მსჯელობა ჩვენი „დოქტორის“ მასწავლებელს მაგონებს, რომელმაც ერთხელ გადაჰრით გამოაცხადა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სპარსულიდანაა ნათარგმნი და დედანი ბრიტანეთის ერთერთ წიგნსაცავში უნდა მოიპოებოდესო!)— ან კიდევ: „ეს ზმნა (ჰფუცა მას იგი) მიცემითდამატებიანია, მაგრამ უცნაურია, რომ არა თუ აწმყოში, არამედ ნამყო სრულშიაც ისე იუღვლება, თითქოს მიცემითი და მატება სრულებით არა ჰქონდეს“-ო (გვ. 123).

და როცა, ამ სახით, „დოქტორ“ შანიძეს ძველი ძეგლებიც კი ღალატობს და მის „მეცნიერულ“ დასკვნებს არღვევს, „დოქტორი“ მათ ადვილათ აქარწყლებს და ყველა ამისთანა შემთხვევას (მათი რიცხვი კი მრავლის-უმრავლესია) ანომალიებს უწოდებს!...

ღიახ, რაც რომ ოფილისის „დოქტორის“ „მეცნიერულ“ დასკვნას ეწინააღმდეგება, იგი „ოდესღაც“ უსათუოთ ისე იქნებოდა, როგორც მას, „დოქტორს“, ნებაეს,— ამგვარი ყველაფერი უცნაურია და ყველა ეს ანომალია!.. ასეთია მეცნიერული უნარი და ხერხი გაბედული ჰიპოთეზების ავტორის—ცნობილი პროფესორის „ნიჭიერი“ მოწაფისა!..

როგორც ხედავთ, აკ. შანიძის-მიერ მოხსენებული საბუთებით სრულიადაც არ მტკიცდებიან ის დებულებანი, რომელნიც მან ძველ ენაში ობიექტურ-სუბიექტური პრეფიქსების (ჰ, ხ) შესახებ წამოაყენა. მაგრამ, დახეთ, რა სითამამით იკვებნის და ყვირის თავის დასკვნებში: „გამოირკვა“... „ამგვარად, დამოწმებულია და დადასტურებული ყველაფერი, რაც ნათქვამია ამ ზმნების შესახებ ზემოთ“ (გვ. 41; 83). —

* აკ. შანიძე მართლწერას შეწირა-ს იმით ხსნის (გვ. 40), რომ ეს ზმნა ნათეს. ბრუნვას თხოვლობს, მაგრამ აქ ხომ მიცემითი ბრუნვაა?!

„მს არის ის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს საორთოგრაფიო რეფორმას ჰაესა და სანის კმარების საკითხში. მს პრინციპები შემუშავებულია საკითხის ყოველმკრივი შესწავლის შემდეგ და სრულებით ეთანკმება ქართული ენის ხასიათს საზოგადოდ და კერძოდ სალიტერატურო ენის ისტორიული განვითარების საერთო მიმართულებასაც. ამ რეფორმის პროექტით თანამედროვე ცოცხალი კილოების მდგომარეობაც არის გათვალისწინებული და ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებიც არ არის დავიწყებული“ (გვ. 189).

ასეთია „ტფილისის მეცნიერი დოქტორის“ ტრაბახა დასკვნები. ხოლო სინამდვილე სულ სხვას გვიჩვენებს. ძართული ენა თავიდანვე თავისუფალი ყოფილა იმ პედანტიზმისა თუ სქოლასტიზმისაგან, რომელიც ზოგიერთ ენას ახლაც ამძიმებს, და მისი მართლწერა და გამოთქმა ურთერთ-შორის სრულიად მარტივად ყოფილა შეთანხმებული: ისე იწერებოდა, როგორც გამოითქმოდა, და ისე გამოითქმოდა, როგორც იწერებოდა. ჰ-სი და ხ-ნის ხმარებაც ასე წარმოობდა: როცა ისინი გამოითქმოდნენ და მწერლის სმენაც ამ გამოთქმას იზიარებდა, ისინი კიდევაც იწერებოდნენ ხოლმე, და როცა მწერლისა თუ გადამწერის სმენა მათ გამოთქმას არ იზიარებდა, ისინი არც იწერებოდნენ. ამიტომაც არის, რომ ერთნაირ ფორმებში ჰ-სა და ხ-ნს ხან ვხვდებით ხოლმე, ხან კი არა. ხალხის დღევანდელი ჩვეულება ნასახია ძველისა—და როგორც დღეს არის განსხვავება სხვადასხვა კუთხის ფორმებსა და გამოთქმაში, ისე ყოფილა ძველათაც. ძვემო იმერეთში დღეს ამბობენ მიცა-ო, ზემო იმერეთსა და ძართლ-ძახეთში—მისცა-ო, ზოგან ხმარობენ დაწერა-ო, ზოგან—დასწერა-ო, და ამ შემთხვევაში ხალხი იმას კი არ არჩევს და ასხვავებს, თითქო—როცა ჯგრის-წერა იგულისხმება, მაშინ ს უნდა ვიხმაროთ, ხოლო წერილის დაწერა—უსანოთო; არამედ ყველა შემთხვევაში ან დასწერა-ს ხმარობენ, ან დაწერა-ს, როგორც მთქმელსა თუ დამწერს მისი კეთილზმოვანობის გემოვნება უკარნახებს.

თვით აკ. შანიძე შენიშნავს (გვ. 49), რომ, როცა ზმნის თემა ხმოვანით იწყება, მაშინ არავითარი განსხვავება არ არსებობს მიცეზითდამატებიანსა და სახელობითდამატებიან ზმნებს შორის (მაგ. უბრძანა მას, უჩვენა მას—ე. ი. მიცემიფდამატებიანი უბრეფიქსოთ იხმარება, როგორც სახელობითდამატებიანიო),—და ნუთუ ეს არ არის მაჩვენებელი იმისა, რომ „დოქტორის“ მიერ მოკორილი „კანონი“ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია? თუ რომ ხმოვანთემიანი ზმნებისათვის—აზრისა გინა ობიექტსუბიექტის გასარჩევად—ეს კანონი ზედმეტი ბარგია (და ამისთანა ზმნების რიცხვი აუარებელია), მაშ რა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს იგი თანხმოვანთემიანებისათვის?!

ძართულ ენაში, რასაკვირველია, არსებობს საგანთა შორის დამოკიდებულების (განსაკუთრებით სუბიექტის) მაჩვენებელი პრეფიქსები, ყველასათვის ცხადი და გარკვეული, რომელიც კიდევაც მოისმის და კიდევაც გამოითქმის; ესენი არიან ასე-წოდებულის მიჩემებითი ზმნების პრეფიქსები: მ, ზ, უ, ზვ (მითხრა—მან მე, ბითხრა—მან შენ, უთხრა—მან მას, ან მათ, გვითხრა—მან ჩვენ). არის სხვა ხმებიც (ინფიქსები თუ თავსართები), რომლითაც საგანთა შორის ურთიერთობა გამოიხატება,—მაგალ.: შებტყო (მას მან), შეიბტყო (საზოგადოთ), შემტყო (მას, დაპოუკიდებლათ); გაბკეთა—საზოგადოთ, გაიკეთა—თავისთვის; ადის—ქვევიდან ზევით, ჩამოდის—ზევიდან ქვეით, შადის—შიგნით, გამოდის—შიგნიდან გარეთ, და სხვ. და სხვ.

რაც შეეხება ჰ(ს)—ს, ესენი ზმნებში ან კეთილზმოვანობისათვის იხმარებიან (დასწერა, სთქვა, დასცა, სდუმს, ჰქონდა, ჰქვია), ან—იშვიათად—ორაზროვნობის ასაშორებლათ (მიკივის—მე მიკივის, მიჰკივის—მას უკივის, მიწერა—მე მიწერა, ჩემთვის სწერა, მისწერა—მას მიუწერა, და სხვ.).

დარწმუნებული ვარ, დაკვირვებული მკითხველისათვის საკმაოდ დავასაბუთე, რომ აკ. შანიძის-მიერ წამოყენებული დებულებანი ძველ ენაში სუბიექტურ-ობიექტური პრეფიქსების (ჰ-ს) ხმარების კანონების შესახებ უსაფუძვლო არიან და, მაშასადამე, მისი „პროექტიც ორთოგრაფიის რეფორმისათვის“, რომელიც ამ დებულებებზეა დამყარებული, მისაღები არ არის, ვინაიდან ყალბ აზრზე დამყარებას შედეგათ არ შეიძლება სიყალბე არ მოყვეს. მიუხედავთ ამისა, აკ. შანიძე თავის „პროექტს“ მაინც ასეთი კვეხნით იწყებს (გვ. 182): „ახლა, როცა პრეფიქსების საკითხი ქართულ ზმნებში შესწავლილია ისტორიულადაც და დიალექტოლოგიურადაც, დავის გადაწყვეტა სულ ადვილი საქმეა“ ო!

ღიახ, აკ. შანიძეს „სულ ადვილ საქმეთ“ მიაჩნია, მაგალ., დაგვარწმუნოს, რომ „დაწოლა“-სგან ნამყო სრული უნდა ვიხმაროთ შენ დასწევით, თქვენ დასწევით (გვ. 185) — და მზგავსი მრავალი სხვა უმზგავსოება!..

ჰმარა! Sapienti sat!..

ჩემი დასკვნა ასეთია: 1) აკ. შანიძეს არ მოეპოვება მეცნიერული კვლევა-ძიების უნარი და ლოლიკა, თუმცა დიდი სურვილი აქვს მეცნიერების სკამზე წამოსკუპვისა,*) და 2) პირადათ ჩემთან მიწერ-მოწერის დროს თავისი წერილებით მან დაამტკიცა, რომ არ ესმის ელემენტარული წესები სამართლიანისა და სინილისიერი მოპყრობისა. ამ სახით, აკ. შანიძემ საბოლოოთ ცხადყო, რომ იგი არათუ როგორც მეცნიერი, არამედ როგორც უბრალო—ჩვეულებრივი ადამიანიც, ძალიან დაბალი ხარისხისაა.

სილოვან ხუნდაძე.

ქუთაისი, 1923 წლის 3 მაისს.

*) ერთადერთი დამსახურება მისი დღემდე ის არის, რომ ტერმინის სანქცი-ს მნიშვნელობა განმარტა,—მაგრამ ამას უფრო შემთხვევითი მიხედვრის ხასიათი აქვს, ვიდრე მეცნიერული კვლევა-ძიებისა.

დამატება II

(ნახეთ გვ. 87).

დასაბუთებული შენიშვნები

დაუსაბუთებელ დებულებათა შესახებ.

ზევით დასახელებულ წიგნში ყოველგვარი საკითხი ქართული მართლწერის შესახებ სრულიად დაუსაბუთებლათ არის გადაწყვეტილი და მოყვანილი, რაიც ჰომისიის ნამუშავეს ართმევს მეცნიერული კვლევის ხასიათს და უკარგავს მნიშვნელობას ცხოვრებაში მათი გატარებისა და განმტკიცებისათვის. სანამ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას ქართული ენის ორთოგრაფია საყოველთაოთ სავალდებულოთ არ გაუხზია, მანამდე ამ საკითხის მონიტორესე პირთათვის აუცილებელია გაითვალწინონ ის საბუთები, რომლის ძალითაც ჰომისიის თავისი საბოლოო დასკვნები გამოუტანია.

ჩვენს შენიშვნებში ვეცთებით ყოველგვარი ჩვენი შეხედულება შეძლებისამებრ დაეასაბუთოთ.

1. **ჰომისიის მიერ წინასწარ მიღებული პრინციპები.** „პროექტი“-ს მე-5 გვერდზე ჰომისია გვითვალწინებს იმ პრინციპებს, რომელიც მას სალიტერატურო ენის ფორმა-გამოთქმის შესამუშავებლათ სახელმძღვანელოდ მიუღია. ამ პრინციპებს შორის ორი მუხლი (ბ და დ) შემდეგს გვამცნებს: ბ) „**მრ და მეტ** ფორმათა შორის, როგორც მელთაგან ერთი ძველია, მეორე ახალი (ანუ ერთი „მკვდარია“, მეორე „ცოცხალი“); უპირატესობა ეძლევა ახალ ფორმებს ძველი ფორმების წინაშე“; — დ) „**როცა** ერთისა და იმავე ფორმის ვარიაციები თითქმის თანაბრად გავრცელებული და მიღებულია თანამედროვე ენასა და მწერლობაში, მაშინ არჩევის დროს ყოველთვის უნდა გათვალისწინებულ იქნას ამ ფორმის ისტორიული სახე“.

არცერთი ეს პრინციპი ამ სახით ჩვენ შესაწყნარებლად არ მიგვაჩნია. არც გავრცელებულობა ცხოვრებაში და არც ისტორიული ტრადიცია მხედველობაში მისაღები არ არის, თუ რომელიმე მათგანი საღ მოსაზრებასა და მეცნიერულ საბუთებზე დამყარებულს ძირითად კანონებს ეწინააღმდეგება. მანა ხალხში ცოტაა გავრცელებული იმისთანა სიმახინჯე — ცრუმორწმუნეობაა ის თუ სხვა უკულტურობა, რომლის შეწყნარებაცა და მიღება ყოველად შეუძლებელია? განა შორეულ წარსულში (ზოგჯერ მახლობელშიც) ისტორიას ცოტა ახსოვს იმგვარი რწმენა და შეხედულება, რომელსაც შეუგნებელი ნაწილი დღესაც კი იზიარებს და რომლის დადასტურებაც შეგნებული ნაწილისათვის შეუწყნარებელი და შეუძლებელია? მასაში გავრცელებული რწმენა და ისტორიული ტრადიცია ზოგჯერ იქამდე მიგვიყვანს, რომ ქაჯებისა და ეშმაკების არსებობასა და დედამიწის უმოძრაობას დაგვადასტურებინებს!.. ან რას ეძახის ჰომისია ისტორიულ სახეს? ისტორიულია ისიც, რაიც ძრისტემში ყოფილა, და ისიც, რაც რომ ძრისტეს აქით პირველ საუკუნეებში ყოფილა, და რაც მერე საშვალბო საუკუნეებში ხთებოდა, და ისიც, რაც შემდგომ საუკუნეთა განმავლობაში მომხთარა; დღეს უკვე მე-18 და 19 საუკუნეებიც ისტორიას ეკუთნის — და, მაშასადამე, იბადება საკითხი: რომელ ისტორიას უნდა დავემყაროთ ღ რომელი ეპოქის ისტორიით უნდა ვიხელმძღვანელოთ? მნის ფორმებზე თუ ვილაპარაკებთ, მე-18 საუკუნის ქართული ენა ბევრით განსხვავდება ჩვენი ლიტერატურის პირველი საუკუნის ენისაგან, — მაგალ ცნო-

ბნლი ქირვეული მართლწერა ტფილისი მე-18 საუკუნიდან უკვე **თბილისი**-სა ლე **თფი-**
ლისი-ს მართლწერაზე გადადის (ბურამიშვილის „ღაგითანში“ ყველგან **თფილისი**-ა
ნახმარი)—და რომელზე უნდა გაჩერდეს ჩვენი არჩევანი? ჩვენი დროის უკანასკნელ
ხანებში, რუსული ენის გავლენით, საშინლათ გავრცელდა ქართული ენის ხასიათის
აშკარა წინააღმდეგი გამოთქმა: **შაური ღირს, ძვირი ღირს, მანეთი დამიჯდა** ლე სხვ.
—და ისე გავრცელდა, რომ კანონიერი გამოთქმა—**შაურათ** (შაურად) **ღირს, მანე-**
თად დაჯდა და სხვ.—როგორც მწერლობაში, ისე ხალხშიც იშვიათად მოისმის, და
როგორ უნდა მოვიქცეთ: ხელგულდაკრეფით შევეყუროთ ამგვარ სიმახინჯესა და ძალ-
მომრეობას?!—არა და ათასჯერ არა! **ღა** თვით ჰომისიაც კი ხშირათ უარყოფს ამ
თავის პრინციპებს—და, თუმცა საბოლოოთ ვერ გადაუწყვეტიათ, მაგრამ **„ისტორი-**
ული“ მართლწერის **ტფილისი**-ს წინააღმდეგ სამ წევრს მიუცია ხმა, ხოლო **„გავრცე-**
ლებული“ მახინჯი უკანონო გამოთქმა **შაური ღირს** და სხვ. ერთი ხმის უმეტესობით
მაინც უარუყვიათ (ესეც დიდი ნუგეშია სიმახინჯის მოტრფიალეთა წინააღმდეგ ბრძო-
ლაში!)... **ღიან**, თვით ჰომისიის უმრავლესობა გრძნობს, რომ, როცა **კანონიერი სა-**
ფუძველი არაა, **ისტორიული ტრადიცია** და **გავრცელებულობა** პრინციპებათ ვერ
გამოდგებიან.

2. (იგივე მე-5 გვ.). ჰომისია საჭიროთ არა სთულის ასომთავრულების ხმარება-
სო, ნათქვამია აქ. მაგრამ იმავე გვერდზე შენიშვნაში ვკითხულობთ: „ჰომისიას გა-
თვალისწინებული ჰქონდა, რომ ორთოგრაფიის სადაო საკითხების მოწესრიგებას
პრაქტიკული მიზნები აქვს დასახული ყოველდღიური საჭიროებისათვის, და არა მე-
ცნიერული კვლევა-ძიება“-ო. ამ შენიშვნის აზრი ეწინააღმდეგება იმას, რასაც ჰომი-
სია ასომთავრულების შესახებ ამბობს. ასომთავრულებს სწორეთ **პრაქტიკული მნიშვნე-**
ნელობა აქვს და მათი მიზანი ის არის, რომ მკითხველს წაკითხვა და მერე წაკითხულის
გაპეორება გაუადვილონ. მთავრულების საშვალებით მკითხველი ადვილათ ჩერდება ხოლმე,
ადვილათ პოულობს ადვილს, სადაც შეჩერდა, საკუთარი სახელებით ადვილათ პოულობს
და იგონებს წაკითხულ შინაარსს, და სხვ. უმიზნოთა და უმნიშვნელოთ არ არის მთავ-
რულები ევროპიულ ენებში შემოდებული, და თუ ჰომისიას, როგორც იგი ამავე გვერდ-
ზე ამბობს, „შესაძლოდ მიაჩნია პირველი ასოს დიდად დაწერა...“ ან ყოველი თავის
დასაწყისში“,—საკვირველია, რატომ „საჭიროდ არა სთვლის მთავრულების ხმარებას“
საზოგადოთ? მთავრულების მოწინააღმდეგენი საბუთად უმთავრესათ იმას ასახელებენ,
რომ მთავრულები შავათ გამოდის და ნაბეჭდს აუშნობსო! ამისთანა საბუთი მხედ-
ველობაში მისაღები არ არის, ვინაიდან ქართული მთავრულების გაუმჯობესება დიდ
სიძნელეს არ წარმოადგენს და ტეხნიკა ამას ახლო მომავალში მიზანშეწონილათ მო-
აგვარებს.

3. გვ. მე-6 და 7. ჰომისიას ერთ ფარგალში მოუთავსებია მართლწერა **მწე-**
ვარი—მმართველი და **მმატებს—მმარხავს**. უკანასკნელი ორი სიტყვა არცერთს ცო-
ტათ-თუ-ბევრათ წერაკითხვის მცოდნე მწერალს არაოდეს ერთი მ-ანით (მე **მატებს**,
მე **მარხავს**) არ უხმარია, და თვით ხალხიც ყველგან (გარდა სმენის სრულიად უქო-
ნელისა) ორი მ-ანით გამოსთქვამს; ხოლო **მწევარი** და **მართველი** ძალიან ხშირათ
დღეს მწერლობაშიც ერთი მ-ანით იხმარება (იხ. აგრეთვე **ვახუშტის გეოგრა.: მართ-**
ველობა, გვ. 454) და ხალხიც თითქმის ყველგან ერთმანიან ფორმას ხმარობს, და
თუ ჰომისიას **მფრინველი**-ს მაგიერ **ფრინველი** კი მიუღია, იმავე საფუძვლით **მართ-**
ველი-ც უნდა მიიღოს—**არსებითი სახელის მნიშვნელობით**, ხოლო **მმართველი** (გა-
მმართველი, მომმართველი და სხვ.)—**მიმღეობის მნიშვნელობით** დარჩება. რაც შეეხება
მწევარი-ს, ეს სიტყვა შესაძლოა მ-ანით ვიხმაროთ, მაგრამ მხოლოდ იმ საფუძვლით,
რათა ორასროვნობა თავიდან ავიცილოთ და გავარჩიოთ სიტყვის წვერი-საგან (მწევი-
რები და წევრები). იგივე ითქმის სიტყვების: **მღვდელი**-ს, **მტევანი**-ს, **მწვანილი**-ს

მხალი-ს, მხვილი-ს, მრგვალი-ს, მსუქანი-ს, მღოგვი-ს შესახებ, ე. ი. უმანოთ შეიძლება ვინმართ, რადგან მწერლობაშიცა და ხალხშიც ეს სიტყვები ხშირად იხმარება ხოლმე უმანოთ; ხოლო **ჩატე, ძაღე, თლათ, ღარე, ხალი (მხალი-ს აზრით!)** უმანოთ მწერლობაში არავის უხმარია—და აქ მათი დასახელებაც ზედმეტათ მიმაჩნია.—**მართლწერა ტევანი და სხალი** ნახმარი აქვს საბა ორბელიანსაც (იხ. ლექსიკონი) და აგრეთვე **სხალი**—**ვახუშტი ბატონიშვილს** (იხ. მისი ბეოგრაფ.);—**მართლწერა ღვდელი** ახალ მწერლობაში ხშირია—და ილია ჭავჭავაძესაც აქვს იგი ბევრგან ნახმარი (იხ. „პაცია-ადამიანი“).

4. **ბგ. 8.** კომისიას მიუღია **3-ინჩართული ფორმები**: შევიტყვე, გავაწყვე, შემიტყვია, შემიმკვია, ხოლო უარუყვია ფორმა **გავაძვრე**. პირველი სიტყვების მართლწერას იმგვარივე საფუძველი და ხმარება აქვს ხალხსა და მწერლობაში, როგორც უკანასკნელისას, და, მათთანადამე, მიღებული უნდა იქნეს მართლწერა **გავაძვრე-ც**, გამოძვრია.—

კომისიისაგან მიღებული ფორმები **თვითო** და **თვითეული**, ჩემის აზრით, საფუძველიანი არ არის. ჯერ ერთი—ჩემის გამოცთილებითა და ამიტომ ღრმა რწმენითაც—ფორმა **თითო** ბევრათ უფრო გავრცელებულია ხალხში, ვიდრე **თვითო**, და მეორე—**თითო** არა ვგონებ **თვით-ისაგან** იყოს წარმომდგარი, რათა ბგერა **3** აქ აუცილებელი იქნეს. **თითო** რამდენჯერმე გამეორებულ ცალს (ერთს) აღნიშნავს, ხოლო რიცხვითი სახელები **ერთი, ხუთი** და **ათი** დაკავშირებულია თითებთან: **ერთი=ცალი თითის** რაოდენობა, **ხუთი=რაოდენობა ცალი ხელის თითებისა**, **ათი=რაოდენობა ორივე ხელის თითებისა** (უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამგვარი თვლა ქართველ ხალხს თვისი კულტურის პირველ საფეხურზე შემოუღია).—„სიბრძნე-სიცრუის წიგნში“ საბა ორბელიანი ბევრგან **თითო-ს** მხარობს; აგრეთვე „ქართლის ცხოვრება“-შიც აქა-იქ ნახმარია ეს მართლწერა; დღევანდელ მწერლობაში კი **თითო** გაცილებით უფრო ხშირათ იხმარება. ამ საფუძველებისა გამო უფრო სამართლიანი იქნება ფორმა **თითო** მივიღოთ, და არა **თვითო**. ამასთანავე თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ **მ-**ზე დაბოლოებული სიტყვები **მ-**ს არ კარგავს (გამორიცხვას შეადგენს **ღვინო**), ცხადი იქნება, რომ **თითოეული** უნდა ვინმართ, და არა **თვითეული** ან **თითეული**, და ეს ფორმა (**თითოეული**) საკმაოთ გავრცელებულიცაა როგორც ხალხში, ისე მწერლობაშიც.

5. **ბგ. მე-9.** კომისიას მიუღია **წმინდა**, და უარუყვია **წმიდა**. მე მგონია ორივე სიტყვა უნდა დარჩეს, რადგან მათ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ. მართლწერა მათში შეიძლება ავირჩიოთ, როცა რომელიმე ერთი ცნება ორით ან რამდენიმეგვარი ფორმით გამოიხატება, ხოლო შეუწყნარებელია ქართულ ენას მოვუხპოთ საშვალეება გამოხატოს ორი სხვადასხვა ცნება—**წმინდა=სუფთა** და **წმიდა=უმწიკვლო**—სხვადასხვა მართლწერით, ისე როგორც სხვა ენებსაც აქვს ამის საშვალეება, მაგ. ფრანგულს (*pur* და *saint*), რუსულს (*чистый* და *святой*).—რაც შეეხება ფორმებს **მკვიან, გკვიან, ჰკვიან** და სხვ., არ მესმის—რატომ არის აქ აუცილებელი ბოლოში **ნ?** ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ ძველათ **მრკვიან** იხმარებოდნენ? ძველათ ამ ფორმებს ბგერა **რ-ც, ახლდა, ხოლო დღეს რ** აღარ იხმარება, და თუმცა **ნ** ბოლოში დღეს ხმარებაში ბევრგან დარჩენილა, მაგრამ უნარო ფორმა ცოცხალ ენაში, ჩემის აზრით, უფრო ხშირია, ვიდრე **ნ-არიანი**, და ვისაც სწამს პრინციპი ენის გამარტივებისა და გაკეთილშობიანებისა, მათ უნარო ფორმები უნდა აირჩიონ და მით, როცა ეს შესაძლებელია, თავიდან აიშორონ თანხმობანთა ისეთი უსიამოვნო შეჯგუფება, როგორიც არის, მაგალ, თქვენ **გკვიანთ**.

6. **ბგ. მე-12.** ა) კომისიამ დაადასტურა **მ-ანის** დაკარგვა ფორმებში: **იქნება, იქნა, იქნებოდა, მექნება-ო**, ნათქვამია აქ. ჩემის აზრით, კომისიის დადგენილებაში აქაც ისეთივე შეცდომაა, როგორც **წმინდა** და **წმიდა-ს** შესახებ: უმანო ფორმას სხვა

მნიშვნელობა აქვს, და მ-ანიანს სხვა; იქმნება ნიშნავს: კეთდება, ეწყობა, საფუძველი ან საძირკველი ეყრება; აქიდან—სალეთო წერილის აზრით: ღმერთმა ქვეყანა ექვს დღეს შექმნა, ქვეყანა ღვთისაგან შეიქმნა;—ან კიდევ: ჩვენმა ხალხმა მდიდარი პოეზია შექმნა, მეცნიერება სწავლულთა მიერ იქმნება;—ხოლო იქნება ნიშნავს იარსებებს (ან გამოვა), მაგალ.: ეს ბავში, ეტყობა, ავი იქნება.

ბ) პომისიას მიუღია თანდებული მღმ, ხოლო ამის საბადლო სხვა ფორმები (მღი, მღის, მღისინ) ყველა უარუყვია. მე კი მგონია, რომ ი-ზე დაბოლოებული ფორმა (მღი) უფრო გაერკვლებულიც არის და უფრო ადვილი გამოსათქმელიც, ვიდრე მ-ზე დაბოლოებული (მღე). ზორმის ქმდე-ს დამცველთაგან წარსულში მე შემდეგი საფუძველი მომისმენია: მუსიკაში (სიმღერაში) ე უფრო მუსიკალურ ხმოვანთ ითვლება, ვიდრე ი, და მ-ზე ხმის აწევა უფრო თავისუფლათ შეიძლება, ვიდრე ი-ზეო. მუსიკის კანონი ენის კანონს ვერ გააქარწყლებს, და ქართველ ხალხს დიდი უმრავლესობა სიტყვებისა ი-ზე დაუბოლოებია, და ძველათ იქაც კი, როცა სიტყვები ა, მ, ილ-სა და უ-ზე იყო დაბოლოებული, ამ სიტყვებსაც კი ბოლოში ხშირათ ი-ს (ღ-ს) უმატებდა. —მაგალ.: „ჰწვიმოს ცოდვილთა ზედა მახეჲ, ცეცხლი და წუნწუბაჲ“, და სხვ. (შეადარეთ დღევანდელ ხალხურს: ქართლში—ღეღაი, მამაი, მანოი, სანდროი; იმერეთში—ძმაი, დაი და სხვ.

„ვისრამიანში“ მღმ მხოლოდ ერთჯერ გვხვდება (იხ. გვ. 12: **შვილიშვილთამღე**), რამდენჯერმე ნახმარია მღის ან მღინ, ძალიან ხშირათ კი მღი (ნახეთ გვერდები: 24, 39, 64, 116, 125, 147, 171, 181, 183, 224, 244 და მრ. სხვ.); „ვეფხისტყაოსანშიც“ რამდენჯერმე მღი არის ნახმარი, უფრო კი მღის, ხოლო მღე—არც ერთჯერ; დ. ბურამიშვილსაც უხმარია აქა-იქ მღი (1881 წლ. გამოც., გვ. 18, 22, 284); აგრეთვე საბა ორბელიანსაც „სიბრძნის“-ში (1871 წლის გამოც., გვ. 106, 109, 129, 138, 144, 159, 180).—ჰველა ამ მოსაზრების გამო უპირატესობა მღი-ს უნდა მიეცეს.—მ) პომისიას მიუღია მართლწერა ბრძანება, გაზრდა, ზრდილობა, გრძელი, მრწამს.—მე მგონია, რომ ბგერა რ ამ სიტყვებში დღეს უკვე აუცილებელი არ არის: ხალხის გამოთქმაში იგი აქ ან სულ არ მოისმის, ან ძლიერ იშვიათად, ხოლო ახალ მწერლობაშიც იმგვარი მიდრეკილებაა, რომ რ-ს ხმარება მოისპოს. ხალხში დღეს თითქმის ყველგან ასე მოისმის: **მობძანდით, დაბძანდით, ბძანეთ**, რას **მიბძანებთ** ღ სხვ.; აგრეთვე: შენს **გაზდას** (ქართლში ამბობენ „შენს გარდას“-ო, მაგრამ აქ ზ აღარ ახლავს—სწორეთ იმიტომ, რომ თანხმოვანთა შეჯგუფება ზრდ ძნელგამოსათქმელათ ეჩვენებათ—და ხალხი ზოგან რ-ს აკლებს, ზოგან კი ზ-ს), **ახალგაზდა, ახალგაზდობა, — გძელი, სიგძე** (აქიდან ნაწარმოებია გვარები **ბძელიძე, ბძელიშვილი**;—შეადარეთ აგრეთვე ილია ჭავჭავაძის „ძაცია-ადამიანში“ **ბძელაძე**),—აგრეთვე **მწამს, მწამლა** (მიაქციეთ ყურადღება: ნამყო დროში „ვიწამე“, მყოფადში „მეწამება“, „ვიწამებ“). არის ორგვარი სახელზმნა: **წამება და რწმუნება**; პირველისგან ნაწარმოები ფორმებია: **მწამს, მწამლა, ვიწამებ, მწამებია** და სხვ.; მეორისგან: **ვარწმუნებ, გარწმუნებ, მერწმუნე, მერწმუნეთ, გერწმუნები**—და სხვ.;—არსებითი სახელები რ-თი დარჩება: **რწმენა, მრწამსი**.—„ვისრამიანში“ **ბრძანება**-სთან ერთად ხშირათ იხმარება მართლწერა **ბძანება**-ც (გვ. 1, 24, 97, 146, 316, 340, 388, 453);—იქვე ნახმარია მართლწერა **სიგძე** (გვ. 194, 342) და **გაზდა, გაზდილი, საზღო, გასაზღელი** (გვ. 9, 11, 12, 259 და სხვ.);—დ. ბურამიშვილიც ხმარობს **ბძანება**-ს (გვ. 10, 32, 35, 37, 39, 42, 54 და მრავ. სხვ.), აგრეთვე **საზღო**-ს, **იზდება**-ს (გვ. 82, 83);—ნახეთ, აგრეთვე საბა ორბელიანის „სიბრძნის“-ში **წიგნი**“ გვ. 73, 85 (**გაზდაში, გაუზდა**); აგრეთვე „ქართლის-ცხოვრებაში“ (სენზია ჩხეიძისა და ჰაპუნა ორბელიანის ნაწარმოებში), აგრეთვე ილია ჭავჭავაძის „ძაცია-ადამიან“-ში (**„უბძანა“**, **„ბძანდებოდეთ“**, **„სიტყვა გააგძელა“**, **„საზღო“** და სხვ.).

7. გვ. 13—17. ნაჩვენებს ხუთ გვერდზე კომისიას მოყავს ორგვარ მართლწერის სიტყვები და აღნიშნულია, თუ რომელი მართლწერა უნდა იქნეს, მისი აზრით, შემოღებული. კომისიის აზრი უმრავლესობის შესახებ კანონიერია, ხოლო ზოგიერთ არჩევანში ვერ ვეთანხმები,—სახელდობ: ა) მართლწერა **ჭკვიანი** ხალხშიცა და მწერლობაშიც, ჩემის აზრით, უფრო გავრცელებულია, ვიდრე **ჭკუიანი**, და მე ვფიქრობ, რომ **ჭკვიანი** უფრო ფართო ცნებასა და შინაარსს შეიცავს, ვიდრე **ჭკუიანი**: ეს უკანასკნელი, ჩემი შეგნებით, მხოლოდ **ჭკუის მქონებელს** ნიშნავს, უკეთ ვსთქვათ—რომელიმე ადამიანი ან ცხოველი რომ **უჭკუო** არ არის; ხოლო **ჭკვიანი** გულისხმობს **გონიერობას, გამჭრიახობას, ჭკუის სიმახვილეს**. როცა განსხვავებული მნიშვნელობისწადიან აღნიშნონ, ზოგჯერ ქართულ ენაში დაბოლოება იანი სახელის პირდაპირ ფორმას კი არ ემატება, არამედ შეცვლილ ფორმას,—ან იანი-ს მაგიერ იერი-ზე ბოლოვდება,—მაგალ.: ლეთ-იანი (და არა **ღმერთ-იანი**), **გონიერი** (და არა **გონებანი** ან **გონიანი**). ხალხში ზოგჯერ იხმარება ფორმა **ჭკვიერი-ც**, მაგრამ ეს ფორმა მწერლობამ არ მიიღო, და **ჭკვიანი** კი ხალხშიც ხშირათ იხმარება და ახალ მწერლობაშიც—და იგი უნდა მივიღოთ (ბურამიშვილსაც უხმარია ფორმა **ჭკვიანი**—ნახეთ 1881 წლ. გამოც., გვ. 6, 7, 108, 186 და სხვ.;—აგრეთვე საბა ორბ. „სიბ.-სიც.“—1871 წლის გამოც., გვ. 86, 99, 107, 187, 188—და სხვ.);—ბ) **მაგივრად, მშვენივრად**:—არ ვიცი, რატომ აძლევს კომისია ამ ფორმებს უპირატესობას, ვიდრე **მაგივრად-სა** და **მშვენივრად-ს**. ძველათ ყოველთვის **მ-ნიანი** ფორმა იხმარებოდა, და დღესაც კი **მ-ნიანი** ფორმები უფრო ხშირია ხმარებაში (ზეპირშიცა და მწერლობაშიც), ვიდრე **მ-ინიანი**, და, მაშ, რატომ ეწინააღმდეგება კომისია მისგანვე მიღებულ „პრინციპს“—**ხალხსა და მწერლობაში უფრო გავრცელებულ ფორმებს?!..** გ) **ცალიერი, ხარბუზაკი**, და არა **ცარიელი** და **ხაბურზაკი-ო**, ამბობს კომისია; მაგრამ **ცარიელი** და **ხაბურზაკი**, როგორც ვიცი, უფრო გავრცელებულია დღეს, ვიდრე წინააღმდეგი ფორმები, და რადგან ამგვარი **მეტათეზისი** ენის კანონს არ ეწინააღმდეგება, **ცარიელი** და **ხაბურზაკი** უნდა დავტოვოთ.—**წავიდა ტარიელი, მოვიდა ცარიელი**—ო, ამბობს ხალხი; „ვისრამიანში“ ყველგან **ცარიელი-ა** ნახმარი (გვ. 48, 316, 254 და სხვ.); „მეფხისტყაოსნის“ ყველა ვარიანტში ვკითხულობთ: „არ დაარჩენს **ცარიელსა** არ ყმასა და არცა ქალსა“; იხ. აგრეთვე **ვახუშტის გეოგრ.**, გვ. 112, 150, 154, 188 და სხვ.;—დ) **ერთგული** თუ **ერდგული**?—დღევანდელს ხალხურ გამოთქმაში უფრო **ღ** მოისმის, ვიდრე **თ**, და მწერლობაშიც დღეს მართლწერა **ერდგული** იშვიათი არ არის; რაც შეეხება ძველ მწერლობას, **ვახუშტის** თითქმის ყველგან **ერდგული** აქვს ნახმარი (გვ. 298, 408); „ვისრამიან“-შიც ვპოულობთ ერთ ადგილას ამ მართლწერას (გვ. 138), და თუ კომისიამ მართლწერა **ქვიტირი** კი მიიღო, იმავე საფუძვლებით **ერდგული-ც** უნდა მიიღოს;—ე) **მსგავსი** თუ **მზგავსი**?—ხალხში ყველგან **ზ** მოისმის, ზოგან **მეტათეზისი**ც მოუხთენიათ, სადაც აშკარა **ზ** იხმარება: **მზგავსი**; რაც შეეხება მწერლობას, დღეს ორივე მართლწერა ერთნაირათ იხმარება, ხოლო ძველ მწერლობაში **მსგავსი** იხმარებოდა, თუმცა „ვისრამიან“-ში რამდენჯერმე ნახმარია მართლწერა **მზგავსი** და **მზგავსი** (გვ. 44, 214, 339 და სხვ.; ნახეთ აგრეთვე „ღავითიანი“ ღავ. ბურამიშვილისა 1881 წლ. გამოც., გვ. 12, 58, 69, 139, 155, 161, 162, 163, 165, 166, 179);—**ვახუშტიც** ხმარობს მართლწერას **მზგავსი-ს** (გვ. 86, 370). თუ რომ ამასთანავე მხედველობაში მივიღებთ ჩვენი ენის მიდრეკილებასაც, რომ ერთ სიტყვაში ერთისა და იმავე ბგერის გამეორებას ერიდება (იმერული=იმერული, გურული=გურული, ლელწამი=ლერწამი და სხვ.); მაშინ მართლწერა **მზგავსი** უნდა ვამჯობინოთ;—ვ) **წლეულს, წლევანდელი**—ეს მართლწერა მიუღია კომისიას, წინააღმდეგ **წრეულს** და **წრევანდელი**-სა, მაგრამ საფუძველი უკანასკნელ ფორმებს მეტი აქვს, ვიდრე პირველ ფორმებს: 1) „ვისრამიან“-ში ნახმარია მართლწერა **ლერწამი** (გვ.

174), **სურნელება** (გვ. 190, 211, 213, 259, 341) და **რბილი** (გვ. 259)—და ამ სიტყვების მართლწერას იმგვარივე კანონი აქვს, როგორც **წრეულს-წრევანდელი**-ს (პირველსახეა **ლელწამი, სუნნელება, ღბილი**, მაგრამ, კეთილსმოვანობისა გამო, **ლ** და **ნ** მონაფესავე თანხმოვანათ ქცეულა); 2) ხალხურ ენაში თითქმის ყველგან **რ** მოიხმის, და არა **ლ**; 3) დღევანდელ მწერლობაში **რ**-იანი ფორმა ძლიერ ხშირია; 4) ქართული ენის წესიც ხშირათ მოითხოვს, რომ ერთი და იგივე ხმა თუ ბგერა სიტყვაში არ იყოს (იხ. ამის წინ **მზგავის**-ს განმარტება)—და, ამ საფუძვლების გამო, უმჯობესია **წრეულს** და **წრევანდელი** დავსტოვოთ;—**ზ**) **ყურდგელი** თუ **კურდელი**?—მართლწერა **ყურდგელი** ძველ მწერლობაშიც იხმარებოდა ყველგან და დღესაც ხშირათ ხმარობენ, ხოლო ხალხურ ენაში დღეს ორივე ფორმა იხმარება (ვგონებ ერთნაირაჲ). ძირეული წარმოების მიხედვით (ყური+გძელი) ეს სიტყვა შ-არით უნდა იწყებოდეს—და სჯობია **ყურდგელი** დავსტოვოთ;—**შ**) **თფილისი**—**თბილისი**—**თფილისი**:—შუუწყნარებლათ მიმაჩნია არგუმენტაცია, რომლის ძალითაც დღეს მართლწერა **თფილისი**-ა მიღებული. მართადერთი საბუთი ის არის, რომ ძველ მწერლობაში რატომღაც **თფილისი** იხმარებოდა, ხოლო დანარჩენი ყოველგვარი მოსაზრება ამ საფუძველს ეწინააღმდეგება: ა) თანხმოვანთა კომბინაცია **ტფ** არცერთ სიტყვაში არ გვხვდება—და არც შეიძლება იყოს, რადგან იგი მეტათ ძნელი გამოსათქმელია; ბ) ხალხის გამოთქმაში არა თუ **ტფ**, არამედ **თბ**-ც (თბილისი) არ მოიხმის,—იქ ყოველთვის **თფ** (თფილისი, თფილი, გათფობა) ისმის, რაიც დამამტკიცებელია იმ თვისებისა, რომელიც ქართულ ენაში არსებობს, ე. ი. რომ **რბილ***) ხმასთან (ბგერასთან) **რბილი** ხმა მოიხმის, ხოლო **მაგართან**—**მაგარი***)**.** ეს ფონეტიკური თვისება ქართული ენისა იმდენათ მტკიცეთ და ურყევლათ მიმაჩნია, რომ აქ მწაღია იგი ერთხელ კიდევ ვრცლათ განემარტო (იხ. აგრეთვე ჩემი „სალიტერატურო ქართული“ და ვრცელი გრამატიკა).—**ხმები** (ბგერები) **ბ, გ, პ, ჰ, ტ, წ**—ჩემი ტერმინოლოგიით—**მაგარი ხმები**: მათი გამოთქმის დროს წკრიალა, წმინდა ხმა მოიხმის; ხოლო **ხმები** (ბგერები) **თ, ფ, ძ (ლ, შ, ხ), ც**—ჩემივე ტერმინით—**რბილი ხმები**: მათი გამოთქმის დროს დარბილებული, დანახებული ხმა მოიხმის. თ თითქო ორი ხმისაგან შესდგება: **ტ+ჰ** (=ევროპ. th), **ფ=პ+ჰ** (=ევროპ. ph), **ძ=ძ+ჰ** (=ევროპ. k), **ლ=მ+ჰ** (=ევროპ. gh), **ც=წ+ჰ** (=ევროპ. tš).—ხალხის გამოთქმაში ძირეულ სიტყვებში არაოდეს არ მოიხმის შემდეგი კომბინაციები: **ბპ ან ჰბ, ტპ ან ჰტ, კც ან ცპ**, ე. ი. **რბილი** და **მაგარი** ერთად,—არამედ ყოველთვის **რბილი**—**რბილთან** (**ფპ, თპ, ძც** ან პირუკულმა) და **მაგარი**—**მაგართან** (**ბბ, პპ, ტბ, ტპ, წპ** ან პირუკულმა) და სხვ.;—

*) პრ.ფ. გ. ახვლედიანი თავის გამოკვლევაში („მკვეთრი ხშულნი ქართულში“, თფილ. უნივერსიტეტის მოამბე II, 1922—1923) ამბობს: „შუხარდტის მიერ **პტჰ**-სთვის მიღებული „მტიცე“ (hart) გულისხმობს **შთფ**-ს „რბილ“ (weich) თანხმოვანებად, რაც მიუღებელია ყოველი თვალსაზრისით“—ო. ძარგი იქნებოდა, რომ ავტორს ეს „თვალსაზრისები“ განემარტებია. პ.ფ. ახვლედიანი ალბათ უმთავრესათ იმას გულისხმობს, რომ **რბილი** კონკრეტულ—თვალსაჩინო საგანზე შეიძლება ითქვას, ხოლო იმისთანა განყენებულ საგანზე, როგორც **ბგერა**-ა, **სირბილეს**-ს წარმოდგენა ფიზიოლოგიურათ შეუძლებელიაო. მაგრამ მე მგონია, რომ ამგვარი მოსაზრება საფუძვლიანი არ არის. თუ რომ ადამიანის ხმა-ზე კი ვიტყვი, რომ ამ მომდერალს საუცხოო **რბილი ხმა** აქვსო (რუსები ამ შემთხვევაში ხმას **ხავერდის სირბილეს** უფარდებენ და ამბობენ: **гаражиный—ხავერდისებური რბილი ხმა**), რატომ **ბგერა**-ზე არ შეიძლება ასევე მეტაფორულათ აზრის გამოთქმა?! ამგვარი მეტაფორული მნიშვნელობითა მაქვს მე განმარტებული ტერმინები **რბილი** და **მაგარი** ჩემ „სალიტერატურო ქართული“—იხ. გვ. 95 და შემდგ.—და ამ ტერმინებს დღესაც უცვლელათ ვსტოვებ. ს. ხ.

მაგალითები: ფჰელი, იჰელი, ხეითჰი, ზათჰი, ძჰევა (მოქცევა, გაქცევა), ძჰია (მღი-
ნარეა), ცჰერა და სხვ.; ბჰერა, აბა, აჰკი, კჰურება, ტბა, ტჰენა, ტჰილი, წჰკელი,
მწჰრივი, უბჰილი და სხვ.

შენიშვნა. ფჰ-სა და თჰ-ს, აგრეთვე კჰ-ს, ტჰ-ს, წჰ-ს პირუკულმა კომბინა-
ციები (ძჰ, ძთ, კჰ, ძტ, კწ) ჩვენი ენის ლექსიკონში არ მოიპოება (მხოლოდ
ქვემოიშვარულს ხალხურ გამოთქმაში მოისმის: ძჰილი, კჰილი, ძტე—ე. ი. კლდე,
ნოჰტა=მოკვდა, და სხვ.).— როგორც ტ-არის, ისე დ-ონის წინაც ხმა კ მეტათ
იშვიათია, მაგრამ სალიტერატურო ენაშიც ვპოულობთ ძდ კომბინაციას: **კდემა,**
კდემაფოსილი. ხ-ანის წინ უსათუოთ **რბილი ხმა** ინმარება როგორც ხალხურ-
ში, ისე სალიტერატურო ენაშიც: **თხა, თხელი, თხრილი, სამოთხე, ოთხი,**
თხრობა (მოთხრობა); უხა (ფხიანი), უხაკური, ზაუხული (გაზაუხული) ღ სხვ.;—
კომბინაციები **ბხ, ღხ, გხ, ტხ** და **მზგ. სხვ.** (ე. ი. ხ-ანის წინ მაგარი ხმები)
ქართულს ძირეულ სიტყვებში არ გვხვდება, არამედ—მხოლოდ ნაწარმოებ ფორ-
მებში (რთულ სიტყვებში და პრეფიქს—ფლექსიებთან),—მაგალ.: **მრუღხელიანი,**
მეტხანათ, ბხედავ, და სხვ.—ხ-ს შემდეგ კი სალიტერატურო ენაში მაგარ ხმებს
ვხვდებით (**ხდა, მოხდენა, სხდომა, ტახტი, ხტომა და სხვ.**), თუმცა ხალხურში
რბილი გამოთქმა ხშირია (**მოხთა, მოხთენა, წახთენა, გამხთარი, მოხთენილი**
და სხვ.).—ც-ანის წინაც და შემდეგაც ხალხურში ყოველთვის რბილი ხმა მოი-
სმის (იხ. წინ), მაგრამ მწერლობაში უფრო ხშირათ ც-ს შემდეგ **ღ-ს** ხმარობენ:
ცდა (მოცდა, გამოცდა). ძველ მწერლობაში კომბინაცია **ცთ** ინმარებოდა იქ,
სადაც დღეს ხშირათ **ცღ-ს** ხმარობენ: **შეცთომა, ცთუნება, ცთომილი** (საღვთო-
წერილის წიგნები, „ვისრამიანი“, „ვეფხისტყაოსანი“ და სხვ.). ღღესაც ბევრი
მწერალი **შეცთომა-სა** და მზგავს მართლწერას ხმარობს—და ამიტომ საფუძვლია-
ნათ მიმაჩნია, რომ სალიტერატურო ენაში მართლწერა **ცთა (მოცთა, განცთა...),**
შეცთომა და სხვ. მზგ. ვიხმაროთ. როცა ძირს **ცთ-ს** ხმოვანი ჩაერთვის და სი-
ტყვა გახმოვანდება, მაშინ, თანახმათ **გამოთქმისა, ღ** იჩენს თავს: **გამოსცაღა,**
მოიცაღა და სხვ.

მე-19 საუკუნეში შემოიღეს მართლწერა **სექტემბერი, ოქტომბერი, რედაქ-
ტორი, დირექტორი** და სხვ.—და ჰომისიასაც მიუღია ეს მართლწერა (გვ. 50),
როცა ამ მართლწერას არავითარი გასამართლებელი საფუძველი არ აქვს. ძველ
მწერლობაში ჩვენ გვხვდება მართლწერა **სეკდენბერი, ოკდონბერი** (ან **სეკდემ-
ბერი, ოკტომბერი**), ე. ი. კომბინაცია ძდ, რომელიც თუმცა ევროპული ენის
(ლათინურის) ფუძისაგან განსხვავდება, მაგრამ მაინც ჩვენი ენის იმ კანონს ემორ-
ჩილება, რომელიც ზევით აღვნიშნეთ (**მაგარი ხმები ერთად—ძდ**). ბატონიშვილი
ვახუშტი ხმარობს მართლწერას **ოკტომბერ-ს** (იხ. მისი „ისტორია“, გვ. VII); ღავ.
ბურამიშვილს უხმარია მართლწერა „**სექტენბერს**“ (გვ. 316);—ხოლო გაუგება-
რია, რატომ უნდა მიეცეს უპირატესობა თანხმოვანთა კომბინაციას **ძტ-ს**, როცა
ამგვარი გამოთქმა ჩვენი ენის კანონსაც ეწინააღმდეგება (იხ. ზევით) და იმ ენის
ფუძესაც, საიდანაც სიტყვები მიგვიღია (oktombier, directeur და სხვ.)?! ც-სთან,
რასაკვირველია, ძ უნდა ვიხმაროთ, თანახმათ ჩემ-მიერ აღნიშნულის ჩვენი ენის
კანონისა (რბილ ც-ანთან მაგარი ძ რბილდება და გამოდის კომბინაცია ძძ:
რედაქცია, ინსპექცია, კოლექცია—და აქ ძ-ს ალაგას ძ წერაკითხვის მცოდნე
მწერალს ჯერ ვგონებ არც უხმარია, და ჰომისიას ეს მართლწერა, ჩემის აზრით,
ტყუილათ გაუხთია საკამათოდ);—ხოლო კომბინაცია ძტ მისაღები არ არის—ღ
უნდა მივიღოთ მართლწერა **სექტემბერი, ოკტომბერი, დირექტორი, რედაქტორი**
და მზგ. სხვ.;—გ) ზევით აღნიშნული კანონის (**რბილთან რბილი ბგერა, მა-
გართან-მაგარი**) განმარტებას შემდეგ ერთხელ კიდევ მინდა **ტფილისი-ს** მართლწე-

რის შესახებ ორიოდ სიტყვა დავემატო. — მე-18 საუკუნიდან მწერლობაში მართლწერა **ტფილისი** საგრძნობლათ შეირყა ზ ხშირათ იხმარება **თფილისი** ზ **თბილისი** („ქართლის-ცხოვრება“, „ღავეთიანი“ ზურამიშვილისა ზ სხვ.); ზურამიშვილს ყველგან მართლწერა **თფილისი** აქვს ნახმარი (1881 წლის გამრც., გვ. 51, 53, 54, 55, 91, 93); ხოლო დღეს ხალხურ ენაში ხომ, როგორც ზევითაც არის ნათქვამი, უმთავრესათ **თფილისი** (თფილი, გათფობა) გამოითქმის, და დღევანდელ მწერლობაშიც ხშირათ **თფილისი** იხმარება. საკვირველი კიდევ ის არის, რომ ამავე სახელწოდების ძირიდან ნაწარმოებ ზედსართავ სახელსა და ზმნას **თბ** კომბინაციით სწერენ (**თბილი**, **გათბობა**), ხოლო ქალაქის სახელს კი **ტფ** კომბინაციით!.. ამ სახით, ყოველგვარი მოსაზრება გვიკარნახებს; რომ **თფილისი** მივიღოთ.— ღღევანდელ დღეს, ამ უკიდურესათ დემოკრატიულ ხანაში, ძველი **„ისტორიული მართლწერის“ ტფილისი**-ს მიღება, ე. ი. მიღება მკვდარი ფორმისა და ძველი დროის ჩვეულებასა და ისტორიაზე დამყარება— ერთგვარ კერპთაყვანისმცემლობას მოასწავებს, რაიც მეცნიერებისა და დღევანდელი კულტურისათვის სრულიად შეუფერებელი და შეუწყნარებელია.

8. გვ. მე-18. ვენეტიონ ბრუნვის დაჯოლოება.

„პროექტი“-ს მე-18 გვერდზე ჰომისია ამბობს: „**ბ. ახვლედიანის** სპეციალური მოხსენებისა („ყრუ mediae ქართულში“) და წინასწარ მიღებული ზოგადი პრინციპების თანახმად, ჰომისიამ ერთხმად მხარი დაუჭირა ენებით ბრუნვაში **ღ** და ბოლოვებას“-ო.

ჰომისიის ამ არგუმენტაციას რომ კაცმა ყური დაუგდოს, ასე ეგონება, რომ ეს ორი არგუმენტი— „ყრუ mediae ქართულში“ **ბ. ახვლედიანისა** და **წინასწარ მიღებული ზოგადი პრინციპი** ჰომისიისა (=ორს თანაბრად ხმარებულ ფორმაში ისტორიული ტრადიციის უპირატესობა, — გვერდი „პროექტი“-სა 5, მუხ. დ) ისეთი სასწაულთმოქმედი ან ურყვევი საბუთებია, რომ, რაც უნდა წინააღმდეგი აზრის იყოს ადამიანი, ამ საბუთებს ვერ გაეცევა! ნამდვილათ კი ჰომისიის წვევრებისაგან ამ საკითხის **„ერთხმად მიღება“** სულ უბრალო გარემოებით აიხსნება: ხუთივე წვევრი ჰომისიისა, რამდენათაც მე მათ ვიცნობ, **ბ. ახვლედიანის** მოხსენების წაკითხვამდისაც, არა თუ განწყობილი, არამედ თითქმის ყველა ერთობით მებრძოლიც იყო **ღ**— დაბოლოებისათვის, და, მათსადაამე, აქ **ერთხმად** მხარის დაჭერაში მეცნიერულ საფუძველსა და წინასწარ მიღებულ პრინციპებს კი არ უმუშავიათ, არამედ— **წინასწარ რწმენასა და წინასწარ განწყობილებას**. ჰომისიის წვევრები ხშირათ ერთმანეთს უბრალო რაშიმე ეწინააღმდეგებიან: ამის მაგალითი „პროექტ“-ში მრავალია, მაგრამ აქ ერთს დავასახელებ, რომელიც მე სხვაზედ უფრო თვალსაჩინოთ მიმაჩნია. **ღ** იდი მეცნიერული დასაბუთება არაა საჭირო იმისათვის, რომ გამოთქმები: **წიგნი ძვირი ღირს**, **სახლი იაფი დამიჯდა** (გინა **ძვირი დამიჯდა**) და **მზგ. სხვ. ქართულ ენაში აშკარა სიმახინჯეთა** ესცნოთ, ჩვენს ენაში ტლანქათ შემოჭრილ რუსიციზმათ; მაგრამ, წარმოიდგინეთ, ჰომისია ამ თვალსაჩინო ქეშმარიტებაშიც კი ვერ შეთანხმებულა, ორი წვევრი (**მკვლევარნი** ქართული ენის კანონიერი ფორმებისა და გამოთქმებისა!!) მას გამოყოფია— ზ ეს ცხადი ქეშმარიტება (**იაფად ღირს, ძვირად დაჯდა**) ძლივს ერთი ხმის უმეტესობით გადაწყვეტილა! ამას შემდეგ რა ფასი უნდა ქონდეს იმ გაცხადებას, რომ ენებით ბრუნვაში დაბოლოება **ღ** **„ერთხმად მიიღესო“?!..** რა ფასისაქ არის ჰომისიის-მიერ წინასწარ მიღებული პრინციპი— **ისტორიული ტრადიცია**, ჩვენ ეს ზევით დავახასიათეთ; ხოლო მეცნიერული გამოკვლევა პატივც. **ბ. ახვლედიანისა** („ყრუ mediae ქართულში“),

მიუხედავად ავტორის მრავალმხრივი სერიოზული დაკვირვებისა და შემეცნებისა, ჩვენ ისეთ დამარწმუნებელ საბუთად არ მიგვაჩნია, რომ ზევით აღნიშნულ შემთხვევაში ღ-დაბოლოებას თ-ს წინაშე უპირატესობა მივანიჭოთ. შეეჩერდეთ ცოტა ხანს ამ გამოკვლევაზე.

პროფ. ახვლედიანი თავის გამოკვლევას ასე იწყებს: „**ბ. სილოვან ხუნდაძის** ძლიერი გავლენის გამო (გვულისხმობთ უმთავრესად მის გრამატიკულ კვლევა-ძიებას) ქართულ სამწერლო ენაში ვენებითი ბრუნვის ტრადიციულ ღონს გაუჩნდა მეტოქე თანის სახით“-ო.— ჩემი საყვარელი ნამოწაფარი **ბ. ახვლედიანი**, როგორც ვიცი, ჩემი პატივისმცემელია—და ზევით მოყვანილი მისი სიტყვები, ეჭვი არ არის, ჩემდამი პატივისცემისა და თავაზიანობის განზრახვით არის ნაკარნახევი... მაგრამ, ამ სიტყვების შინაარსი რო მართალი იყოს, თუ რომ საფუძვლიანათ განვიხილავთ, იგი შეურაცხყოფელია ჩემი პიროვნებისა. ასე გამოდის, რომ მე ძლიერი გავლენა მომიხთენია მასაზე და ძალმომრეობით იმგვარი ფორმა გამივრცელებია, რომელიც ისტორიულ ტრადიციასაც ეწინააღმდეგება და მეცნიერების საღ მოსაზრებასაც!.. ნამდვილათ კი არცერთი ეს მართალი არ არის. ჯერ ერთი—თუ რომ ჩემი ძლიერი გავლენის შესახებ ნათქვამი მართალია, უპირველესათ ყოვლისა გავლენა იმისთანა საყვარელსა და ჩემს მოსიყვარულე მოწაფეზე უნდა გამოჩენილიყო, როგორც თვით ამ აზრის ავტორია; მაგრამ, როგორც ხედავთ, ეს ჩემი პატივისმცემელი მოწაფე იმისთანა საკითხშიც კი მეწინააღმდეგება, რომლის ქეშმარიტებაც ყოველი საღი აზროვნებისათვის ადვილი დისანახავია. ჩემს „ქართულ გრამატიკაში“ დიდი ხანია გათვალწინებულია სხვადასხვა უკანონო გამოთქმა და ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა ითქვას კანონიერათ; მათ შორის პირველი ადვილი უქირავს გამოთქმას: „რა ღირს? რა დაჯდა?—ერთი აბაზი ღირს, ერთი მანეთი დაჯდა.—უნდა ვიხმაროთ: როგორ ღირს? როგორ დაჯდა?—ერთ აბაზათ ღირს, ერთ მანეთად დაჯდა“ (მე-7 გამოც., გვ. 152).—ზინ იფიქრებდა, რომ ძლიერი გავლენის მექონი სილოვან ხუნდაძე თავის საყვარელ მოწაფეზედაც კი გავლენას ვერ მოახთენდა და მისი პატივისმცემელი ნამოწაფარი ამგვარს აშკარა უკანონობაშიც კი მის მოძულესა და უსაფუძვლოთ შეურაცხყოფელ აკ. შანიძეს დაუშვენებდა გვერდს?! (იხ. „პროექტი“-ს გვ. 42, სადაც ნათქვამია: „აკ. შანიძე და ბ. ახვლედიანი შესაძლოდ სთვლიან ფორმასაც: რა ღირს?—ასი მანეთი“). მე ისეთი ძლიერი გავლენა მექონია თურმე, რომ ჩემი მოწაფისათვის უბრალო რამ ვერ შემიგნებინებია!—„პროექტი“-ს 46-ე გვერდზე ნათქვამია: **ბ. ახვლედიანს** „შესაძლოდ მიანია ფორმა: ყველა მოწაფეები“ (ნახეთ ამის შესახებ რეივე. ჩემი გრამატიკა, გვერდი 146—147).

ასეთი ხასიათის გახლდათ საერთოდ (არა მარტო გრამატიკაში) ჩემი ძლიერი გავლენა, და ამასთან კიდევ პატივც. ახვლედიანის გაცხადება, თითქო ვნებით ბრუნვაში დაბოლოების თ-ანის გავრცელება ჩემი გავლენით მომხთარიყოს, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. აბა რა შუაში იყო სილოვან ხუნდაძის გავლენა მე-11—12 საუკუნეში, როცა „ვისრამიანშიც“ კი მრავალი თ-ანიანი დაბოლოება? ან მე-18 საუკუნეში, როცა „სიბრძნე-სიცრუის წიგნის“ ავტორსა და „ქართლის-ცხოვრების“ შემდგენელთ ძლიერ ხშირათ უხმარიათ ეს დაბოლოება? ან მე-19 საუკუნის მე-60 წლებში, როცა ილია ჭავჭავაძეც კი ერთხანს სულ თ-ანიან დაბოლოებას ხმარობდა, ხოლო მე-რე ღ-ონზე გადავიდა, მაგრამ თ-ანიან ფორმას მაინც ვერ მოეშვა და ხშირათ აქვს იგი ნახმარი თავის ნაწერებში?... არა, არა! ჩემთვის არც დაუმსახურებელი კრძალი-მენტია სასიამოვნო და არც დაუმსახურებელი შეურაცხყოფა. მე არავითარი ძალმომრეობა არ მომიხთენია—და არც შემეძლო მომეხთინა, ხოლო ჩემს მტკიცე რწმენას კი ყოველთვის სასტიკათ ვიცავდი და ახლაც სასტიკათ დავრცავ, და დავიცავ თვალსა-

ჩინო არგუმენტებით, და არა ძალმომრეობითა. და სხვა ამგვარი რაიმე „ძლიერი გავლენით“.

დავუბრუნდეთ პროფ. ახვლედიანის გამოკვლევას. მეცნიერების გზაზე ექსპერიმენტალური კვლევა-ძიება ფონეტიკის სფეროში მეროპაშიც კი შედარებით ახალი საქმეა—და ჩვენში ხომ მ. ახვლედიანი პირველი მერცხალია ქართული ფონეტიკის მეცნიერული გამოკვლევისა; განსაკუთრებით ფიზიოლოგიურ-აკუსტიური მხრით. როგორც ვიცით, ყოველს ახალ მიმართულებასა და ახალ აზროვნებას თანა სდევს უკიდურესობა—გადაჭარბებული აღფრთოვანება და გატაცება—და ამას ვერც ექსპერიმენტალური ფონეტიკა აცთებოდა. ხელოვნური სასის მანქანებთან და ექსპერიმენტებთან მე საქმე არ შექონია, მაგრამ აწერილობითაც ვამჩნევ, რომ ბევრი-რამ ამ საექსპერიმენტო მუშაობაში პრობლემატიურია, მერყევია, არ აქვს ბეჯითი—მტკიცე რწმენის თვისება და ხასიათი. ეს მერყეობა აქა-იქ პატივც. ავტორის განმარტებაშიც მოჩანს; მაგალ. მე-5 გვერდზე („შრუ media ქართულში“) ნათქვამია: „ჩვეულებრივი **ღ** (მაგ. დედა-ში) მუღერია და ამასთანავე უფშვინვო, თუმცა ფშვინვის ჩანასახი მასშიაც შესაძლებელია იყოს“-ო. როდის არის „შესაძლებელი“? და თუ შესაძლებელია, მაშინ უფშვინვო მას არ შეიძლება ეწოდოთ... მიუხედავად ამისა, იმავე გვერდზე **ღ**-ს პატივც. მკვლევარი ასე ახასიათებს: მუღერი, უფშვინვო და სხვ. მე-6 გვერდზე ნათქვამია: „მაგალ. დაბად, დავად, დად და სხვა—სიტყვის თავში ყველგან ისმის სრული მუღერობის **ღ**, ხოლო სიტყვის ბოლოში **ღ**-ს მუღერობა ისმის მხოლოდ მაშინ, თუ ამას განზრახ ვეცდებით“-ო. — მოყვანილ მაგალითებში (დაბად, დავად, დად) თავში **ღ**-ს თუ მუღერობა ემჩნევა, ეს იმის გამოა, რომ **ღ** ხმოვანის წინა ზის; აბა აიღეთ იმისთანა მაგალითი, როცა **ღ** თანხმოვანების წინა ზის,—მაგალ. ღრტვინვა, ღღეს და სხვ. ზანა **ღ** აქაც ისე მუღერია სიტყვის თავში, როგორც წინა მაგალითებში? აქ თავშიც კი მაშინ ისმის **ღ**-ს მუღერობა, «როცა ამას განზრახ ვეცდებით»: მაშასადამე, **ღ** დამოუკიდებლათ, თავისთავათ მუღერი არ ყოფილა?!—მიუხედავად **ღ**-ს მუღერობის ამგვარი მერყეობისა, პატივც. ავტორს **ღ**-სა და **თ**-ს შედარებიდან ასეთი დასკვნა გამოყავს (გვ. 5): „**ღ**—მუღერი, უფშვინვო, შეხების არე შედარ. მეტი, — **თ**—ყრუ, მფშვინავი, შეხების არე შედარ. ნაკლები“. — მესამე თვისება ამ თანხმოვანებისა (შეხების არე) ავტორს საკუთარი გამოკვლევით (ხელოვნური სასის საშუალებით) დაუდგენია—და შემდეგ განმარტავს, რომ „ბოლოკიდური თანხმოვნის დაყრუვების წესით ჩვენ ადვილათ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ **ღ**-სა და **თ**-ს შორის პირველი განსხვავების მოშლა, ე. ი. ამ პირობაში (მაგ. ვნებით ბრუნვაში) **ღ** დაყრუვდა, მაგრამ ეს სრულიად არ მოასწავებს, რომ დანარჩენი ორი განსხვავებაც მოისპო; ჩვენ კიდევ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მეორე განსხვავების დასუსტებაც (და არა მოსპობა), რადგან: ა) ფიზიოლოგიურად ყრუს უფრო ეთვისება ფშვინვა, ბ) ფშვინვის ჩანასახის შესაძლებლობა **ღ**-შიაც ესკანით; მაგრამ მესამე შედარებითი განსხვავება ძალაში რჩება.—ახლა ჩვენ შეგვიძლია ნათლათ წარმოვიდგინოთ ის ბგერა, რომელიც გვესმის ვნებითი ბრუნვის ბოლოში და რომელიც ტრადიციულად დონით გამოიხატებოდა, დღეს კი ზოგნი თანითაც გამოხატავენ. ის არ არის **ღ** და არც **თ**,—ის არის ბგერა, რომლის ბუნება ამგვარია: წინა ენისმიერი, ყრუ, უფშვინვო, შეხების არე შედარებით (**თ**-სთან) მეტი; მოკლედ: წინაენისმიერი ყრუ media (**ღ** გამოითქმის ყრუ media-დ ვნებითს გარდაც განსაზღვრულ პირობებში).—აქედან ჩანს, რომ ამ ყრუ media-ს (**ღ**-ს) შეუწარჩუნებია ორი თავისი გენეტიური (წარმოების თვალსაზრისით) თვისება და შეუძენია გარემოების მიხედვით ყრუ თანხმოვანთა (და არა მხოლოდ **თ**-სი) ერთი თვისება—სიყრუე... პრაქტიკულად საკითხის გადაწყვეტა თავისთავად ცხადია უისტორიულნიდაგოდაც: ეს ბგერა უნდა გამოიხატოს იმ ბგერის ნიშნით, რომლის

გენეტიური თვისებაც (და ისიც ორი) მან შეინარჩუნა; შეიძლება ასედაც:... იმ ბგერის ნიშნით, რომელსაც ის უფრო გავს—ეს არის ღონი“.

ამგვარი დასაბუთება, მიუხედავად «ექსპერიმენტალური» კვლევისა, მაინც თეორეტიული ხასიათისაა და პრობლემატიურია, ვინაიდან მუდგრობასა და დაყრუბებაში დ—ონის ცვალეზადობა ერთობ მერყევი თვისებისაა და, ამასთან კიდევ, ხელოვნური სასით მოხთენილი ექსპერიმენტიც შესაძლოა რაიმე გაუგებრობასაც ატარებდეს. შოველ შემთხვევაში, რეალური ცხოვრების ექსპერიმენტსა და საუკუნეთა განმავლობაში ხალხის შეგნებული ნაწილის ცხოვრებაში განმტკიცებულ ქეშპარიტებას ხელოვნურ-თეორეტიული ექსპერიმენტები წინ ვერ გადაელობება, და ხალხის ცხოვრება კი აი რას მოგვითხრობს:

პირველ საფეხურზე ჩვენს მწერლობაში ვნებითი ბრუნვის დაბოლოება, მართალია, ღ-ონით გამოხატულა, მაგრამ შემდგომ საუკუნეებში ღ-ონის მეტოქობა თ-ანს დაუწყია, და ცხადია, რომ ეს ევოლიუცია უმიზეზოთ არ მომხთარა: ხალხის ერთი ნაწილი, ალბათ, გრძნობდა, რომ დაბოლოებაში თ უფრო ადვილი გამოსათქმელია, ვიდრე ღ, და რადგან ჩვენი მწერლობის მშვენიერი თვისება თავიდანვე ისეთი ყოფილა, რომ სიტყვა ისე დაიწეროს, როგორაც გამოითქმის, ამიტომ ენის ევოლიუციის გზაზე თ-ანმა უკვე საგრძნობლათ გაიკვლია გზა, ხოლო დღეს რაც არის, ამას ყველა თვალსაჩინოთ ხედავს.

ბევრჯერ გამოთვალწინებია—და ერთხელ კიდევ გაუთვალწინებ მკითხველებს სხვადასხვა დროის საერო თვალსაჩინო თხზულებებში ვნებით ბრუნვაში (და აქიდან ნაწარმოებ ზმნისასათებში) თ—დაბოლოების მაგალითებს: 1) „ვისრამიანში“: წინათ, საპატიოთ, ანასდათ, დღეთ (=ღამე დღეთ შექქენ), სანახავათა, საპასუხოთ, ცუდათ, ბიჯათ, რათ, ჯოჯოხეთათ, ქარათ (ნახეთ გვერდები: 4, 5, 34, 50, 58, 70, 104, 106, 185, 207, 219, 239, 246, 333);—2) „სიბრძნე-სიცრუის წიგნი“ (1871 წ. გამ.): საგზლათ, მეორეთ, ამხანაგათ, დიდათ და მრავ. სხვ...—ვინაიდან მრავალი მაგალითია, აქ მხოლოდ გვერდებს აღვნიშნავ (სადაც ზოგან ორი-სამი მაგალითიც გვხვდება): 10, 19, 23, 29, 30, 31, 32 33, 35, 41, 47, 55, 57, 62, 67, 95, 99, 112, 115, 126, 127, 136, 139, 151, 170, 179, 180, 188, 189, 194;—3) მეცხრამეტე საუკუნეში მე მხოლოდ ორ მწერალს დავასახელებ, რომელნიც ძველ ორთოგრაფიას დიდათ არ შორდებოდენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თ-დაბოლოებას მაინც ხშირათ ხმარობდენ: ილია ჭავჭავაძეს (განსაკუთრებით „პრიტიკულ წერილებში“ და „ცხოვრება და კანონში“, ბევრგან სხვა თხზულებებშიც);—ზრიგოლ შიფშიძეს (იხ. მის-მიერ დაწერილი ბიოგრაფია ილია ჭავჭავაძისა და სხვა ნაწერებიც);—4) შახლესი დროის ავტორებსა და დღევანდელ პრესას აღარ ვასახელებ: დღეს დაბოლოება თ ისე გავრცელებულია, რომ, თუ ვისიმე (მაგ. ღ-ონის მოტრფიალე რედაქტორისა თუ. სხვებისა) ძალდატანება არ ხთება, თ-დაბოლოება სჭარბობს ღ-დაბოლოებას.

რატომ ხთება ეს ასე? რატომ ეძლევა დაბოლოებაში თ-ს თანდათან უპირატესობა ღ-ონის წინაშე?—რასაკვირველია, არა „სილოვან ზუნდაძის ძლიერი გავლენით“, როგორც პატივც. ზ. ახვლედიანი გვარწმუნებს, არამედ იმიტომ, რომ ის რბილი და ყრუ გამოთქმა, რომელიც ვნებითი ბრუნვის დაბოლოებაში მოისმის, წინააღმდეგ პროფ. ახვლედიანის გამოკვლევისა, თ-ანით უფრო ადვილათ გამოითქმის და გამოიხატება, ვიდრე ღ-ონით. ვიმეორებ: ენის ევოლიუციის გზაზე მწერალთა დაკვირვება და მახვილ ცოცხალ სმენასთან გამოთქმის შეთანხმება ბევრათ უფრო ძლიერია, ვიდრე მშრალი თეორეტიული მსჯელობა და ხელოვნური სასის მანქანები ექსპერიმენტალური მეცნიერებისა.

კიდევ მოვიყვან რამდენმე მაგალითს იმის დამამტკიცებელს, რომ არა მარტო ვნებითი ბრუნვის (აგრეთვე ვითარებითი ზმნისართების) დაბოლოებაში, არამედ სა-

ზოგადოთ ბევრი სხვა ფორმის დაბოლოებაშიც ჩვენს ენას **თ**-ანი აურჩევია; და არა **ლ**-ონი: 1) **ბრუნვებს** შორის ურყეველი **თ**-ანით დაბოლოებულია სამი ბრუნვა: ორივე რიცხვის **მოქმედებითი**—**კაცი(თ)(ა), კაცები(თ)(ა)**—და **მრავლობ.** რიცხვის **ნათესაობითი** და **მიცემითი** მეორე დაბოლოებისა—**კაცი(თ)(ა), ხოლო ღ-ონით**—**მარტო ვნებითი ბრუნვა** ორივე რიცხვისა; მაგრამ როგორი მერყევი აღმოჩნდა აქ **ღ**—დაბოლოება, ეს ჩვენ ზევით დავინახეთ;—2) **აღამიანთა სახელებში** არის რამდენიმე ქართული ან გაქართულებული სახელი, რომელიც **თ**-ანით ბოლოვდება, **ღ**-ონით კი—**არც ერთი**,—მაგალ.: **ღავით(ი), ასმათ(ი), სეით(ი)***. საგულისხმოა, რომ სახელი **ღავით(ი)** უცხო ენებში **ღ**-ონით ბოლოვდება: Dawid;—3) **თანდებულებში**: **ურთ, მიმართ** (კაცითურთ, კაცის მიმართ);—თანდებული **ზედ** თუმცა **ღ**-ონით ბოლოვდება, მაგრამ იმერეთში აქაც **თ** მოისმის—**და, გარდა ამისა, ამ თანდებულმა დღეს დაბოლოება ღ თითქმის სულ დაკარგა და ზე იხმარება**;—4) **ზმნისართებიც** (ადგილის მაჩვენ.) თითქმის ყველა **თ**-ზე ბოლოვდება: **საით? აქით, იქით, გარეთ, შიგნით, ქვეით, ზევით, ქვემოთ, ზემოთ**;—აგრეთვე ვითარებითი **ზმნისართი ვით** (კაცივით, მხეცივით);—**ღ**-ონით ბოლოვდება: **საღ, მანღ**,—მაგრამ **სად** მდაბიო ხალხში ხშირათ **სათ** მოისმის, ხოლო **მანღ**-ის მაგიერ ბევრგან **მაქ** იხმარება (და სრულიად კანონიერათაც: როცა გვაქვს **აქ, იქ, უფრო საფუძვლიანია მაქ** ვიხმაროთ, ვიდრე **მანღ**);—**ღ**-ონით იხმარება აგრეთვე **ფრიად, მარად, კვლად**,—მაგრამ ეს სიტყვები უფრო მწიგნობრულია, ვიდრე ხალხური, და თუ ხალხმა გამოთქვა, მის გამოთქმაში **თ** უფრო მოისმის, ვიდრე **ღ**;—5) **ნაცვალსახ.**: **თვით** (=თვითონ);—6) **შორისდებული**: **ქვით!** (=გაქვითების შეძახილი);—7) **თ**-ანით ხმარობენ ახლა ყველანი სიტყვებს: **წინათ** (ან **წინეთ**), **უკეთ** (მათ შორის **უკეთ**-ში **თ** ძირეული ბგერაა: **უკეთ**-ესესი, **კეთ**-ილი);—8) **ზმნებში**—ყველა კილოში და ყველა დროში მრავლ. რიცხვის პირველი და მეორე პირი **თ**-ანით ბოლოვდება: ჩვენა ვართ—**თქვენა ხართ**, ჩვენ ვიყავით—**თქვენ იყავით**, ჩვენ ვიყომ—**თქვენ იყომ**, და სხვ. და სხვ.

ზოგიერთებს იმის საბუთად, რომ ვნებითი ბრუნვის დაბოლოებაში **ღ** თითქო მტკიცე და ურყეველი იყოს, მოყავთ ნაწარმოები ფორმები: **გულადი, პირადი, ფერადი** და სხვ. ეს მოსაზრება მართალიც რომ იყოს, იგი იმით აიხსნება, რომ, როცა **ღ** ბოლოში ზის, იმისი გამოთქმა **თ**-ს უფრო გავს, ვიდრე **ღ**-ს; ხოლო, როცა დაბოლოება გახმოვანდება, გარკვეული **ღ** მოისმის—და მაშინ **ღ**-თ გამოვსთქვამთ და ასევე ვსწერთ, თანახმად ქართული ენის ძირითადი კანონისა: **გამოსთქვით ისე, როგორც მოისმის, და დასწერეთ ისე, როგორც გამოსთქვამთ**. მაგრამ აღნიშნული მოსაზრება მართალი არ არის. შორებები **გულადი, პირადი, ფერადი** და სხვ. ვნებითი ბრუნვისგან კი არაა ნაწარმოები, არამედ—სახელობიფისგან, და თუმცა ეს ფორმები ვნებითის ფორმას მოგვეგონებს (**გულად, ფერად**), მაგრამ ამ საფუძველს აქარწყლებს სიტყვები: **ფრიადი, ზვიადი, ღიადი, განთიადი, გულითადი, ცვალეზადი** და მზგ. სხვ., რომელთაც ვნებით ბრუნვასთან საერთო არაფერი აქვთ, და თვით ვნებითისმაგვარ ფორმებსაც რომ დავუკვირდეთ ***(პირადი, პურადი, გულადი)**, მათი შინაარსი გვიჩვენებს, რომ იქ **აღ**—მაგ. **გულაღი**—სუფიქსია, სიტყვაც სახელობითისგანაა ნაწარმოები (**გულ(ი) + აღ + ი**) და მნიშვნელობაც განსხვავებული აქვს.—სუფიქსის **აღ**-ის მაგვარია აგრეთვე ზედსართავისევე სუფიქსი **ელ**: **მრჩობლმღი, სამკუთხმღი, მორბმღი, ყბმღი** და სხვ.;—ამ ფორმებსაც ხომ ვნებით ბრუნვასთან კავშირი არ აქვს!..

ზევით ნათქვამიდან ცხადი ხდება, რომ ქართველი ხალხის სმენისათვის დაბოლოებაში **თ** უფრო ადვილი გამოსათქმელია, ვიდრე **ღ**, და ამიტომ უმრავლეს შე-

* ძველი მწერლობის სახელებში **დილარგეთ(ი)** თანით უხმარიათ, ხოლო **ჯიმშეღ(ი)** და **მოკბაღ(ი)**—ღონით; მაგრამ ქართველი ხალხის ცხოვრებაში ეს სახელები არ შესულა.

მთხვევაში ქართული ენის ფორმებს, როგორც ზევით განვმარტეთ, ო აქვს დაბოლოება, და არა ღ, და სადაც დაბოლოება ღ ყოფილა, იქაც ეს ბგერა ღ დიდ რყევას განიცდის.

ნუთუ ამდენ საბუთს შემდეგ კიდევ უნდა გავჯიუტდეთ და, ისტორიისადმი კერპთაყვანისმცემლობით, ძველი ეკლესიის ხატები ვილოცოთ და ისეთი ტლანქი გამოთქმებიც კი მივიღოთ, როგორც არის დიდად, დედად, ტფილისი და შზგავსი სხვები?!

ჩემი საბოლოო აზრი და წინადადება ასეთია: ო - დაბოლოებას იმდენი საბუთი აქვს დღეს არსებობისა, რომ უპირატესობა იმას უნდა ვაკუთნოთ, ხოლო იმის სრულიად უარყოფა ხომ ყოვლად შეუძლებელია—და, რაკი კომისია ზოგიერთ შემთხვევაში არ უარყოფს ჯერხანათ ორგვარი ფორმის არსებობას, თან-ღონის შესახებაც ასე უნდა მოვიქცეთ: ჯერჯერობით ორივე მართლწერა პარალელურათ—თანასწორი უფლებით იქნეს დატოვებული, მაგრამ ერთი პირობით, რომელიც საჭიროა აუცილებლათ იქნეს დაცული: როცა სიტყვა და, დი, დე, დო, დუ-ზე დაბოლოვდება, ვნებით ბრუნვაში ამგვარი სიტყვები ო - დაბოლოებით ვიხმაროთ (დიდაო, დედაო, ბუდეო, ღარდო, მორდუო და სხვ.), ხოლო როცა თა, თი, თე, თო, თუ-ზე, იმ შემთხვევაში—ღ - დაბოლოებით (მართაღ, მნათეღ, თოთოღ, ქართუღ).—მართლწერა და გამოთქმა დედად, დიდად და შზგ. სხვ. და აგრეთვე მნათეთ, თოთოთ და სხვ.—შეუწყნარებელია მახვილი სმენისათვის, რომელიც ვერცერთ ენაში კეთილზმოვანობისადმი მისწრაფებას ვერ უარყოფს.

9. ბგერა 19. რა საფუძვლით მიუღია კომისიას ნაკლოვანება და კამეჩი, არ ვიცი. ამერეთში ზოგან ხალხი კამეჩი-ს გამოსთქვამს, მაგრამ საერთოდ საქართველოში გამოთქმა კამეჩი მოისმის და მწერლობაშიც უპირატესობა კამეჩი-ს ეძლევა; რაც შეეხება ნაკლოვანება-ს, იგი ახალ მწერლობაში იშვიათად გვხვდება, და ძველში არავის უხმარია—და არცერთ ჩვენს ლექსიკონში მართლწერა კამეჩი და ნაკლოვანება არ არის შეტანილი, არამედ კამეჩი და ნაკლულევანება, და გაუგებარია, რათ ღალატობს კომისია თავის პრინციპს—გავრცელებული ფორმების უპირატესობას!.. იგივე უნდა ითქვას უნაგერი-ს შესახებაც: გავრცელებული ფორმა უნაგირი-ა, ძველათაც ასე უხმარიათ (მოიგონეთ, სხვათა შორის, „მეფხისტყაოსნის“... „ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა“) --და მართლწერა უნაგირი უნდა დარჩეს*).

10. ბგ. 23. კომისიას პარალელურათ მიუღია ორგვარი ფორმები: რომლისამე, ვისიმე, ვისმე და სხვ.--და რომელიმესი, ვინმესი, რომელიმეს, ვინმეს და სხვ. მეორე ფორმებს გასამართლებელი საფუძველი არ აქვს--გარდა იმისა, რომ ხალხში ეს დამახინჯებული ფორმები უფრო ხშირათ იხმარება; მაგრამ განა სალიტერატურო ენამ სიმახინჯეს ბრძოლა არ უნდა გაუწიოს?!

11. ბგ. 27. კომისიას მიუღია ფორმები: ყოფილვარ, ყოფილიყავ, მოვსულვარ, დავწოლილვარ და სხვ. (უარუყვია: ყოფილვარ, ყოფილვიყავ, მოსულვარ და შზგ. სხვ.). მართალია, ხალხის ენაში, დღეს კანონიერი ფორმები--ყოფილვარ, ყოფილვიყავ, მოსულვარ, მოსულვიყავ და სხვ.--ღარ მოისმის, მაგრამ ზევითაც ვამბობ, რომ სალიტერატურო ენა ვალდებულია აშკარა სიმახინჯეს ებრძოლოს და კანონიერობა დაიცვას, და რადგან კანონიერი ფორმები (ყოფილვარ, მოსულვარ და სხვ.) გამოთქმით ძლიერ ახლოხაა ცოცხალ ფორმებთან, ამიტომ შესაძლებელია სამწერლო ენაში--შკოლისა და ინტელიგენციის საშვალებით--შეინახოთ ის კანონიერი ფორ-

*) მე მხოლოდ კომისიისაგან მიღებულ ფორმებზე ვმჯდობ, და აქიდან ადვილი გასაგებია, თუ როდის ვიზიარებ შენიშვნებში მოხსენებულ შეხედულებას--სასწავლო კომიტეტისა და სხვებისა--და როდის არა: კომისიის დადგენილებას ვეთანხმები ყველგან, სადაც არაფერს ვამბობ.

მები, რომელიც ძველ მწერლობაში იხმარებოდა (თუმცა ძველათ ორივე ფორმა უხმარიათ) და დღესაც ზოგჯერ, ახალ მწერლობაშიც, იხმარება: მოსულვარ, მოსულვი-
ჯავ, წასულვარ, წასულვიყო და სხვ.

12. ზვ. 27—28. თავსართები 3 და ს ზმნებში:—ამის შესახებ ნახეთ I „დამატე-
ბა“-ში ჩემი რეცენზია აკაკი შანიძის წიგნისა („სუბ. პრეფ. მეორე პირისა და ობი-
ექტ. პრეფ. მე-3 პირისა ქართულ ზმნებში“).

13. ზვ. 29. მომატანიებენ, ვიწვევი (დაწვევი), წვანან, მინდისხარ;—ამათ მაგი-
ერ უფრო კანონიერათ და თანაც უფრო კეთილხმოვანათ (სალიტერატურო ენაში
კეთილხმოვანობას მეცნიერება არ უარყოფს), მიმაჩნია ფორმები: მომატანიებენ (ორი
ნ ზედიზედ გამოთქმას ამახინჯებს და, გარდა ამისა, ერთნარიანი ფორმა ხალხში
ხშირია), ვიწვეკი, დაწვეკი (ახალ ენაში ძ უფრო ხშირათ იხმარება, ვიდრე ვ, და
მე-18 საუკუნის ნაწერებში, მაგალ. „ქართლის ცხოვრებაში“, ძ-ანიანი ფორმები ძლიერ
ხშირათ გვხვდება, ხოლო ღვე. ზურამიშვილის „ღვთიანში“ და საბა ორბელიანის
„სიბრძნე-სიცრუის წიგნი“—თითქმის ყველგან ძ იხმარება),—წევან (კანონიერი ნაწარ-
მოებიცაა და ხალხშიც ხშირათ იხმარება),—მინდებხარ (ხალხში—იმერეთში—ხშირათ
იხმარება, ახალ მწერლობაშიც ხმარობენ, სხვათა შორის—აკაკიც ხმარობდა).

14. ზვ. 34. ვიქმნე, იქმნე და სხვ.—დაბოლოება ე (და არა ვიქმნა) ქომისიას
კანონიერათ აურჩევია, მაგრამ მ-ანიტაც შეიძლება ვსწეროთ და უშანოთაც (ვიქმნე
და ვიქნე), სხვადასხვა მნიშვნელობით (იხ. ჩემი განმარტება ამის წინ—მე-6 მუხ.).

15. ზვ. 34. მაწყენინა, ვაწყენინე და სხვ.—ამგვარი გამოთქმები მეტათ უსია-
მოენოა სმენისათვის (ნარიანი მარცვლების ზედიზედ გამეორება), და რადგან ხალხის
ცოცხალ ენაში ერთნარიანი ფორმა ძალიან ხშირია, ამიტომ სჯობია იგი მივიღოთ:
მაწყენია, ვაწყენიე (იხ. განმარტება ზემოთ მე-13 მუხლში—„მომატანიებენ“).

16. ზვ. 35. აქ ნათქვამია, რომ ქომისიამ შესაძლოთ სცნო პარალელურათ და-
ტოვება ფორმებისა მქვიან და მქვია-ო; „პროექტი“-ს მე-9 გვერდზე კი ნათქვამია:
ქომისიამ მიიღო ფორმები მქვიან, ჰქვიან, უარყო მქვია, ჰქვია-ო! რომელს ვერწმუ-
ნოთ?!—ამის შესახებ ჩემი აზრი ზევით მომყავს (იხ. მე-5 განმარტება)—და ნარიანი
ფორმისა (მქვიან და სხვ.) და უნაროს (მქვია) პარალელურათ დატოვებას საჭიროთ
არა ვსთვლი.

17. ზვ. 38. ქალაქის მეორე აფთიაქი, ურმის კარგი თვალი:—თუმცა ამგვარი
ფრაზეოლოგია ორაზროვნობას კი სპობს, მაგრამ თვით გამოთქმა ქართული ენის ხა-
სიათს ეწინააღმდეგება; ამიტომ მისაღებია მხოლოდ ის ხერხი, რომელიც ორაზროვ-
ნობის თავიდან ასაცთენათ ქომისიას განუზრახავს, ე. ი. შეერთებული მართლწერა
(კომპოზიტი), მაგრამ ერთი განსხვავებით: მართლწერა არა სრული შეერთებით, არა-
მედ მცირე-ხაზით (დეფიზით) სჯობია აღინიშნოს—ასე: ქალაქის-აფთიაქი, ურ-
მის-თვალი (მეორე ქალაქის-აფთიაქი, კარგი ურმის-თვალი) და სხვ. სრული შეერთებით
შესაძლოა მხოლოდ იმისთანა რთული სიტყვა გამოიხატოს, რომელსაც დღემდე ხმა-
რებაში უკვე ამგვარი სახე შეუთვისებია,—მაგალ.: ცისკიდე, ცისკამარა, ზღვისპირი,
მიწისმუშა, ქალაქისთავი, მეფისშვილი (მეფისწული, უფლისწული); გულისხმა,
თვალისჩინი, ხელისუფალი, თავისქალა, დათვისბელი, ტყისმცველი, ტყისკაცი და
მზგ. სხვ.; ხოლო დანარჩენი (ჯერჯერობით მაინც, სანამ თვალი და სმენა სრულ შეერ-
თებას შეეჩვეოდეს) დეფიზით სჯობია ვსწეროთ: მალალი ვაშლის-ხე, ძეგლი ხის-
ტოტი, გემრიელი ცხვრის-წორცი, მშვენიერი დაფნის-გვირგვინი, მგრავინაი ზარ-
ბაზნის-ხმა, ობლათ დარჩენილი შვლის-ნუკრი, კარგი ურმის-თვალი, პირველი ქალა-
ქის-აფთიაქი და სხვ.

18. ზვ. 39. მეფე ღვითის, მეფე ღვითის, მეფე ღვითმა—ასეთი შეთანხმება
მიუღია ქომისიას, და, სამწუხაროთ, ამის საფუძველი კი არ მოყავს (საერთოდ „პრო-

ექტი“-ს ნაკლათ უნდა ჩაითვალოს, რომ კომისიას არსად თითქმის საფუძველი არ მოყავს, როცა, სანამ საბოლოოთ ჩვენი ენის ფორმები და მართლწერა არ შემუშავებულია, მონიტერსე მკითხველისათვის სწორეთ საფუძვლებია საგულისხმო, და არა დაუსაბუთებელი მხოლოდ გემოვნება და არჩევანი კომისიისა!). ძველათ ხომ სრული შეთანხმება იხმარებოდა, და ახალ ენაშიც—განსაკუთრებით მწერლობაში, და ზოგჯერ ხალხშიც—სრული შეთანხმება ამ შემთხვევაში იშვიათი არ არის, და ვინაიდან შეკვეცილი შეთანხმებით ზოგჯერ შესაძლოა ორაზროვნობა დაიბადოს, ამიტომ სრულ შეთანხმებას უპირატესობა უნდა მიეცეს.—მოვიყვანოთ მაგალითი: შეეხვეწა ბრძენი მეფე ღავითს,—რა აზრია აქ: ბრძენი მეფე შეეხვეწა ღავითს, თუ ღავით მეფეს ბრძენი შეეხვეწა? როცა სახელი წინა ზის (ღავით მეფე, ღამიტარი მეფე), მაშინ სახელი (ღავით) და განმარტება (მეფე) ისე შექსოვილია ერთმანეთთან, რომ ერთი მთლიანი სიტყვის მნიშვნელობა მოისმის, და, მაშასადამე, ორაზროვნობას ამ შემთხვევაში ადგილი არ აქვს; ხოლო მეორე შემთხვევაში კი (მეფე ღავითი) სრული გაერთიანების აზრი არ იბადება, არამედ—თითოეული სახელისა ცალკე (მეფე ღავითი), და ამიტომ ორაზროვნობა აქ ადვილი მოსალოდნელია, და რადგან, ამასთანავე, გამოთქმა მეფე ღავითი, მეფე ღამიტარი და სხვ. მწერლობაში წინათაც სრულათ იბრუნვოდა ხოლმე და ახლაც ხშირათ ასე იბრუნვის, ამიტომ უმჯობესია სრული ფორმები მივიღოთ: მეფის ღამიტარის, მეფეს ღამიტარის, მეფემ ღამიტარიმ და სხვ. (იხ., სხვათა შორის, ილია ჭავჭავაძის „ღმ. თავდადებული“, სადაც ნახმარია: „გული მეფის ღამიტარისა“).

19. ზგ. 41.—„ორი მსაზღვრელი სიტყვიდან წინა სიტყვა სრული დაბოლოებით უნდა შევეუთანხმოთ მთავარს, ხოლო უკანასკნელი—ბოლოშეკვეცილიად“-ო, ამბობს კომისია—და მოყავს მაგალითი: „კეთილი და ბრძენი კაცი, კეთილისა და ბრძენი კაცის, კეთილსა და ბრძენ კაცს“ და სხვ. როცა ორ სიტყვას შორის კავშირი ღბ არის, მაშინ წინა სიტყვა—გინდ მსაზღვრელი იყოს და გინდ სხვა რამე სახელი, ყოველთვის სრული დაბოლოებით იხმარება: ქალისა და ვაჟის(ა), ქალსა და ვაჟს(ა), მეცა და შენც(ა), აქაცა და იქაც(ა) და სხვ.;—კომისიას კი უნდა გაერკვია, თუ როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როცა რამდენიმე მსაზღვრელი სიტყვაა ერთად,—მაგალ. ასე: კეთილი, ბრძენი, მშვიდი, პატიოსანი ადამიანი,—როგორ უნდა ვაბრუნოთ ამ შემთხვევაში წინა სიტყვები—სრული დაბოლოებით თუ შეკვეცილით? მე გგონია—სრული დაბოლოებით: კეთილისა, ბრძენისა, მშვიდისა, პატიოსანი ადამიანისა, —ლსა, —ნსა, —დსა, —სან ადამიანსა და სხვ. (ნაწ. ჩემი სრული გრამ., მე-7 გამოც., გვ. 48).

20. ზგ. 42. წიგნი ორი მანეთი ღირს, სახლი ათასი თუმანი დამიჯდა—და მზგავსი გამოთქმები ქართული ენისათვის ყოვლად შეუფერებელია—და კომისიას ძლივს ხმის უმეტესობით გაუყვანია კანონიერი გამოთქმები: ღირს ორ მანეთად, დამიჯდა ათას თუმნად და სხვ.! რა ღირს?—ათი მანეთი ღირს—და სხვა ამგვარი გამოთქმები ქართულ ენაში რუსული ენის გავლენითაა შემოჭრილი (что стоит?—десять рублей стоит), და ბუმცა ბევრგან ეს წესი ხალხურ ენაშიც შეიჭრა, მაგრამ ევ სიმახინჯე ენისა იმდენათ უსიამოვნო და არასასურველია, რომ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმის განდევნისათვის; ამგვარი ღონეა შკოლა, მაგრამ დღევანდელი მასწავლებელი ქართული ენისა არა გრძნობს მოთხოვნილებას შეებრძოლოს ქართულ ენაში შემოჭრილ სიმახინჯეებს—და ამიტომ არის, რომ იშვიათად შეხვდებით მოსწავლეს, როცა რასმე ყიდულობს, არ იკითხოს ამ რუსიციზმით: რა ღირს-ო. მასაოცარია, რომ კომისიის ორ წევრს შესაძლოთ დაუნახავს ამ მახინჯი რუსიციზმის გამეფება ჩვენს ენაში.. საბრალო შოთა რუსთველი! რა იცოდა, რომ ცნობილ ფრაზას: „და რა ტურფა გაიფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად“-ო, ან კიდევ: „ეგე სწავლა ჩემთვის ყოვლად

სოფლად ღირდეს“-ო-მეოცე საუკუნეში გაუსწორებდენ, თვარა თავიდანვე „კანონიერათ“ დასწერდა: ალარა ღირს არცა ჩირი-ო, და ეგე სწავლა ჩემთვის ყოველი სოფელი ღირდეს-ო!.. არ შემოდლია ჩემი მწუხარება და გაცემა არ გამოვსთქვა, რომ ქართული ენის სხვადასხვა კანონის მკვლევარი პროფესორები „შესადლოდ სთვლიან“ ასე „ვიქართულოთ“: შენი დახმარება ძვირი მიღირს,— „როგორც გიჭირდეს, ის გიღირდეს“ (და არა „ისე გიღირდეს“, როგორც ხალხს უთქვამს),— ტანისამოსი იაფი ღირს,— მტრის განდევნა ათასი კაცის სიცოცხლე დაგვიჯდა, და სხვ. და სხვ.!— ბასაოცარია აგრეთვე ისიც, რომ ჰომისიას სადავოთ უცენია და საკამათოდ გაუხთია გამოთქმები: **კაცმა მოკვდა, მამამ მოვიდა—თუ კაცი მოკვდა, მამა მოვიდა—**და უკანასკნელი გამოთქმები მიუღია (არ ვიცი—ერთნაშთ მიიღეს თუ ხმის უმეტესობით!).. ბასაოცარია იმიტომ, რომ **კაცმა კოკვდა** ანბანის მკოდნე მწერალს ჯერ არ უხმარია, და თუ ხალხური სიმახინჯეები ქონდა ჰომისიას მხედველობაში, მაშინ ამისთანა ათასი სხვა გამოჩნდება.

21. გვ. 43. **მცხეთის აქეთ, ბორის იქით, მდინარის გაღმა, მტკვრის გამოღმა, კალთის ქვეშ.**— შპირველესათ უნდა შევნიშნო, რომ ჰომისიას თავისი „პროექტი“-ს 36-ე გვერდზე სამართლიანათ მიუღია მართლწერა **აქით** და უარუყვია **აქეთ**; აქ კი (გვ. 43) ზედიზედ სამჯერ მართლწერას **აქეთ-ს** ხმარობს! როცა მართლწერა **იქით** საყოველთაოთ მიღებულია, მასთან აუცილებლათ მართლწერა **აქით** უნდა იქნეს მიღებული, რადგან მათი წარმოება ერთნაირი ხასიათისაა.— რაც შეეხება ბრუნვას, მე მგონია— ამ გვერდზე აღნიშნულ ზმნისართებთან მიცემითი ბრუნვის ხმარებას უნდა მიეცეს უპირატესობა, და არა ნათესაობითი ბრუნვისას, რადგან ძველ ენაში მიცემითი იხმარებოდა — **ცას ქვეშ**, და არა **ცის ქვეშ**, და ახლაც **ცასქვეშეთი-ო**, ამბობს ხალხი, რაიც მიცემით ბრუნვას გულისხმობს; ნათესაობითი ბრუნვა მაშინ იხმარებოდა, როცა ზმნისართი სამართავი სიტყვის წინ იდგა,— **ვაგალ. ქვეშე ქვეყანისა**; ასეთი უნდა იყოს დანაჩრჩენი ზმნისართების წესიც (**აქით, იქით, გაღმა, გამოღმა**); მაგრამ ზმნისართებს **მარჯვნივ-სა** და **მარცხნივ-ს** ნათესაობითი ბრუნვა უფრო შეეფერება, ვიდრე მიცემითი: **ივანე ჩვენი სახლის მარჯვნივ** (გინა **მარცხნივ**) ცხოვრობს (და არა **ჩვენ სახლს მარჯვნივ**, გინა **მარცხნივ**).— **ვახუშტი** უფრო ხშირათ მიცემითი ბრუნვის მართველობას ხმარობს, ვიდრე ნათესაობითისას: **მთას იქით** (გვ. 120, 128, 314, 350, 372), **ხონს იქით** (352), **ლიახვს გაღმა** (256).

22. გვ. 44. შეკვეცილობრუნვიანი ფორმები: **წყალ-გაღმა, თავ-ქვეშ** და სხვ. უმჯობესია დეფიზით დაიწეროს, რადგან ბრუნვის დაბოლოება **ს** დაკარგულია; ბოლო-მოკვეცილი სახელის ცალკე დაწერა (**წყალ გაღმა**) უაზრო იქნებოდა, ხოლო თანდებულთან სრულ შეერთებას (**წყალქვეშ**) ის უშლის ზელს, რომ ზმნისართი-თანდებულები **ქვეშ, გაღმა, გამოღმა** და სხვ. სამართავ სიტყვებს არ უერთდება (**წყალს ქვეშ, წყალს გაღმა**); იმიტომ ის საშვალო გზა დაგვრჩენია, რომ დეფიზით ვსწეროთ: **წყალ-გაღმა, თავ-ქვეშ** (და არა **წყალ გაღმა, თავ ქვეშ**, როგორც ჰომისიას მიუღია).

23. გვ. 45. ჰომისიას პარალელურათ დაუტოვებია მწერლობაში სახმარებლათ ორგვარი წყობა: **რა ნახა—ნახა რა, რა ესმოდა—ესმოდა რა**, და აქას იმით ასაბუთებს, რომ „ძველი და ახალი მწერლობა ამ კავშირს (**რა-ს**) ზმნის წინაც ხმარობს და ზმნის უკანაც“-ო. მართალია, საღვთო წერილის წიგნებში **რა** ზმნას შემდეგ უხმარიათ,— **მაგალ. „ესმა რა ესე იესოს, დაუკვირდა და რქვა ერსა მას“** (სახარ. ლუკასი, თ. 8; მუხ. 10) და **მრავ. სხვ. ორივე წყობაა ნახმარი მე-18 საუკუნის მწერლობაში**—**იხ., მაგალ., ვახუშტის გეოგრაფია, საბა ორბელიანის „სიბრძ.—სიცრ. წ.“** და სხვ.; მაგრამ უძველეს საუკეთესო საერო მწერლობაში კავშირი **რა** ყოველთვის ზმნის წინაა ნახმარი (**მაგალ. „ვისრამიანში“, „მეფხისტყაოსანში“**)—და ეჭვი არ არის, რომ, რადგან საღვთო წერილის წიგნებში ნახმარი წყობა (**ესმა რა** და სხვ.) ხალხურ ენაში არ და-

რჩენილა და არც უძველესი დროის საერო ნაწერებშია ნახმარი, იგი „კაბინეტური“ გამოთქმა ყოფილა, მთარგმნელთაგან უცხო ენის გავლენით შემოღებული, და არა ცოცხალი ენის ჩვეულება და თვისება, და ამიტომ გამოთქმები ესმოდა რა, მოისმინა რა და მზგაესი წყობა, როგორც ხალხისათვის მკვდარი გამოთქმები, სრულიად საჭირო არ არის მწერლობაში დარჩეს, როცა სამაგიერო ცოცხალი გამოთქმა გვაქვს და ჰომისიასაც მიუღია: რა ესმოდა, რა მოისმინა (ან რო მოისმინა, როცა მოისმინა, რაკი მოისმინა) და მზგ. სხვ.

24. გვ. 46. ჰომისიის ერთი წევრის გაცხადებისა და სასწავლო კომიტეტის დადგენილების გამო ღიათ დარჩენილა საკითხი შესახებ იმისა, თუ რა რიცხვში უნდა დაიხვას არსებითი სახელი რაოდენობის გამომხატველ სიტყვებსა და რიცხვით სახელებთან. ეს საკითხი იმდენათ საგულისხმოა, რომ მეტი არ იქნება მის შესახებ ჩემი მოსაზრებანი გამოვსტყვა.

როგორც საეკლესიო წიგნებში, ისე საერო ნაწერებშიც აღნიშნულ შემთხვევებში მხოლოდობითი რიცხვიც იხმარება და მრავლობითიც,—მაგალ.—1) უსალმუნი ღავითისი (1879 წლ. გამოც.): მრავლითა მოწყალებითა შენითა (ფსალმ. მე-5—მუხ. 7), ორმეოც წელ (ფ. 94—მ. 11), მრავლითა სხმდიდრითა მისითა (150—₂);—ქალაქნი მრავალნი (96—₁), მრავალ არიან მდევარნი ჩემნი (118—_{1,7});—2) სახარება მათესი: ნათესავი ათოთხმეტ (თავი I—მუხ. 17), ორმეოცი დღე და ორმეოცი ღამე (თ. 4—მ. 2), ერი მრავალი (4—₂₅; 8—₁), ორი სირი (10—₂₉), ხუთი პური და ორი თევზი (14—_{17, 19}); რაოდენი პური გაქვს?—შვიდი და მცირედ თევზი (15—₃₄), შვიდი პური, შვიდი სფირიდი (15—_{36,37});—მრავალნი ფარისეველნი (3—₇), ეშმაკეულები მრავალი (8—₁₆), ორნი ეშმაკეულნი (8—₂₈), ორნი ბრმანი (9—₂₇), ათორმეტთა მოწაფეთა, ათორმეტთა მოციქულთა (10—_{1, 2});—3) შისრამიანი (1884 წ. გამოც.),—მხოლოდობითი რიცხვის მაგალითები: ყუელა ერთმანერთისაგან უკეკლუცესი იყო (გვ. 6), ცხრა თვე (9), ათისა თითისაგან (12), მრავალი ცხენი (17), მრავალი ღიაცი (25), მრავალი ყმაკაცი (29), აზომი კაცი მოკლეს (30), ყუელა გაიქცა (32), ოცდაათი წელიწადი (44), ეზომი საქონელი გაუგზავნა შაპროს, რომელ თვით კაცისა ენისაგან არ ითქმის: ასი აქლემი კუბოთა შეკაზმული, სამასი აქლემი ღარკიდებული, ასი ტაიკი ცხენი და სამასი თუხარგი, ყუელა სრულითა აკაზმულობითა შეკაზმული, ხუთასი ჯორი კიდებული ყუელა თუალითა, მარგალიტითა და გუირგუინითა შეკაზმული იყო,.... ოქროქსოვილი ორასი ზანდუკი და დიდი ერთი ზანდუკი ოქროსა ფასდაუდებელითა სამკაულითა გატენილი იყო,.... სხვა საპალნე ორმოცი (გვ. 45);—მრავლობითი რიცხვის მაგალითები: მრავალი ხოჯანი, მკვეალნი, მსახურნი (გვ. 12), ორნი ქმარნი (67), და სხვ.

შენიშვნა. მთელ წიგნში იმდენი მაგალითია, რომ ყველასი მოყვანა შეუძლებელია. ვიტყვი მხოლოდ, რომ მხოლოდობითი რიცხვის მაგალითები მრავლობითისას თითქმის სამჯერ აღემატება, მე-100 გვერდიდან ჩვენ მხოლოდ გვერდებს დავასახელებთ მხოლოდობითისა და მრავლობითის მაგალითებისათვის ცალცალკე და აგრეთვე იმ გვერდებს, სადაც ორივეს მაგალითია ნახმარი.

მხოლოდობითი რიცხვის მაგალითების გვერდები:

- 101, 102, 108, 109, 120, 123, 127, 138, 140, 147, 152, 155, 156, 157, 159, 167, 181, 198, 216, 217, 220, 221, 227, 228, 236, 261, 279, 303, 312, 313, 322, 326, 328, 333, 341, 350, 363, 372, 378, 384, 387, 391, 397, 401, 402, 404, 410, 413, 414, 419, 420, 421, 425, 428, 437, 438, 440, 442, 444, 446, 451, 456;—მრავლობითი რიცხვის მაგალითების გვერდები: 125, 131 (ასი მკვეალნი); 141, 158, 174, 213, 229, 281, 308, 315, 321, 324, 332, 335, 347, 352, 354, 382, 388,

403, 406, 424;—ორივეგვარი მაგალითების (მხოლოდ. და მრავლობითისაც) გვერდები: 114, 149, 180, 229, 235, 307, 315, 370, 395, 431, 450, 452, 453.

4) „ვეფხისტყაოსან“-შიც მრავალი მაგალითია როგორც მხოლოდითის, ისე მრავლობითი რიცხვისა;—მხოლოდითი რიცხვის მაგალითები (აბულაძის გამოც.): ლექსი ცოტაი (წინას. ხანა XVI), მონა თორმეტი (ხანები 36, 40, 49, 57), სამსა სძებნე წელიწადსა (ბ. 95), ოც დღე იარა (109), სამი დღე, სამსა დღესა (111, 297), სამ წელ მომიცადე (118, 125), ასი ფათერაკი (125), წელიწადი სამი სამ თვედ მიიყარა (142), სავალი დღისა შვიდისნ (144), ეზომი ჯავრი (194), ექვსი სამეფო (258), შვიდისა წლისა (272), თხუთმეტისა წლისა (277), ასი საქურკლე (281), და სხვ. მრავ.;—მრავლობითი რიცხვის მაგალითები: სამთა გმირთა (წინას. ხანა VI), სამთა ფერთა (იქვე X), მაშვრალნი ორნივე (ბ. 44), ორნივე გარდახდეს (49), ორთავე ცისა კიდეთა (79), ორნივე გავიპარნეთ (122), ექვსნი ცხენოსანნი (153), სამთა ძმათა (158, 160), ეზომნი ჭირნი (174), ორნი დღენი და ღამენი (175), ორნი კაცნი (208), შვილთავე მნათობთა (233), შვილთა მეფეთა (258), ორნი მონანი (276), და მრავ. სხვ.

ზევით დასახელებულ მაგალითებს შემდეგ—როგორც „მისრამიანიდან“ მხოლოდ გვერდები დაენიშნეთ, აქაც მხოლოდ ხანებს აღვნიშნავთ, ვინაიდან მაგალითი მრავალია.

მხოლოდითი რიცხვის მაგალითების ხანები: 355, 386, 388, 412, 414, 424, 427, 477, 491, 497, 500, 525, 527, 553, 589, 617, 679, 730, 799, 903, 906, 915, 939, 946, 983, 993, 996, 1004, 1005, 1101, 1147, 1152, 1154, 1166, 1169, 1171, 1185, 1195, 1197, 1200, 1204, 1219, 1224, 1236, 1238, 1242, 1292, 1294, 1313, 1315, 1318, 1334, 1344, 1351, 1352, 1355, 1359, 1384, 1390, 1393, 1406, 1412, 1424, 1430, 1483, 1484, 1491, 1501, 1503, 1507;—მრავლობითი რიცხვის მაგალითების ხანები: 364, 368, 387, 417, 447, 471, 501, 508, 529, 541, 548, 556, 558, 465, 734, 796, 857, 891, 899, 938, 944, 956, 957, 1045, 1060, 1064, 1102, 1119, 1138, 1168, 1215, 1230, 1282, 1296, 1299 (ორმოცივე საქურკლები), 1308, 1319, 1338, 1348, 1349, 1360, 1374, 1387 (მრავალი მონები), 1420, 1428 (მრავალი ხანები), 1446, 1460, 1464, 1468, 1474, 1489, 1492, 1493, 1502, 1504, 1505, 1506, 1510, 1515, 1516, 1518;—ორივეგვარი მაგალითების ხანები: 952, 1173, 1330, 1338.

5) საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუის წიგნშიც“ მრავალი მაგალითია ორივე რიცხვისა, მაგრამ აქ მხოლოდ რამდენსავე აღვნიშნავ. მხოლოდითი რიცხვის მაგალითები (1871 წლ. გამოც.): განძი ურიცხვი (გვ. 2), სალარო. ესეოდენი (2), ცხრა დღე (4), მრავალი ქვეყანა (5), სამეოცი ცხოვარი,—ხუთ-ხუთი კირმანეული (8), ორი კირმანეული,—ეგზომი განძი (9), სამი პური (10, 11), მრავალი ქონება,—ხუთი თვალი (13), ორი თვალი,—ორი ფული (14), ორმოცი დღე (18, 19), შეშა მრავალი,—ოცი დღე,—მრავალი ტყუვილი (19), ათასის თვალისაგან (21), ორიგ სდიოდეს,—ორს მცნებას (22);—მრავლობითი რიცხვის მაგალითები: სამნი სალარონი (2), ექვთ ვეზირთ (3), სამნი ქალნი (4), ხუთნი საქმენი (6), სამნი საქმენი,—ორთავე უხმონ,—ათორმეტნი დღენი (7), ათნი ვაჭარნი,—სამნი მეკობრენი (13), ორნი ფვალნი,—რვა დღენი (15), ხუთთა ვეზირთა (17), ოთხნი ვეზირნი (18, 19), ორნი მთხრელნი (19), ხუთნი ძნელნი საქმენი (21) და სხვ.

აქვე აღვნიშნავ შემდგომ გვერდებს (23 გვერდიდან), სადაც ორივე ხასიათის მართველობა (მხოლ. და მრავლობ.) არის ნახმარი: 23, 26, 27, 28, 33, 36, 37, 38, 40, 41, 42, 43, 46, 49, 50, 56, 59, 60, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 71, 74, 75, 76, 77, 81, 84, 85, 86, 87, 88, 89, 96, 98, 99, 100, 101, 102, 103, 105, 108, 109, 113, 114, 115, 117, 122, 123, 126, 130, 131, 132, 133, 134, 135, 136, 137, 138,

140, 141, 142, 143, 144, 146, 147, 149, 150, 151, 154, 155, 156, 157, 158, 161, 162, 163, 165, 169, 170, 171, 172, 173, 174, 175, 176, 178, 179, 180, 181, 182, 184, 185, 186, 189, 190, 191, 194, 196, 198, 199, 200, 201, 205.

